ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნინო ჭელიძე

დედობის იდეალი, დედის დანაშაულის სინდრომი, ემოციური და ზრუნვის შრომის გადანაწილება დედასა და ძიძას შორის

გენდერის კვლევა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

გენდერის კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ ცხადაძე, ასოცირებული პროფესორი

თსუ გენდერის კვლევის ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

დედობა ქალისთვის განიხილება, როგორც ქალის იდენტობის შემადგენელი კატეგორია. ჩვენს საზოგადოებაში დედის როლი აღმატებულად არის წარმოდგენილი, ქალი ხშირად ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგი დედაა. დედობის შესახებ უამრავი განსხვავებული თეორია არსებობს. საზოგადოებაში დამკვიდრებულია კულტურული ნორმები და მოლოდინები, თუ როგორი უნდა იყოს კარგი და იდეალური დედა. ხშირად „იდეალური დედის“ განსაზღვრებაში მთავარ ასპექტად წარმოჩენილია ქალის მიერ ოჯახისთვის პრიორიტეტის მინიჭება, რაც ქალის სახლში ყოფნას და ბავშვების გაზრდის პასუხისმგებლობის აღებას მოიაზრებს. პატრიარქალური საზოგადოება მუდმივად ითხოვს ქალებისგან, რომ მოერგონ დედის შესახებ აღიარებულ ნორმებს, შეასრულონ ის მოვალეობები, რასაც დედობა მოითხოვს.

ჩემი ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს თუ რა დამოკიდებულებები არსებობს იმ დასაქმებული დედების მიმართ, რომლებიც ძიძის მომსახურებას იყენებენ. იმ იდეებისა და კონსტრუქციების იდენტიფიცირება, რომლითაც დასაქმებული დედები ძიძების მომსახურების რაციონალიზებას ახდენენ. ასევე, როგორ ხედავენ და აფასებენ დედის შრომის დედასა და ძიძას შორის განაწილებას ძიძის სერვისით მომსახურე დედები. განიცდიან, თუ არა დანაშაულის გრძნობას და რამდენად ახდენს ეს ყველაფერი დედების მიერ საკუთარი თავის დედობად აღქმაზე ზეგავლენას. კვლევისთვის მივმართე თვისებრივი კვლევის სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდს. კვლევის რესპონდენტებად ავარჩიე ქორწინებაში მყოფი, სხვადასხვა ასაკის, განსხვავებული რაოდენობის შვილების, დასაქმებული დედები.

ატარებული სიღრმისეული ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დასაქმებული დედები განიცდიან დანაშაულის გრძნობას. გამოვლინდა, რომ დასაქმებულ დედებს მუდმივად უწევთ მათ მიერ ძიძების მომსახურების სარგებლობისთვის ახსნა-განმარტებების მოძებნა, სხვადასხვა არგუმენტებით მათი გადაწყვეტილებების რაციონალიზება. ძიძების მომსახურების რაციონალიზაციისთვის დედები იყენებენ, ეკონომიკური მდგომარეობის, პიროვნული განვითარების და დროის ფაქტორის არგუმენტებს. ასევე გამოვლინდა, რომ ბავშვზე მთავარი პასუხისმგებლობა კვლავაც დედას ეკისრება. შედეგად მიჩნეულია, რომ ძიძა ინაწილებს დედის წილ საქმიანობას და არა მამის, ძიძა მხოლოდ დედას ეხმარება. დედებისა და ძიძების ურთიერთობებიდან გამოვლინდა, რომ დედების მთავარი შფოთვის საკითხია შიში, რომ ბავშვები ძიძებთან განავითარებენ ემოციურ კავშირს, ან რომ ისინი უფრო მეტად შეუყვარდებათ. მიუხედავად იმისა, რომ დედები იყენებენ ძიძის მომსახურებას, დედები თვითონ იღებენ ბავშვების აღზრდის პასუხისმგებლობას და ძიძის მოვალეობაში, ხშირად მხოლოდ ბავშვზე ფიზიკური მზრუნველობა, მოვლა შედის. მოვალეობების მსგავსი გადანაწილებიდან გამომდინარე, გამოვლინდა, რომ დედები არ ახდენენ საკუთარი დედობის ცუდ დედად იდენტიფიცირებას.

სარჩევი

შესავალი ..... **Error! Bookmark not defined.**

თავი I 9

კვლევის მიზნები *9*

კვლევის ამოცანები *9*

საკვლევის კითხვები ..... ***Error! Bookmark not defined.***

მეთოდოლოგია ..... ***Error! Bookmark not defined.***

თავი II ..... **Error! Bookmark not defined.**

ლიტერატურის მიმოხილვა ..... **Error! Bookmark not defined.**

ინტენსიური დედობა ..... ***Error! Bookmark not defined.***

მითი დედობის შესახებ (myth of motherhood) *15*

დედების დანაშაულის გრძნობის ფენომენი *16*

დედობა ნაციონალისტურ კონტექსტში *19*

საოჯახო შრომის გენდერული დანაწილება და დედობა *20*

თავი III 21

მონაცემევის ანალიზი 21

საზოგადოების დამოკიდებულებები და გადაწყვეტილება ძიძის აყვანის შესახებ 22

სამსახური VS დედობა *26*

საზოგადოება იმ დედების შესახებ, რომლებიც ძიძის მომსახურებას იყენებენ *28*

რატომ მყავს ძიძა? *30*

დანაშაულის გრძნობა დასაქმებულ დედებში *33*

დედაზე დაბრალება *37*

დედის და ძიძის ურთიერთობა *38*

დედების მოლოდინი ძიძის და ბავშვის ურთიერთობის შესახებ *39*

როგორი დედა ვარ? *40*

ორმაგი სტანდარტები *41*

ძირითადი მიგნებები.....44
დასკვნა.....49
გამოყენებული ლიტერატურა:.....52
დანართი #1.....55
დანართი #2.....56

შესავალი

მაშინ როდესაც საუბარია კაცის და ქალის გენდერულ როლებზე, ქალის როლის დახასიათებისთვის აუცილებლად იყენებენ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა - ცოლი და დედა. საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ქალისთვის დედობა მისი იდენტობის განმსაზღვრელია და თუ ქალი არ არის დედა, ან ცოლი, ეს ხშირად მისი, როგორც არასრულფასოვანი ქალის სტიგმატიზაციის საფუძველი ხდება. გოგონების სოციალიზაცია იწყება იმ იდეით, რომ ისინი მომავალი დედები და ცოლები გაიზრდებიან. დედობის ინსტიტუტის მთავარი მოვალეობა არის გოგონების დედებად სოციალიზება (Bernard, 1998). დედის სახე კულტურაში, უფრო კონკრეტულად რელიგიასა და ხელოვნებაში დიდებულად არის წარმოდგენილი. მედია დედობას წარმოაჩენს როგორც გარდაუვალს და ღირსეულს, როცა უშვილობა წარმოდგენილია, როგორც დეპრივაცია (Bernard, 1998). ამის ცხადი მაგალითების პოვნა უამრავ სასკოლო სახელმძღვანელოსა თუ, საბავშვო ლიტერატურაში შეიძლება. მაგალითად, საბავშვო ენციკლოპედიაში, გოგონების შესახებ წაიკითხავთ: „კაცობრიობის მეორე ნახევარს გოგონები შეადგენენ, ქალთა სქესს მშვენიერს უწოდებენ. ეს შემთხვევითი როდია, შემოქმედმა ქალს ძალიან მნიშვნელოვანი როლი მიაკუთვნა - მეუღლისა და დედის. თუმცა, მომავალი დედები ჯერ მხოლოდ პატარა გოგონები არიან“ (ჩემი პირველი ენციკლოპედია, 2016, გვ. 126). წიგნი 4 წლიდან ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. სწორედ ასეთ გარემოში წარმოიქმნება მოლოდინები, რომ ქალის მთავარი როლი ბავშვების გაჩენა და მათზე ზრუნვაა, ამიტომ, როცა ქალი არ ერგება და „ვერ ამართლებს“ პატრიარქალური წესრიგის მიერ დამყარებულ მოლოდინებს, იგი ხშირად ხდება საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების მსხვერპლი. შედეგად, მათი განხილვა არასაკმარისად კარგი ქალის, ან არასაკმარისად კარგი ცოლის და დედის კატეგორიაში ხდება.

კულტურაში დამკვიდრებული მოლოდინია, რომ ქალისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ოჯახი და მასზე ზრუნვა, შესაბამისად, როცა ქალი გამოდის ამ მოლოდინის ჩარჩოდან,

მაგალითად, იღებს განათლებას, აქვს კარიერა, ბევრის მიერ ეს აღიქმება, როგორც ბარიერი ქალის მთავარი როლის შესრულების საქმეში. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კითხვა, რასაც ორსულ ქალებს, განსაკუთრებით მაშინ თუ ქალი მუშაობს, ეკითხებიან, არის, რას აპირებს ბავშვის გაჩენის შემდეგ, წამოვა სამსახურიდან თუ არა? თუ არ ტოვებს სამსახურს, მაშინ ვინ მოუვლის ბავშვს? ძიძა უნდა აიყვანოს? თუ ძიძას აიყვანს, როგორ უნდა ენდოს უცხო ადამიანს და ა.შ. მსგავსი შინაარსის კითხვები ყოველთვის დედისთვის არის განკუთვნილი და არა მამისთვის. არავინ ეკითხება მამას, რას აპირებს ბავშვის დაბადების შემდეგ, მიატოვებს თუ არა სამსახურს, რადგან ამას მამისგან არავინ მოელის, ეს არ არის ნორმა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს უკავშირდება გავრცელებულ მოსაზრებებს, რომ ბავშვის მოვლა ქალის პასუხისმგებლობაა.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მსგავსი გენდერული როლების დამკვიდრებას უწყობს ხელს არის საეკლესიო პირების განცხადებები, მოწოდებები იმის შესახებ, რომ ქალი შექმნილია მხოლოდ დედობისთვის და შვილების და ოჯახის მოსავლელად. „უფალმა მამაკაცი საზოგადო, ქალი კი უფრო საშინაო საქმეებისათვის აკურთხა. თუმცა, დღეს ამის გაუკუღმართება ხდება. ქალი საზოგადო საქმეებში ჩაერთვის, რის გამოც, მისი ძირითადი კურთხევა შეუსრულებელი რჩება“ - ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოძღვარი, მამა დავით ქალებაშვილი (Ambioni.ge, 2009). აღნიშნული პრობლემის აქტუალურობაზე საუბრობს შერილ სენდბერგი წიგნში „იმოქმედე: ქალები, შრომა და ლიდერობის სურვილი“ (2013) „მართალია, რთულია იწინასწარმეტყველო ინდივიდის რეაქცია მშობლად გახდომის შესახებ, მაგრამ ადვილია იწინასწარმეტყველო საზოგადოების რეაქცია. როცა წყვილი აცხადებს, რომ ბავშვი ეყოლებათ, ყველა ულოცავს კაცს, მაგრამ ყველა ულოცავს და ეკითხება ქალს, თუ რას აპირებს სამსახურთან დაკავშირებით?” (სანდბერგი, 2013). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დედების მიერ ძიძის სერვისის გამოყენება კომპლექსური საკითხია, ვინაიდან საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ ჯერ კიდევ მიუღებელია ქალისთვის მუშაობა, უფრო ხშირად კი დედის მუშაობა, როცა მას პატარა ბავშვი ჰყავს და დედობის საქმიანობის სხვა ქალთან გადანაწილებას ახდენს. სწორედ ასეთი დამოკიდებულებების გამო გადავწყვიტე, რომ ჩემი კვლევის თემა

ყოფილიყო იმ დედების გამოცდილება, რომლებიც ძიძის სერვისით სარგებლობენ და რომელთაც მსგავსი შეხედულებების მქონე საზოგადოებაში უწევთ ცხოვრება. როგორია მათი პირადი გამოცდილება, როგორ ახდენენ ისინი ადაპტაციას ასეთ გარემოში, როგორ ახდენს ეს დამოკიდებულებები მათზე ზეგავლენას და ამავდროულად, როგორ ზემოქმედებს ეს ყველაფერი მათ ძიძებთან ურთიერთობაზე.

ქალების მიერ ძიძის სერვისის გამოყენების მიმართ საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას აჩვენებს 2013 წელს, გაეროს ერთობლივი პროგრამის მიერ „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მომზადებული ანგარიში. ანგარიშის მომზადებისთვის კვლევა ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა 92% იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმად, ქალისთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში არის ოჯახზე ზრუნვა. იდეას, რომ ქალი ბავშვის გაზრდით და სახლის მოვლით უნდა იყოს დაკავებული და არა პროფესიული წინსვლით, იზიარებს გამოკითხული კაცების 72% და ქალების 52%. გამოკითხულთა 79%_ის მიხედვით ქალი უფრო მეტად ოჯახით ფასობს, ვიდრე სამსახურში წარმატებით. გამოკითხულთა უმრავლესობა (66%) ეთანხმება დებულებას, რომ ყველასთვის უმჯობესია, როცა კაცი მუშაობს, ხოლო ქალი სახლს უვლის. მიიჩნევა, რომ ქალს სიამოვნებს დიასახლისობა და ბევრად ბედნიერია ამ საქმიანობით, ვიდრე სამსახურში წარმატებით შეიძლება იყოს. თუმცა, როცა არჩევანი ქალის კარიერასა და ოჯახს შორის დგება, უპირატესობა ენიჭება ოჯახს. ასევე გამოვლინდა, რომ როგორც ქალების, ისე მამაკაცების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სამსახური კარგია, თუმცა ქალს მაინც ყველაზე მეტად ოჯახი და ბავშვები სურს, რასაც ეთანხმება გამოკითხულთა 85% (87% ქალების და 88% კაცების). კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ოჯახის საქმეს ქალისთვის სასიამოვნოდ მიიჩნევს, რადგან ყოველი მეორე რესპონდენტის აზრით (51%), დიასახლისობა ისეთივე კმაყოფილებას აგრძნობინებს ქალს, როგორც ანაზღაურებადი სამსახურის ქონა. მიიჩნევა, რომ ქალს სიამოვნებს დიასახლისობა და ბევრად ბედნიერია ამ საქმიანობით, ვიდრე სამსახურით. აქედან გამომდინარე, ქალებისთვის ხშირად რთულია

აღიარონ, რომ მათ სამსახურში ყოფნა ბედნიერებას ანიჭებთ, მაშინ, როცა შვილთან ძიძა იმყოფება. სამეგრელოს და კახეთის ჯგუფებში დაფიქსირდა სკეპტიკური დამოკიდებულება ქალების მიერ ძიძის აყვანის მიმართ. ქალმა შვილი ძიძას არ უნდა გააზრდევინოს - ეს იყო მოსაზრება, რომელიც მათი აზრით, მთელ ქვეყანაში დომინირებს.

როგორ უნდა ვანდო ვიღაცას ბავშვი, შენი რძალი დააჯინე სახლში და მოუვლის ბავშვს. ჩვენთან ესე ხდება აქ. ესეა აზრი ჩამოყალიბებული. ჩამოყალიბებულია რომ ბავშვი უნდა გაზარდოს დედამ და არა ძიძამ [სამეგრელო, სოფელი, 36-50, საშუალო განათლება].

ის აზრია გავრცელებული, რომ დედის გაზრდილი შვილი უნდა იყოს და არა ძიძისო და ძიძებს ნუ ანდობთ შვილებსო [კახეთი, სოფელი, 36-50, უმაღლესი განათლება].

წარმოდგენილი მაგალითები, მართალია, არ გამოხატავს მთელი საზოგადოების აზრს, მაგრამ წარმოდგენას ქმნის იმაზე, თუ რატომ შეიძლება დედა - ძიძის და დედის საკუთარ თავთან ურთიერთობა იყოს კომპლექსური.

I თავი

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია შეისწავლოს, ქართულ საზოგადოებაში არსებული ამ ღირებულებითი წნეხის პირობებში, დედები როგორ ახერხებენ ძიძის მომსახურების სარგებლობასთან ადაპტირებას და ძიძის აყვანის შესახებ თავიანთი გადაწყვეტილების რაციონალიზებას და რა გავლენას ახდენს ეს დამოკიდებულებები დედობის აღქმაზე.

ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს, თუ როგორ ხედავენ დედის შრომის დედასა და ძიძას შორის განაწილებას ძიძის სერვისით მომსახურე დედები და რა როლს ასრულებს შრომის განაწილების ეს სურათი ძიძის მომსახურებით სარგებლობის რაციონალიზებაში

კვლევის ამოცანები

- „დედობის“ შესახებ არსებული წარმოდგენების შესწავლა
- ძიძების სერვისის გამოყენების მიმართ დამოკიდებულებების შესწავლა

საკვლევი კითხვები

- როგორ და რაში ვლინდება საზოგადოების დამოკიდებულება დედების მიმართ, რომლებიც იყენებენ ძიძის მომსახურებას?
- როგორ მოქმედებს საზოგადოებრივი წნეხი დედებზე, რომლებიც იყენებენ ძიძების მომსახურებას? (თვითშეფასება, როგორ დედებად აფასებენ თავს, “დანაშაულის გრძნობის” ფაქტორი)
- როგორ ახერხებენ დედები ძიძის მომსახურებით სარგებლობასთან ადაპტირებას და ძიძის აყვანის შესახებ თავიანთი გადაწყვეტილების რაციონალიზებას?

- რა კრიტერიუმებს იყენებენ დედები ძიძების შესარჩევად და როგორ აისახება ამაში მათი გაგება ძიძისა და დედის როლის გადანაწილების შესახებ?
- რა მოლოდინები აქვთ დედებს ძიძის და ბავშვის ურთიერთობასთან, განსაკუთრებით, მათ შორის ემოციური კავშირის არსებობასთან დაკავშირებით?

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე და კვლევის კითხვებისთვის პასუხის გასაცემად გამოვიყენე თვისებრივი კვლევის სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. სიღრმისეული ინტერვიუს ინსტრუმენტი იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი.

რესპონდენტებს სიღრმისეული ინტერვიუები წინასწარ შედგენილი ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით ჩაუტარდათ. ინტერვიუები დამეხმარა თითოეული რესპონდენტის ცხოვრებისეული გამოცდილების შესწავლაში, იმის გაგებაში, თუ რა დამოკიდებულებები აქვთ ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს თუ საზოგადოების დარჩენილ ნაწილს იმ დედების მიმართ, რომლებიც ძიძის მომსახურებას იყენებენ და როგორ ზეგავლენას ახდენს ეს მათი, როგორც დედის თვითაღქმაზე. რა ბარიერებს აწყდებიან დედები ძიძის აყვანის დროს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და როგორ ნაწილდება ურთიერთობა დედას და ძიძას შორის.

მეთოდოლოგიის შერჩევისას ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებზე შეჩერება მოხდა მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე. წინასწარ შედგენილი ინტერვიუს სახელმძღვანელომ და ინტერვიუს ღია სტრუქტურამ თითოეული რესპონდენტის გამოცდილებაზე დამყარებით დამატებითი კითხვების დასმის საშუალება მომცა, რათა რესპონდენტებისგან დეტალური და სიღრმისეული ინფორმაცია მომეპოვებინა მათი ცხოვრებისეული, რეალური გამოცდილების შესახებ, რაც უკავშირდებოდა არა მხოლოდ მათი დედობის გამოცდილებას, ასევე მათ მიმართ საზოგადოებისგან გამოვლენილ

დამოკიდებულებებს ძიძის მომსახურებით სარგებლობის შესახებ და ასევე დედების ურთიერთობებს ძიძასთან.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩაუტარდა 11 რესპონდენტს, 11 დედას. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა 1 საათი იყო. რესპონდენტების მოძიება მოხდა ე.წ „თოვლის გუნდის“ პრინციპის გამოყენებით. თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გათვალისწინებული იყო რამდენიმე პირობა, რომლის დაკმაყოფილებაც იყო საჭირო. მართალია ჰეტეროგენულობა შერჩევის დროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, რაც გულისხმობს განსხვავებულ კონტენტს, მრავალფეროვან გამოცდილებას, მაგრამ ამავე დროს გათვალისწინებული იყო ის მოთხოვნები, რაც კვლევის მიზნებს ჰქონდა და ეს იყო:

1. დედის დასაქმება სახლის გარეთ, ანუ დედას უნდა ჰქონოდა ანაზღაურებადი, სრულგანაკვეთიანი სამსახური.[1]
2. შვილებიდან, ერთი ბავშვი მაინც უნდა ყოფილიყო მთელი დღის მანძილზე ძიძის ზედამხედველობის ქვეშ, ანუ ბავშვს არ უნდა ევლო ბაღში ან სკოლაში.
3. რესპონდენტი დედა არ უნდა ყოფილიყო მარტოხელა დედა, რადგან ამ შემთხვევაში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება ექცეოდა ოჯახში გენდერული როლების გადანაწილებას, მამის დამოკიდებულებას ძიძის აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, დედების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის გაზრდასა და აღზრდაში მონაწილეობას იღებს, როგოც ბავშვის დედა ასევე მამა, მათ ურთიერთობების
   დინამიკა და შესაბამისად აქედან გამომდინარე, დედის ურთიერთობა ბავშვის ძიძასთან.
4. ძიძას უნდა ჰქონოდა სრულგანაკვეთიანი სამუშაო დღე.

გარდა ამ ოთხი ძირითადი მოთხოვნისა, კვლევის დროს არ იყო შეზღუდული რესპონდენტების ასაკი, განათლება, რელიგია, დასაქმების სფერო. შესაბამისად,

[1] შენიშვნა: საინტერესო იქნებოდა ისეთი შემთხვევების კვლევა, როცა დედები არ მუშაობენ და იყენებენ ძიძების მომსახურებას, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს სხვა, დამოუკიდებელი კვლევის საკითხია, ამიტომ ჩემ კვლევაში გამოვრიცხე.

გათვალისწინებული და მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყო რესპონდენტების ასაკის მრავალფეროვნება, დასაქმების სფეროების მრავალფეროვნება, როგორც პროფესიები ასევე, სფეროები - საჯარო და კერძო, და შვილების რაოდენობა. მართალია, ასევე არ იყო შეზღუდვა ეთნიკური ან რეგიონული კუთვნილების ნიშნებით, მაგრამ რესურსების შეზღუდულობის გამო, კვლევისთვის რესპონდენტები შეირჩა მხოლოდ თბილისში. თითოეულ რესპონდენტს მიეწოდა ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ და ასევე ინფორმაცია კვლევაში მონაწილეობის ანონიმურობის შესახებ.

რესპონდენტების მონაცემები: კვლევაში მონაწილეობას იღებდა 11 დედა, ასაკობრივი ზღვარი 24-43, ყველა რესპონდენტს მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება (სოციალურ მეცნიერებებში, იურიდიული, ბიზნესი, სამედიცინო). დასაქმების სფეროები, როგორც კერძო ასევე საჯარო: ოჯახის ექიმი, სტომატოლოგი, ფსიქოლოგი, გენდერის მკვლევარი, ნოტარიუსი, ოფისის მენეჯერი. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები სრულიად განსხვავებულ ისტორიებს ყვებოდნენ, ჰქონდათ განსხვავებული წარსული ან განათლება, განსხვავდებოდა მათი სოციალური სტატუსი, შვილების რაოდენობა და ასაკი, საბოლოო ჯამში მაინც გამოვლინდა მსგავსი ტენდენციები.

სადისკუსიო გეგმა ღია შეკითხვებისგან იყო ფორმულირებული. კითხვები, ძირითადად, კონცენტრირებული იყო რესპონდენტების სუბიექტურ გამოცდილების შესწავლაზე. დაწყებული ორსულობის პერიოდიდან, მათ გადაწყვეტილებამდე, რომ აეყვანათ ძიძა, ამ საკითხზე ოჯახის წევრების და დანარჩენი საზოგადოების დამოკიდებულებები, როგორ ახერხებენ ამ დამოკიდებულებებთან შეგუებას, მათი გადაწყვეტილების რაციონალიზების მეთოდები, დედობის შესახებ არსებული მოლოდინები, დედობის თვითაღქმა, ძიძებთან ურთიერთობა და ბავშვზე ზრუნვის გადანაწილების საკითხები. ერთზე მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში დედებს საშუალება ჰქონდათ ესაუბრათ სხვადასხვა და უფრო მრავალფეროვანი გამოცდილების შესახებ.

რა თქმა უნდა, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები არ იძლევა გენერალიზაციის საშუალებას, მაგრამ ეს არც ყოფილა კვლევის მიზანი. კვლევის მთავარი დანიშნულება იყო,

იმ იდეების და კონსტრუქციების იდენტიფიცირება, რომლებითაც დედობის შრომის განაწილების გააზრება - რაციონალიზება ხდება დედების მიერ. ასევე, წარმოაჩინოს ქალების ხმა, რომელიც ძალიან ხშირად არ ისმის, აჩვენოს დედების გამოცდილება, მთავარია, რომ კვლევამ საშუალება მომცა, შემესწავლა დედების უნიკალური გამოცდილება, წინააღმდეგობების დაძლევის გზები, რაც მათ მიერ ძიძის აყვანის გადაწყვეტილებას ახლდა თან. საბოლოოდ, რესპონდენტებისგან მიღებული მონაცემები, დამყარებული მათ განსხვავებულ და მრავალფეროვანგამოცდილებაზე, კვლევის შედეგად გამოვლენილ მთავარ ტენდენციებზე საუბრის საშუალებას მაძლევს.

II თავი

ლიტერატურის მიმოხილვა

მეცნიერები გლენი, ბრაუნი და ფორსი დედობას განსაზღვრავენ, როგორც „სოციალურად კონსტრუირებულ ქმედებათა ერთობას და ურთიერთობებს, რომელიც ადამიანების მოვლასა და ზრუნვას მოიცავს“ (Forcey, 1994). დედობის მნიშვნელობა უკავშირდება დედად ყოფნის სოციალურ სტატუსს (Gillis, 1997). ზიგმუნდ ფროიდი დედას აღწერდა, როგორც ბავშვის პირველად და ძირითად სიყვარულის ობიექტს და მშობელს, როგორც მთავარ პასუხისმგებელს ბავშვის განვითარებაზე.

ინტენსიური დედობა

ინტენსიური დედობა, ეს არის დედობის შესახებ ყველაზე ფართოდ გავრცელებული დომინანტური კულტურული იდეოლოგია (Hays, 1996). ინტენსიური დედობის იდეოლოგიის მიხედვით დედობა ეს არის ექსკლუზიური, მთლიანად ბავშვზე ორიენტირებული და შრომატევადი საქმიანობა (Hays, 1996). აღნიშნულ იდეოლოგიაში დედა წარმოდგენილია, როგორც სხვებზე (შვილებზე) თავდადებული, მზრუნველი და თავგანწირული. სუბიექტი, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი საჭიროებები და ინტერესები (Bassin, 1994). ასეთი დედა განისაზღვრება, როგორც კარგი დედა. ინტენსიური დედობის იდეოლოგიას აქვს ისტორიული საფუძვლები და უკავშირდება ინდუსტრიულ კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლას და ანაზღაურებადი შრომის სახლის შრომიდან განცალკევებას. აღნიშნული იდეოლოგიის გატარებით ოჯახის თავი, ანუ კაცი უფრო მეტს გამოიმუშავებდა, ქალი კი გახდა კერძო სფეროს მმართველი დედის სტატუსით (Gordon, 1993). დედობის იდეოლოგია მხარს უჭერს და აძლიერებს შრომის გენდერულ დანაწილებას და ტრადიციული გენდერული როლების კვლავწარმოებას (Fineman, 1995).

ინტენსიური დედობა სრულგანაკვეთიან სამსახურად ითვლება, განსაკუთრებით ბავშვის ცხოვრების პირველი სამი ან ოთხი წლის მანძილზე. ეს გულისხმობს, რომ ბავშვებს ესაჭირეობათ ერთი ძირითადი მზრუნველი - რასაც გენდერული წესრიგიდან გამომდინარე უმრავლეს შემთხვევაში დედა ითავსებს. ინტენსიური დედობის თეორიის მიხედვით, დასაქმებული დედა ვერ იქნება მთლიანად ადეკვატური დედა, ვინაიდან იგი ვერ მოახერხებს თავისი დროის და ყურადღების ბავშვზე 24 საათიან კონცენტრირებას. მანამ, სანამ იარსებებს იდეა, რომ ბავშვები მოვლილები და ჯანმრთელები იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დედა ჩართულია „ინტენსიურ დედობაში", დედის დასაქმების საკითხი მუდმივ კონფლიქტში იქნება ბავშვის საჭიროებებთან (Hays 1996).

საქართველოში ოჯახური ცხოვრების პრინციპი მყარ პატრიარქალურ წარმოდგენებს ემყარება: ქალი დედა, ქალი დიასახლისი, რომელსაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ოჯახური ვალდებულებები აკისრია (ანთელავა, 2002). ქალი საქართველოში ხშირად გაიგივებულია დედობასთან, ანუ დედობა, როგორც ქალის მთავარი და ძირითადი ფუნქცია ანუ გამოხატავს იმას რასაც შერონ ჰეი უწოდებს „ინტენსიური დედობის იდეოლოგიას".

მითი დედობის შესახებ (myth of motherhood)

სოციოლოგი ენ ოუკლი, ინტენსიური დედობის იდეოლოგიას აფასებს, როგორც „მითს დედობის შესახებ" (1974). ეს არის რწმენა, რომ „ყველა ქალისთვის საჭიროა გახდეს დედა, ყველა დედას სჭირდება ბავშვები და ყველა ბავშვს სჭირდება დედა" - როგორც ვხედავთ, ეს შეხედულება გამორიცხავს დედის გარდა სხვა მზრუნველის ადგილს ბავშვის გაზრდის პროცესში, ამიტომაც აღარ რჩება ადგილი სხვა მომვლელისთვის, ანაზღაურებადი ძიძა კი საუკეთესო შემთხვევაში აღქმულია, როგორც აუცილებელი ბოროტება (Oakley, 1974).

„დედობის მითი" ეს არ არის მითი ტრადიციული გაგებით, როგორც ტყუილი შეხედულებები, ან არარეალური ამბავი. ეს არის შეხედულება, რომელიც ქალებისგან დედობრივ თავდადებას, თავგანწირვას მოითხოვს, მაგრამ ამავე დროს არ სთავაზობს

ალტერნატიულ დედობრივ სტრატეგიას ან გაზიარებული ზრუნვის იდეას. იგი წარმოადგენს იდეალიზებულ ხედვას დედობის შესახებ, დედები, როგორც ექსკლუზიურ მომვლელები, რომლებიც მუდმივად მზრუნველებად და კეთილებად არიან წარმოდგენილები და ეს ხედვა ბევრ კულტურაში დომინირებს.

დედობის მითი ინდივიდების ერთი ჯგუფის ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე მეორეს. ტენდენცია, დედების იდეალიზების შესახებ განსხვავდება, გააჩნია ბავშვის ასაკს და ცხოვრების ეტაპს. ფემინისტმა მკვლევრებმა ჩაატარეს ემპირიული კვლევა და შეისწავლეს დედობის მითი. ჰეარ-მასტინმა და ბროდერიკმა გაზომეს ქალების რეპროდუქციული არჩევანის, ცხოვრების მიზნების და იდეალური დედობრივი ქცევის დამოკიდებულებები. შედეგებმა აჩვენა, რომ არა მხოლოდ კაცები და მოხუცები, არამედ ახალგაზრდებიც იზიარებდნენ და ეთანხმებოდნენ დედობის შესახებ არსებულ მითს (Hare-Mustin& Broderick, 1979). „დედობის მითი“ - ეს არის კულტურული იარაღი დედების მანიპულაციისთვის, მათი ზედმეტი ჩართულობისთვის. ეს მითი გვასწავლის, რომ დედები არიან მზრუნველები და კეთილები (Douglas &Michaels, 2004; Hare-Mustin&Broderick, 1979). დედობის მითი ემსახურება კაცებს და მათ ყოფას, რადგან ბავშვის მოვლის საქმეში დედის ზედმეტი ჩართულობა მამების ნაკლებ ჩართვას მოითხოვს, ასე რომ, ისინი თავისუფლდებიან და სხვა ინტერესების დასაკმაყოფილებლად რჩებათ დრო.

დედების დანაშაულის გრძნობის ფენომენი

ბოლო პერიოდში ქალებზე ცენტრირებული კვლევების რაოდენობა გაიზარდა, კვლევები, სადაც ფოკუსი ქალების დედობის გამოცდილებაზეა, ფემინისტური პერსპექტივიდან. მსგავსი კვლევის მიგნებები აჩვენებს, რომ ქალებს ხშირად საპირისპირო მოსაზრებები აქვთ დედობის შესახებ, ვიდრე ეს კულტურულ ნორმად არის წარმოდგენილი, და ეს არ არის მხოლოდ დადებითი და პოზიტიური მხარე. ეს პოზიტიური შეხედულებები წარმოებულია ქალის, როგორც ბუნებრივი დედის, იდეიდან, რომ ქალებს ბავშვებზე ზრუნვის ბუნებრივი უნარები აქვთ და შეუძლიათ თავდაუზოგავი, თავგანწირული

შრომის შესრულება (Choi, 2005). დედობის რეალობა ბევრად განსხვავებულია ამ იდეოლოგიური მითისგან (Woollett, 1991). მიუხედავად ამისა, ეს არის იდეოლოგია, რომელიც დომინანტურია და აწესებს „კარგი დედის“ სტანდარტებს (Choi, 2005; Ussher, 1989). ეს მითი, რაც არსებობს იდეალური დედობის შესახებ, ქმნის პრობლემებს, რადგან ქალების განსხვავებული გრძნობები დედობის შესახებ გადადის დანაშაულის გრძნობაში და თავს აღიქვამენ, როგორც ცუდ დედებს (Parker & Bar, 1996). დედობის მითმა ქალებში შეიძლება გამოიწვიოს არაადეკვატურობის შეგრძნება და დედებში დეპრესიის ერთ-ერთი საფუძველი გახდეს (Buultjens & Liamputtong, 2007).

„დედობის მითმა“ დედებში დანაშაულის გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს, მაშინ, როცა დედები ვერ ასრულებენ ამ მოთხოვნებს, რასაც დედობის მითი აყენებს. დედობის შესახებ არსებულმა რომანტიკულმა იდეებმა გამოიწვია ის, რომ დედების ინდივიდუალობა და უფლებები აღარ იყო აღიარებული, დედებში თვითშეფასების პრობლემები გაჩნდა. „სრულყოფილი დედის“ იდეამ გამოიწვია ის რომ, ნებისმიერი მარცხი, რომელიც ქალს ხელს უშლიდა ყოფილიყო “სრულყოფილი დედა”, მათში იწვევდა დანაშაულის გრძნობას და საკუთარი თავის ცუდ დედად აღქმას (Chodorow, Contratto, 1989). ქალებს აწუხებთ ე.წ „დედის დანაშაულის გრძნობის ფენომენი“. ბევრი დედა განიცდის დანაშაულის გრძნობას, რაც არ არის დაკავშირებული კონფლიქტურ სიტუაციასთან, არამედ კულტურულ მოლოდინებთან. ფინეთში ჩატარდა კვლევა, რომელში მონაწილე ყველა მეხუთე დედა საუბრობდა „დედობის მითის“ შესახებ და ამ მითის შედეგად გამოწვეულ „დანაშაულის გრძნობაზე“, რაც დაკავშირებულია კარგი დედის იდეასთან, საკუთარ, თუ სხვების მოლოდინებთან (Rotkirch, 2009). დედების ნაწილი განიცდიდა, რომ მათ არ შეეძლოთ იმ მაღალი სტანდარტებისთვის მიეღწიათ, რაც იდეალური დედობის შესახებ არსებობდა, მაგალითად: არასდროს გაბრაზებოდნენ შვილს, მუდმივად ყურადღებიანები ყოფილიყვნენ. კვლევის დროს გამოვლინდა, რომ ქალები საუბრობდნენ მუდმივი კულტურული წნეხის შესახებ, რომ დედები უნდა ესწრებოდნენ ყველა ღონისძიებას, ყურადღებას მუდმივად უნდა აქცევდნენ ბავშვებს. დედებში დანაშაულის გრძნობა ხშირად დაკავშირებული იყო სოციალურ ნორმებთან და მოლოდინებთან. ასევე, კვლევის

დროს საუბრობდნენ იმაზე, რომ ზოგადად ძალიან რთულია ამ თემებზე საუბარი, რადგან დედების აზრით, ეს მათ სტიგმატიზაციას და გარიყვას გამოიწვევდა (Rotkirch, 2009).

დოკუმენტირებულია, რომ მოლოდინები, რაც ქალებს აქვთ დედობის შესახებ, ამ იდეოლოგიის გავლენის შედეგია და როცა რეალობას შეეჩეხებიან, ზოგიერთი ქალისთვის ძალიან რთულია, რომ მიწვდეს იდეალურობის სტანდარტებს, ან შეეგუოს იმ აზრს, რომ ისინი არ არიან ისეთი დედები, როგორებიც უნდა იყვნენ. ეს ყველაფერი გადადის შინაგან კონფლიქტში, რაც ხშირად ასოცირებულია დეპრესიასთან, განსაკუთრებით ბავშვის დაბადებიდან უახლოეს პერიოდში. რა თქმა უნდა, ყველა ქალი, ვისაც აქვს ეს გრძნობები, დეპრესიას არ განიცდის (Mauthner, 1999). დანაშაულის გრძნობა და სხვა სოციალური გრძნობები მშობლებში არ არის ფართო კვლევის საგანი და ბევრი ნაშრომიც არ არსებობს ამ თემაზე. არსებული კვლევები კი მიუთითებს, რომ ქალები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი დანაშაულის გრძნობისკენ, ვიდრე კაცები, და ეს უკავშირდება დედობის ევოლუციურ მნიშვნელობას, არსებულ მოთხოვნებს კარგი დედობის - „დედობის მითის“ შესახებ (Rotkirch, 2009). დედებში დანაშაულის გრძნობა, ერთის მხრივ უკავშირდება ინტენსიური დედობის იდეოლოგიას და იმ მოლოდინების ვერ შესრულებას რაც „სრულყოფილი დედას“ მოეთხოვება, მაგრამ მეორეს მხრივ იგი დაკავშირებულია დედისთვის „დაბრალების“ ფენომენთან. იქედან გამომდინარე, რომ დედა ითვლება ბავშვზე პასუხისმგებლად და პირველად მზრუნველად, როცა ბავშვის განვითარებაში რაიმე პრობლემა წარმოიშვება, ეს პირდაპირ დედას ბრალდება (Woollett&Phoenix, 1991). დედაზე დაბრალების ფენომენი კიდევ უფრო დიდი სტრესის ქვეშ აყენებს დედებს. ქალებისთვის სხვადასხვა აქტივობები, მაგალითად დედობა და კარიერა/დასაქმება, მუდმივად წარმოდგენილია როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენი და არა როგორც სიცოცხლის ურთიერთდამოკიდებული განზომილებები (Garey 1999). ამიტომაც, დედები მუდმივად განიცდიან შიშს, რომ შეიძლება ვერ გაამართლონ ის მოლოდინები, რაც საზოგადოებას მათ მიმართ აქვს დაწესებული. მაგალითად, პატრიარქალური კულტურა ნორმად აწესებს, რომ დედამ დამნაშავედ უნდა იგრძნოს თავი, მაშინ, როცა იგი შვილის გვერდით არ არის და სამსახურშია. მართალია, დღეს დედას შეუძლია იმუშაოს, ეს

აღარ არის ისეთი პრობლემა, როგორც წლების წინ, მაგრამ თუ დედა არ განიცდის დანაშაულის გრძნობას, რომ იგი ყოველ წამს შვილთან ვერ ატარებს, მაშინ იგი საზოგადოებისგან ნეგატიურ რეაქციას უნდა ელოდოს. შეიძლება პირდაპირ არავინ ეუბნება დედას, რომ მუშაობა, პროფესია ცუდია, მაგრამ ყველანი ელოდება გარკვეულ სინანულს, სირცხვილის გრძნობას და თავის მართლებას დედისგან, დანაშაულის გრძნობის აღიარებას, რომ მუშაობს და ბავშვთან არ არის და ამ დროს ბავშვთან, მაგალითად არის ძიძა. დღეს, მაშინ როცა სიტუაცია შეიცვალა და უფრო მეტი ქალია დასაქმებული სახლის გარეთ, უფრო მეტ დედას აქვს მენტალური ბრძოლა, თვითშეფასების პრობლემები და ხშირად ტრამვირებული მდგომარეობა, რომ არ არიან საკმარისად კარგი დედები, თუნდაც იმიტომ, რომ მათ ძიძა ჰყავთ.

დედობა ნაციონალისტურ კონტექსტში

ქალი ნაციონალურ კონტექსტში განიხილება, როგორც სამშობლოს გმირი ვაჟების გამზრდელი დედა. მოწოდებები ქალებს ავალებს იყვნენ დედები, ბიჭების დედები, რომ ქვეყანას საამაყო გმირები გაუზარდონ. ამავდროულად, ქალი, რომელიც არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, ხშირად სტიგმატიზებულია, ვინაიდან დედობა ქალის იდენტობის ნაწილად ითვლება. ქალი ნაციონალურ დისკურსში ხშირად წარმოდგენილია, როგორც ერის ღირსების სიმბოლო, კოლექტივიზმის სული, ერის სიწმინდის გამოხატულება. ქალებს მინიჭებული აქვთ სიმბოლური როლი ერის შენების საქმეში, როგორც ერის წევრების ბიოლოგიური მწარმოებლები, ტრადიციის მატარებლები, ერის დედები (Yuval –Davis, 1997). ერი აღიქმება, როგორც პატრიარქალური ოჯახი, რომელიც სწორედ კაცთა ძმობას ემყარება და პატრიარქატული კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემა. ახალგაზრდა კაცები ხდებიან ერის გმირები, ხოლო ქალები, როგორც დედები, რეპდუქტორები, რომელთა საშუალებითაც ხდება პატრიარქალური ხაზის გაგრძელება. ქალების ერის მიმართ მთავარი ვალდებულება არის გააჩინონ შვილები „ერისთვის“

(Drezgic, 2015). შესაბამისად, დედობა ქალებისთვის ნაციონალურ კონტექსტში გარდაუვალი მოთხოვნაა, რაც აჩვენებს იმ რეალობას, რომელშიც ქალებს უწევთ ცხოვრება.

საოჯახო შრომის გენდერული დანაწილება და დედობა

ტრადიციულად გადანაწილებული გენდერული როლების შედეგად, დღეს როცა ქალი მუშაობს, ან თუნდაც სწავლობს და უნდა გახდეს დედა, ჩნდება კითხვები, თუ ვინ მოუვლის ბავშვს; ვინ იზრუნებს და ვინ გაზრდის ბავშვებს. საინტერესოა, რომ მიუხედავად ქალების წარმატებისა სამუშაო ბაზარზე, თუ განათლების უფლების მიღებისა, ჯერ კიდევ არ შეცვლილა მოლოდინები გენდერული როლების გადანაწილების შესახებ. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში ქალის ორსულობის დროს ჩნდება კითხვები იმის შესახებ, თუ რას იზამს დედა? როგორ მოახერხებს, რომ იმუშაოს, თუ სწავლობს, როგორ გააგრძელებს სწავლას და ამავდროულად იქნება დედა და ცოლი, კარგი დედა და კარგი ცოლი; როგორ გადაანაწილებს დროს და იზრუნებს შვილებსა და ქმარზე. მაგრამ, არავის უჩნდება მსგავსი კითხვა მამის მიმართ, როგორ მოიქცევა კაცი, როცა მამა გახდება, მიატოვებს თუ არა სამსახურს, ან სწავლას და ბავშვზე ზრუნვის სრულ პასუხისმგებლობას აიღებს თუ არა საკუთარ თავზე. ჩვენს საზოგადოებაში მამების მიმართ მსგავსი მოლოდინი არ არსებობს და ეს არ არის ისეთივე ნორმა, როგორც ქალების შემთხვევაშია. მამობა და სამსახური არ განიხილება, როგორც ორი ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო რამ, რასაც შეთავსება და წინასწარ დაგეგმვა სჭირდება. მაგრამ სხვა მდგომარეობაა ქალების შემთხვევაში, დედობა და ქალის სამსახური, მუდმივად განიხილება, როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენი, რომელსაც მუდმივი ბალანსი სჭირდება. ქალებმა წინასწარ უნდა იფიქრონ, დედად გახდომის შემდეგ, სამსახურის საქმის მოგვარებაზე, ეს არ არის მხოლოდ კულტურული ნორმიდან გამომდინარე არსებული მოლოდინები, ხშირ შემთხვევაში ქალებისთვის ეს არის შინაგანი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლის გადალახვაც მათ უწევთ.

თავი III

მონაცემების ანალიზი

საქართველოში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანია დასაქმებული, როგორც ძიძა და რამდენი ადამიანი სარგებლობს ძიძის მომსახურების სერვისით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, ანუ სამუშაო ძალა, 2 021 000 ადამიანისგან შედგება. აქედან დასაქმებულია 1 779 900, საიდანაც 753 400 დაქირავებულია, ხოლო 1 018 100 - თვითდასაქმებული. სწორედ, თვითდასაქმებულთა რიცხვებს მიეკუთვნება ძიძობა და იგი საქართველოში, სამი ყველაზე გავრცელებულ თვითდასაქმებული სამუშაოდან ერთ-ერთია (ტაქსის მძღოლსა და რეპეტიტორთან ერთად) (bpn.com, 2017). მართალია, არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები, მაგრამ აშკარაა, რომ ბევრი ოჯახი სარგებლობს ძიძის მომსახურებით, შეიძლება ეს იყოს ნახევარგანაკვეთიანი გრაფიკით, კვირაში რამდენიმე დღით თუ სრულგანაკვეთიანი გრაფიკით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ოჯახი იყენებს ძიძის სერვისს, კვლავ არსებობს ნეგატიური დამოკიდებულება იმ დედების მიმართ, რომლებიც ძიძის მომსახურებას იყენებენ. ჩემი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები აჩვენებს, როგორ და რაში გამოიხატება ეს დამოკიდებულებები და რა გავლენას ახდენს იგი დედებზე.

სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარების შედეგად მიღებულმა მონაცემებმა საშუალება მომცა პასუხი გამეცა კვლევის კითხვებისთვის. იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც დედებმა რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებით მომაწოდეს, საშუალება მომეცა მესაუბრა პრობლემის რეალურობასა და აქტუალურობაზე. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა ის ძირითადი არგუმენტები, სქემები, რასაც საზოგადოება იყენებს იმ დედების მიმართ, რომლებიც ძიძის სერვისით სარგებლობენ. ის მოლოდინები, რაც ქალებს აქვთ დედად გახდომის მიმართ და რამდენად შეესაბამება ეს მოლოდინები

რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კვლევის შედეგებმა გამოავლინა ის წარმოდგენები, რაც არამარტო საზოგადოებას აქვს დასაქმებული დედების მიმართ, არამედ დედებს საკუთარი თავის მიმართ, თვითაღქმა დედობის შესახებ.

იმისთვის, რომ სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად მიღებულ ინფორმაციას ჩემი კვლევის კითხვებისთვის ეპასუხა, ინტერვიუს დროს რესპონდენტებისგან მოვიპოვე ინფორმაცია არა მხოლოდ დღევანდელი სიტუაციის, არამედ ორსულობის პერიოდიდან დაწყებული, მათი ცხოვრების მანძილზე, როგორ შეიცვალა ეს მიდგომები. თუ რესპონდენტს ორზე მეტი ბავშვი ჰყავდა, თვითონ აკეთებდა ანალიზს, როგორ შეიცვალა მისი პოზიციაც, ოჯახის დამოკიდებულებაც და მექანიზმები, რაც მას ძიძის მოძიების დროს ჰქონდა. ჩემთვის საინტერესო იყო, არა მხოლოდ ის, თუ, როგორ აღწერდენ რესპონდენტები გარკვეულ გამოცდილებას, არამედ როგორ შეფასებებს აკეთებდნენ და რაციონალიზაციის რა მეთოდებს იყენებდნენ, ან რისი გამოყენება უწევთ იმის ასახსნელად, რომ მათ ჰყავთ ძიძები.

საზოგადოების დამოკიდებულებები და გადაწყვეტილება ძიძის აყვანის შესახებ

სიღმისეული ინტერვიუს შედეგად, რესპონდენტები იხსენებდნენ ორსულობის პერიოდში ძიძის აყვანის და სამსახურის გაგრძელების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს. რესპონდენტების ერთი ნაწილი აღნიშნავდა, რომ წინასწარ, რაიმე სახის შეთანხმება, დიალოგი ქმართან, მათი კარიერის და სამსახურის შესახებ არ ყოფილა. სამსახურის გაგრძელება ბუნებრივ პროცესად განიხილებოდა და ფიქრობდნენ, რომ ქორწინება და დედობა არ იქნებოდა მათთვის ხელის შემშლელი ფაქტორი. თუმცა, რესპონდენტების მეორე ნაწილი საუბრობდა იმაზე, რომ მათ დაქორწინებამდე წინასწარვე შეათანხმეს მათი დასაქმების სტატუსი, მაგალითად, ის, რომ ქორწინების შემდეგ მუშაობას გააგრძელებდნენ, ან სწავლის შემდეგი საფეხურის (მაგისტრატურის) გავლაში მათ არ შეექმნებოდათ დაბრკოლება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქალებს წინასწარ უწევთ ქმრებთან

შეთანხმება, ექნებათ თუ არა სწავლის, კარიერის გაგრძელების საშუალება, მიანიშნებს იმას, რომ ტრადიციული, ქალის და კაცისთვის დაწესებული გენდერული როლები ჯერ კიდევ მყარია ჩვენს საზოგადოებაში.

გვიან დავიწყე ფიქრი, რა უნდა მექნა ბავშვის გაჩენის შემდეგ, თან ბევრს არ ვფიქრობდი, წინასწარ ძიძის შერჩევასაც არ ვფიქრობდი. მართალია, ხალხი მეკითხებოდა, ბავშვს რომ გააჩენ, მერე რა უნდა უქნა ბავშვს და სამსახურს, მაგრამ მაინც ყველამ იცოდა, რომ მუშაობასა და სწავლას, იმ დროს ვსწავლობდი კიდეც, თავს არ დავანებებდი. მე მაინც ხშირად მიწევდა პასუხის გაცემა ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: ძიძა უნდა აიყვანო? როგორ არ გეშინია უცხო ადამიანთან ბავშვის დატოვების?

ამჟამად სამი შვილის დედა, რომელიც სრულ განაკვეთიან სამსახურში მუშაობს, აქვს კარიერა და ასევე სარგებლობს ძიძის მომსახურებით, იხსენებს ოჯახში არსებულ დამოკიდებულებას პირველი ბავშვის გაჩენის დროს.

რომ გავთხოვდი, ჩემი ქმრის ოჯახი ძაან ტრადიციული აღმოჩნდა, პირდაპირ არ მითხრეს, რომ სამსახური უნდა მიმეტოვებინა, მაგრამ საუბარი იყო იმაზე, რომ როცა ბავშვი გაჩნდება, ბავშვი უნდა გაზარდოს დედამ, სხვა არ შეიძლება. მე წინასწარ არ მქონდა ეს მოლოდინი, რადგან ესე არ ვიზრდებოდი და არ მეგონა ბავშვის გაჩენა ხელს თუ შემიშლიდა. წინასწარ არ იყო საუბარი, მაგრამ როცა გავაჩინე ბავშვი შემხვდა სერიოზული წინააღმდეგობა ოჯახში, რომ ბავშვი უნდა გაზარდოს დედამ, რადგან ძიძა არ შეიძლება ბავშვთან და იგი ვერასდროს ვერ მიხედავს ისე ბავშვს, როგორც დედა. დავთანხმდი და წამოვედი სამსახურიდან, მაშინ დეკრეტული შვეულებით 3 წლამდე შემეძლო სარგებლობა და 3 წელი ვიჯექი სახლში, რადგან ოჯახში უარყოფითი პოზიცია იყო ძიძის ინსტიტუტის მიმართ. ვერაფრით ვერ გადავლახეთ ეს და ბოლოს შევთანხმდით იმაზე რომ როცა ბავშვი წავიდოდა ბაღში მერე გავიდოდი სამსახურში. პირველ ბავშვზე ესე მომიწია, ძიძის აყვანა ტაბუდადებული თემა იყო ჩემს ოჯახში. ბავშვი ბაღში რომ წავიდა,

სამსახურში დავბრუნდი, დრო გავიდა ოჯახში ადგილი დავიმკვიდრე და მერე მეორეზე ორსულად რომ ვიყავი, სამსახურის დაკარგვა აღარ მინდოდა, ეს ჩემთვის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაკარგვის ტოლფასი იყო, ამიტომ ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად მივიღე გადაწყვეტილება ძიძის აყვანის შესახებ .

რესპონდენტი დედების ის ნაწილი, რომელიც ძიძის აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იხსენებდა ამბობდა, რომ ეს არ იყო მათთვის წინააღმდეგობა ოჯახის მხრიდან და არ დასჭირდათ თავის გამართლება, ან ძიძის საჭიროების დასაბუთება, საუბრობდნენ იმაზე, რომ ეს იყო მათი პირადი ინიციატივა.

მე თვითონ რომ არ მეთქვა, გამომეჩინა ინიციატივა არავინ მაიძულებდა, გინდა თუ არა გააგრძელე მუშაობა და არ დაანებო კარიერას თავიო, ალბათ მხოლოდ დედაჩემი არ იქნებოდა მომხრე, მაგრამ ის ვერ ამიყვანდა ძიძას და სხვა არავის ექნებოდა მგონი პრობლემა, რომ ბავშვები გამეჩინა და მეზარდა. ჩემი მეუღლე მხარს მიჭერდა, მაგრამ ინიციატივა მისგან არ მოდიოდა.

ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც ძიძის აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იხსენებდა საუბრობდა იმაზე, რომ ეს არ იყო მარტივად მოსაგვარებელი საკითხი ოჯახში. ამიტომ, მას სხვადასხვა არგუმენტების გამოყენება დასჭირდა იმისთვის, რომ სამსახურში გასულიყო და ძიძა აეყვანა.

თავიდან როცა მინდოდა ძიძას ემუშავა ჩვენთან, მე ვამბობდი მე გადავუხდი, ეს თქვენ ტვირთად არ დაგაწვებათ, მე დავუჯდები ბავშვს, მე წავუკითხავ, ბავშვთან კონტაქტი მე მექნება, მაგრამ ფიზიკურ მოვლაში მინდა რომ დამეხმაროს. მე ვამბობდი რომ ჩემს გასაკეთებელს მე გავაკეთებ, მე მეცოდინება რა ტკივა და რა უხარია ბავშვს.რატომღაც ასევე ისიც ჰგონიათ კაცებს განსაკუთრებით, რომ ბავშვებს როცა ძიძა ჰყავთ ის უფრო უყვართ ვიდრე დედა, მაგრამ ეს ესე არ არის, მაინც ბავშვს უნდა დედა და დედები უფრო უყვართ.

ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად, გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილე დედებიდან, 9 დედა, თვითონ, დამოუკიდებლად უზრუნველყოფდა ძიძის ანაზღაურებას. მხოლოდ ორ შემთხვევა იყო ისეთი, როცა ძიძის ხელფასს მამა იხდიდა. აღმოჩნდა, რომ ეს დედებისთვის კიდევ ერთი არგუმენტი იყო, რომ გაემართლებინათ ძიძის არსებობა, ფინანსური პასუხისმგებლობის აღება დედებს აძლევდა საშუალებას, რომ მოეთხოვათ და ამავდროულად, გაემართლებინათ ძიძის დაქირავების გადაწყვეტილება. აღნიშნულის გენდერული ანალიზი აჩვენებს, რომ დღემდე ბავშვზე ზრუნვა მიჩნეულია ქალის საქმედ, ძიძა კი ქალის დამხმარედ, ასე რომ, თუ დედას აქვს სურვილი ძიძა ყავდეს, მაშინ თვითონვე უნდა უზრუნველყოს მისი ანაზღაურებაც, რადგან იგი მის წილ საქმეს აკეთებს.

> *პირდაპირ ვერ დაიწყებ ისეთ სამსახურს, რომ იმდენი ანაზღაურება გქონდეს, რომ ძიძასაც გადაუხადო, გზაში და სხვა ყველაფერში გეყოს და თან დაგრჩეს რა. აი, მანდ მქონდა ცოტა წინააღმდეგობა, რომ რაში გჭირდება სამსახური, მაინც ძიძას თუ უნდა გადაუხადო შენი ხელფასიო.*

კვლევის დროს გამოვლინდა, რომ საზოგადოების და ოჯახის წევრების დამოკიდებულება იცვლება იმის მიხედვით, თუ რა პროფესია აქვს ქალს და რამდენად მაღალანაზღაურებად სამსახურში მუშაობს იგი. გამოვლინდა, რომ თუ ქალის სამსახური არ არის საზოგადოებისთვის მოსაწონი, ანუ ქალი არ არის ისეთ პოზიციაზე დასაქმებული, რაც საზოგადოების თვალში მაღალ სტატუსს ინარჩუნებს და თან ანაზღაურებაც არ არის მაღალი, მაშინ უფრო თამამ კომენტარებს აკეთებენ, პირდაპირ და უხეშად ეკითხებიან დედებს, რატომ უღირთ სამსახურის გამო ბავშვების მოვლაზე უარის თქმა. საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ შეეგუა იმ ფაქტს, რომ ქალებსაც სურთ დასაქმება, და არა მხოლოდ გენდერულად ქალებისთვის შესაფერის სამსახურებში. ასევე, საზოგადოება ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ ქალებსაც შეიძლება ჰქონდეთ მაღალი ანაზღაურება და ეკონომიკურად არ იყვნენ ქმრებზე დამოკიდებულები და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას დრო სჭირდება, რომ პირდაპირ მაღალანაზღაურებად და მაღალი სტატუსის მქონე სამსახურში

კარიერის დაწყება არ არის მარტივი, თუმცა, ეს არგუმენტი ქალების წინააღმდეგ და მათი კერძო სფეროში მიჯაჭვებისათვის გამოიყენება.

> *პირველი შვილი როცა გამიჩნდა, მაშინ არ მქონდა მაღალი ანაზღაურება და არც ჩემი პროფესიით ვმუშაობდი, ახლო ნათესავები პირდაპირ მეკითხებოდნენ, რაში გჭირდება ეს სამსახური, თავი დაანებე და სახლში იყავი, შვილს რომ მიხედო, რატომ არ გირჩევნიაო. მეორე ბავშვი როცა გავაჩინე, უკვე საკმაოდ მაღალანაზღაურებადი სამსახური მქონდა, ჩემს ქმარზე მაღალი ხელფასიც, ამიტომ აღარ მიწევდა მსგავსი კომენტარების მოსმენა.*

საზოგადოების დამოკიდებულება იცვლება, იმ შემთხვევაშიც, თუ იციან, რომ ქმარს აქვს მაღალი შემოსავალი და ქალის მუშაობა არ არის ოჯახის შენახვისთვის აუცილებელი ფაქტორი. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულება დასაქმებული დედების მიმართ უფრო მეტად კრიტიკული და ნეგატიურია. ეს არის კიდევ ერთი ფაქტორი, რისი ახსნაც უწევთ ქალებს, თუ რატომ სჭირდებათ სამსახური და რატომ არ ურჩევნიათ, რომ თვითონ სახლში დარჩნენ და სანაცვლოდ, შვილების გაზრდა სხვა, უცხო, ადამიანს მიანდონ.

სამსახური VS დედობა

სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა განსხვავებული ტენდენციები და დამოკიდებულებები დედის პროფესიებიდან გამომდინარე. რაც გულისხმობს, რომ საზოგადოებას განსხვავებული შეხედულება აქვს დედის მიერ ძიძის სერვისით სარგებლობასთან დაკავშირებით, მისი პროფესიიდან გამომდინარე. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ დედები, როცა დედობრივ გამოცდილებაზე საუბრობდნენ, ხშირად ახსენებდნენ მათ პროფესიას, როგორც ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რაც ზეგავლენას ახდენს მათ თვითშეფასებაზე და მათში დანაშაულის გრძნობას ამძაფრებს.

> *მე ბიზნესში ვარ და ამიტომ ხშირად მესმის ისეთი კომენტარები, როგორიცაა რატომ გიღირს მანდ ყოფნა ბავშვთან ყოფნას. ალბათ, ისეთი სამსახური რომ მქონოდა, რაც*

საზოგადოებისთვის არის მისაღები, მაგალითად, რომელიც ბაღის პერიოდს ემთხვევა, ან უშუალოდ ბაღში რომ ვმუშაობდე, ან მასწავლებელი ვყოფილიყავი, აღარ მომიწევდა მსგავსი კომენტარების მოსმენა.

ჩემი სამსახურიდან გამომდინარე ხშირად მიწევს მოგზაურობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ.ხშირად ვფიქრობ, ალბათ სხვა სამსახური რომ მქონოდა, ხალხი არ იქნებოდა ესე ნეგატიურად ჩემ მიმართ განწყობილი და მუდმივად არ დამჭირდებოდა იმის ახსნა, რომ მეც კარგი დედა ვარ.

როგორც აღმოჩნდა, საზოგადოება უფრო მეტად სოლიდარულია, მაშინ როცა ქალი ერთის მხრივ, დასაქმებულია ქალის გენდერული როლისთვის შესაბამისი საქმიანობით და ამ შემთხვევაში სარგებლობს ძიძის მომსახურებით. ხოლო, თუ ქალი დასაქმებულია ისეთ სფეროში, მაგალითად ბიზნესში, მართვის სფეროში, ან ისეთ სამსახურში, რომელიც მოითხოვს მივლინებებს, მაშინ საზოგადოება უფრო მეტად კრიტიკულია, რადგან ქალებს, რომლებიც მომავალ დედებად განიხილება, არ უნდა აერჩიათ ასეთი სამსახურები და უნდა გაეთვალისწინებინათ ბავშვის და ოჯახის ფაქტორი. საქართველოში ყველაზე გავრცელებული ქალისთვის შესაფერისად მიჩნეული პროფესიებს მიეკუთვნება: მასწავლებლობა, პედაგოგი სკოლაში ან კერძო რეპეტიტორობა, ფარმაცევტობა, ექიმობა, ჟურნალისტობა, ბანკში ოპერატორობა, ხელოვნების სფერო, მკერავი, დიზაინერი, მომსახურების სფეროს წარმომადგენელი, დამლაგებელი, ძიძა, ოფიციანტი და სხვა. ეს პროფესიები იმიტომ აღიქმება ქალისთვის შესაფერის პროფესიად, მაგალითად მასწავლებლობა, რომ ქალი არის დედა ან მომავალი დედა, ამიტომ შეუძლია, რომ არა მხოლოდ სახლში, არამედ სახლის გარეთაც აღზარდოს ბავშვები, ანუ აკეთოს იგივე საქმე რასაც საუკუნეების მანძილზე ოჯახში აკეთებდა, თუმცა ერთადერთი უპირატესობით - ეს სამუშაო ანაზღაურებადი იქნება და საზოგადოებაში სტატუსის მოპოვებაშიც დაეხმარება .გარდა ამისა, ეს სამსახურები არ მოითხოვს ქალის მთელი დღით სახლიდან გასვლას, შესაბამისად, ქალს რჩება დრო სახლის საქმეების გასაკეთებლად და თან ბავშვებზე ზრუნვისთვის, შესაბამისად, არ მოუწევს თავის ჭეშმარიტ მოწოდებაზე უარის თქმა.

საზოგადოების წარმოდგენები იმ დედების შესახებ, რომლებიც ძიძის მომსახურებას იყენებენ

კვლევის პროცესში დედები საუბრობდნენ იმ მოლოდინებზე, რაც საზოგადოებას მათ მიმართ აქვს, რას ფიქრობენ, როგორი დედები არიან ისინი, მხოლოდ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულები არიან და იყენებენ ძიძის მომსახურებას. დასაქმებულ დედებს, საზოგადოების ნაწილი აფასებს, როგორც არასაკმარისად კარგ დედებს, რადგან მათ უპირატესობა არ მიანიჭეს ბავშვების გაზრდას. თუმცა, არა მხოლოდ ის, რომ ისინი არ არიან კარგი დედები, არამედ არასაკმარისად კარგი ქალები. საქართველოში ქალობა ასოცირებულია დედასთან, კარგი ქალი კარგი დედა უნდა იყოს, ასე რომ თუ ერთ მოვალეობას ვერ ასრულებ კარგად, პარალელურად ვერ ასრულებ ვერც მეორეს. ქალის მთავარი მოვალეობად მიჩნეულია, სახლის საქმეები, დედობა, ბავშვებზე ზრუნვა. შესაბამისად, თუ ქალი ბავშვზე ზრუნვას აბარებს სხვა ქალს, ამ შემთხვევაში საზოგადოება ფიქრობს, რომ ის „ქალის სხვა საქმეებსაც“ არ აკეთებს. დასაქმებული დედები ინტერვიუს დროს საუბრობდნენ, რომ ხშირად უწევთ იმის ახსნა, რომ ძიძის ყოლა არ ნიშნავს ყველანაირი დედობრივი საქმიანობისგან განთავისუფლებას.

> *სახლში როცა მოვდივარ, მე ვუვლი ბავშვს, მე ვაკეთებ საჭმელს, ვალაგებ და დაღლილი რომ მოვდივარ მაინც არავის არ ესმის და ყველა ფიქრობს, რომ ძიძა, რადგან მყავს, მე ძაან დასვენებული ვარ.*

> *შენ ძიძა გყავს და რა გენაღვლება.შენ საქმეს ეგ აკეთებს და რა გაქვს საწუწუნო.*

> *ჩემი ნათესავებისგან ხშირად მომისმენია, სტუმრად როცა მოდიან, მოიცა შენ რომ ძიძა გყავს, საჭმლის კეთება იცი? ბავშვის დაბანა იცი? ყველა ფიქრობს, რომ ძიძა აკეთებს ყველაფერს და მე არაფერი მეშველება ძიძა რომ არ მყავდეს. უხერხულ მდგომარეობაში მაგდებენ.*

სიღმისეული ინტერვიუების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ დედებს აქვთ არა მხოლოდ ის მოლოდინები, რასაც ოჯახი, საზოგადოება ელოდება უყენებს მათ, როგორც დედებს, არამედ ის მოლოდინები რასაც თვითონ უყენებენ საკუთარ თავს. აღმოჩნდა, რომ ჩემი რესპოდენტების ნახევარზე მეტს, უფრო მაღალი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე მათ ქმრებს. მაგრამ, ეკონომიკური სტატუსი არ განსაზღვრავდა ოჯახში მათ სტატუსს. როცა საქმე ბავშვზე პასუხისმგებლობის აღებას გულისხმობს, დედა ითვლება მთავარ მშობელად, რომელმაც უნდა მიატოვოს ყოველგვარი საქმე და ბავშვს დაუთმოს თავისი დრო. ეს მიდგომა, აჩვენებს, რომ ოჯახში გენდერული როლების გადანაწილება მყარია და თუნდაც ის ფაქტორი, რომ ქალი შეიძლება ეკონომიკურად დამოუკიდებელი იყოს, არ განსაზღვრავს ოჯახში მის სტატუსს.

როცა ბავშვს რამე სჭირდება, მე ვარ ვალდებული დავტოვო ჩემი საქმე.მიუხედავად იმისა, ქმარზე მეტი მაქვს თუ არა ხელფასი.მე თვითონ არ ავიღე ეს პასუხისმგებლობა, მაგრამ თავისთავად მოხდა. [რესპონდენტი]

უფრო მეტი ხელფასი მქონდა ვიდრე ჩემს მეუღლეს, მაგრამ მაინც მე ვიყავი ვალდებული, როცა ბავშვს სიცხე ექნებოდა, როცა ცუდად იქნებოდა, ან ძიძას არ ეცლებოდა, დავრჩენილიყავი სახლში. ნებისმიერ შემთხვევაში ითვლება ჩემვალდებულებად, ეხლაც ეგრე არის, ეხლაც მე უფრო მეტი მაქვს ხელფასი, მაგრამ მაინც.

თუ დადგება საკითხი, რომ ძიძა არ გვეყოლება, თუ ვერ შევუთანხმდით, ან ვერ უზრუნველვყოფთ ძიძის გადახდას, მე დავტოვებ სამსახურს, იმის მიუხედავად რომ მე უფრო მაღალი ანაზღაურება მაქვს, კაცის სტატუსიდან გამომდინარე, უმუშევარ კაცს არ აქვს სტატუსი. ამიტომ, მირჩევნია მე დავჯდე სახლში და ბავშვებს მოვუარო, ვიდრე ჩემი ქმარი.

მამასაც აქვს ეს მოლოდინები, მე რომ მამა ვიყო, შეიძლება მეც მაწყობდეს, დაღლილი რომ ხარ და ბავშვს რაღაც ჭირდება, დედას ეტყვი. ეგეთი გამოვლინებები ყველას აქვს, ჩემს ქმარს, დედაჩემს, მამას, ძმას.

რატომ მყავს ძიძა?

როგორც აღმოჩნდა, დასაქმებული დედების უმეტესობას, შეიძლება იშვიათად, მაგრამ მაინც უწევთ ისეთ გარემოში ყოფნა, როცა თავის მართლება უწევთ და არგუმენტებს ეძებენ, რომ ძიძის არსებობა დაასაბუთონ. დედების ნაწილი ამბობს, რომ უმეტეს შემთხვევაში, ცდილობენ გაჩუმდნენ, არ შევიდნენ ესეთ ადამიანებთან დიალოგში.

ვცდილობ, ეგეთ დებატებში არ შევიდე, აზრი არ აქვს, მერე ვეუბნები ხოლმე, თუ თან ოჯახის წევრი არ არის, არ ვეკამათები.

ერთხელ ჩემი ახლობელი მეუბნება, აუ მე ბავშვს ძიძას როგორ გავაზრდევინებო, იმ დედების არ მესმის, უცხო ადამიანს, რომ ანდობენ შვილებსო, თან, ამ დროს, იცოდა, რომ მე ძიძა მყავდა. რატომ ამბობს ამას მხოლოდ ჩემ მიმართ. რატომღაც ერთხელაც არ მინახავს ისეთი კაცი, რომელიც ამბობს, მე ჩემს შვილს ძიძას არ გავაზრდევინებ და მე თვითონ გავზრდიო.

სამი ძირითადი ტენდენცია გამოვლინდა, რომელსაც დედები მიმართავენ ძიძის არსებობის რაციონალიზაციისას.

1. ეკონომიკური ფაქტორი
2. პიროვნული განვითარების ფაქტორი
3. დროის ფაქტორი

აღმოჩნდა, რომ ეკონომიკური ფაქტორი ყველაზე მარტივად გასაგები ფაქტორია საზოგადოებისთვის. იმ შემთხვევაში, როცა დედა ამბობს, რომ თუ არ იმუშვებს ეს მათ

ოჯახს ფინანსურ პრობლემებს შეუქმნის, ხალხი ამ შემთხვევაში უფრო გაგებით ეკიდება მათ სამსახურს, თანაგრძნობას იჩენენ და ცდილობენ დაამშვიდონ, განსაკუთრებით, თუ ამას დედა დანაშაულის გრძნობით ამბობს, თუ ჩანს, რომ თვითონაც განიცდის ბავშვებთან არყოფნას. ეს მიდგომა, ხაზს უსვამს, საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტრეოტიპულ აზროვნებას, დედა აუცილებლად უნდა განიცდიდეს თუ ის მუშაობს და დროს შვილებთან ვერ ატარებს, თუ ამას არ განიცდის, მაშინ იგი არ არის კარგი დედა.მიუღებელია, რომ ქალი სამსახურში სიარულით უფრო ბედნიერი იყოს, ვიდრე სახლში ბავშვებთან ყოფნით.

მეორე არის თვითგანვითარების ფაქტორი. დედები, რომლებსაც არ აქვთ ფინანსური აუცილებლობა, რომ იმუშაონ, იყენებენ თვითგანვითარების არგუმენტს. ქალისთვის, მხოლოდ ოჯახი არ შეიძლება იყოს საკმარისი, ქალსაც სჭირდება სოციალიზაცია, სახლის გარეთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. ეს კი მათ დედობაზე ახდენს ზემოქმედებას, თუ დედა ბედნიერად არ გრძნობს თავს სახლში ყოფნით, იგი არ შეიძლება იყოს კარგი დედა.

მე ვფიქრობ, რომ უფრო მნიშვნელოვანია ქალი იყოს რეალიზებული, მარტო სახლში ყოფნა ცუდად მოქმედებს, ახალგაზრდაზე განსაკუთრებით, რაც ისწავლა იმ რესურსის გამოყენება არის საჭირო.

მე ჩემს შვილს ვტოვებდი იმიტომ, რომ ვყოფილიყავი განათლებული დედა, ასე უფრო მეტად დავეხმარები ჩემს შვილს.

მე თუ არ გავერთე, მშვიდად არ მოვიწყვე ჩემი ცხოვრება, ბავშვებთან ძაან აგრესიული ვიქნები.

მე ვარ ისეთი დედა, რომელიც ცდილობს რომ განვითარდეს, იმუშაოს, ისწავლოს მეტი გამოცდილება შეიძინოს.

ძიძას ვუხდი ჩემი ხელფასის უდიდეს ნაწილს, თუ სახლში დავჯდები ვერ მოვახერხებ განვითარებას. დედაჩემმა დაანება სამსახურს თავი და დღემდე მისტირის, მე შემოგწირეთ თქვენ თავიო.

თავის გამართლება მიწევს, მუდმივი ახსნა, აბა რა უნდა ვქნა, სულ ჩემი საქმე ჰგონიათ ბავშვის მოვლა, ჩემს ქმარს არასდროს უსვამენ კითხვას, აბა შენ რომ მიდიხარ და ბავშვს ძიძას უტოვებ. ეგ როგორია? მას არ აკადრებენ, როგორ გაუბედავენ, ის კაცია და მე ქალი ვარ.

მესამე არგუმენტი დაკავშირებული იყო დროსთან, დედები ამბობენ, რომ სამსახური არ არის ერთადერთი მიზეზი ძიძის არსებობის, რთულია ოჯახის საქმეების მოსწრება და თან ბავშვზე ზრუნვა. ეს ყველაზე რთულად გასაგები მიზეზი აღმოჩნდა, რადგან მოლოდინია, დედა უნდა იყოს გმირი არსება, რომელმაც მუდმივად უნდა აკონტროლოს ყველა სიტუაცია, ყველას მიხედოს და თან თუ მუშაობა უნდა იმუშაოს, მაგრამ დრო არ მოაკლოს ოჯახს.

ძიძა ყველა ქალს უნდა ყავდეს, გინდა სახლში იყოს სულ ან გინდა მუშაობდეს. ბავშვზე მოვლის ვალდებულება არ არის განაწილებული დედას და მამას შორის. კაცი ამბობს, რომ არ გააკეთებს, დაალაგე, საჭმელი გააკეთე, ბავშვებს მიხედე, დიდი შრომაა, გინდა ძიძა იყოს, გინდა - არა. ქალმა უნდა იმუშოს, უფრო მეტი პატივისცემა აქვს საზოგადოებიდან, ფინანსური დამოუკიდებლობა, ბავშვიც უფრო მეტ პატივს სცემს, როცა იცის, რომ დედას დამუკიდებლად შეუძლია უყიდოს რაღაც და მამას არ უნდა მოსთხოვოს ფული. სიამოვნებას სახლში ჯდომა ვერ მომანიჭებს, სულ ვიქნები დათრგუნული და აგრესიული სამყაროს მიმართ. მარტო ბავშვის გაზრდა არ იქნება ჩემთვის საკმარისი.

დანაშაულის გრძნობა დასაქმებულ დედებში

2010 წელს, გლაზგოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალების 96% ყოველდღე, დღეში ერთხელ მაინც განიცდის დანაშაულის გრძნობას. აღმოჩნდა, რომ ქალებს დანაშაულის განცდისთვის ბევრი სხვადასხვა მიზეზი აქვთ, მაგრამ ყველაზე ხშირად დანაშაულის გრძნობის განცდა უკავშირდება დედობას და დედობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგალითად იმას, რომ ისინი საკმარის დროს ვერ უთმობენ შვილებს და არ არიან კარგი დედები (Telegraph.co.uk, 2010).

ჩემი კვლევის ერთ - ერთი მთავარი საკვლევი კითხვა იყო დასაქმებულ დედებში დანაშაულის გრძნობის ფენომენი და რამდენად არის ეს გრძნობა დაკავშირებული, დედის სამსახურთან და დედის მიერ ძიძის სერვისის გამოყენებასთან.როგორ ზეგავლენას ახდენს დედის თვითაღქმაზე დანაშაულის გრძნობა და არის თუ არა ეს საზოგადოების დამოკიდებულებებთან კავშირში. სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად მიღებული მონაცემებით, 11 რესპონდენტიდან 8 პირდაპირ საუბრობდა ამ ფენომენის შესახებ და აცხადებდა, რომ ისინი მუდმივად განიცდიან დედის დანაშაულის გრძნობას. ასევე საინტერესოა დანარჩენი, სამი რესპონდენტის შეხედულება, ვინაიდან კითხვაზე განიცდიან, თუ არა ისინი დანაშაულის გრძნობას, განაცხადეს, რომ არა, მაგრამ ინტერვიუს მსვლელობისას, ეს რესპონდენტები საუბრობდნენ ისეთ თემებზე, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ ისინიც განიცდიან დანაშაულის გრძნობას, მაგრამ არ აღიარებენ, ან არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ამ ფენომენის მიმართ და არ დაუკავშირეს ის გრძნობები, რასაც შვილების აღზრდის დროს განიცდიან, დანაშაულის გრძნობას. დასაქმებულ დედებში, დანაშაულის გრძნობის კვლევა ჩემი კვლევისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. თითოეული დედის გამოცდილება დანაშაულის გრძნობის შესახებ განსხვავდებოდა, ასევე შეიმჩნეოდა ეს სხვაობა დედების ასაკის, პროფესიის და ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით. განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ დედების

გამოცდილება, რომელთა დანაშაულის გრძნობაც გამოწვეული იყო უცხო ადამიანების მიერ გაკეთებული კომენტარების შედეგად და რაც უშუალოდ უკავშირდებოდა დედის მიერ ძიძის გამოყენებას.

ერთხელ სამსახურში ძიძამ დამირეკა, ბავშვი ცუდად არიო, გვეგონა რომ ვირუსის სიმპტომები ჰქონდა. ექიმთან ბავშვი მე და ჩემმა ქმარმა ერთად წავიყვანეთ. ექიმს ავუხსენი სიტუაცია, მაგრამ მეჩხუბა იმის გამო, რომ ეგ რაღაც საჭმლიდან აქვს ბავშვსო, ვირუსი არ არის, ბაქტერიაა და შენ უნდა გაუკეთო ხოლმე საჭმელიო, ძიძა რომ უკეთებს მაგიტომ დაემართაო, მუშაობას და სწავლას ჯობს ბავშვს მიხედოო. ეს ხდებოდა ჩემი მეუღლის, შვილის და ექიმის ასისტენტის თვალწინ. ძალიან განვიცადე და ტირილი დავიწყე. ორი კვირა სტრესი მქონდა. მერე კი ძალიან გავბრაზდი, იმ ექიმთან ვიზიტი იმდენად ძვირი ღირს, მე თუ არ ვიმუშავე, როგორ მივიყვან მაგასთან ბავშვს, ან კიდევ, მე რატომ მითხრა ეგრე, ჩემი ქმარიც ხომ იქვე იყო, ის რატომ არ დაადანაშაულა და მხოლოდ მე რატომ მომმართა. საბოლოოდ, მაინც ჩემი თავი დავადანაშაულე, ბავშვის ცუდად ყოფნა ჩემს თავს დავაბრალე და ძალიან განვიცადე. ისე მოხდა, რომ იმავე ექიმთან ერთი წლის შემდეგ კიდევ მომიწია მისვლა, რადგან თავის საქმეში პროფესიონალია. ამჯერად, რადგანაც ვიცოდი ექიმის დამოკიდებულება აღარ ვახსენე, რომ ძიძა მყავდა. ისე ავუხსენი ექიმს ბავშვის მდგომარეობა, რომ ძიძის არსებობის შესახებ არაფერი მითქვამს.

რესპონდენტების პასუხებიდან გამოვლინდა ტენდენცია, რომ განსაკუთრებით მაშინ იმატებს დედებში დანაშაულის გრძნობა, როცა ბავშვები ძიძასთან ყოფნის განმავლობაში რაღაცას დაიშავებენ, წაიქცევიან ან ავად გახდებიან. ასევე, მაშინ, როცა სამსახურში ყოფნის დროს დედები გაიგებენ სხვა ბავშვების უბედური შემთხვევის ან დაშავების შესახებ.

სახლიდან ვიყავი გასული, როცა ტელეფონზე ძიძამ დამირეკა, ბავშვი ამბობს, ხელი მტკივაო და არვიცი რა დაემართაო.შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბავშვს თამაშის დროს ხელი ამოუვარდა, ძიძას არ აძლევდა მიკარების საშუალებას, ამიტომ ვერ მიხვდა. იმ წამსვე გავიფიქრე, რომ ჩემი ბრალი იყო, მე რომ სახლში ვყოფილიყავი, ბავშვს ეს არ

დაემართებოდა. მე რომ სახლში ვყოფილიყავი ყურადღებით ვიქნებოდი და არ დაემართებოდა.

დანაშაულის გრძნობის განცდა მუდმივად მაქვს, მაგალითად რაღაცას რომ გავიგებ, ცუდ ამბავს, უბედურ შემთხვევას, მაგ დროს მაქვს ხოლმე საშინელი დანაშაულის განცდა, მე ჩემს შვილთან არ ვარ, არვიცი, რა ხდება, ეგრევე ვურეკავ ძიძას. მართალია, ესეთი სტატისტიკა არ არსებობს, რომ ძიძასთან ყოფნის დროს ემართებათ ბავშვებს ცუდი რაღაცები, ვიდრე მშობლებთან ყოფნის დროს, მაგრამ მაგ დროს ძალიან განვიცდი.

რესპონდენტები საუბრობდნენ დანაშაულის გრძნობის გამძაფრებაზე დეკრეტული შვებულებიდან სამსახურში გამოსვლის პერიოდში. აღმოჩნდა, რომ ეს განსაკუთრებით რთული პერიოდი იყო დედებში, რომ ბავშვი ძიძასთან დაეტოვებინათ. თუმცა, ეს პროცესი შედარებით მარტივი იყო იმ დედებში, რომლებსაც ერთზე მეტი შვილი ჰყავდათ.

პირველი ბავშვის გაჩენის შემდეგ ძალიან გამიჭირდა სამსახურში გასვლა, ვფიქრობდი ნამდვილად ღირდა,თუ არა, დავბრუნებულიყავი სამსახურში. მაგრამ, მაშინ ჩვენს ოჯახს არ ჰქონდა საკმარისი ფინანსური რესურსი, რომ მხოლოდ ჩემი ქმრის შემოსავალი საკმარისი ყოფილიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ინტერვიუს დროს გამოვლინდნენ ისეთი დედები, რომლებიც ამბობდნენ, რომ არ ჰქონდათ დანაშაულის განცდა. ერთის მხრივ, გამოვლინდა, რომ ეს დედები მიეკუთვნებოდნენ იმ დედების კატეგორიას, რომლებიც მაღალ-ანაზღაურებად სამსახურებში იყვნენ დასაქმებულები და ამავდროულად, მათ არ ჰყავდათ უფროსები, ვისი დაქვემდებარების ქვეშაც უწევდათ მუშაობა, სამუშაო გრაფიკის შეთავსება არ სჭირდებოდათ სხვასთან და ისინი პირადად ახდენდნენ, სამუშაო დროის განაწილებას. მაგრამ, მიუხედავად მსგავსი განცხადებებისა, საინტერესოა ის, რომ ეს დედები მაინც „იმართლებდნენ“ თავს და ცდილობდნენ ჩემთვის დაემტკიცებინათ, რომ იყვნენ კარგი დედები. მაგალითად, ისეთი კომენტარებით, როგორიცაა:

მე ვიცი, რომ სტრესი მექნება, ბავშვების რამე ღონისძიება რომ გავაცდინო, სტრესი მაქვს იმაზე, რომ შაბათ-კვირას შეიძლება იმდენად დაღლილი ვარ ვერსად ვერ გამყავს ბავშვი, ან ეს თვეში ერთხელ ხდება.

რა თქმა უნდა, ბავშვს მე თვითონ რომ ვზრდიდე და მთელი დღე მასთან ვიყო, ეგ უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ვცდილობ, რომ სახლში მალე მივიდე, ხშირ შემთხვევაში ვიკლებ მეგობრებთან ერთად წასვლას, ვაკლდები ბევრ ჩემთვის საჭირო ღონისძიებას, რომ ბავშვებს დავუთმო მეტი დრო.

აღმოჩნდა, რომ ეს დედები, საკუთარი ქმედების გაუაზრებლად ისე ანაწილებდნენ დროს, რომ იკლებდნენ მათთვის განკუთვნილ ნებისმიერ აქტივობას, მეგობრებთან ერთად გართობას და იმის ასანაზღაურებლად, რომ დღის მანძილზე სამსახურში იყვნენ, დარჩენილ სრულ დროს ბავშვებს უთმობდნენ. შაბათ-კვირას აუცილებლად ჰქონდათ ბავშვებთან ერთად დაგეგმილი აქტივობები და თუ ხელი შეეშლებოდათ, ეს მათ სტრესულ მდგომარეობაში აგდებდათ.

ასევე, დედებში დანაშაულის გრძნობის არსებობაზე მნიშვნელოვან ფაქტორს თამაშობს ქალის დასაქმების სფერო, კერძო თუ საჯარო სფერო, ჰყავს თუ არა დედას უფროსი და რამდენად დამოუკიდებელია სამუშაო ცხრილის შედგენაში. თუ დედას აქვს მოხერხებული განრიგი, ან ის თვითონ არის უფროსი და პირადად შეუძლია სამუშაო განრიგის შედგენა და გადანაწილება, მაშინ ის უფრო ნაკლებად განიცდის დანაშაულის გრძნობას. მაშინ, როცა, დედები, რომლებიც მკაცრად კონტროლირებად სამსახურებში არიან დასაქმებულები და მათზე არ არის სამუშაო გრაფიკი დამოკიდებული, უფრო მძაფრად განიცდიან დანაშაულის გრძნობას და ეს უფრო მეტად მოქმედებს მათი დედობის თვითაღქმაზე.

მე ისეთი სამსახური შევარჩიე, რომ არ მყავს უფროსი, მე მაქვს ცხრილი ჩემზე აწყობილი, მე ვგეგმავ, ისე, რომ წინასწარ ვიცოდე და საჭიროების შემთხვევაში გავიდე და ჩემს შვილებთან ვიყო.

ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ჩემი სამსახურის გამო ჩემი შვილისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება გამიცდენია, ასეთ დროს განსაკუთრებით განვიცდი დანაშაულის გრძნობას და ვფიქრობ, რომ კარგი დედა სამსახურის გამო არ გააცდენდა შვილისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებას, მაგრამ რა ვქნა, სამსახური გვჭირდება, მაშინ სხვა რაღაცებზე უნდა ვთქვათ უარი.

დედაზე დაბრალება

იქედან გამომდინარე, რომ ბავშვის მოვლა-პატრონობის, აღზრდის მთავარპასუხისმგებელ პირად მიიჩნევა დედა, ბავშვის ნებისმიერ „არასწორ“, ნორმიდან გადაცილებულქცევაზეც პასუხისმგებლობა დედას ეკისრება. დედაზე დაბრალების ფენომენი პოპულარულია იმ შემთხვევაშიც კი, როცა დედები სახლის გარეთ არ მუშაობენ და მხოლოდ ბავშვების აღზრდით არიან დაკავებული. დედებზე დაბრალების წნეხი იმატებს მაშინ, როცა ისინი დასაქმებულები არიან და ბავშვები მათი მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ არ იმყოფებიან. გამოვლინდა ტენდენცია, რომ მიუხედავად იმისა, მხარს უჭერდა თუ არა ქმარი ძიძის აყვანის გადაწყვეტილებას, როცა ბავშვის ქცევას ეხებოდა საქმე მთავარი ბრალდებული მაინც დედა იყო.

დედა ხარ და შენ უნდა გითხრას, როგორ არიცი, ვერ ზრდი კარგად.

რაღაც როცა არ იცის ჩემმა შვილმა, ჩემი ქმარი მე მსაყვედურობს, რომ აი შენი ბრალია, ეს რომ ამან არ იცის, განა იმან, რომ მთელი დღე ძიძასთანაა, განა ძიძის, არამედ შენი ბრალია. ბავშვის მავნე ჩვევებიც ჩემი ბრალია ხოლმე, მე მბრალდება, ჩემი ქმარი მეუბნება ხოლმე, რომ შენ არ ასწავლი, ალბათ შენ არ ეუბნები.

ბავშვს სიცხე ჰქონდა და ჩემმა ქმარმა მითხრა ძიძასთან რომ ტოვებ, აბა რა გგონიაო, როცა ცუდად არის და ტოვებ, უფრო ცუდად ხდებაო. წამოცდენები არის, ქვეცნობიერად, სახლში რომ არ ვარ, მაგიტომ.

როცა საქმე ეხება ძიძასთან ურთიერთობას, მისთვის გარკვეული განკარგულების მიცემას, ამ შემთხვევაშიც დედა არის, ის, ვინც ძიძასთან საკითხებს ათანხმებს, მითითებებს აძლევს და თუ ისე მოხდა, რომ ეს მითითებები ძიძამ ვერ შეასრულა, ესეც დედას ბრალდება.ესეთი დამოკიდებულება აჩვენებს, რომ ოჯახში დედას და მამას შორის, მიუხედავად იმისა, ქალი დასაქმებულია თუ არა, აქვს თუ არა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, იგი მაინც ვერ გამოვიდა იმ გენდერული სტერეოტიპებიდან, რაც დედას და ცოლს აქვს მიწერილი.

რატომ არ გააფრთხილე ძიძა, რატომ არ უთხარი, რომ ბავშვს დღის განმავლობაში ორჯერ ნუ აძინებს, მერე ღამით დაძინება უჭირს, მსაყვედურობს ხოლმე ქმარი, ეს ნიშნავს, რომ მე ვერ დავარეგულირე სიტუაცია, მე ვერ ავუხსენი და ვერ ვასწავლე კარგად.

ბავშვს რამე თუ დაემართება, წაიქცევა და რამეს იტკენს ძიძასთან ყოფნის დროს, ჩემი ქმარი მეკითხება, შენ სად იყავი ამ დროს, ბავშვს ვერ მიხედე.

დედის და ძიძის ურთიერთობა

კვლევის შედეგად ორი მთავარი საერთო კრიტერიუმი გამოვლინდა, რაზეც ისაუბრა კვლევაში მონაწილე თერთმეტივე დედამ. ძიძის არჩევის დროს, ეს ორი ძირითადი კრიტერიუმი რაც უნდა დაეკმაყოფილებინა ძიძას იყო, გენდერი და დედობის სტატუსი. ანუ, ძიძა აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქალი და აუცილებლად უნდა ყოფილიყო დედა.

ჩემი ძიძა დედა, რომ ყოფილიყო, ქონდა მნიშვნელობა, როცა თვითონ დედა ხარ უფრო სხვანაირად ექცევი ბავშვს და სხვანაირი გაგება გაქვს სხვა დედის მიმართ.

როცა ქალი დედაა, იგი მაინც სხვანაირად ზრდის ბავშვებს.

ასეთი მიდგომები საზოგადოებაში შრომის გენდერულ დანაწილებას გამოხატავს. ასევე, შეხედულებას, რომ ქალი ბუნებრივად არის მზრუნველი, დედა კი აუცილებლად გულისხმობს მზრუნველ, გამგებ და სანდო ადამიანს.

რესპონდენტთა ნაწილი, კრიტერიუმებზე საუბრის დროს ახსენებდა ასაკს, მოლოდინი იყო, რომ ძიძა არ უნდა ყოფილიყო არც ახალგაზრდა, და არც ხანშიშესული. საშუალო ასაკს მიღწეული ქალი, რესპონდენტების მიერ ყველაზე კარგ ვარიანტად განიხილებოდა. ასევე, ძიძა უნდა ყოფილიყო სანდო, სანდოობის მოთხოვნას კი ქალები უფრო მეტად აკმაყოფილებდნენ, ვიდრე კაცები. თუ დედას ერთზე მეტი შვილი ჰყავდა, უფრო მრავალფეროვანი გამოცდილება ჰქონდა ძიძების აყვანაში, შესაბამისად, კრიტერიუმების რაოდენობაც იზრდებოდა. სანდოობის, ქალის და დედობის კრიტერიუმებს ემატებოდა განათლების დონის, ბავშვის აღზრდის და არა გაზრდის უნარები.

თავიდან ვფიქრობდი, ძიძა უნდა მცოდნოდა ვინ იყო და სანდო ყოფილიყო და მერე მივხვდი, რომ კი ვიცნობ და სანდო არის, მაგრამ გააჩნია, როგორ ექცევა ბავშვს, გააჩნია როგორ მოსწონს ბავშვს. თან იმის შიში გაქვს, რომ ბავშვს ძიძას ყოველდღე ვერ გამოუცვლი, რაღაცები არ მოგწონს, მაგრამ ეს რომ წავიდეს ახალის პოვნა რთულია, ან უარესი რომ მოვიდეს.

დედების მოლოდინი ძიძის და ბავშვის ურთიერთობის შესახებ

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში დედისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს შიში, რომ შეიძლება მის შვილს ძიძა უფრო მეტად შეუყვარდეს ვიდრე ის, ან ძიძასთან განავითაროს ემოციური მიჯაჭვულობა. ამიტომაც, ცდილობდნენ, რომ

ბავშვისთვის აღმზრდელები დარჩნენ და ძიძას მხოლოდ გამზრდელის - ანუ, ბავშვის კვების, დაბანის, პამპერსის გამოცვლის ფუნქცია დაეკისროს.

ხანდახან ვფიქრობ, რომ ძიძა უფრო მეტად უყვარს, მითქვამს კიდეც ძიძისთვის, ესეც უნდა ყოფილიყო ალბათ, ეს ხო მსხვერპლია, ქალმა უნდა გაიღოს, თუ გინდა რომ გახვიდე, იმუშაო და რაღაცას მიაღწიო, მაშინ ამ მსხვერპლზე უნდა წახვიდე, რომ შენს შვილს შეიძლება სხვა შეუყვარდეს, ან მიჯაჭვულობა სხვაზე განუვითარდეს.

მე იცი რა პრობლემა მქონდა, მიჯაჭვულობა მინდოდა ჩემზე ჰქონოდა ბავშვს და თუ ძიძასთან იქნება სულ და ღამით მნახავს მარტო, ან დილით, ან ძილის წინ, როცა მივუწვები, დიდი შანსია, რომ ჩემზე არ ჰქონდეს და მე მინდოდა უბრალოდ, რომ ჩემზე ყოფილიყო, ვიდრე სხვებზე, სხვასთან არ მინდოდა რომ ეს მიჯაჭვულობა განვითარებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დედებს ეშინიათ ბავშვების ძიძებისადმი მიჯაჭვულობა, ყველა დედა ამბობდა, რომ თუ ბავშვი არ ეყვარება, მაშინ ვერ ვენდობი და ალბათ კარგადაც ვერ მოუვლის.

თუმცა, როცა ვხედავდი, რომ ძიძას დიდი სიყვარული ჰქონდა მის მიმართ და ბავშვსაც, ვიცოდი, რომ უყვარდა, ე.ი კარგად უვლიდა.

როგორი დედა ვარ?

ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემებზე დაყრდნობით აღმოჩნდა, რომ გამოკითხული დედების უმეტესობა, რომლებიც არიან დასაქმებულები, აქვთ სამსახური და იყენებენ ძიძის მომსახურებას, საკუთარ თავს არ განიხილავენ, როგორც ცუდ დედებს. მართალია, აქვთ დანაშაულის გრძნობა, ხშირად უწევთ თავის მართლება რატომ მუშაობენ, მაგრამ საერთო ჯამში თვითშეფასება, რომ ცუდი დედები არიან არ გამოვლინდა.

რეალურად, მე ვისვენებ სამსახურში, მაგრამ ვფიქრობ, რომ კარგი დედა ვარ, ის რომ მე არა ვარ ბავშვთან, ზუსტად ვიცი, სად არიან ბავშვები. მე ვიცი ყოველ წუთს რას აკეთებენ ისინი, თავისუფალი დრო როცა მაქვს, ვცდილობ მათ დავუთმო. როცა 24 საათი არის დედა სახლში, ის იმდენად არ უთმობს ბავშვს დროს, ვიდრე როცა მუშაობს. მაგალითად დასვენების დღეებში, როცა სულ სახლში ვარ და ბავშვებთან ერთად ვარ, მაშინ მეზარება რაღაცეების კეთება მაგათთან ერთად. როცა ვმუშაობ უფრო მეტად ვგრძნობ რომ უნდა დავუთმო ბავშვს დრო.

მე როცა სახლში ვარ ჩემი შვილი ძიძას არ ეკარება და ვფიქრობ, მე რომ კარგი დედა არ ვიყო, მაშინ ეგრე არ მოიქცეოდა. სახლში როცა მოვდივარ, ვცდილობ დრო ბავშვთან გავატარო, როცა თავისუფალი დრო მაქვს მას დავუთმო, ვასეირნო, ეზოში ჩავიყვანო, არ მაქ ის, რომ მოვიშორო და სახლში მისულმა სხვა საქმეები ვაკეთო.

იდეალური დედა აუცილებლად უნდა მუშაობდეს და უნდა იყოს თავის თავის კმაყოფილი, არ იზღუდავდეს თავს, რომ სახლში დაჯდეს. კვლევები აჩვენებს, რომ ვინც მუშაობს და წარმატებულია უფრო მზრუნველი შვილები ჰყავს და უფრო წარმატებული შვილები, ვიდრე ისინი ვინც სახლში არის და არ აგრძელებს მუშაობას. იდეალური დედა არის ისეთი, რომელიც თავის სურვილებს ისრულებს. ვინც არ მუშობს იმათი დაფასება არ არის, 24 საათი სახლის საქმეებს აკეთებენ, მაგრამ მაინც არავინ უფასებს. ამიტომ, მე არ ვფიქრობ, რომ ცუდი დედა ვარ.

ორმაგი სტანდარტები

კვლევის შედეგად, გამოვლინდა ერთი ძალიან საინტერესო ტენდენცია. მაშინ, როცა რესპონდენტები იხსენებდნენ ძიძის აყვანის შესახებ ოჯახში არსებულ დისკუსიებს, შედარებებს აკეთებდნენ მათი დედების და დედამთილების პოზიციებთან და როგორ

განსხვავდებოდა ეს პოზიციები, როცა საქმე ეხებოდა ბიჭ და გოგო შვილებს, ქალიშვილებს და რძლებს.

> *დედამთილს ჩემს მიმართ ჰქონდა ის პოზიცია, რომ მე უნდა გამეზარდა შვილები, მაგრამ მას ორი ქალიშვილი ჰყავს და იმათთვის ძიძები უნდათ, ეს მიდგომა არსებობს, შვილის მიმართ სხვა განწყობა აქვთ, იმან არ უნდა იწვალოს და მე კი.*

> *დედაჩემი მხარს მიჭერდა, როცა ძიძის აყვანას ვაპირებდი, მაგრამ ჩემს ძმას 4 შვილი ჰყავს და იმასაც ჰყავს ძიძა და სულ იმას ამბობს ჩემს რძალზე, რატომ ჰყავს ძიძა, რა საჭიროაო.*

ეს იყო მოულოდნელი საკითხი, რაზეც რესპონდენტებმა თვითონ დაიწყეს საუბარი. სამი რესპონდენტისგან გავიგე მსგავსი მოსაზრება, როცა ცდილობდნენ მათ ოჯახში არსებული დისკუსიები გაეხსენებინათ. მსგავსი მიდგომა, აჩვენებს, რომ კულტურულად განსხვავებული მოლოდინები არსებობს ადამიანის გენდერის შესაბამისად, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როცა ეს მოლოდინები კონფლიქტში შედის რეალურ სიტუაციასთან, განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე საკუთარი შვილების შემთხვევას ეხება.

ასევე, ინტერვიუს დროს, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დედა (3) თვითონაც უარყოფითად იყოს განწყობილი ძიძების მიერ ბავშვის გაზრდაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავად იყენებდნენ ძიძის სერვისს. განსაკუთრებით მაშინ, როცა დედა არ იყო დასაქმებული.

> *მე ერთი მეზობელი მყავს და ის ქალი თვითონ არ მუშობს, მაგრამ ძიძა მაინც ჰყავს და ძაან მიკვირს, სასეირნოდ ძიძას მიყავს ხოლმე, როცა დედა არ მუშაობს, ვფიქრობ, რომ ძიძა არაა საჭირო.*

დედების მიერ წარმოებული ასეთი დისკურსის მიღმა დგას, საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების გავლენა. დედა ყველაფერს უნდა ასწრებდეს, სახლის საქმეებსაც, ბავშვების გაზრდასაც, დედა არ განიხილება, როგორც ქალი, რომელსაც

შეიძლება სხვა საჭიროებები ჰქონდეს, თავისუფლად დროის გატარება, დასვენება ესაჭიროებოდეს.

ძირითადი მიგნებები

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- თუ ბავშვების რაოდენობა ერთზე მეტია, ამ შემთხვევაში დასაქმებული დედები უფრო მეტად განიცდიან საზოგადოებისგან წნეხს. უარყოფითი დამოკიდებულება იზრდება მაშინაც, როცა დედის სამსახური არ არის მაღალანაზღაურებადი, ან დედის მუშაობა არ არის ეკონომიკური ფაქტორებისგან განპირობებული აუცილებლობა. საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ მიუღებელია, ქალის და განსაკუთრებით დედის მუშაობა.
- სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ დედების უმრავლესობა განიცდის დანაშაულის გრძნობას, ეს ერთის მხრივ, შეიძლება გამოწვეული იყოს დედის შინაგანი მდგომარეობით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, დედის დანაშაულის გრძნობა იზრდება, მაშინ როცა იგი ნეგატიურ დამოკიდებულებას გრძნობს ოჯახის წევრების და საზოგადოების მხრიდან მისი დასაქმების შესახებ.
- თუ დედა ისეთი სამსახურშია დასაქმებული, სადაც არ ჰყავს უფროსი, თავისუფლად შეუძლია განრიგის შეცვლა, სამსახურიდან გამოსვლა, მაშინ უფრო ნაკლებია დედების მიერ საკუთარი თავის დადანაშაულება, დანაშაულის გრძნობის განცდა და ცუდ დედად თავის აღქმა. მსგავსი ტენდენცია განვითარდა იმ დედებშიც, რომლებიც კერძო სამსახურებშია დასაქმებული. თუ დედა კერძო სამსახურშია დასაქმებული, უფრო ნაკლებად განიცდის დანაშაულის გრძნობას, მაგრამ თუ საჯარო სამსახურშია, სადაც გაწერილია მისი სამუშაო დრო, უფრო მაღალია დანაშაულის გრძნობა.
- ყველა რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ ძიძა მიჩნეულია, როგორც დედის საქმის შემსრულებელი, ძიძა ეხმარება დედას, ხშირად უჭირთ დედებს ახნან

ეს გადანაწილება, მაგრამ ოჯახის წევრებიც და საზოგადოებაც ფიქრობს, რომ ძიძა დედას ეხმარება და მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს ინაწილებს, აქედან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში ძიძის ხელფასს დედა ანაზღაურებს.

○ ყველა რესპონდენტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რამდენად არის მამა ჩართული ბავშვის მოვლის საქმეში, ბავშვზე ზრუნვის ძირითადი პასუხისმგებელი მშობელი არის დედა. ძიძასთან ურთიერთობა, მისთვის დავალებების მიცემა, ბავშვთან დაკავშირებული საკითხების შეთანხმება ევალება დედას და მაშინ როცა, ძიძა ვერ გააკეთებს რაღაცას ისე, რაც არ არის მშობლებისთვის მოსაწონი, ამაზე პასუხისმგებლობაც ეკისრება დედას. დედას ბრალდება ძიძის ნებისმიერი არასწორი ქმედება.

○ საზოგადოების ნაწილს დასაქმებული დედების მიმართ, ვისაც ძიძა ჰყავს აქვს მოლოდინი, რომ ერთის მხრივ, ისინი არ არიან კარგი დედები, ბავშვებს არ უთმობენ საკმარისს დროს, სულ სამსახურში არიან, ოჯახს უპირატესობას არ ანიჭებენ და ასევე, ეს შეფასებები ვრცელდება დედის ქალურობის აღქმაზე. დედა, რომელიც იყენებს ძიძის სერვისს, ხშირ შემთხვევაში აღიქმება, როგორც ცუდი ქალი, რადგან იგი მისთვის ვალდებულ, ქალურ საქმეებს ავალებს სხვას. ვინაიდან, დედობა ჩვენს საზოგადოებაში პირდაპირ მიბმულია ქალობასთან, ფიქრობენ, რომ დასაქმებული დედები არ ასრულებენ სახლის საქმეებს, მაგალითად არ იციან საჭმლის მომზადება, ბავშვის მოვლა, სახლის დალაგება და სხვა. ჩამოთვლილი საქმეების შესრულება, ტრადიციულად ქალის გენდერს მიეწერება, ამიტომაც თუ ამას არ აკეთებ, ე.ი ვერ ასრულებ შენთვის დაკისრებულ მოვალეობას. რესპონდენტები საუბრობდნენ, რომ ხშირად გაკვირვებას გამოხატავენ ახლო ნათესავები, მეზობლები, როცა გაიგებენ, რომ დასაქმებულ დედასაც შეუძლია საჭმელების გაკეთება და რომ ასეთი დედებიც ასრულებენ სახლის საქმეებს და დამოუკიდებლად, ძიძის დახმარების გარეშეც შეუძლიათ ბავშვზე ზრუნვა. ეს მოლოდინი უფრო მაღალია, როცა დედა ახალგაზრდაა.

○ დასაქმებული დედა, რომელიც იყენებს ძიძის მომსახურებას არ შეიძლება იყოს დაღლილი, მას არ აქვს უფლება იწუწუნოს, ისაუბროს დედობის დამღლელ ასპექტებზე, რადგან ფიქრობენ, რომ მის ძირითად საქმიანობას ძიძა ასრულებს, ამიტომ არ შეიძლება, რომ დედაც დაიღალოს. ხშირად ხალხის რეაქცია ნეგატიურია. ქალები საუბრობენ, რომ რაღაც უხილავი შეთანხმება არსებობს, ქმრის, ასევე ოჯახის სხვა წევრების მიერ, რომ რადგანაც დედა მუშაობს და ჰყავს ძიძა, ე.ი ის გათავისუფლებულია დედობრივი საქმიანობიდან და ყველა დედის საქმეს ძიძა აკეთებს. ერთის მხრივ არის მოლოდინი, რომ თუ ძიძა გყავს არაფრის კეთება იცი და მეორეს მხრივ მუდმივად დასვენებული ხარ.

○ ინტერვიუების დროს გამოვლინდა ტენდენცია, რომ თუ დედის მუშაობის ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს, ანუ ქალის მუშაობა საჭიროა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისთვის, მაშინ ეს დედები ძიძის სერვისის რაციონალიზებისთვის იყენებენ ეკონომიკურ არგუმენტს. ანუ, მეუღლეს, რომ საკმარისი შემოსავალი ჰქონდეს დედას არ მოუწევდა მუშაობა და მთელი დღე სახლიდან გასვლა, ამავე დროს იწყება სხვა სოციალური პრობლემების წინ წამოწევა და სახელმწიფო სისტემის დადანაშაულება. სახელმწიფო საკმარისად არ უწყობს ხელს დასაქმებულ დედებს, სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს დედობის ფაქტორს და უფრო მეტ შეღავათს უნდა სთავაზობდეს. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როცა დედების დასაქმება არ იყო განპირობებული ეკონომიკური ფაქტორების შედეგად, დედები მათი ძიძის აყვანის გადაწყვეტილების რაციონალიზებას ახდენენ თვითგანვითარების არგუმენტებით, ქალურობის და დედობის განსაზღვრებით, იმის ახსნით, რომ მათთვის მიუღებელია, მხოლოდ სახლში ყოფნა და ბავშვების გაზრდა, რადგან ეს მათ ფსიქიკაზე იმოქმედებს და უფრო ცუდი და აგრესიული დედები იქნებიან. მუშაობა ეხმარება მათ, რომ სრულფასოვან ქალად იგრძნონ თავი. საინტერესოა, რომ ყველა დასაქმებული დედა ცდილობდა ექსპერტების მოსაზრებების და სტატისტიკების მოშველიებას, რომ დასაქმებული დედები უკეთესი დედები არიან, ვიდრე არადასაქმებული დედები. ქალებს იმ კულტურული

და გენდერული ბარიერების გამო, რაც კვლავ მყარად არის ჩვენს საზოგადოებაში ფეხგადგმული დღემდე უწევთ, რომ მათ მუშაობას არგუმენტი მოუძებნონ, გაამართლონ და მუდმივად ამტკიცონ, რომ ისინიც ისეთივე კარგი დედები არიან, როგორც სახლში მყოფი დედები.

○ მიუხედავად იმისა, რომ დედები დასაქმებულები არიან, აქვთ უმაღლესი განათლება, ჯერ კიდევ განიცდიან მათთვის მიკუთვნებული გენდერული როლების შესაბამისად ქცევის აუცილებლობას. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ თუ, არჩევანის საჭიროება დადგება მას და მეუღლეს შორის სამსახურზე თავის დანებების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დედებს აქვთ უკეთესი ანაზღაურება, ვიდრე ქმრებს, მაინც აცხადებდნენ, რომ ისინი დატოვებდნენ სამსახურს, რადგან ვერ შეეგუებიან დაუსაქმებელი ქმრის სტატუსს. არ უშვებენ ისეთ სიტუაციას, როცა შეიძლება მამა იყოს ბავშვზე პასუხისმგებელი ძირითადი მშობელი.

○ ყველა რესპონდენტი ძიძას მოიხსენიებდა, როგორც ოჯახის ერთ-ერთ წევრს. რომლის დახმარების გარეშეც, დედები ვერ მოახერხებდნენ სამსახურში გასვლას, რომ არა ისინი, მათ მოუწევდათ სამსახურის დატოვება.

○ ძიძას ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც გამზრდელს, რომელიც ბავშვის ფიზიკურ კეთილდღეობაზე ზრუნავს, ხოლო ძირითად საქმიანობას, ანუ ბავშვის აღზრდას დედები ასრულებენ. ბავშვის აღზრდის საკითხები იყო ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილული თემა დედასა და ძიძას შორის, დედებს არ უნდათ, რომ ძიძამ მათი ცხოვრებისეული დოგმები მოახვიონ ბავშვებს თავზე და ეს ხშირად ყოფილა ძიძების სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი. ერთის მხრივ, ძიძას არ უნდა მოეხვია ბავშვისთვის თავს მისი შეხედულებები, მაგრამ ამავე დროს უნდა გაეთვალისწინებინა დედის მოთხოვნები, მაგალითად შეეყვარებინათ ბავშვებისთვის კითხვა, არ განევითარებინათ ე.წ. მავნე ჩვევები. ანუ, თუ დედის და ძიძის ბავშვის აღზრდის იდეოლოგია ეთანხმებოდა ერთმანეთს, მაშინ ეს დედისთვის არ იყო პრობლემა.

○ დედებს აქვთ მოლოდინი, რომ ძიძას თუ ბავშვი არ უყვარს, ისე ვერ შეასრულებს მის საქმიანობას კარგად, მაგრამ არ უნდა გააკეთოს ისე, რომ ბავშვს ზედმეტად შეაყვაროს თავი, აკონტროლოს ემოციები და სცადოს, რომ დედისთვის დატოვოს ადგილი. დედები განიცდიდნენ, რომ შეიძლება ბავშვებმა ემოციური მიჯაჭვულობა ძიძასთან განავითაროს. ეს იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რაც დედების დანაშაულის გრძნობის გაჩენას უწყობდა ხელს.

○ ყველა რესპონდენტს ჰქონდა მოთხოვნა, ძიძა ყოფილიყო ქალი და დედა. ერთის მხრივ, ეს იყო განპირობებული იმით, რომ ქალმა ბუნებრივად იცის ბავშვზე ზრუნვა, დედამ განსაკუთრებით და მეორეს მხრივ, იმ ოჯახში, სადაც ქმარი ცხოვრობს, კაცი ძიძა მიუღებელია.

○ დასაქმებული დედები, მუდმივად ცდილობენ, რომ ის დრო რასაც სამსახურში ატარებენ და ბავშვებთან არ არიან აანაზღაურონ. ასე რომ, ნებისმიერი თავისუფალი დრო ბავშვებთან ერთად გაატარონ, შაბათ-კვირა სრულიად მათ დაუთმონ, ეს მათ ეხმარებათ თავი კარგ დედად იგრძნონ და თან ჰქონდეთ გასამართლებელი არგუმენტი, რომ სხვა, სახლში მყოფი დედებისგან განსხვავებით, რომლებიც ფიზიკურად ბავშვებთან ერთად არიან, უფრო მეტ დროს უთმობენ მხოლოდ ბავშვებს. ბავშვებთან ერთად შაბათ-კვირის გატარება ეხმარებოდათ ემოციური მიჯაჭვულობის განვითარებაში, რაც შეიძლებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვს ძიძის მიმართ გასჩენოდა.

დასკვნა

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტენდენციაა, რომ ქალის უმთავრესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა ცხოვრებაში არის დედობა. დღემდე, ადამიანთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ქალი პირველ რიგში არის დედა და მერე ქალი. დოგმასავით არსებობს, რომ ყველა ქალი უნდა გახდეს დედა, ეს თითქოს დაუწერელი კანონია. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ემანსიპაციის გზაზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდა და ბევრი რამ შეიცვალა, ტრადიციული გენდერული წესრიგის მქონე კულტურის ქვეყნებში ეს პროცესი ჯერ კიდევ რთულად მიმდინარეობს. იქედან გამომდინარე, რომ ქალისთვის დედობა მიჩნეულია, როგორც ყველაზე უფრო ღირებულ და დაფასებულ საქმედ, აღიარებულია, რომ ქალმა ოჯახი ნებისმიერ საქმეზე უფრო წინ უნდა დააყენოს. მსგავსი მიდგომა ართულებს სიტუაციას იმ შემთხვევაში, როცა ქალს ოჯახთან ერთად აქვს სამსახური, პროფესია და დედობა აღარ არის ქალის ერთადერთი საქმიანობა. როცა ქალს ჰყავს ოჯახი, არის დედა (ხშირად ჰყავს ერთზე მეტი შვილი და თან მცირე ასაკის ბავშვები) და ამავდროულად მუშაობს, აქვს კარიერა - ყველა ეს ფაქტორი ზემოქმედებას ახდენს ქალის დედობის სტატუსის საზოგადოებრივ აღქმაზე. საზოგადოებრივი დამოკიდებულება კი თავისთავად ზემოქმედებას ახდენს დედების თვითაღქმაზე და ხშირად, დედებს მსგავსი სოციალური წნეხის პირობებში უწევთ ცხოვრება. არსებული ორმაგი მიდგომა, ერთის მხრივ ეს არის ახლანდელი ეკონომიკური სისტემა, რომელშიც „მამა მარჩენალის და დედა დიასახლისის“ სისტემა ვეღარ მუშაობს და მეორეს მხრივ, ტრადიციული წესრიგი - „მამა მარჩენალი და დედა დიასახლისი“, რომელიც ისევ ნორმად არის მიღებული, ქალებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს. ქალებისთვის ორმაგი წნეხი არსებობს, ერთი, იყვნენ წარმატებული ქალები, თავი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში, გამოიყენონ მათი პოტენციალი და მეორეს მხრივ, გახდნენ დედები და მოერგონ ყველა იმ კულტურულ, თუ ეროვნულ მოდულს რაც დედობის შესახებ არსებობს.

მსგავსი სოციალური რეალობის პირობებში, დედებისთვის სამსახურის და დედობის დაბალანსების საკითხში შემოდის ძიძების როლი. ძიძებს და იმ ფუნქცია მოვალეობებს, რაც ძიძებს აკისრიათ, ხშირად საზოგადოება ნეგატიურად აფასებს. ეს, დაკავშირებულია რა თქმა უნდა იმ ფაქტთან, რომ ქალისთვის დედობა კულტურულად და ეროვნულად აღიარებულია, როგორც ძირითადი საქმიანობა და ძიძების მომსახურებით სარგებლობის დროს ძირი ეშლება იმ მიდგომას, რომ დედა უნდა იყოს ერთადერთი და ძირითადი მზრუნველი პირი ბავშვზე. კვლევის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ ძიძები აღქმულია, როგორც დედის დამხმარეები, ანუ ძიძა, ეს არის ქალი, რომელიც ინაწილებს მხოლოდ დედისთვის შესასრულებელ საქმიანობას. ძიძა არ განიხილება, როგორც მამის დამხმარე, ვინაიდან ბავშვზე ზრუნვა დედის მთავარი მოვალეობაა, ეს მიდგომა აჩვენებს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ წესრიგს, რომელიც კვლავ შენარჩუნებულია.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისას, გამოვლინდა, რომ გამოკითხული ყველა რესპონდენტი ერთხელ მაინც ყოფილა ისეთ სიტუაციაში, როცა თავს დამნაშავედ გრძნობდა, იმიტომ რომ იყენებდა ძიძის მომსახურებას. სიტუაციაში, როცა დედებს უწევდათ თავი გაემართლებინათ, რაციონალური ახნა-განმარტება მოეძებნათ და დაესაბუთებინათ, თუ რატომ იყენებდნენ ძიძას. ასეთი შემთხვევებისას აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად, ძიძის მომსახურების რაციონალიზებას უკავშირებენ ეკონომიკურ ფაქტორს, ან ქალის თვითგანვითარებას. მაგრამ, საინტერესოა ის, თუ როგორ ანაწილებენ დედები და ძიძები დედობის მოვალეობას. უმეტეს შემთხვევაში, რესპონდენტები საუბრობდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მატ ჰყავთ ძიძები, ეს არ ნიშნავს, რომ მათ უარი თქვეს დედობაზე, ძიძა არ ცვლის დედას და დედის როლს. ძიძა არ ასრულებს შვილების აღზრდის საქმიანობას, ძიძა მხოლოდ ფიზიკურად უვლის ბავშვებს, ზრდის მათ: კვებავს, უცვლის, აბანავებს. დედები აუცილებლად საკუთარ თავზე იღებენ, დედობის უფრო მნიშვნელოვან და მთავარ საქმიანობას, რაც ბავშვის აღზრდასთან არის დაკავშირებული. ბავშვის აღზრდის პასუხისმგებლობას არ უნაწილებენ ძიძებს, უფრო მეტიც, როცა რამდენიმე რესპონდენტი იხსენებდა ისეთ სიტუაციას, როცა ძიძის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი ყოფილა სხვაობა იდეოლოგიური

თვალსაზრისით, როცა დედას არ მოსწონს ბავშვის აღზრდის მეთოდები, როცა ისინი მათ მოვალეობებს ცდებიან და ბავშვების აღზრდას იწყებენ. დედები ზრუნავენ ბავშვის განათლების სიყვარულის დანერგვაზე, დედები იზიარებენ ბავშვების ემოციურ განწყობებს, დედები უვლიან ბავშვებს ავადმყოფობის დროს, დედები ატარებენ დროს ბავშვებთან ერთად დასვენების დღეებში და ბავშვები დედებთან ამყარებს ემოციურ მიჯაჭვულობას და არა ძიძებთან.

კვლევის შედეგად მოძიებული მონაცემების ანალიზისას ასევე გამოიკვეთა, რომ დედების უმრავლესობა განიცდის დანაშაულის გრძნობას, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია საზოგადოების დამოკიდებულებისგან, ნეგატიური შეფასებებისგან, მაგრამ მეორეს მხრივ შინაგანი დამოკიდებულება, რომ სამსახურში ყოფნის დროს არ აქვთ შესაძლებლობა, რომ დრო ბავშვებთან, სახლში გაატარონ. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შედეგად გამოვლინდა დედებში დანაშაულის გრძნობის ფენომენი, აღმოჩნდა, რომ დასაქმებული დედები, რომლებიც მათი დღის 24 საათს ვერ ატარებენ ბავშვებთან უპირობოდ არ გულისხმობს, რომ საკუთარ თავს იდენტიფიკაციას უკეთებენ, როგორც ცუდ დედებს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ დედების მიერ ძიძის მომსახურებით სარგებლობას საზოგადოება იყენებს როგორც კრიტიკის საშუალებას, მუდმივად იმაზე მისათითებლად, რომ ისინი ვერ ერგებიან იმ ნორმებს და განსაზღვრებებს, რაც „იდეალურ დედას“ უნდა ახასიათებდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bernard, J. (1998). The Two Marriages. *U.S. : Kinship and Domestic Politics.* Philadelphia: Temple University Press. pg. 450-570;
- Brown, S. & Lumley, J.(1994). *Missing voices: The experience of motherhood.* Melbourne: Oxford University Press;
- Buultjens, M. & Liamputtong, P.(2007). *When giving life starts to take the life out of you: women's experiences of depression after childbirth.* pg. 77-91;
- Chodorow, N. and Contratto, S. (1989) The Fantasy of the Perfect Mother. *Feminism and Psychoanalytic Theory.* New Haven and London: Yale University Press;
- Choi, P. & Henshaw, C. (2005). *Supermum, superwife, supereverything: performing femininity in the transition to motherhood.* Journal of Reproductive and Infant Psychology, pg. 167-180;
- Cohen, L. (2010). *The anatomy of working mom guilt.* Available at: http://www.workingmother.com/2010/5/home/anatomy-working-mother-guilt
- Drezgic, R. (2015). *Demographic Nationalism In The Gender Perspective;*
- Ehrenreich, B. & Hochschild, A (2003). *Global woman: nannies, maids, and sex workers in the new economy*. New York, A holt paperback.
- Elvin-Nowak, Y. (1999). The meaning of guilt: A phenomenological description of employed mother;s experience of guilt. Scandinavian Journal of Psychology. Pg.73-84. Available at: http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/1467-9450.00100/abstract
- Garey, A. (1999). *Weaving Work and Motherhood.* Philadelphia: Temple University Press;
- Gold, T. (2015). *The mommy wars: nanny vs mom.* Access at: http://www.huffingtonpost.com/tammy-gold/the-mommy-wars-nanny-vs-m_b_8488862.html

- Hay, S. (1996). *The Cultural Contradictions of Motherhood.* New Haven, CT: Yale University Press;
- Hochschild, A. (2010). *Global traffic in female service: nannies, surrogates, and emotional labor.* Available at: http://www.havenscenter.org/audio/arlie-hochschild-global-traffic-female-service-nannies-surrogates-and-emotional-labor
- Knapton, S. (2014). *Working mothers trapped by "double burden" of guilt*. Available at: http://www.telegraph.co.uk/news/science/science-news/10648965/Working-mothers-trapped-by-double-burden-of-guilt.html
- Mauthner, N. (1999). *Feeling low and feeling really bad about feeling low: Women's experiences of motherhood and postpartum depression.* Canadian Psychology/Psychologie canadienne, pg. 143-161. Available at: http://dx.doi.org/10.1037/h0086833;
- Oakley, A. (1980). *Women confined: Towards a sociology of childbirth*. New York: Schocken Books;
- Parker, R., & Bar, V. (1996). *Torn in two: The experience of maternal ambivalence.* Journal of Analytical Psychology, pg. 611-612;
- Poduval, J & Poduval M. (2009). *Working mothers: How much working, how much mothers, and where is the womanhood?* Available at: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3151456/
- Polatnick, M. (1996). *Diversity in Women's Liberation Ideology: How a Black and a White Group of the 1960s Viewed Motherhood.* pg. 679-706;
- *The working mother's dilemma?* (2009). Available at: https://momjd.wordpress.com/2009/11/19/the-working-mothers-dilemma/
- Toynbee, P. (1997). *The strangest relationship: nannies and working mothers* . Available at: http://www.independent.co.uk/voices/the-strangestrelationship-nannies- and-working- mothers-1291443.html
- Ussher, M. (1989). *The psychology of the female body.* London, Routledge;

- Woollett, A.& Phoenix, A. (1991). Afterword: Issues Related to Motherhood. *Motherhood: Meanings, Practices and Ideologies*(pp. 216 -31). London, Sage;
- Yuval-Davis,N. (1997). *Gender and Nation*. London: Sage Publications Ltd;
- *„მერი პოპინსი“ ქართულად, ანუ ძიძები და მათი პრობლემები საქართველოში.* (2014). ხელმისაწვდომია: https://bpn.ge/analizi/4536-meri-popinsi-qarthulad-anu-dzidzebi-da-mathi-problemebi-saqarthveloshi.html?lang=ka-GE
- ნოზაძე, თ. (2009). *ძიძის ინსტიტუტის ავ-კარგიანობა. ხელმისაწვდომია:* http://www.ambioni.ge/zizis-instituris-avkargianoba

დანართი #1

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Nino Tchelidze

Ideal of motherhood, mothers guilt, emotional and care work distribution between mothers and nannies

Gender Studies

MA thesis is prepared with the purpose of obtaining Master's Degree in Gender Studies

Supervisor: Tamar Tskhadadze

Associate Professor

Invited lecturer of TSU Gender studies Institute

Tbilisi, 2017

დანართი #2

Annotation

Motherhood is considered as a part of woman's identity. The role of mother in our society is idealized. A woman is often evaluated by her motherhood capabilities. There are several different theories about the motherhood. Established cultural norms and expectations of the society defines ideals of motherhood. The definition of "an ideal mother" demands a woman to prioritize her family, to stay home and to take main responsibility of raising children. Patriarchal society constantly insists on women to fit in an accepted norms of motherhood and to fulfill the responsibilities that motherhood requires.

The aim of the thesis is to study attitudes towards working mothers, who are using nanny service and to identify the constructs and ideas that working mothers are using to rationalize their decision. Also, the paper analyses how women see and asses mothers work, based on its distribution between mothers and nannies, whether they feel guilty and how these attitudes affects their self-perception as a mother. In-depth Interview method was used during the research. As for respondents, women ought to be married and had a full time job. Respondents' age, as well as the number of children they had varied.

After conducting in-depth interviews and analyzing data revealed that working mothers feel mother's guilt. They also constantly have to justify their decisions - using nanny service and try to rationalize it. In order to rationalize the usage of nanny service, mothers use economic, personal development and timing factors as their major arguments. The research has also revealed that mothers are still considered as a primary caretakers and nannies are believed to be mothers helpers, who share mothers work and not fathers. The analysis of mother-nanny relationship highlighted mother's fear that a child might develop emotional attachment toward nannies, and not towards mother. Despite of using nanny service, mothers still take the whole responsibility for raising a child and being the ones who supports and teaches children. Such division of responsibilities help mothers not to identify themselves as a bad mother.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აია ბერაია

ნაციონალიზმი და ჰეგემონური მასკულინობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

გენდერის კვლევა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია გენდერის კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია ბარქაია, გენდერის კვლევის დოქტორი
თანახელმძღვანელი: ლია წულაძე, სოციოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2017

აბსტრაქტი

ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფო მოდერნული ფენომენებია, რომლებიც მჭიდრო კავშირშია მოდერნულ მასკულინობებთან. ერი-სახელმწიფო, როგორც ინსტიტუციური ძალაუფლების სისტემა, გადაჯაჭვულია ჰეგემონურ მასკულინობასთან. პოსტსაბჭოთა საქართველოში ნეოლიბერალური ერი-სახელმწიფოს შექმნას და განვითარებას თან ახლდა ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის სხვადასხვა ფორმების გამოვლინება. გარდა ამისა, პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური სპეციფიკის გათვალისწინებით საქართველოში შეგვიძლია გამოვყოთ ნაციონალიზმის ორი ტიპი, რასაც ნაშრომში ანტიიმპერიალისტურ და პროდასავლურ ნაციონალიზმებს ვუწოდებ. კვლევის მიზანია პოსტსაბჭოთა საქართველოში ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის ურთიერთკავშირის, ურთიერთკვეთისა და მათი ტენდენციების შესწავლა. ამოცანები ფოკუსირებულია პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების დისკურსში ერისა და მასკულინობის იდეების წარმოების შესწავლაზე, ანტიიმპერიალისტური და პროდასავლური ნაციონალიზმების ანალიზსა და ნაციონალური “სხვის” კონსტრუირების შესწავლაზე. კვლევის მეთოდოლოგია შედგენილია ფემინისტური ეპისტემოლოგიისა და კრიტიკული დისკურსის ანალიზის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომის შერწყმით. კვლევის მეთოდია კრიტიკული დისკურსის ანალიზი, დამუშავებული მონაცემები კი შერჩეულია ელიტების წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლებიდან, განცხადებებიდან, სტატიებიდან და ინტერვიუებიდან. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიგნებაა, რომ ერისა და მასკულინობის იდეები თანადროულად იწარმოება, აგრეთვე გამოიყოფა ჰეგემონური მასკულინობის კონსტრუქტის სამი ძირითადი ტიპი. კვლევა ასევე ავლენს ანტიიმპერიალისტური ნაციონალიზმის გავრცელებულობას, თუმცა ის ხშირად შერწყმულია პროდასავლურ ნაციონალიზმთან. ისტორიის განმავლობაში პროდასავლური ნაციონალიზმის დომინაციის ინტერპრეტირება შესაძლებელია ორგვარად.

შინაარსი

შესავალი……4

1. ლიტერატურის მიმოხილვა……7

1.1. თეორიული ჩარჩო……7

1.1.1. ერი და ნაციონალიზმი……..7

1.1.2. მასკულინობები და ჰეგემონური მასკულინობა……11

1.1.3. ძალაუფლების სტრუქტურალისტური და პოსტსტრუქტურალისტური თეორიები და ჰეგემონური მასკულინობა……13

1.1.4. ნაციონალიზმი და ჰეგემონური მასკულინობა……..15

1.1.5. ნაციონალიზმი, ჰეგემონური მასკულინობა და "სხვა"……18

1.2. ნაციონალიზმი, მასკულინობა და ნაციონალური "სხვა": ქართული კონტექსტის კვლევები……20

1.2.1. ანტიიმპერიალისტური და პროდასავლური დისკურსები და "სხვის" წარმოება პოლიტიკურ ისტორიაში……21

1.2.2. გენდერული და სექსუალური "სხვა"……24

2. მეთოდოლოგია……..29

3. მონაცემთა ანალიზი……..33

პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების დისკურსი 1990-2016 წლებში……33

3.1. ზვიად გამსახურდია……..33

3.2. ედუარდ შევარდნაძე……..39

3.3. მიხეილ სააკაშვილი……43

3.4. კახა ბენდუქიძე……52

3.5. ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი……56

3.6. ლევან ვასაძე……63

დასკვნა……70

ბიბლიოგრაფია……77

დანართი #1……86

დანართი #2……87

დანართი #3……88

შესავალი

სოციალისტური საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი (ნაციონალური კუთხით გამოყოფილი და რეგულირებული) რესპუბლიკიდან ნეოლიბერალურ ერ-სახელმწიფოდ საქართველოს ტრანსფორმაციას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თან ახლდა ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმების გამოვლინება. პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა დომინირებული იყო და არის მამაკაცებით. ქვეყნის პოლიტიკური ელიტის პირველი პირები შეგვიძლია ქართული ნაციონალისტური პროექტების მთავარ სახედ და განმახორციელებლად განვიხილოთ (იხ. ჯონსი, 2006). ერი-სახელმწიფო მასკულინური ინსტიტუტია, ამიტომ ნაციონალიზმი და ჰეგემონური მასკულინობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ამასთანავე, ნაციონალიზმის/ეროვნულობის და მასკულინობის წარმოებაც დისკურსულად ხდება. ერი-სახელმწიფო შეგვიძლია განვიხილოთ იმ ინსტიტუციურ ბაზისად, რომელსაც ეფუძნება ჰეგემონური მასკულინობა.

გარდა ამისა, საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური ქვეყნის, კონტექსტი სპეფიციკურია იმით, რომ აქ უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, პროდასავლური ნაციონალიზმი, რომელიც შესაბამისობაში მოდის დასავლეთის ნეოიმპერიალისტურ/ნეოკოლონიალურ მისწრაფებებთან და წესრიგთან, მეორე მხრივ კი, პოსტკოლონიური და პოსტსაბჭოთა ნაციონალისტური დისკურსი, რომელიც ანტიდასავლური ან/და ანტირუსულია. პროდასავლურობა ხშირად ანტირუსულობას ნიშნავს, ამიტომ ამ ასპექტში ნაციონალიზმის ეს ორი ტიპი ერთმანეთს ხვდება და კვეთს. შესაბამისად, "სხვის" კონსტრუირება შესაძლებელი ხდება ერთი მხრივ პროდასავლური დისკურსით, ხოლო მეორე მხრივ ანტიიმპერიალისტური დისკურსით.

კვლევაში ცენტრალური ცნებები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

ერი – შეზღუდული (შემოსაზღვრული) და სუვერენული წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება (ანდერსონი, 2016, გვ. 6).

ნაციონალიზმი – კულტურული მოვლენა, იდეებისა და აფექტების კრებული, რომელიც ერის/სახელმწიფოს ირგვლივ ტრიალებს და უზრუნველყოფს შესაბამისი სუბიექტურობისა და პრაქტიკის წარმოებას.

მასკულინობა – გენდერული პროექტი, რომელიც პატრიარქალური სისტემის კონტექსტში მეორე გენდერულ პროექტთან, ფემინურობასთან მიმართებასა და შეპირისპირებაში არსებობს (კონელი, 2005).

ჰეგემონური მასკულინობა – მასკულინობის ერთი-ერთი ტიპი ნაციონალური საზოგადოების/კულტურის კონტექსტში, რომელიც მჭიდრო კავშირშია ნაციონალიზმთან და სახელმწიფოს ინსტიტუციურ ძალაუფლებასთან, ინარჩუნებს მასკულინური ელიტების ძალაუფლებას და მხარდაჭერილია კაცების უმრავლესობის მიერ.

ნაციონალური "სხვა" – ერის ჰეგემონური სახისა და ჰეგემონური მასკულინობის სუბიექტისგან განსხვავებული, დისკურსულად კონსტრუირებული სუბიექტები/ სუბიექტების კრებული, რომლებიც ერის/მასკულინობისთვის საფრთხედ განიხილება.

ანტიიმპერიალისტური ნაციონალიზმი – პოსტკოლონიური/პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმი, რომელიც ანტიდასავლური ან/და ანტირუსულია.

პროდასავლური ნაციონალიზმი – პოლიტიკური და კულტურული პროდასავლურობა, რომელიც ნაციონალურ "სხვას" ძირითადად წარმოადგენს რუსეთის, საბჭოთა კავშირის, აგრეთვე, მათთან ასოცირებული პოლიტეკონომიკური წესრიგის, კულტურული ღირებულებებისა და შესაბამისი მასკულინობების სახით.

კვლევის მიზანი: პოსტსაბჭოთა საქართველოში ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის ურთიერთკავშირის, ურთიერთკვეთისა და მათი ტენდენციების შესწავლა.

კვლევის ამოცანები:

1. პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის დისკურსში ერისა და მასკულინობის იდეების წარმოების შესწავლა.
2. ნაციონალური "სხვის" წარმოებისას ანტიიმპერიალისტური ნაციონალიზმისა და პროდასავლური ნაციონალიზმის დისკურსების ანალიზი.

3. პროდასავლური ნაციონალიზმის, როგორც ნაციონალიზმის გამოკვეთილი სახის, დომინაციის პერიოდების გამოკვეთა და ანალიზი.

4. ნაციონალური "სხვის" კონსტრუირებისას რასის, გენდერისა და სექსუალობის მნიშვნელობების გამოკვეთა.

ჰიპოთეზები:

1. ერისა და მასკულინობის იდეები პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის დისკურსში თანადროულად და ერთმანეთთან კვეთაში იწარმოება.
2. ნაციონალური "სხვის" წარმოებისას გამოკვეთილია ანტიიმპერიალისტური დისკურსები, თუმცა გარკვეულ ეტაპებზე ის გადაიზრდება/ერწყმის ხოლმე პროდასავლურ ნაციონალიზს.
3. პროდასავლურ ნაციონალიზმს აქვს დომინაციის მკვეთრად გამოხატული პერიოდი/ები.
4. რასის, გენდერისა და სექსუალობის მიხედვით "სხვის" კონსტრუირება განსხვავებულია დასავლური (ნეო)იმპერიალისტური ნაციონალიზმის ტენდენციებისგან.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. თეორიული ჩარჩო

თეორიული ჩარჩო შედგენილია კვლევისთვის რელევანტური ცნებებისა და თეორიების მიმოხილვით და ანალიზით. კერძოდ, ეს თემებია ერი და ნაციონალიზმი, პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონიის ცნება, მასკულინობები და ჰეგემონური მასკულინობა, ძალაუფლების თეორიები ჰეგემონურ მასკულინობასთან მიმართებაში, ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის კავშირი, ნაციონალური "სხვის" კონსტრუირება.

1.1.1. ერი და ნაციონალიზმი

მიუხედავად ერისა და ნაციონალიზმის შესახებ არსებული მრავალფეროვანი ლიტერატურისა, მოცემული კვლევის ფარგლებში ბენედიქტ ანდერსონის (2016) განმარტებით ვიხელმძღვანელებ. ვფიქრობ, ეს განსაზღვრება კარგად გამოხატავს ერის კონსტრუირებულობას/არაესენციალისტურ ბუნებას: "[ერი] წარმოსახული პოლიტიკური საზოგადოებაა და ის წარმოიდგინება ერთდროულად გარდაუვლად შეზღუდულად და სუვერენულად." (გვ. 6). ანდერსონის მიხედვით, ერი წარმოსახულია, რადგან მისი ყველა წევრი ვერასდროს გაიცნობს ერთმანეთს და მათი ერთობა ილუზიურია (იქვე); ერი ყოველთვის შეზღუდულია, რადგან ყველა მათგანი წარმოიდგინება საზღვრებით და ის არასდროსაა კაცობრიობის სინონიმური (გვ.7). "დაბოლოს, ერი წარმოსახულია საზოგადოებად, რადგან მიუხედავად თითოეულ მათგანში გაბატონებული უთანასწორობისა და ექსპლუატაციისა, ერი ყოველთვის ღრმა, ჰორიზონტალურ ამხანაგობად მიიჩნევა." (ანდერსონი, 2016, გვ. 7).

რაც შეეხება ნაციონალიზმს, ანდერსონი ეწინააღმდეგება იმას, რომ იგი იდეოლოგიად გავიაზროთ. მისი აზრით, ნაციონალიზმი უფრო "ნათესაობის" ან "რელიგიის" მსგავს მოვლენად უნდა მოვიაზროთ და არა იდეოლოგიად (2016, გვ. 5). ეტიენ ბალიბარიც

(2010) წერს, რომ შეგვიძლია ნაციონალიზმი მოდერნული დროის რელიგიად მოვიაზროთ (გვ. 95).

ანდერსონი (2016) ევროპაში ნაციონალიზმის წარმოშობის/გამოჩენის პერიოდად დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლოს განსაზღვრავს. მისი თქმით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სიახლეს წინ უძღოდა ორი კულტურული სისტემა - "რელიგიური საზოგადოება და დინასტიური მმართველობა" (გვ. 12). სწორედ ამ ორი სისტემის დაკნინებამ შეუწყო ხელი ნაციონალიზმის აღზევებას, რომელმაც გარკვეულწილად ჩაანაცვლა ეს სისტემები და შესაბამისად, აითვისა საკრალურობისა და სოლიდარობის მწარმოებელი ის ასპექტები, რომლებიც ამ ორ სისტემას გააჩნდა. სწორედ აქ შეგვიძლია დავინახოთ ნაციონალიზმის "რელიგიურობის" წყარო. ბალიბარის (2010) მიხედვითაც, ეროვნული იდენტობის მატარებელი საზოგადოება ერთგვარად განსხვავებული საზოგადოებაა, რომელმაც რელიგიური იდენტობის ფორმები აითვისა და ამგვარად, რელიგიური საზოგადოება ჩაანაცვლა (გვ. 95). რაც შეეხება დინასტიურ მმართველობას, ანდერსონი მისი დასრულების პერიოდად პირველი მსოფლიო ომის დასასრულს მონიშნავს. იგი წერს, რომ "ამ დროიდან, ლეგიტიმური საერთაშორისო ნორმა ერი-სახელმწიფო იყო" (2016, გვ. 113) და ყურადღებას ამახვილებს ორგანიზაცია ერთა ლიგის წარმოშობაზეც (იქვე).

ანდერსონის (2016) მიხედვით, ნაციონალიზმის და აგრეთვე, ერის, როგორც "წარმოსახული საზოგადოების" წარმოქმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბეჭდურმა კაპიტალიზმმა, რომლის განვითარება დაახლოებით XVI საუკუნიდან დაიწყო. ბეჭდურმა კაპიტალიზმმა ხელი შეუწყო ლათინურის, იქამდე ევროპელი ქრისტიანების საკრალური ენის, დაღმასვლას და მის ნაცვლად წინ წამოსწია სალაპარაკო ენები (vernaculars). ბუნებრივია, სალაპარაკო ენებზე ნაბეჭდი წიგნები მომხმარებელთა ბაზარს უფრო ფართოდ მოიცავდა, ვიდრე ლათინურენოვანი წიგნები. ნაბეჭდი წიგნებისა და გაზეთების მასობრივმა წარმოებამ და მოხმარებამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო სალაპარაკო ენების ფიქსირებას და აგრეთვე, მომხმარებლებში თანადროულობისა და ერთიანობის შეგრძნება გააჩინა, რაც "წარმოსახული საზოგადოების" წარმოქმნის საწინდარი გახდა (ანდერსონი, 2016).

ბალიბარი (2010) ხაზს უსვამს, რომ ეთნიკურობის წარმოებაში გადამწყვეტ როლს ორი ფაქტორი ასრულებს, ესენია ენა და რასა. ენის როლის ხაზგასმით ბალიბარი ანდერსონის მოსაზრებას და მის მიერ მოთხრობილ ისტორიას უახლოვდება, თუმცა იგი ასევე ყურადღებას ამახვილებს ერის ფორმირებაში სკოლების როლზე. სკოლის, როგორც ინდივიდის სოციალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტის, განვითარებას ერების ფორმირებასთან მჭიდრო კავშირი აქვს, აგრეთვე, "სასკოლო განათლება მთავარი ინსტიტუტია, რომელიც ეთნიკურობას, როგორც ლინგვისტურ საზოგადოებას აწარმოებს." (გვ. 98). თუმცა ეთნიკურობისა თუ ერის საწარმოებლად საკმარისი მხოლოდ ენა არ არის, რადგან ენა საკმაოდ მოქნილი ფენომენია, ადვილია როგორც "მასში" შემოსვლა/ასიმილირება, ასევე "მისგან" გასვლა და მისი დაკარგვა. ერისა თუ ეთნიკურობის მანიშნებელი მხოლოდ ენა ვერ იქნება, ამის წარმოსაჩენად შეგვიძლია ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ერთსა და იმავე ენებზე სხვადასხვა ერები ლაპარაკობენ. ამიტომ ბალიბარი ითვალისწინებს მეორე კომპონენტს, რასას, რაც ნაციონალისტური იდეოლოგიის მიხედვით გულისხმობს, რომ გარკვეული ხალხის წარმომადგენლებს ერთმანეთთან ნათესაური კავშირი აქვთ და "ერთ დიდ ოჯახს" შეადგენენ (ბალიბარი, 2010).

ანდერსონიც (2016) ხაზს უსვამს სკოლისა და განათლების სისტემის მნიშვნელობას კოლონიური ნაციონალიზმების ფორმირებაში. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე განათლების სისტემას კოლონიებში იმპერიები თავიანთი "ოფიციალური ნაციონალიზმის" კონტექსტში ამკვიდრებდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ განათლების სისტემა იმპერიების ენებზე ფუნქციონირებდა. იმპერიები ამგვარად თავიანთვის საჭირო ორენოვანი კლერკებისა და ბიუროკრატიის გამოზრდას უზრუნველყოფდნენ. მიუხედავად ამ იმპერიული განათლებისა, განათლების სისტემა გამოცდილებების უნივერსალიზაციას, აგრეთვე, სხვადასხვა რეგიონების მაცხოვრებელი მოსწავლეების/ სტუდენტების ურთიერთგადაკვეთას და შეხვედრებს უზრუნველყოფდა, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო იმას, რომ ამ განათლების სისტემის აღზრდილებმა თავი ერთ "წარმოსახულ საზოგადოებად", ერთ ერად იგრძნეს.

ანტონიო გრამში (1992) თავის "ციხის დღიურებში" წერს, რომ მმართველი კლასები კულტურულ და პოლიტიკურ ჰეგემონიას ახორციელებენ სახელმწიფოსა და

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით. ბურჟუაზიის ხელში სახელმწიფო არ არის მხოლოდ რეპრესიული აპარატი და განმანათლებლურ, "ცივილიზაციურ" ფუნქციას იძენს. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება ანათლებენ და აწარმოებენ გარკვეული ტიპის მოქალაქეებს, ავრცელებენ გარკვეულ იდეოლოგიებს და გარკვეული ტიპის სუბიექტურობას. ეს კულტურული და პოლიტიკური ჰეგემონია ნიშნავს, რომ მმართველი კლასები მოიპოვებენ "თანხმობას" მართულთათაგან, მიუხედავად იმისა, რომ მმართველობა ამ უკანასკნელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ ხორციელდება. ამრიგად, ნაციონალიზმის გავრცელება და დამკვიდრებაც შეგვიძლია კულტურული და პოლიტიკური ჰეგემონიის ფორმად განვიხილოთ: სახელმწიფო განათლების სისტემის, მედიის და სხვა საშუალებებით ავრცელებს შესაბამის იდეებს, რომელიც შემდეგ სხვადასხვა ფორმით გათავისებული ხდება დაბალი სოციალური კლასების მიერ. ამგვარად სახელმწიფო აწარმოებს ჰეგემონურ ნაციონალიზმს და იღებს თანხმობას მართულებისგან.

რომ შევაჯამოთ, ერი ერთგვარი კონსტრუქტი, "წარმოსახული საზოგადოებაა". ნაციონალიზმი იდეოლოგიაზე მეტად რელიგიის მსგავს მოვლენად, "მოდერნულ რელიგიად" განიხილება, რომელმაც წინა პერიოდის საკრალური ფენომენები, მათ შორის რელიგიური საზოგადოება ჩაანაცვლა. "წარმოსახული საზოგადოებების" ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ენებმა და რასის კონცეპტმა. ენების ფიქსირებას და საერთო ენის წარმოქმნას ხელი შეუწყო ბეჭდურმა კაპიტალიზმმა და ნაბეჭდი პროდუქციის (წიგნების, გაზეთების) მასობრივმა მოხმარებამ, თუმცა ერისა და ნაციონალიზმის წარმოქმნაში ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოების და მათ მიერ შექმნილი მოდერნული განათლების სისტემების როლი. გრამშის (1992) მიხედვით, თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო წინა ფორმებისგან სწორედ თავისი "განმანათლებლური" ფუნქციით გამოირჩევა. მმართველი კლასები განათლებისა და თავიანთი იდეოლოგიის გავრცელებით კულტურულ და პოლიტიკურ ჰეგემონიას ახორციელებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მართულთათაგან მართვაზე "თანხმობას" იღებენ. შესაბამისად, ეს თეორია ნაციონალიზმის გავრცელებისა და დამკვიდრების მიზეზსაც გვიხსნის.

1.1.2. მასკულინობები და ჰეგემონური მასკულინობა

რეივინ კონელის (2005) მიხედვით, მასკულინობა და ფემინურობა გენდერული პრაქტიკის კონფიგურაციები, ან უფრო დინამიურად რომ ითქვას, გენდერული პროექტებია (გვ. 72). ეს გენდერული პროექტები თავისთავად ურთიერთმიმართებადია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასკულინობა მხოლოდ ფემინურობასთან მიმართებით და მასთან შეპირისპირებაში არსებობს (კონელი, 2005, გვ. 68). კონელის მიხედვით, თანამედროვე (დასავლური) მასკულინობის არსს სწორედ ეს შეპირისპირება შეადგენს (იქვე).

კონელი გენდერის სტრუქტურის ერთ-ერთ ასპექტად გამოყოფს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, სადაც მთავარი ღერძი ქალების დაქვემდებარება და კაცების დომინაციაა, ანუ ის, რასაც ფემინისტებმა "პატრიარქატი" უწოდეს (2005, გვ. 74).

კონელი (2005) იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ არსებობს არა ერთი, არამედ რამდენიმე ტიპის მასკულინობა. იგი ქმნის თეორიულ ჩარჩოს, სადაც გამოყოფს ჰეგემონურ, კომპლიციტურ, დაქვემდებარებულ და მარგინალიზებულ მასკულინობებს. ჰეგემონური მასკულინობის კონცეპტის შესაქმნელად კონელი გრამშის ჰეგემონიის ცნებას სესხულობს და ჰეგემონურ მასკულინობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: "გენდერული პრაქტიკის კონფიგურაცია, რომელიც განასხეულებს ამჟამად მიღებულ პასუხს პატრიარქატის ლეგიტიმურობის პრობლემაზე; [პატრიარქატის] რომელიც კაცების დომინანტურ პოზიციას და ქალების დაქვემდებარებას უზრუნველყოფს (ან იგულისხმება, რომ უზრუნველყოფს)." (2005, გვ. 77). ჰეგემონური მასკულინობა შესაძლოა ყოველთვის ინსტიტუციურ ძალაუფლებასთან არ იყოს კავშირში და უფრო მეტიც, ჰეგემონურ მასკულინობას შეიძლება უფრო წარმოსახვითი ფიგურები წარმოადგენდნენ, ვიდრე რეალური კაცები. მიუხედავად ამისა, კონელი ხაზს უსვამს, რომ ჰეგემონურ მასკულინობას ინსტიტუციურ ძალაუფლებასთან კოლექტიური ბმა მაინც უნდა ჰქონდეს და რომ "ბიზნესის, ჯარისა და მთავრობის უმაღლესი დონეები კორპორატიული მასკულინობის საკმაოდ დამაჯერებელ წარმოჩენას გვთავაზობენ." (2005, გვ. 77). კონელი (1991) ასევე წერდა, რომ ჰეგემონური მასკულინობის იდეალი რეალურ მამაკაცთა უმრავლესობას არ ასახავს და მართალია,

ჰეგემონური მასკულინობის მატარებელი მამაკაცი უფრო წარმოსახვის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე რეალურ სოციალურ სამყაროს, მაგრამ ჰეგემონური მასკულინობის საჯარო იმიჯი ინარჩუნებს მასკულინური ელიტების ძალაუფლებას და მხარდაჭერილია კაცების უმრავლესობის მიერ. ჰეგემონური მასკულინობის მიღებული "თანხმობის" მიზეზია ის, რომ "კაცების დიდი უმრავლესობა სარგებელს იღებს ქალთა სუბორდინაციისგან და ჰეგემონური მასკულინობა ამ ძალაუფლების კულტურული გამოხატულებაა." (კონელი, 1991, გვ. 185). აღსანიშნავია ჰეგემონური მასკულინობის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი: "იგი ჰეტეროსექსუალურია, გადაჯაჭვულია ქორწინების ინსტიტუტთან", "[აგრეთვე] ჰომოსექსუალ კაცთა მიმართ ზიზღი." (კონელი, 1991, გვ. 186).

საკმაოდ ცოტაა იმ რეალურ კაცთა რიცხვი, ვინც ჰეგემონურ მასკულინობას განასახიერებს, თუმცა გაცილებით მეტნი არიან კაცები, რომლებიც ჰეგემონურ მასკულინობისგან სარგებელს, პატრიარქალურ დივიდენდს იღებენ. ეს მათ ჰეგემონური მასკულინობის მიმართ კომპლიციტურად (თანამონაწილედ) ხდის. კონელი წერს, რომ კომპლიციტური კაცები პატრიარქატისგან სარგებელს იღებენ ისე, რომ არ დგანან მის დასაცავად წინა რიგებში. ეს ნიშნავს, რომ კომპლიციტური კაცები დისტანცირებულნი არიან აგრესიისა და ძალადობისგან, მათ შორის პირად ცხოვრებაშიც, სადაც მათ შეიძლება ქალებთან გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა ახასიათებდეთ (კონელი, 2005).

კონელი აღნიშნავს, რომ პატრიარქატში კაცების გარკვეული ჯგუფები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში არიან. ის ასეთ ჯგუფად გამოყოფს გეი/ ჰომოსექსუალ კაცებს, რომლებიც მისი აზრით, ჩაგვრის გამო კაცებში გენდერული იერარქიის ქვედა საფეხურზე ექცევიან (2005, გვ. 78). გეიდ ყოფნა ასოცირებული და ასიმილირებულია ფემინურობასთან და სიმბოლურად გამორიცხულია ჰეგემონური მასკულინობისგან. ფემინურობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან გეი კაცების გარდა დაქვემდებარებულთა ჯგუფს ქმნიან სხვა ფემინური კაცებიც.

მარგინალიზებული მასკულინობის ცნება სცდება გენდერული წესრიგის შინაგან მიმართებებს და მოიცავს კავშირებს სხვა სტრუქტურებთან, როგორიცაა კლასი და რასა (კონელი, 2005, გვ. 80). აქ ხაზი უნდა გავუსვათ თეთრკანიანი კაცების დომინანტურ

პოზიციას. მართალია, კონელი ამ მოვლენას აშშ-ს მაგალითზე განიხილავს, მაგრამ შეგვიძლია იგივე გლობალურ დონეზეც განვიხილოთ. ასევე აღსანიშნავია, რომ არათეთრკანიანთა კულტურულად დაქვემდებარებული პოზიცია ხშირად გადაჯაჭვულია ეკონომიკურად დაქვემდებარებულ და დაბალ კლასობრივ პოზიციებთან.

ამრიგად, კონელის თეორიულ ჩარჩოში მოცემულია მასკულინობის ოთხი ტიპი: ჰეგემონური, კომპლიციტური, დაქვემდებარებული და მარგინალიზებული. ჰეგემონური მასკულინობის საშუალებით ხდება კაცების კოლექტიური ძალაუფლებისა და მათ მიერ ქალთა დაქვემდებარების შენარჩუნება. ჰეგემონური მასკულინობის ტიპი რეალობაში იშვიათად თუ გვხვდება, მაგრამ ეს იდეალი მხარდაჭერილია კაცების უმრავლესობის მიერ, მათ შორის იმ კაცების მიერაც, რომლებიც ჰეგემონური მასკულინობის გამო იჩაგრებიან ან/და მისგან ნაკლებ სარგებელს იღებენ (დაქვემდებარებული და მარგინალიზებული მასკულინობების წარმომადგენლები).

1.1.3. ძალაუფლების სტრუქტურალისტური და პოსტსტრუქტურალისტური თეორიები და ჰეგემონური მასკულინობა

სტივენ უაითჰედი (2008) წერს, რომ ისეთი ცნებები, როგორიცაა “პატრიარქატი” და “ჰეგემონური მასკულინობა”, ძალაუფლების სტრუქტურალისტური თეორიის ნაწილია. ამ თეორიებში ძალაუფლება წარმოდგენილია, როგორც იერარქიული, გარკვეული ჯგუფების/ინდივიდების კუთვნილებაში და ამკრძალავი (ნეგატიური). ამრიგად, პატრიარქატისა და ჰეგემონური მასკულინობის თეორიები ხაზს უსვამს ჰეტეროსექსუალი კაცების სტრუქტურულ და ინსტიტუციურ დომინირებას და ძალაუფლების კონცენტრირებას მათ ხელში. გარდა ამისა, ჰეტეროსექსუალი კაცები მოაზრებულნი არიან, როგორც წინასწარგანმზრახველი სუბიექტები, რომლებიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ან/და შენარჩუნებას ცდილობენ. გარდა ამისა, ამ თეორიების ნაკლოვანებად შეიძლება განხილული იყოს ის, რომ სტრუქტურაზე გაკეთებული აქცენტის გამო ისინი აგენტობისა და წინააღმდეგობის შესაძლებლობებს/ პრაქტიკებს ყურადღების მიღმა ტოვებენ (უაითჰედი, 2008).

მეორე მხრივ, პოსტსტრუქტურალისტური თეორია ძალაუფლებას არა იერარქიულად, არამედ ცენტრის გარეშე და წრიულად წარმოადგენს. უაითჰედი ამ მიდგომის განხილვისას ძირითადად მიშელ ფუკოს თეორიას ეყრდნობა, სადაც ძალაუფლება დისკურსულია, ძალაუფლებას ახორციელებენ და არ ფლობენ და ძალაუფლებას აუცილებლად თან ახლავს წინააღმდეგობა (უაითჰედი, 2008) "სადაც ძალაუფლებაა, იქ წინააღმდეგობაა, თუმცა, ან უფრო სწორად, შესაბამისად, ეს წინააღმდეგობა ძალაუფლების გარეთ არასდროს დგას." (ფუკო,1978, გვ. 95). გარდა ამისა, ამ თეორიაში ძალაუფლებას აქვს არა მხოლოდ ამკრძალავი, არამედ მწარმოებლური მხარეც, შესაბამისად, ძალაუფლების ან/და წინააღმდეგობის სუბიექტები დისკურსულად არის წარმოებული. აქ არ არსებობს "პრედისკურსული" სუბიექტი, რომელიც ძალაუფლებას ფლობს და მას გაცნობიერებულად ინარჩუნებს (უაითჰედი, 2008). უაითჰედი წერს, რომ სტრუქტურალისტური და პოსტსტრუქტურალისტური თეორიის შეთანხმება შეუძლებელია (2008, გვ. 103) და თუ მის ინტერპრეტაციებს სრულად გავიზიარებთ, ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს. თუმცა უაითჰედის გაკრიტიკება შესაძლებელია შემდეგი არგუმენტებით:

1. უაითჰედი გვთავაზობს, რომ მასკულინობის ანალიზისთვის ფუკოს თეორია (უაითჰედის ინტერპრეტაცია) გამოვიყენოთ, თუმცა ბუნდოვანი რჩება, როგორ უნდა განვიხილოთ ქალებსა და კაცებს შორის, მასკულინობას და ფემინურობას ან მასკულინობებს შორის მიმართებები იმგვარი ჩარჩო-კონცეპტების გარეშე, როგორიც "პატრიარქატი" ან "ჰეგემონური მასკულინობაა". ნიშნავს ეს იმას, რომ სრულად უნდა გამოვრიცხოთ ანალიზიდან ინსტიტუციური ძალაუფლება ან სიმბოლური კაპიტალი/ძალაუფლება? რით შეიძლება დასაბუთდეს ეს გამორიცხვა? ამ შემთხვევაში სოციალური სფერო თითქოს თავისუფლად მოფარფატე დისკურსების მიერ შედგენილად წარმოგვიდგება, სადაც დომინანტური დისკურსის იდეაც საფუძველგამოცლილი და არასტაბილურია და თითქოს ნებისმიერი დისკურსი ნებისმიერ დროს შემთხვევითობის, მხოლოდდამხოლოდ დისკურსული თამაშის, შედეგად შეიძლება გახდეს დომინანტური.
2. უაითჰედი აღიარებს, რომ პატრიარქატისა და ჰეგემონური მასკულინობის ცნებები ერთმანეთისგან განსხვავდება. ჰეგემონური მასკულინობის ცნება/თეორია უფრო

მოქნილია, რადგან ის აღიარებს განსხვავებული მასკულინობებისა და პრაქტიკების არსებობას, აგრეთვე, კაცების დომინაციას წარმოიდგენს არა მყარ, ჰომოგენურ სტრუქტურად, არამედ სივრცედ ორაზროვნებისა და ცვლილებებისთვის. მიუხედავად პატრიარქატისა და ჰეგემონური მასკულინობის ცნებებს შორის ამ განსხვავებების აღიარებისა, უაითჰედი ორივეს ერთნაირად მკაცრ სტრუქტურალისტურ ჩარჩოში ათავსებს და ყურადღებას არ უთმობს აგენტობის თეორეტიზირების იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ჰეგემონური მასკულინობის ცნება/თეორია ხსნის.

3. არსებობს სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის შერწყმის ცნობილი მაგალითები. მაგალითად, ასეთია ედვარდ საიდის (2003) "ორიენტალიზმი", სადაც ავტორი ძალაუფლებას იერარქიულად განიხილავს. ძალაუფლების ცენტრი დასავლეთია, მაგრამ ძალაუფლება ასევე განხილულია დისკურსულად (ფუკოს თეორიის მიხედვით) და დასავლეთი სწორედ დისკურსის საშუალებით ქმნის, აწარმოებს და მართავს "ორიენტს" (აღმოსავლეთს).

მოცემული კვლევაც სტრუქტურალისტური და პოსტსტრუქტურალისტური მიდგომების შერწყმის მცდელობა იქნება. კვლევა შეინარჩუნებს ინსტიტუციური ძალაუფლებისა და კაცების დომინაციის ცნებებს. ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის იდეები განხილული იქნება დისკურსულად წარმოებულად, რასაც ზურგს უმაგრებს ინსტიტუციური ბაზისი. ამ სტრუქტურული მხარის მიუხედავად, დისკურსული წარმოება გარკვეულწილად გამორიცხავს ძალაუფლების მპყრობელ ცნობიერ და სტაბილურ აქტორებს და ტოვებს ადგილს აგენტობის, წინააღმდეგობისა და ცვლილების წარმოდგენისთვის.

1.1.4. ნაციონალიზმი და ჰეგემონური მასკულინობა

რა აკავშირებს ერთმანეთთან ნაციონალიზმს, ერს, ერ-სახელმწიფოს და (ჰეგემონურ) მასკულინობას? ამაზე პასუხის გაცემას ცდილობენ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ტოდ რიზერი და ჯონ ნეიგელი.

რიზერი (2010) წერს, რომ ერის შენებაში ტრადიციულად კაცები მონაწილეობდნენ და ლიდერებიც უფრო ხშირად კაცები იყვნენ. ლიდერის გენდერი ერის იმიჯს უკავშირდება და ამიტომ ნორმატიული მასკულინობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ლიდერის გენდერით ან/და სექსუალობით მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად მასკულინური ან ფემინურია ერი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. რიზერი ნაციონალიზმისა და მოდერნული მოქალაქეობის ფესვებზეც საუბრობს, რასაც თავიდანვე კაცების ჰომოსოციალურობის ფორმა ჰქონდა: კაცების ჯგუფებისთვის ერი ხდებოდა სურვილის საერთო (ფემინური) ობიექტი, რომლის გარშემოც ისინი ერთიანდებოდნენ. გარდა ამისა, ერი ასევე შეიძლება წარმოსახული იყოს, როგორც მხოლოდ კაცებისგან შემდგარი ერთობა, რისი განსახიერებაც შეიძლება მხოლოდ კაცებისგან შემდგარი (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ასეთი) არმია გახდეს (რიზერი, 2010).

გარდა ამისა, რიზერი აღნიშნავს, რომ ეროვნებაც და მასკულინობაც იდეოლოგიური და დისკურსულად წარმოებული სუბიექტურობის ფორმებია. “ამ კონსტრუქტებისთვის დისკურსი ცენტრალურია: ისევე როგორც კაცის სუბიექტურობებია დისკურსული, ერიც დისკურსში და მისი საშუალებით აიგება, განსაკუთრებით, პოლიტიკური დისკურსის (საჯარო გამოსვლები, სამთავრობო დოკუმენტები, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები და ა.შ.) საშუალებით.” (რიზერი, 2010, გვ. 177). ერი/ეროვნება და გენდერი/მასკულინობა იდეოლოგიურად ერთმანეთს ეხმარებიან და ხელს უწყობენ ერთმანეთის “ბუნებრივად” წარმოდგენას. მასკულინობა და ნაციონალიზმი იმდენად ურთიერთგადამკვეთი და ურთიერთშემავსებელია, რომ შეუძლებელია გამოვყოთ, რომელი მათგანია პირველი და უპირატესი. “ერი ქმნის მასკულინობას და ამავდროულად, მასკულინობა ქმნის ერს.” (რიზერი, 2010, გვ. 178).

მასკულინობის მსგავსად, ჰეტეროსექსუალობასაც მჭიდრო კავშირი აქვს ერთან. ერი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ჰეტეროსექსუალი წყვილებისგან შედგენილად ან ჰეტეროსექსუალური სურვილის ველში. ნაციონალისტური იდეოლოგია ასევე ჩვეულებრივ ტრადიციულ ქორწინებას და კონსერვატიულ ოჯახურ ღირებულებებს ქადაგებს (რიზერი, 2010, გვ. 178).

ჯონ ნეიგელი (1998) ციტირებს სინტია ენლოს, რომლის მიხედვითაც ნაციონალიზმი ტიპური მასკულინური მოვლენაა და ქალებს იქ მეორეხარისხოვანი და ხშირად სიმბოლური როლი აქვთ. "ნამდვილი აქტორები კაცები არიან, რომლებიც თავიანთ თავისუფლებას, თავიანთ ღირსებას, თავიანთ სამშობლოს და თავიანთ ქალებს იცავენ." (ნეიგელი, 1998, გვ. 244). ნეიგელი ასევე ხაზს უსვამს, რომ ნაციონალიზმი მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებთან, სახელმწიფო ინსტიტუტები კი ტრადიციულად კაცების მიერ არის დომინირებული, მეტიც, "ნაციონალური სახელმწიფო არსებითად მასკულინური ინსტიტუტია." (1998, გვ. 251). "ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ჰეგემონური მასკულინობის კულტურა და იდეოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ჰეგემონური ნაციონალიზმის კულტურასა და იდეოლოგიასთან." (ნეიგელი, 1998, გვ. 248-249). ნეიგელი ასევე აღნიშნავს, რომ დასავლური მასკულინობის მოდერნული ფორმა იმავე დროსა და სივრცეში წარმოიშვა, რომელშიც მოდერნული ნაციონალიზმი (გვ. 249).

ნეიგელის (2003) მიხედვით, ნაციონალისტური პოლიტიკა მასკულინობის განხორციელების მნიშვნელოვანი არეალია, რადგან: ა) როგორც ითქვა, ნაციონალური სახელმწიფო მასკულინური ინსტიტუტია; ბ) ნაციონალისტური კულტურა კარგად შეესაბამება მასკულინურ კულტურულ თემებს. მაგალითად, ტერმინებს "ღირსება", "პატრიოტიზმი", "სილაჩრე", "სიმამაცე" და "მოვალეობა" რთულია ან მხოლოდ ნაციონალისტური ვუწოდოთ ან მხოლოდ მასკულინისტური, რადგან ორივესთან მჭიდრო კავშირშია (ნეიგელი, 2003, გვ. 160).

რომ შევაჯამოთ, ნაციონალიზმისა და მოქალაქეობის, როგორც მოდერნული მოვლენების შექმნაში, თავიდანვე კაცები მონაწილეობდნენ. ნაციონალიზმი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კაცების ჰომოსოციალური გაერთიანების შემოქმედებად. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ერი, როგორც "წარმოსახული საზოგადოება" შესაძლოა მხოლოდ კაცებისგან შედგენილადაც იყოს წარმოდგენილი. აგრეთვე, ბუნებრივია, რომ ერის ლიდერების როლებს ძირითადად კაცები ირგებენ. ნაციონალიზმში ქალი მეორეხარისხოვანი ან/და სიმბოლური აქტორია. ერი-სახელმწიფო, როგორც ნაციონალიზმის განხორციელების მთავარი ინსტიტუტი, ასევე ტრადიციულად კაცების მიერ არის დომინირებული. ამრიგად, დღესდღეობით ნაციონალიზმი არის ის მოვლენა,

რომელიც ერთგვარად უზრუნველყოფს კაცების ინსტიტუციურ ძალაუფლებას და ქმნის ბაზისს ჰეგემონური მასკულინობის წარმოებისთვის.

1.1.5. ნაციონალიზმი, ჰეგემონური მასკულინობა და "სხვა"

ნირა იუვალ-დევისი წერს, რომ რომ ყველა საზოგადოების კულტურისთვის დამახასიათებელია "სხვების" (others) სახე-ხატები და წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცე მათ" (2004, გვ. 47). მართალია, როგორც ანდერსონი (2016) წერს, "წარმოსახული საზოგადოებები" "ჰორიზონტალურ ამხანაგობად" წარმოიდგინება, რომელიც გენდერულ, კლასობრივ და სხვა განსხვავებებს შლის, მაგრამ სინამდვილეში, ერის ფარგლებში ეს განმასხვავებელი ნიშნები "სხვად" მონიშვნის საფუძველი ხდება (იუვალ-დევისი, 2004, გვ. 47).

იუვალ-დევისის აზრით, ქალებს ერში ამ კუთხით ამბივალენტური პოზიცია უჭირავთ. ქალები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ ერის სიმბოლოდ ან ღირსებად, რომელიც კაცებმა უნდა დაიცვან, მაგრამ მეორე მხრივ, ერისა და ნაციონალიზმის კონტექსტში ქალს ობიექტის როლი აქვს და არა სუბიექტის და ამიტომ იგი "სხვად" მოინიშნება.

გენდერის გარდა, კულტურული და ნაციონალური "სხვის" კონსტრუირების საფუძველს ეთნიკურობა, რასა, რელიგია და სხვა განმასხვავებელი ნიშნები შეადგენს. "სხვის" აგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა რასიზმი. რასისტულ დისკურსში განსხვავების მთავარი აღმნიშვნელი კანის ფერია. დასავლურ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა "თეთრს" და "შავს" შორის დაპირისპირებამ შეიძინა. ამ ბინარულ ოპოზიციაში უპირატესი "თეთრია". ვინ არის "თეთრი" და ვინ არის "შავი"? ეს მუდმივი კულტურული ბრძოლის საგანია, სადაც კანის ფერი პირობითი და არასტაბილური ნიშანია. ეს განაპირობებს იმას, რომ "შავობა" შეიძლება მიეწეროთ ღია ფერის კანის მქონე ჯგუფებსაც, მაგალითად, ებრაელებს. დასავლურ კულტურულ კონტექსტში "შავი" და "შავობა" ბოროტებასთან, სიბინძურესთან, სიბილწესთან არის ასოცირებული, რაც თავის მხრივ, შეადგენს და ლეგიტიმაციას აძლევს რასისტულ იდეოლოგიას (იუვალ-დევისი, 2004).

გარდა ამისა, რასიალიზებული "სხვა" განიხილება ველური და საშიში სექსუალობის მქონედ. მაგალითად, "სხვა"/მარგინალიზებული კაცების სექსუალობა ხშირად წარმოიდგინება უპირატესი რასის/ეთნოსის ქალებისთვის საფრთხის შემცველად; "სხვა" არის ის, ვინც აუპატიურებს თეთრ ქალებს. იმპერიულ-კოლონიურ ურთიერთობებში დასავლელი კაცები და ქალები ასევე ხშირად უშუალო სექსუალური კავშირებით განსაზღვრავენ დაქვემდებარებული რასების წარმომადგენელთა სექსუალობას. ეს სექსუალობა და სექსუალური კავშირები იერარქიული და ექსპლუატაციურია დასავლელთა სასარგებლოდ, თუმცა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა – პროსტიტუციის, ქორწინების ან მცირეხნიანი კავშირების (იუვალ-დევისი, 2004). მეორე მხრივ, რიზერის (2010) მიხედვით, "სხვა" ერები წარმოიდგინება არამასკულინურად, რაც ნიშნავს როგორც ფემინურობას, ასევე სექსუალურ ქვიარობასაც. ამის გათვალისწინებით, რასისტული დისკურსის სხვადასხვა განვითარებაში "სხვა" ერი/ ეთნოსი/რასა შეიძლება ფიგურირებდეს ერთდროულად როგორც აგრესიული და საშიში მასკულინური სექსუალობის მქონე და აგრეთვე, როგორც ფემინური გენდერისა და (პასიური) გეი სექსუალობის მატარებელი.

აღსანიშნავია, რომ იუვალ-დევისი გენდერული, სექსუალური და რასიალიზებული "სხვის" კონსტრუირების შესახებ დასავლური, იმპერიალისტური ნაციონალიზმის პოზიციიდან საუბრობს. აქ ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის დისკურსები "სხვის" კონსტრუირებისას ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში, "სხვა" წარმოდგენილია როგორც ქალი ან/და ფემინური კაცი, ქვიარი და "დაბალი" რასის/ეთნოსის წარმომადგენელი. ამდენად, სექსიზმი, ჰომოფობია და რასიზმი ჰეგემონური ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თუმცა დასავლური ნაციონალიზმისთვის "სხვა", რომელიც გენდერულად, სექსუალურად და რასობრივად დაბალ საფეხურზე დგას, აუცილებლად "აღმოსავლეთია". ედვარდ საიდმა (2003) წიგნი დაწერა იმის შესახებ, თუ როგორ ახდენდა დასავლეთი თავისი კოლონიების "სხვად" კონსტრუირებას, მათ ორიენტალიზაციას. შემდგომში კოლონიები დამოუკიდებელი ერი-სახელმწიფოები გახდნენ, თუმცა დასავლეთი მათ ამჯერად ნეოკოლონიური პოლიტიკით მართავს და კვლავ განაგრძობს მათ ორიენტალიზაციას. ამ ფონზე საკითხავია, როგორ

კონსტრუირდება “სხვა” პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის კონტექსტში და რა მნიშვნელობას იძენს აქ რასა, გენდერი და სექსუალობა.

1.2. ნაციონალიზმი, მასკულინობა და ნაციონალური “სხვა”: ქართული კონტექსტის კვლევები

პოსტსაბჭოთა საქართველოში ნაციონალიზმისა და მასკულინობის განვითარებას, აგრეთვე ნაციონალური “სხვის” წარმოებას მიმოვიხილავ რამდენიმე კვლევის საფუძველზე, რასაც შემდეგ ჩემი კვლევის ფარგლებში უფრო განვავრცობ და სიღრმისეულად შევისწავლი პირველად წყაროებზე დაყრდნობით. ამ თავში კი შევეხები სტივენ ჯონსის (2013), ეკატერინე აღდგომელაშვილის (2013; 2016), მაია ტაბიძისა და აია ბერაიას (2016), ოთარ კობახიძის (2016) ნაშრომებს.

დასაწყისისთვის მოკლედ შევაჯამებ ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 2012 წლამდე. ეს ის პერიოდია, რომლის შესახებაც სტივენ ჯონსი (2013) თავის წიგნში მოგვითხრობს. ეს ისტორია მოიცავს ქართული სახელმწიფოს სამ პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძეს და მიხეილ სააკაშვილს.

გამსახურდია იყო ქართული ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც 1980-იან წლებში ჯერ ისევ საბჭოთა კავშირის ფარგლებში დაწინაურდა. 1990 წელს ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ გამსახურდია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ – პრეზიდენტი. მაგრამ მის ძალაუფლებას ბოლო მოუღო 1991 წლის ბოლოს დაწყებულმა სამოქალაქო ომმა, რომლის დროსაც პრეზიდენტი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. გარდამავალ პერიოდში ძალაუფლება ხელში სამხედრო საბჭომ ჩაიგდო, რომელსაც ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას ტრიუმვირატი მართავდა. 1992 წლის მარტში მათი მოწვევით საქართველოში ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა ქვეყნის

მართვას. 1992-1995 წლები ერთგვარი გარდამავალი პერიოდი იყო – მთავრობა შევარდნაძის ხელმძღვანელობით ომთან, ქაოსთან და ეკონომიკურ კოლაფსთან გამკლავებას ცდილობდა. 1995, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და შევარდნაძის პრეზიდენტად არჩევის წელი, შეგვიძლია შედარებითი ეკონომიკური სტაბილიზაციისა და ინსტიტუციური მშენებლობის დასაწყისად გამოვყოთ. მომდევნო გარდამტეხი პერიოდი 2003 წლის ნოემბრიდან, ე.წ. ვარდების რევოლუციიდან იწყება. ქვეყნის სათავეში სააკაშვილი და მისი გუნდი მოვიდა. ახალი მთავრობის პოლიტიკა იყო მოდერნიზაცია, კორუფციასთან ბრძოლა და ეკონომიკური ლიბერალიზმის დანერგვა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირებას, მზარდ პრივატიზაციას და დერეგულაციას გულისხმობს. ამგვარმა ზომებმა შეზღუდა მოქალაქეთა წვდომა განათლებასა და ჯანდაცვაზე, გამოიწვია მათი შრომითი უფლებების უგულებელყოფა და შრომით ექსპლუატაციაზე დაქვემდებარება. ყველაფერმა ერთად კი გაზარდა სოციალური უთანასწორობა (ჯონსი, 2013). მოვლენების ამგვარმა განვითარებამ დაძაბა ურთიერთობები მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის, რაც პიკს აღწევდა სხვადასხვა კრიზისულ პერიოდებში (მაგალითად, 2007 წლის ნოემბრის კრიზისი). ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენები იყო აგრეთვე 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი და 2012 წლის ციხის სკანდალი, რასაც არჩევნებში სააკაშვილის "ნაციონალური მოძრაობის" დამარცხება და ბიძინა ივანიშვილისა და მისი "ქართული ოცნების" გამარჯვება მოყვა.

როგორ იწარმოებოდა დროის ამ მონაკვეთებში ერისა და მასკულინობის დისკურსები? ვინ იყო "ნაციონალური" სხვა? რა როლს ასრულებდა ანტიიმპერიალისტური და პროდასავლური ნაციონალისტური დისკურსები? როგორ გამოიხატებოდა ეს ყველაფერი ხსენებული ლიდერების დისკურსებში?

1.2.1. ანტიიმპერიალისტური და პროდასავლური დისკურსები და "სხვის" წარმოება პოლიტიკურ ისტორიაში

ჯონსი (2013) წერს, რომ გამსახურდიას პერიოდში მტრად/"სხვად" ცხადდებოდა ერთი მხრივ საბჭოთა კავშირი, თუმცა ასევე დასავლეთი. ქვეყნის შიგნით კი "სხვები" იყვნენ

კომუნისტები, “წითელი ინტელიგენცია” და ეთნიკური უმცირესობები. უკანასკნელ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა დაყოფა “მკვიდრ” და “არამკვიდრ” მოსახლეობად. ეს იერარქიზაცია და პრივილეგიების შესაბამისი განაწილება საბჭოთა კავშირის დამკვიდრებული იყო, თუმცა გამსახურდიამ ეს თავის ნაციონალისტურ პროექტს მოარგო, რამაც “არამკვიდრი” მოსახლეობა, მაგალითად, სომხები და ოსები, დამოუკიდებელ საქართველოში, ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა (ჯონსი, 2013).

მეორე მხრივ, გამსახურდია ხაზს უსვამდა ჰეროიკული ქართველი კაცის მნიშვნელობას, რომელიც გამოირჩევა პატრიოტიზმით, სამშობლოსთვის თავდადებით და თავგანწირვით, სამაგალითო ქრისტიანობით. გამსახურდია განადიდებდა ქართულ ენას, ხაზს უსვამდა ეკლესიისა და ქრისტიანობის მნიშვნელობას ქართული იდენტობისთვის, აკავშირებდა ქართველებს უძველეს ევროპულ კულტურებთან (ჯონსი, 2013).

ამ წყაროზე დაყრდნობით, ერთი მხრივ, გამსახურდიას დისკურსი მკვეთრად ანტიიმპერიალისტურია და უპირისპირდება როგორც საბჭოთა კავშირს/რუსეთს, ისე დასავლეთს, თუმცა ამავდროულად, მეტად იზოლაციონისტურია. ამ დისკურსში მუდმივად მატულობს “სხვების” კატეგორიები, აგრეთვე, არ ჩანს თანაგრძნობა და სოლიდარობა სხვა ერებისა და ეთნოსების მიმართ, რომელთაც ასევე ჩაგრავდნენ იმპერიები. პირიქით, ამ შემთხვევაში ხაზი ესმება ქართველი ერის განსაკუთრებულობას და იმას, რომ საჭიროა ერის გამიჯვნა და დაცვა “სხვებისგან”. ქართული მასკულინობის მთავარ მახასიათებლებად კი მიჩნეულია პატრიოტიზმი და ქრისტიანობა.

საინტერესოა, რომ შემდგომ პერიოდში “სხვა” თავად გამსახურდია ხდება. გამსახურდიას იზოლაციონიზმისა და აგრესიული შიდა კონფრონტაციის საპირისპიროდ, შევარდნაძის დისკურსში აქცენტი კეთდებოდა წესრიგზე, მშვიდობაზე, შეთანხმებასა და შერიგებაზე. გამსახურდიას მწვავე ანტიიმპერიალიზმისგან (მათ შორის ანტიდასავლურობისგან) განსხვავებით, ამ პერიოდში დაიწყო დასავლეთთან დაახლოება. შევარდნაძემ ასევე სცადა მოლაპარაკება რუსეთთან და სეპარატისტებთან,

შემოირიგა და გააერთიანა “წითელი ინტელიგენცია”, ოპოზიცია, სტუდენტები და სხვა (ჯონსი, 2013). ქართველი ერის განსაკუთრებულობის დისკურსი, როგორც ჩანს, დაიკარგა ან უკანა პლანზე გადაინაცვლა.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის გუნდის დიდი ნაწილი მთავრობაში არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორიდან მივიდა. ეს სექტორი განსაკუთრებულად აქტიურობდა შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში და ვარდების რევოლუციის ორგანიზებაც მათვე მიეწერებათ. არასამთავრობოთა პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ისინი ქვეყნის შიგნით მოქალაქეების საჭიროებებზე ფოკუსირების ნაცვლად დასავლელი დონორების მიერ შექმნილ დღის წესრიგს ეყრდნობოდნენ. ეს პოლიტიკა აღნიშნული აქტორების არასამთავრობო სექტორიდან მთავრობაში გადანაცვლების შემდეგაც გაგრძელდა (ჯონსი, 2013). სააკაშვილისა და მისი გუნდის შემთხვევაში ჯონსი ფოკუსირდება ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებაზე, რაც კორუფციასთან ბრძოლასთან ერთად სახელმწიფო დერეგულაციას და დასაქმებულთა უფლებების უგულებელყოფას გულისხმობდა. სააკაშვილი ერთი მხრივ, მინიმალურ რეგულაციებს აწესებდა, მაგრამ მეორე მხრივ, ანტიკორუფციული პოლიტიკა გახდა ბიზნესის ტერორისა და მათგან ჯარიმების ამოღების საფუძველი. გარდა ამისა, სააკაშვილის პერიოდში დაიწყო ან გაძლიერდა სახელმწიფოს შეტევა სამოქალაქო საზოგადოების ისეთ ინსტიტუტებზე, როგორიცაა მედია და პროფკავშირები. მედიაზე სახელმწიფოს კონტროლი გაიზარდა, დაიხურა პოლიტიკური და საგამოძიებო გადაცემები, იყო ჟურნალისტთა დაშინებისა და შევიწროების ფაქტები, ხოლო 2007 წლის ნოემბერში რამდენიმე ტელეკომპანია დაიხურა. სახელმწიფოს მხრიდან შევიწროება, დაპატიმრებები და ქონების ჩამორთმევა შეეხო ასევე პროფკავშირებსაც, რომელთაც სააკაშვილმა “მაფიის ტიპის ორგანიზაცია” უწოდა (ციტირებს ჯონსი, 2013, გვ. 182).

ანტიკორუფციულობა და ინვესტორებზე/დამსაქმებლებზე ორიენტირება იკვეთება დისკურსის დონეზეც. აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად არ მოხდა სოციალური კლასებისა და მათი ინტერესების შესახებ დისკურსის განვითარება. გია ნოდიას მიხედვით, “საზოგადოების დაყოფა საქართველოში უფრო თაობების, განათლების, ენის ცოდნისა (რუსული vs ინგლისური) და საბჭოთა წარსულისადმი დამოკიდებულებით ხდება და არა კლასებისა და ეკონომიკური კატეგორიების

მიხედვით.” (ჯონსი, 2013, გვ. 162). სავარაუდოა, რომ ეს არის იმ პერიოდის დომინანტური პოლიტიკური დისკურსის გამოვლინება.

შესაბამისად, აღნიშნული წყაროს მიხედვით, სააკაშვილის პერიოდში ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის დისკურსები ხდება პროდასავლური, წინ წამოიწევს ანტიკორუფციულობა, თავისუფალი ბაზრის იდეოლოგია, მეორე მხრივ კი სამოქალაქო საზოგადოების კონტროლი და ძლიერი სახელმწიფოს იდეა. “ახალი ქართველი კაცი” არის პროდასავლელი, განათლებული და ინგლისურის მცოდნე, ცივილიზებული და წესიერი მოქალაქე (კორუფციასა და მაფიასთან მებრძოლი), საპირისპიროდ “სხვისა”, რომელიც არამოდერნიზებული, თანამედროვე განათლების არმქონე ან/და “საბჭოთა გადმონაშთია”.

1.2.2. გენდერული და სექსუალური “სხვა”

როგორ აისახება პოლიტიკური ელიტების ნაციონალისტური დისკურსები საზოგადოებაზე? რა ფორმას იძენს “სხვის” გენდერული და სექსუალური ასპექტები და რა კავშირშია ეს ჰეგემონურ მასკულინობასთან? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად რამდენიმე კვლევას მიმოვიხილავ.

აღდგომელაშვილის (2013) მიხედვით, ჰომოფობიური დისკურსი და ჰომოსექსუალების “სხვად” მონიშვნა აქტუალური იყო საბჭოთა კავშირში. 1930-იან წლებში ჰომოსექსუალობას უკავშირებდნენ კონტრრევოლუციონერობას და ანტისაბჭოთა შპიონაჟს, 1960-იანი წლებიდან კი დისიდენტებს “მამათმავლობის” ბრალდებით აპატიმრებდნენ. ამრიგად, ჰომოსექსუალი ფიგურირებდა, როგორც იდეოლოგიურად და სახელმწიფოებრივად უცხო. უფრო ზუსტად, აღდგომელაშვილი (2013) წერს, რომ საბჭოთა პოლიტიკური ელიტები ჰომოსექსუალობას დასავლეთთან აკავშირებდნენ. დასავლეთი აღინიშნებოდა, როგორც ჰომოსექსუალობის წარმოშობის ადგილი და მისი სივრცე. აღდგომელაშვილის აზრით, საბჭოთა ტრადიციული დისკურსის გაგრძელებას წარმოადგენდა ის, რომ მედია უკვე დამოუკიდებელ საქართველოშიც ჰომოსექსუალობას დასავლურ ფენომენად წარმოაჩენდა. შესაბამისად, პოლიტიკურ

დისკურსში ჰომოსექსუალობა მიეკერა პროდასავლურად განწყობილ ძალას, რომელიც გარკვეულ პერიოდში ქვეყნის წარმმართველი ძალა გახდა (როგორც ჩანს, აქ სააკაშვილი და მისი გუნდი იგულისხმება). თუმცა გარდა ამისა, აღდგომელაშვილის (2013) მიხედვით, წინასაარჩევნო პერიოდებში ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენება მატულობს და პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთს "სხვად" მონიშნავენ ჰომოსექსუალად მარკირების საშუალებით. აღდგომელაშვილი არ აკონკრეტებს, რომელი აქტორები და ვის მიმართ იყენებენ ამ ენას, მაგრამ როგორც ჩანს, ჰომოსექსუალის იარლიყი არა მხოლოდ პროდასავლელ პოლიტიკოსებს ერგებათ.

ტაბიძისა და ბერაიას (2016) კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი აქტორი, მართლმადიდებელი ეკლესია ჰომოფობიურ და ჰეტერონორმატიულ დისკურსს აწარმოებენ. ეკლესიის დისკურსში ჰეტერონორმატიულობა ძირითადად ქალებს მიემართება, ხოლო ექსპლიციტური ჰომოფობია – კაცებს. შესაბამისად, "…[კაცების] ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაცია ხდება, როგორც არანორმატიული, ეროვნულ იდენტობასთან შეუსაბამობაში მყოფი მოვლენის." (ტაბიძე & ბერაია, 2016, გვ. 116-117). გარდა ამისა, იმავე კვლევის მიხედვით, ქართულ მედიაში სხვადასხვა აქტორების ჰომოფობიური დისკურსი თანხვედრაშია ანტიდასავლურ დისკურსთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჰომოსექსუალობა დასავლეთთან არის ასოცირებული. ერთი მხრივ, აქ შეიძლება მართლაც ვალიდური იყოს აღდგომელაშვილის (2013) შემოთავაზებული ახსნა, რომ ჰომოსექსუალობისა და დასავლეთის ერთმანეთთან დაკავშირება საბჭოთა მემკვიდრეობის ნაწილია. თუმცა მეორე მხრივ, ტაბიძისა და ბერაიას (2016) კვლევა აჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა რუსული და ქართული ნაციონალისტური დისკურსები სპეციფიკურად კვლავაწარმოებს დასავლეთს და ჰომოსექსუალებს, როგორც "სხვას". ვფიქრობ, ეს დისკურსები უნდა განვიხილოთ ავტონომიურად და თანამედროვე პოლიტიკური ვითარების კონტექსტში და არა ძველი საბჭოთა დისკურსის ინერციულ გაგრძელებად. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ გზა გახსნა გლობალიზაციის, დასავლური პოლიტიკური გავლენისა და ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკისთვის. ეს ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე საქართველოში ლგბტ უფლებებისთვის ბრძოლა სწორედ ამ მოვლენებით ნაკარნახევი წესებით მიმდინარეობს. შესაბამისად, ანტიდასავლურობა და ჰომოფობია/ტრანსფობია (აგრეთვე, მათი დისკურსული

თანხვედრა) შეგვიძლია ანტიიმპერიალისტური (ანტიდასავლური) ნაციონალიზმის კონტექსტში განვიხილოთ.

საინტერესოა ისიც, რომ ჰომოფობიური განწყობების დინამიკის ღირებულებათა მსოფლიო კვლევების მიხედვით, საქართველოში 1990-იან წლებთან შედარებით ჰომოფობიის დონე გაზრდილია (აღდგომელაშვილი, 2016, გვ. 31). აღდგომელაშვილის (2016) კვლევა ცალ-ცალკე ზომავს ჰომოფობიის, ბიფობიისა და ტრანსფობიის დონეებს: ჰომოფობია მაღალია, თუმცა კიდევ უფრო მაღალია ბიფობიისა და ტრანსფობიის დონე. ამგვარად, საზოგადოებას უფრო ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების/გენდერულად არაკონფორმული ადამიანების მიმართ, ვიდრეები გეებისა და ლესბოსელების მიმართ. აღსანიშნავია, რომ კვლევის მიხედვით საზოგადოება "...უფრო ნეგატიურადაა განწყობილი კაცი ბისექსუალების მიმართ, ვიდრე ქალი ბისექსუალების მიმართ" (აღდგომელაშვილი, 2016, გვ. 99), აგრეთვე, "ნეგატიური განწყობები და აგრესიის გამოხატვის მზაობა უფრო ძლიერია გენდერულად არაკონფორმული კაცების, ვიდრე ქალების მიმართ" (გვ. 107). ამასთანავე, ჰომოფობიური, ბიფობიური და ტრანსფობიური განწყობები კაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში.

თუ გავითვალისწინებთ ჰეგემონური მასკულინობის კავშირს ნაციონალიზმთან, თვალსაჩინო ხდება, რომ ნაციონალურ "სხვად" მოინიშნება როგორც ჰომოსექსუალი, აგრეთვე ბისექსუალი და ტრანსგენდერი, თუმცა ბოლო ორის მიმართ ფობია და აგრესია უფრო მაღალია. მასკულინობისა და ნაციონალიზმის როლი კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ფობიისა და აგრესიის მთავარი სამიზნე ბისექსუალი კაცები, გენდერულად არაკონფორმული კაცები და ტრანსგენდერი ქალები არიან, ანუ ის "კაცები" (და არა "ქალები"), რომლებიც დაშორებულნი არიან ჰეგემონური მასკულინობის ნორმებისგან და ქმნიან დაქვემდებარებულ მასკულინობას. ჰეგემონური მასკულინობის გავლენა იკითხება აგრეთვე ჰომოფობიური, ბიფობიური და ტრანსფობიური განწყობების სიჭარბეში კაცების ჯგუფში (საპირისპიროდ ქალების ჯგუფისა).

კაცის ჰომოსექსუალობა ან ბისექსუალობა ნაციონალური "სხვის" წარმოებისას მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება, თუმცა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს გენდერული არაკონფორმულობა (რაც სექსუალური არაკონფორმულობისგან განსხვავებულია და შეიძლება მას არ ემთხვეოდეს).

ტრანსგენდერთა ჯგუფის ხილვადობა საქართველოში განსაკუთრებულად დაბალია. გარდა ამისა, ჩატარებული კვლევების მიხედვით, ლგბტ ჯგუფის წევრებს მიაჩნიათ, რომ ტრანსგენდერების მიმართ საზოგადოება ყველაზე ნაკლებ შემწყნარებელია (აღდგომელაშვილი, 2016, გვ. 32). ტრანსგენდერ ადამიანებთან სიღრმისეული ინტერვიუები აჩვენებს, რომ:

> ზეწოლა, რომელსაც საზოგადოების მხრიდან განიცდიან, მუდმივია და განსაკუთრებით მწვავე ფორმებს იძენს, თუკი ტრანსგენდერი ინდივიდი ვერ ახერხებს (ან არ სურს) ჩვენს კულტურაში მიღებული ორი (ქალის და კაცის) გენდერული როლიდან რომელიმე „სრულყოფილად" აითვისოს. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც ძალადობისა და დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ტრანსგენდერ ადამიანებს უწევთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოჩინდნენ იმ გარეგნობითა და სოციალური როლით, რომელიც არ შეესაბამება მათ გენდერულ თვითაღქმას. ეს განსაკუთრებით ეხებათ ტრანსგენდერ ქალებს, რომლებიც ტრანსგენდერ კაცებთან შედარებით, უფრო ხილვადები არიან საზოგადოებისათვის. (აღდგომელაშვილი, 2016, გვ. 19)

ტრანსფობია ასევე იწვევს ტრანსგენდერი ადამიანების შრომის ბაზრიდან მარგინალიზაციას, რაც განაპირობებს მათ სოციალურ დაუცველობას და ტრანსგენდერი ქალების ჩართულობას სექს-სამუშაოში (აღდგომელაშვილი, 2016). ამგვარი პირობები შეიძლება მათი სიკვდილის მიზეზიც გახდეს, რასაც ადასტურებს 2014 წელს ტრანსგენდერი ქალის, საბი ბერიანის მკვლელობის და 2016 წელს ასევე ტრანსგენდერი ქალის, ბიანკა შიგუროვას სიკვდილის ტრაგიკული შემთხვევები.

ზოგადად, კაცებისთვის არაკონფორმული გენდერული ქცევების შესაძლებლობა განსაკუთრებულად შეზღუდულია, მათ შორის სექსუალურად არაკონფორმულ

ჯგუფებშიც. კობახიძის (2016) კვლევა აჩვენებს, რომ ადგილობრივი გეი თემის შიგნით ძლიერია ფემინურობის შიში და გეი კაცები ერთმანეთისგან მასკულინობას მოითხოვენ. საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს კაცების ან ტრანსგენდერი ადამიანების კარგად ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ამ დამოკიდებულებების მიმართ რეზისტენტულები იქნებოდნენ და საკუთარ პოლიტიკას გაატარებდნენ. ეს მოვლენა თავისთავად მიგვანიშნებს ჰეგემონური მასკულინობისა და ნაციონალიზმის განსაკუთრებულ სიძლიერეზე.

ქვიარი "სხვა" დისკურსულად დაკავშირებულია დასავლეთთან, როგორც "სხვასთან". ამავდროულად, განსაკუთრებულად ძლიერია ბიფობია კაცების მიმართ და ტრანსფობია გენდერულად არაკონფორმული კაცების ან ტრანსგენდერი ქალების მიმართ. როგორც ჩანს, ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის დისკურსები ლგბტ ადამიანებს და მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს – ტრანსგენდერ ქალებს – დასავლეთის ძალაუფლებასა და იმპერიალიზმთან აკავშირებს, რაც ამ ჯგუფებისთვის საკმაოდ წინააღმდეგობრივ ვითარებას ქმნის.

2. მეთოდოლოგია

კვლევის ონტოლოგიურ დაშვებას წარმოადგენს ის, რომ სოციალური რეალობა კონსტრუირებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მისი გარდაქმნა. კვლევა დაეყრდნობა ფემინისტურ ეპისტემოლოგიას, რომლის მიხედვითაც მეცნიერება და ცოდნა უფრო ობიექტურია და გვაძლევს სოციალური რეალობის უფრო ფართო და სრულ ხედვას მაშინ, როცა ის ჩაგრულთა პოზიციიდან არის წარმოებული (ჰარავეი, 1988; ჰარდინგი, 1992; ჰართსოქი, 1983). ამ შემთხვევაში მკვლევარი შეგნებულად ითვალისწინებს საკუთარ სოციალურ პოზიციას ცოდნის წარმოებისას, ისევე როგორც სხვა სუბიექტთა სოციალურ პოზიციებს. შესასწავლი ობიექტები არ განიხილება პასიურ ობიექტებად, არამედ სუბიექტებად, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი აგენტობა.

მოცემული კვლევის შემთხვევაში კვლევას ვაწარმოებ, როგორც ფემინისტი, გენდერულად არანორმატიული ადამიანი. გარდა ამისა, ვეცდები, კვლევა ვაწარმოო პოსტკოლონიური საზოგადოების პოზიციიდან. შესაბამისად, ჩემი წინასწარი ხედვით, ეს იქნება ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის კვლევა გარკვეული პოზიციებიდან – ქვიარ პოსტკოლონიური კვლევა.

ზემოთ აღნიშნულ ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ დაშვებებთან შესაბამისობაშია სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები. კვლევის ფარგლებში გამოვიყენებ კრიტიკული დისკურსის ანალიზის მიდგომას/მეთოდს.

დისკურსის ანალიზის ფორმა, რომელმაც ძალაუფლებრივი ურთიერთობების სტრუქტურირებაში ენის როლი აღიარა, პირველად 1970-იან წლებში აღმოცენდა, თუმცა კრიტიკული დისკურსის ანალიზი (CDA), იმ ფორმით, როგორითაც დღეს ვიცნობთ, 1990-იანების დასაწყისში ჩამოყალიბდა. ამ პროცესის მთავარი შემოქმედები არიან მკვლევარები ტეუნ ვან დიიკი, ნორმან ფეირკლო, გუნტერ კრესი, ტეო ვან ლეეუვენი და რუთ ვოდაკი (ვოდაკი, 2001).

კრიტიკული დისკურსის ანალიზი, რომელსაც ხანდახან კრიტიკულ ლინგვისტიკასაც უწოდებენ, არის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ენის, როგორც

სოციალური პრაქტიკის და აგრეთვე, ენის გამოყენების კონტექსტის გათვალისწინებას უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს. კრიტიკული დისკურსის ანალიზი ასევე ყურადღებას აქცევს ენას და ძალაუფლებას შორის არსებულ მიმართებებს (ვოდაკი, 2001, გვ. 1-2) კრიტიკული დისკურსის ანალიზი იკვლევს ძალაუფლებრივ და დომინაციურ სტრუქტურულ ურთიერთობებს, რომლებიც ენაში ვლინდება და სოციალურ უთანასწორობას, რომელსაც ენა/დისკურსი ადგენს და გამოხატავს. კრიტიკული დისკურსის ანალიზის მთავარი შესწავლის ერთეული ტექსტებია, მაგრამ ამას გარდა ის ითვალისწინებს აგრეთვე იმ სოციალურ პროცესებს და სტრუქტურებს, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდებზე და ტექსტების წარმოებაზე. შესაბამისად, ამ მიდგომაში მუდამ ფიგურირებს ძალაუფლების, ისტორიისა და იდეოლოგიის კონცეპტები (ვოდაკი, 2001).

მიდგომის სახელწოდებაში სიტყვა "კრიტიკული" სხვადასხვანაირად გაიგება, თუმცა ვოდაკის მიხედვით, "'კრიტიკული' უნდა გავიგოთ, როგორც მონაცემებისგან დისტანცირება, მონაცემების სოციალურ კონტექსტში ჩასმა, პოლიტიკური პოზიციის ექსპლიციტურად არჩევა და ფოკუსი მკვლევარის თვითრეფლექსიაზე." (2001, გვ. 9). რაც შეეხება იდეოლოგიას, კრიტიკული დისკურსის ანალიზი ენას მის გამაშუალებლად განიხილავს. "ენა თავისთავად კი არ არის ძლიერი, არამედ იძენს ძალას იმ კონტექსტში, როცა მას ძალაუფლების მპყრობელი ადამიანები იყენებენ." (გვ. 10) ამიტომ კრიტიკული დისკურსის ანალიზი ხშირად ჩაგრულთა პერსპექტივიდან ძალაუფლების ენის ანალიზს ირჩევს. კრიტიკული დისკურსის ანალიზი არა მხოლოდ აღწერს და ხსნის ფენომენებს, არამედ მიმართულია ემანსიპაციაზე (იქვე).

შესაბამისად, კრიტიკული დისკურსის ანალიზი შესაბამისობაში მოდის ფემინისტურ ეპისტემოლოგიასთან, სადაც საკითხის ჩაგრულთა პოზიციიდან შესწავლა ობიექტურობის საფუძვლად მიიჩნევა და განსაკუთრებულად რეკომენდებულია. კრიტიკული დისკურსის ანალიზი საშუალებას მომცემს, შევისწავლო დისკურსი, როგორც ძალაუფლების ინსტრუმენტი და ერის, ნაციონალური "სხვის", ჰეგემონური მასკულინობისა და გენდერული უთანასწორობის ფორმირებაში მონაწილე ერთ-ერთი მთავარი ფენომენი. რადგან ენა ძალას იძენს ძალაუფლების ფლობის კონტექსტში, შესაბამისად, ჩემი კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნება ელიტების დისკურსი.

ვიზიარებ მეთოდოლოგიური მიდგომის იმ ნაწილსაც, რომ დისკურსის ანალიზი მიმართულია გარკვეულ განმათავისუფლებელ გამოაშკარავებასა და ემანსიპაციაზე, ანუ შეიძლება გახდეს პოლიტიკური მოქმედების საფუძველი.

კრიტიკული დისკურსის ანალიზის მიდგომის სხვადასხვა ცნობილ მიმდევრებს სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები აქვთ შემუშავებული. მოცემული კვლევის ფარგლებში სრულად არ ვიყენებ ერთ რომელიმე მიდგომას, არამედ ვიღებ ცალკეულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. მაგალითად, მარტინ რაისიგლი და რუთ ვოდაკი (2016) დისკურს-ისტორიულ მიდგომაში გვთავაზობენ ანალიზის ინსტრუმენტებს/ სტრატეგიებს, რომელთა შორისაა სახელდება, გაცხადება და არგუმენტაცია.

1. სახელდება: "სოციალური აქტორების, საგნების, ფენომენების, მოვლენების, პროცესებისა და მოქმედებების დისკურსული კონსტრუირება." (გვ. 33). პასუხობს კითხვას: "როგორ სახელდებიან და მოინიშნებიან ლინგვისტურად პიროვნებები, საგნები, ფენომენები/მოვლენები, პროცესები და მოქმედებები?" (გვ. 32).
2. გაცხადება: "სოციალური აქტორების, საგნების, ფენომენების, მოვლენების, პროცესებისა და მოქმედებების დისკურსული კვალიფიკაცია (პოზიტიურად ან ნეგატიურად)." (გვ. 33). პასუხობს კითხვას: "რა მახასიათებლები, თვისებები და ნიშნები მიეწერებათ სოციალურ აქტორებს, საგნებს, ფენომენებს/მოვლენებს და პროცესებს?" (გვ. 32).
3. არგუმენტაცია: "სიმართლისა და ნორმატიული სისწორის პრეტენზიის გამართლება ან კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება." (გვ. 33). პასუხობს კითხვას: "რა არგუმენტებია გამოყენებული მოცემულ დისკურსში?" (გვ. 32).

ზიგფრიდ იაგერი (2001) კი გვთავაზობს რიტორიკული საშუალებების ჩამონათვალს, რომლებსაც შეგვიძლია დავაკვირდეთ დისკურსში. მათ შორისაა არგუმენტირების სტრატეგიები, არგუმენტების ფორმა, ლოგიკა და კომპოზიცია, იმპლიკაციები, სიმბოლიზმი და მეტაფორიზმი, იდიომები, გამონათქვამები და კლიშეები, ლექსიკა და სტილი (გვ. 55). იაგერი ასევე გვთავაზობს, რომ დავსვათ კითხვები დისკურსის ერთეულების იდეოლოგიურ ასპექტზე. მოცემული კვლევის შემთხვევაში ასეთი კითხვებია:

1. მასკულინობის როგორ მოდელს გვთავაზობს კონკრეტული პიროვნება?
2. ერის/სახელმწიფოს როგორ მოდელს გვთავაზობს კონკრეტული პიროვნება?
3. ნაციონალიზმის რომელი ფორმაა მოცემული კონკრეტული პიროვნების დისკურსში?
4. რას ამბობს კონკრეტული პიროვნება რასის, გენდერისა და სექსუალობის შესახებ?

პოსტსაბჭოთა საქართველოში ნაციონალიზმს და ჰეგემონურ მასკულინობას შევისწავლი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების დისკურსის ანალიზით. პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების შემთხვევაში დაახლოებითი შესასწავლი პერიოდია 1990-2016 წლები. თუმცა შერჩევას კიდევ უფრო ვავიწროებ და გამოვყოფ კრიზისულ და ტრანსფორმაციულ პერიოდებს, როგორიცაა სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობისა და ეკონომიკური პოლიტიკის მკვეთრი ცვლილებები, ომები, რევოლუციად სახელდებული მოვლენები, მთავრობის ცვლილება. შესაბამისად, კვლევის ფოკუსში ექცევა შემდეგი პერიოდები: 1990-1995 (საბჭოთა კავშირის დაშლა, საქართველოს დამოუკიდებლობა, მთავრობის დამხობა, ომები, ახალი პრეზიდენტის არჩევა); 2004-2006 და 2008 (ვარდების რევოლუცია, ახალი მთავრობის რეფორმები და ღონისძიებები, აგვისტოს ომი რუსეთთან); 2011-2012 (ბიძინა ივანიშვილის "პოლიტიკაში მოსვლა" და მისი პარტიის გამარჯვება არჩევნებში); 2012 წლის შემდეგ ("ქართული ოცნების" მმართველობა). კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდით ვამუშავებ შემდეგი პირების საჯარო გამოსვლებს, განცხადებებს, ინტერვიუებს: პრეზიდენტები ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი; ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე, რომელიც სააკაშვილის მთავრობაში სხვადასხვა პოსტებზე მუშაობდა; ბიზნესმენი, "ქართული ოცნების" დამფუძნებელი, პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი; პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი; ბიზნესმენი ლევან ვასაძე.

3. მონაცემთა ანალიზი

პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების დისკურსი 1990-2016 წლებში

3.1. ზვიად გამსახურდია

საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდში, ქართული ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერის, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტის დისკურსი მძლავრად ანტიიმპერიალისტურია, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს ანტისაბჭოურობას და ანტიკომუნისტურობას. 1991 წლის 7 ივნისს, თავის საინაუგურაციო სიტყვაში პრეზიდენტი გამსახურდია ამბობს: "...ურყევია ქართველი ხალხის ნება, თავი დააღწიოს იმპერიულ ბორკილებს." (2007, გვ. 16). 1990-1991 წლების განმავლობაში იგი არაერთხელ ახსენებს საბჭოთა იმპერიას (ხანდახან რუსეთის იმპერიასაც), იმპერიალისტურ ძალებს და ა.შ. იგი ასევე იყენებს იმპერიალისტური სისტემის აღმნიშვნელ სხვა სიტყვებსაც, მაგალითად, "მეტროპოლია" (1990; 2013ა, გვ. 27; 28) და "კოლონიური ქვეყანა" (იქვე). 1990 წელს ზვიად გამსახურდია თავის გამოსვლაში ასევე ახსენებს ქართული პოლიტიკური ძალების მიმართვას გაეროსთვის, სადაც ისინი "საქართველოს, როგორც დამონებული ქვეყნის დეკოლონიზაციის განხილვას" მოითხოვდნენ (2013ა, გვ. 326).

ბუნებრივია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. გამსახურდიას მიხედვით, დამოუკიდებლობა ნიშნავს კულტურულ და ზნეობრივ წინსვლას, იგი აცხადებს, რომ მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველო გახდება "ცივილიზებული სამყაროს სრულფასოვანი წევრი" (1991; 2013ბ, გვ. 169); ასევე, "დამოუკიდებლობა… ერის ზნეობის გადარჩენაა." (1991; 2013ბ, გვ. 368). გარდა ამისა, დამოუკიდებლობა ფიგურირებს, როგორც მთავარი მიზანი და გამოყენებულია სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციებში, მაგალითად, ეროვნული გვარდიის დაუმორჩილებლობის ან ოპოზიციასთან ურთიერთობის გამწვავებისას მთავრობისა და პრეზიდენტის ლეგიტიმურობის გასამყარებლად. მაგალითად, 1991

წლის ნოემბერში, მსგავს სიტუაციაში გამსახურდია მიმართავს შემდეგ რიტორიკას: “ვართ თუ არა ერთგული დამოუკიდებლობის იმ დეკლარაციისა, რომელიც მივიღეთ?.. ჩვენ, მე, პირადად არ ვაპირებ კომპრომისს, ჩვენი ხელისუფლება არ აპირებს და მე ვიცი, ჩვენი ერი და დიდი უმრავლესობა არ აპირებს…” (2013ბ, გვ. 371).

როგორია გამსახურდიას დამოკიდებულება ეთნიკურად ქართველებისა და საქართველოს ეთნიკური უმცირესობების მიმართ? როგორ ხედავდა ის მათ მიმართებას ახალ ქართულ სახელმწიფოსთან? როგორც ჯონსი (2013) აღნიშნავს, გამსახურდია აგრძელებდა და ახალ ნაციონალისტურ კონტექსტს არგებდა საბჭოთა დაყოფას “მკვიდრ” და “არამკვიდრ” ერებად. მაგალითად, 1990 წელს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რანგში, გამსახურდია აცხადებს, რომ იგი იბრძვის ადამიანის უფლებების დასაცავად და მისი მიზანი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაა (2013ა, გვ. 29), თუმცა იქვე ირკვევა, რომ “ადამიანის უფლებები” მისთვის ფაქტობრივად “ქართველთა უფლებებს” ნიშნავს. გამსახურდია საუბრობს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი არღვევდა “მკვიდრი ქართველი მოსახლეობის” უფლებებს, ეწეოდა ქართველთა დისკრიმინაციას, ჩაგვრას და შევიწროებას და პირიქით, არაქართველთა პრივილეგირებას. “საბჭოთა პერიოდში საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა ეროვნებათა შერწყმისა და დიფუზიის თავისებურ ლაბორატორიად, რასაც ჰქონდა ერთადერთი მიზანი: ქართველი ერის სრული ასიმილაცია, მეზობელი ერების ხელოვნურად დაჩქარებული დემოგრაფიული ექსპანსიის გზით.” (გამსახურდია, 1990; 2013ა, გვ. 30). გამსახურდია არაქართველების მიმართ არაკეთილგანწყობილი და პარანოიდულია. შესაბამისად, მისი თქმით, მთავრობის მიზანია ქართველთა “უფლებრივი გარანტიების დაკანონება”, აგრეთვე არაქართველთა მიგრაციისა და დემოგრაფიული ექსპანსიის კანონით შეზღუდვა (1990; 2013ა, გვ. 31). თუმცა ამავდროულად, გამსახურდია აცხადებს, რომ გაითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების უფლებებს, რომლებიც “კანონიერად მკვიდრობენ” საქართველოში და შეუნარჩუნებს მათ პოლიტიკურ ავტონომიებს (იქვე). აქ პრობლემურია ფორმულირება “კანონიერად მკვიდრობენ”, რომელიც ბუნდოვანს ტოვებს, თუ რომელი უმცირესობები მიიჩნევა კანონიერად. გამსახურდია აღიარებდა აფხაზებს, როგორც საქართველოს “მკვიდრ” ერს და თავის საინაუგურაციო სიტყვაში მათ პოლიტიკური უფლებების აღიარებას, აგრეთვე კონსტიტუციურად გარანტირებულ ავტონომიას ჰპირდება (1991;

2007, გვ. 20), თუმცა როგორც ჩანს, სხვა აზრისა იყო ოსებზე, რომელთაც ასევე ჰქონდათ პოლიტიკური ავტონომია საბჭოთა საქართველოს ფარგლებში. 1991 წლის დასაწყისიდან გამსახურდია ასევე საუბრობს ეთნიკურ კონფლიქტზე, სეპარატისტებზე, "ოს ექსტრემისტებზე". იგი ოსებისა და აფხაზების პოლიტიკურ ლიდერებს ადანაშაულებს ღალატში, პროსაბჭოურობაში/პროიმპერიულობაში, რაც მიმდინარე პროცესებში არც ისე დიპლომატიური ჩანს.

1991 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტისა და ოპოზიციის ურთიერთობა იძაბება, შესაბამისად გამსახურდიას ყურადღება ამ უკანასკნელისკენ ინაცვლებს. თავის გამოსვლებში ის მათ მოიხსენიებს "ე.წ. ოპოზიციად". აშკარაა ოპოზიციის მტრად მონიშვნა და შეურიგებლობა ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა "ის ვაჟბატონები, ეს ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლები…" (1991; 2013ბ, გვ. 303). აქვე ოპოზიციას (და ნაწილობრივ მათ მხარდამჭერებსაც) მიეწერება პროვოკატორობა, იმპერიული ცენტრიდან მართულობა. გამსახურდიას თქმით, პროვოკაციებს და საქართველოს შესაძლო ანექსიას ხელმძღვანელობენ მოსკოვში გადახვეწილი მოღალატე ქართველები, "ე.წ. ოპოზიცია" კი შეიძლება მათ ხელში ბრმა იარაღი აღმოჩნდეს (1991; 2013ბ).

განსაკუთრებით საყურადღებოა გამსახურდიას გამოსვლა 1991 წლის 15 ნოემბერს. ეროვნული გვარდიის ნაწილს თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით უკვე დაუმორჩილებლობა აქვს გამოცხადებული. გამსახურდიას გამოსვლაში ჩანს, რომ იგი მნიშვნელოვნად დასუსტებულია, დაკარგული აქვს ლეგიტიმურობა, არ აქვს მხარდაჭერა სამხედროებისგან, ქვეყნის კულტურული ელიტისა და თბილისის მოსახლეობისგან, თუმცა იგი ჯერ კიდევ იბრძვის ამის გამოსასწორებლად და პოლიტიკური ჰეგემონიის აღსადგენად. ამ მწვავე ვითარებაში პრეზიდენტი ოპოზიციის დადანაშაულებას კიდევ უფრო ნაკლებად ერიდება. საპარლამენტო ოპოზიციას იგი პირდაპირ მოიხსენიებს "მტრებად", რადგან ისინი მხარს არ უჭერენ მის საგარეო პოლიტიკას, კერძოდ, გამსახურდიას მიერ ჩრდილო-კავკასიური ნაციონალისტური მოძრაობების მხარდაჭერას (1991; 2013ბ, გვ. 373). გამსახურდია აკავშირებს ოპოზიციას კრემლის აგენტურასთან, უწოდებს მათ მოღალატეებს და პუტჩისტებს. მისი თქმით, "ამ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციასთან, უფრო სწორად პუტჩისტებთან" (1991; 2013ბ, გვ. 376) კავშირშია ქართული მაფია და ისინი ერთად ამზადებენ მთავრობის დამხობას.

კრიმინალური სამყაროსა და ოპოზიციის ერთობას თან ერთვის მათი მხარდაჭერა "კრიმინალური ინტელიგენციისგან", "რომელიც აგრეთვე იდეური, შეიძლება ითქვას, მამაა ყოველივე ამისა, ამართლებს ყოველივე ამას და ხელს უწყობს." (1991; 2013ბ, გვ. 378). ამრიგად, გამსახურდია არ იჩენს არანაირ დიპლომატიურობას და სრულად ემიჯნება სხვადასხვა ძალაუფლებრივ ჯგუფებს. მაგრამ მისთვის კიდევ უფრო საგანგაშო ალბათ მოსახლეობის მხარდაჭერის დაკარგვა უნდა ყოფილიყო. მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ თემქის მოსახლეობამ თბილისის ზღვის მისადგომებიდან გააძევა სამთავრობო ძალები, რომლებიც იქ ამბოხებულების განსაიარაღებლად მიდიოდნენ. მიუხედავად ამისა, მას იმედი აქვს, რომ 1980-იანი წლების მსგავსად, მოსახლეობის მხარდაჭერით და მასობრივი მიტინგებით მიაღწევს თავის მიზნებს. ამიტომ ის მოუწოდებს მთელ ერს, რომ გვერდით დაუდგნენ მთავრობას, დაიწყოს მასობრივი სახალხო მოძრაობა წესრიგის დასამყარებლად. "მასობრივი აქციებით უნდა ვაიძულოთ იარაღის დაყრა ოპოზიციას," – აცხადებდა გამსახურდია (1991; 2013ბ, გვ. 386-387).

როგორც ითქვა, გამსახურდია რადიკალურად ანტისაბჭოური იყო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი უპირატესობას დასავლეთს ანიჭებდა. გამსახურდია აღიარებდა დასავლეთის აზრის, აგრეთვე დასავლეთის ქვეყნების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მნიშვნელობას, თუმცა ასევე ჩანს მისი იმედგაცრუება, რომ დასავლეთი საქართველოს აღიარებას არ ჩქარობს და მის მთავრობას მხარს არ უჭერს (მაგ. იხ. 1991; 2013ბ, გვ. 372). გამსახურდიას ანტიმპერიალისტური განწყობა დასავლეთის მიმართ მთელი სიმძლავრით იჩენს თავს უკვე მისი მთავრობის დამხობისა და პრეზიდენტის ე.წ. დევნილობის პერიოდში. 1992 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ინტერვიუში იგი საუბრობს ევროამერიკულ იმპერიალიზმზე და საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების ამერიკიდან მართულობაზე.

> დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად... ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებ. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას,

> სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან. (გამსახურდია, 1992; 2013გ, გვ. 184-185).

გამსახურდიას თქმით, დასავლეთის ამგვარი მოქმედება განაპირობა იმან, რომ მისმა მთავრობამ არ დაუშვა, "საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო." (გვ. 185). მისი თქმით, კავკასია, როგორც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი რეგიონი, მუდამ საინტერესო იყო დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც, "მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა…" (1992; 2013გ, გვ. 189). იგი აცხადებს, რომ რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილია და მისი აზრით, რუსეთიც კოლონიზებულია, ანუ როლი, რომელსაც ის ასრულებს კავკასიაში, ასევე ამერიკისგან აქვს თავსმოხვეული. გამსახურდია აცხადებს, რომ მისთვის უცხო არ არის პრორუსული განწყობა და რომ არა დასავლეთის ჩარევა, ეს "დიდი აღმოსავლელი მეზობელი" საქართველოს მოკავშირე იქნებოდა (1992; 2013გ, გვ. 190).

რა არის ის პოზიტიური განსაზღვრებები და მიმართულებები, რაც გამსახურდიას გამოსვლებში იკვეთება ქართველი ერის ან/და ქართველი კაცისთვის? ერთი ასპექტია ის, რომ თავის საინაუგურაციო სიტყვაში იგი უარყოფს საბჭოთა სოციალისტურ ეკონომიკას და მას საქართველოსთვის თავსმოხვეულს, ქართველი კაცისთვის უცხო და არატრადიციულ წარმოებით ურთიერთობებს უწოდებს. სანაცვლოდ იგი მხარს უჭერს საბაზრო ეკონომიკას, პრივატიზაციისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკას, თუმცა ამავდროულად აცხადებს, რომ ეკონომიკური რეფორმა "უნდა დაეყრდნოს ქართული ეროვნული ტრადიციების, სამეურნეო ჩვევების და ურთიერთობის აღორძინებას." (გამსახურდია, 1991; 2007, გვ. 24). გამსახურდიას აზრით, ქართული ეთნოფსიქიკისთვის არსებითია სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობაზე საუბრისას იგი "ქართველ კაცს" და "ქართველ გლეხს" ურთიერთშენაცვლებად ცნებებად იყენებს და საუბრობს იმაზე, რომ კომუნისტებმა ქართველ კაცს/გლეხს მიწა წაართვეს და შრომა შეაძულეს. ამიტომ იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიწის რეფორმის გატარებას და სოფლის აღორძინებას.

ქართველი ერის იდენტობის მეორე მნიშვნელოვან განმსაზღვრელად გამსახურდია რელიგიას გამოყოფს. მისი თქმით, "საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე." (1991; 2007, გვ. 22). აგრეთვე, "დღევანდელი მოძრაობა თავისი შინაარსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა" და სახელმწიფოს ავტორიტეტის ერთ-ერთი საყრდენი ქრისტიანული ზნეობრივი საწყისები უნდა იყოს (იქვე). გამსახურდიას სურდა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულიყო, თუმცა იგი აღნიშნავს, რომ ეს არ გულისხმობს სხვა რელიგიების წარმომადგენელთა და ათეისტთა უფლებების ხელყოფას. რელიგიური შემწყნარებლობა ქართველთა იდენტობის შემადგენელ ნაწილად არის მოაზრებული (გვ. 23). გამსახურდია ქართველი ერის დასახასიათებლად რელიგიურ მეტაფორებს იყენებს და მას ქრისტეს ადარებს: "მან გამოიარა ისტორიის გოლგოთა, რათა დამდგარიყო ჟამი მისი აღდგომისა და აღზევებისა…" (1990, 2013ა, გვ. 39). აგრეთვე, მას იმედი ჰქონდა, რომ საქართველო იქცეოდა "ზნეობრივი სიდიადის მაგალითად მსოფლიოს ხალხთათვის." (იქვე).

გამსახურდია უარყოფდა "ნაციონალისტობას" და საკუთარ თავს უწოდებდა "პატრიოტს" და "ქრისტიან-დემოკრატს" (1991; 2013ა, გვ. 157). პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული ქართველი კაცის იდენტობის შემადგენილი ნაწილია. ეს ჩანს გამსახურდიას მიმართვაშიც ამბოხებული გვარდიელების მიმართ. გამსახურდიას განცხადებით, იგი მიმართავს მათ, რადგან სწამს, რომ "ქართველი კაცი ყოველთვის წინ დააყენებს საქართველოს სიყვარულს." (1991; 2013ბ, გვ. 367).

როგორც ჩანს, გამსახურდია ანტისაბჭოურ და ანტიდასავლურ განცხადებებს ნაწილობრივ პრაგმატული პოლიტიკური საჭიროებებიდან გამომდინარე აკეთებდა, თუმცა მეორე მხრივ, ნათელია, რომ გამსახურდია ხედავდა იმპერიალიზმს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთსა და აშშ-ში. ის ორივეს ნაციონალიზმს უპირისპირებდა, თუმცა მიუხედავად აღნიშნული პრაგმატულობისა, საჭირო დროს მხარდაჭერის მოპოვება ვერ შეძლო ვერც აშშ/დასავლეთისგან და ვერც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთისგან. ამავდროულად, გამსახურდია

არაკეთილგანწყობილი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ; იმპერიისგან ჩაგრულად მხოლოდ ქართველებს განიხილავდა და არა საქართველოში მცხოვრებ აფხაზებს, ოსებს და სხვებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მისი ნაციონალიზმი უკიდურესად იზოლაციონისტური იყო, თუ არ ჩავთვლით მის მიერ ჩრდილო-კავკასიელი ეთნოსების მხარდაჭერას. გამსახურდიას მიერ "სხვად" განსაზღვრულებს მოგვიანებით დაემატა ასევე ოპოზიცია, ინტელიგენცია და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, რომელთაგან თითოეული ერის მოღალატედ ცხადდებოდა. რაც შეეხება ქართველი ერის/კაცის იდენტობის პოზიტიურ განმსაზღვრელებს, გამსახურდიას მიხედვით, ეს არის პატრიოტიზმი, რელიგიურობა (მართლმადიდებლობა), "ცხოველი მორწმუნეობა" და ტრადიციული გლეხური ცხოვრების წესი (რომელიც როგორღაც უნდა შეერწყას თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას).

3.2. ედუარდ შევარდნაძე

როგორც ითქვა, ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ზვიად გამსახურდიას განდევნის შემდეგ, 1992 წლის მარტში ჩამოვიდა. 1992-1995 წლები ის წლებია, როცა იგი ქვეყანაში სტაბილურობის შექმნასა და მართვის აპარატის გამყარებაზე მუშაობდა. საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე კომენტირებას იგი ჯერ კიდევ ჩამოსვლამდე იწყებს, კერძოდ, ამ მხრივ საინტერესოა ვალერი კვარაცხელიას ინტერვიუ შევარდნაძესთან 1992 წლის იანვარში. რა იკვეთება აქ მის დისკურსში? საქართველოს დამოუკიდებლობა ისეთი მიზანია, რომელიც თავისთავად ნაგულისხმევია და რომელზე მუშაობაც თითქოს საბჭოთა კავშირში, 1970-იანი წლებიდან დაიწყო. ამ მიზნისა და მიღწევის საბოლოოდ განსამტკიცებლად საქართველო ევროპამ უნდა აღიაროს. ამისათვის კი საჭიროა დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა, რაც ერებს შორის მშვიდობის დამყარებასაც მოიცავს. შევარდნაძე ამბობს, რომ საქართველოში მთავრობის დამხობა დემოკრატიული რევოლუცია იყო. "დემოკრატიული რევოლუცია", დემოკრატიის გზაზე დადგომა ნიშნავს ევროპული ტიპის ერი-სახელმწიფოს შექმნისთვის საფუძველის მომზადებას, საქართველოს გახსნას დასავლური მართვის პრინციპებისა და ზოგადად დასავლეთის გავლენისთვის, რაც ამ შემთხვევაში გამსახურდიას

იზოლაციონალისტური ნაციონალიზმისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ აგრესიული დამოკიდებულებისგან დისტანცირებაშიც გამოიხატება. “თუ გვინდა, რომ ჩვენ მსოფლიომ გვცნოს, ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმ სტანდარტებით, რა სტანდარტებითაც დღეს მთელი მსოფლიო და განსაკუთრებით ევროპა, რომელიც ჩვენი საერთო სახლია, ცხოვრობს და არსებობს… თუ ეს ასე იქნება, მე ვიცი ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი და თანამოაზრე მსოფლიოში, რომლებიც მხარში ამოგვიდგება, მათ შორის სახელმწიფო მოღვაწეებიც და ცნობილი ბიზნესმენები და ა.შ. ბანკირები.” (შევარდნაძე, 1992).

ერი-სახელმწიფოს შედგომისა და ევროპის დასარწმუნებლად საჭიროა ეროვნული თანხმობის მიღწევა და მშვიდობის დამყარება. იმავე ინტერვიუში შევარდნაძე მოუწოდებს ქართველებს: “შევრიგდეთ, მოვრიგდეთ და ვაშენოთ ნორმალური, ცივილიზებული, დემოკრატიული საქართველო.“ შევარდნაძის საქართველოში ჩასვლის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 4 აგვისტოს ე.წ. “დიდი შერიგების მანიფესტი” მიიღო, თუმცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი და ქაოსი არ ცხრებოდა. რამდენიმე დღეში, 11 აგვისტოს თბილისიდან სამეგრელოში ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან მოსალაპარაკებლად დელეგაცია ჩავიდა, მაგრამ ისინი მძევლად აიყვანეს. სწორედ ამ მოვლენას ეხმაურება შევარდნაძე თავის გამოსვლაში. იგი საუბრობს მანიფესტზე და შერიგებაზე, ეროვნულ თანხმობასა და კომპრომისზე, როგორც უმთავრეს და უმაღლეს მიზანზე. მეორე მხარეს კი, რომელმაც მოსალაპარაკებლად ჩასული პირები გაიტაცეს, შევარდნაძე ტერორისტებს უწოდებს: “ამას ტერორიზმი ჰქვია, სხვა სახელი არა აქვს… ვინც გუშინ ეს ჩაიდინა პოლიტიკურად, ზნეობრივად, მორალურად გაკოტრდა და დარჩათ ერთადერთი გზა… ეს არის ტერორის გზა, ადამიანების გატაცების გზა, მკვლელობის და ბანდიტიზმის გზა.” შევარდნაძე თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ხალხს მეგრელების წარმომადგენლებად არ მიიჩნევს, “იოტისოდენა ჩრდილიც სამეგრელოს მოსახლეობას არ უნდა მიადგეს” და მას სჯერა, რომ მომხდარს მეგრელებიც განიცდიან და შეურაცხყოფილები არიან. იგი დისკურსს აგებს იმგვარად, რათა წარმოაჩინოს, რომ “შერიგებას” და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას ხელს მხოლოდ მცირერიცხოვანი “ტერორისტული” ჯგუფები უშლიან. 1992 წლის შემაჯამებელ რადიოინტერვიუშიც შევარდნაძე დემოკრატიას და მშვიდობას “ბოროტ ძალებთან” და “ტერორისტებთან” აპირისპირებს.

ეს უკანასკნელნი კვლავაც მცირერიცხოვნად და მარგინალებად არიან წარმოდგენილები: “როცა ექსპრეზიდენტის მომხრეებზე ვლაპარაკობთ, მგონია ცოტას ვაჭარბებთ, რადგან კაცს, რომელიც ცნობილ ტერორისტად არის აღიარებული არა მგონია მხარდამჭერები ჰყავდეს. ტერორისტები არსად არავის არ უყვარს… არ შეიძლება ბანდიტი, დივერსანტი და მკვლელი იყოს დემოკრატიული მშენებლობის მომხრე.”

რაც შეეხება იმპერიებსა და იმპერიულობის მიმართ დამოკიდებულებას, შევარდნაძის დისკურსში დასავლეთი, როგორც იმპერია საერთოდ არ ფიგურირებს. პირიქით, დასავლეთი არის მისაბაძი მაგალითი სახელმწიფოს მშენებლობის კუთხით. დასავლეთის მიბაძვა, მისი მორჩილება ქართველი ერისთვის აღიარების მიღებას და გადარჩენას ნიშნავს, თუმცა შევარდნაძის დისკურსში, ეს არ არის იძულება ან ძალადობრივი პროცესი, არამედ ნორმალური განვითარება და “დემოკრატიის მშენებლობა”. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, შევარდნაძე მის მიმართ ამბივალენტურია. ვალერი კვარაცხელიასთან ინტერვიუში იგი ამბობს, რომ მისთვის რთულია, რომ საბჭოთა კავშირს, განსაკუთრებით ბოლო წლებში, იმპერია უწოდოს და რომ მას, როგორც სახელმწიფო მოხელეს, საბჭოთა კავშირში ჰქონდა საშუალება, ასე თუ ისე თავისუფლად ემოქმედა და ეკეთებინა ის, რაც მისი აზრით, საქართველოს ინტერესებში იყო. თუმცა შემდგომში საქართველოში პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირს იმპერიად მოიხსენიებს, აგრეთვე ავითარებს ანტირუსულ დისკურსს. მაგალითად, 1992 წლის ბოლოს რადიოინტერვიუში იგი აღნიშნავს, რომ რუსეთი აგრესორია, ესწრაფვის “საქართველოს ავღანიზაციას” და უგულებელყოფს საერთაშორისო ნორმებს. 1993 წლის მარტში კი იგი აღნიშნავს, რომ იმპერიის (საბჭოთა კავშირის) დანგრევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულ დამოუკიდებლობას, რადგან იმპერიული აზროვნება და მოქმედება კვლავ ძალაშია და მისი ცენტრი რუსეთის პარლამენტშია.

1993-1994 წლებში შევარდნაძის წინაშე კვლავ იდგა ქვეყანაზე კონტროლის დამყარებისა და გეზის განსაზღვრის ამოცანა. შევარდნაძემ საკუთარი მომხრეების კონსოლიდაცია დაიწყო პარტიაში “საქართველოს მოქალაქეთა კავშირი”, რომელიც 1993 წლის ნოემბერში შეიქმნა. 22 ნოემბრის რადიოინტერვიუში შევარდნაძე აცხადებს, რომ

“მოქალაქეთა კავშირი” მოდის აღმშენებლობის ტალღის ასაზვირთებლად, პარტია ღიაა სხვადასხვა ინდივიდებისა და კოლექტივებისთვის და მას სურს, რომ ის მრავალრიცხოვანი იყოს. კვლავ ხაზი ესმება დასავლურ ორიენტაციას და დასავლური ტიპის სისტემის მშენებლობის მნიშვნელობას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს დსთ-ში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) გაწევრიანება. 1994 წლის მარტში შევარდნაძე პარლამენტის სხდომაზე საუბრობს, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან შეთანხმების შეუძლებლობისა და დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში უკონტროლო ვითარების გამო. იგი საუბრობს იმაზე, რომ ამ პრობლემების გადასაჭრელად ითხოვდა რუსეთისგან დახმარებას, მათ შორის სამხედრო ჩარევას. როგორც ჩანს, საქართველოს დსთ-ში შესვლა ერთგვარი ხარკი იყო, რომელიც შევარდნაძემ გადაიხადა. შევარდნაძის თქმით, საქართველო უნდა ესწრაფვოდეს, რომ ჰყავდეს ბევრი მოკავშირე, მათ შორის დსთ-ს ქვეყნებიც.

1995 წელს ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტად აირჩიეს, რამაც ინსტიტუციურად განამტკიცა მისი ძალაუფლება და მის მიერ დამყარებული სპეციფიკური წესრიგი. თავის საინაუგურაციო სიტყვაში იგი უკვე წინ წამოსწევს ეროვნულ სიმბოლოებს – ქართველ მეფეებს, ილია ჭავჭავაძეს, მთაწმინდას, სვეტიცხოველს, რუსთაველის პროსპექტს. საკუთარი ძალაუფლების ამ სიმბოლოებთან დაკავშირებით იგი თავისი ძალაუფლების ლეგიტიმიზაციას ლამობს. გარდა ამისა, შევარდნაძე საუბრობს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მიზნებზე, აგრეთვე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.

თუ შესაბამის ისტორიულ მოვლენებს და შევარდნაძის დისკურსს დავაკვირდებით, 1992-1995 წლების საქართველოში შეგვიძლია დავინახოთ იმპერიული ინტერესების (როგორც დასავლური, ასევე რუსული) აქტიურობა, ბრძოლა წესრიგის დასამყარებლად და ამის მიმართ ხალხების წინააღმდეგობა. ალბათ შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძეს დასავლეთ საქართველოში ანტიიმპერიალისტურად განწყობილი ძალები უპირისპირდებოდნენ, შევარდნაძე კი ესწრაფვოდა დასავლურ მოდელზე მორგებული ერი-სახელმწიფოს შექმნას, აგრეთვე იმპერიული ძალებისგან ლეგიტიმიზაციისა და მხარდაჭერის მიღებას. იგი უპირატესობას ანიჭებდა სხვადასხვა ძალებს შორის

ლავირებას და საფიქრებელია, რომ ძალაუფლება იმით შეინარჩუნა, რომ ორივე იმპერიული ცენტრისთვის – დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც – მისაღები სისტემა და წესრიგი შექმნა. თუმცა საქართველოს ახალი სახელმწიფო მაინც დაქსაქსული და მყიფე გამოდგა: სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე და საფიქრებელია, რომ ომების დამთავრების შემდეგაც კი შევარდნაძეს ლეგიტიმიზაციის მიღება უჭირდა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. შევარდნაძე მასკულინობაზე პრაქტიკულად არ საუბრობს, თუმცა საფიქრებელია, რომ იმ პერიოდში ჰეგემონური მასკულინობის ტიპის გამოყოფა რთულია, სწორედ იმიტომ, რომ ეს იყო ბრძოლა პოსტკოლონიური/ნაციონალისტური კოლექტიური პროექტისთვის, სადაც შემდგომ გამარჯვებულ პროექტში შესაბამისი მასკულინობა გამოიკვეთებოდა.

3.3. მიხეილ სააკაშვილი

შევარდნაძის პერიოდში პროდასავლურობა დასავლურ მოდელზე მორგებული ერი-სახელმწიფოს მშენებლობას და დასავლური დემოკრატიის ღირებულებების თუნდაც ბუტაფორიულ გაზიარებას ნიშნავდა. ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომელმაც შევარდნაძის ძალაუფლება დაამხო, საქართველო, სააკაშვილის დისკურსის მეშვეობით, უშუალოდ ევროპულ იდენტობას იძენს. ამ დისკურსის მაგალითია სააკაშვილის საინაუგურაციო სიტყვა, სადაც იგი აცხადებს: “ჩვენ არა მხოლოდ ძველი ევროპელები ვართ, ჩვენ უძველესი ევროპელები ვართ და ამდენად, საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპულ ცივილიზაციაში.” (2004; 2007, გვ. 59). ზოგადად, ეს საინაუგურაციო სიტყვა გამოხატავს და აჯამებს სააკაშვილის/ახალი მთავრობის ხედვას იმის შესახებ, თუ რა ადგილი აქვს საქართველოს საერთაშორისო წესრიგში და რა უნდა იყოს ერის/სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტები და მიმართულებები. სააკაშვილმა ინაუგურაციის დროს საქართველოს დროშასთან ერთად ევროკავშირის დროშაც აღმართა, რითიც ხაზი გაუსვა იმას, რომ ევროპა საქართველოს ოჯახია, სადაც იგი უნდა დაბრუნდეს, ევროპაში ინტეგრაციის კურსი შეუქცევადია და შესაბამისად, “ეს დროშა საქართველოს დროშაც არის”. (2004; 2007, გვ. 61). ევროპა ოჯახია, ამერიკის შეერთებული შტატები კი განსაზღვრულია მეგობრად, რომელიც მძიმე პერიოდში

საქართველოს გვერდით დაუდგა. საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები, მათ შორის, რუსეთიც, "მეზობლები" არიან. სააკაშვილი შემრიგებლურ ჟესტს აკეთებს იმით, რომ აცხადებს, საქართველოს რუსეთი, როგორც მტერი არ სჭირდება და ქართველი ხალხის სახელით რუსეთს მეგობრობის ხელს ვუწვდიო.

სააკაშვილი ააქტიურებს სამოქალაქო ნაციონალიზმს იმ განცხადებით, რომ საქართველო ყველა მოქალაქის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, სახლი და სამშობლოა. სააკაშვილი ხაზს უსვამს განათლების პრიორიტეტულობასა და მნიშვნელობას თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს სჭირდება განათლებული მოქალაქეები, რათა ის გახდეს კონკურენტუნარიანი. "ჩვენი მთავარი სიმდიდრეა არა ოქრო და ნავთობი, არამედ ჩვენი ნიჭიერება, ინტელექტი, უნარ-ჩვევები, განათლება, განათლებული ადამიანები." (2004; 2007, გვ. 59). მიუხედავად ამისა, სააკაშვილი განათლების მნიშვნელობაზე ზოგადი საუბრით შემოიფარგლება და არ ავითარებს მოსაზრებებს იმაზე, თუ როგორი განათლების სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს ან რომელი სფეროები უნდა იყოს პრიორიტეტული ამ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის წარმოებისთვის. იგი საუბრობს ქართველების გაჭირვებასა და სიღარიბეზე, რომელიც მისი თქმით, ქართველი ერის შეურაცხყოფაა. სააკაშვილის თქმით, ამ პრობლემის გადასაჭრელად, საქართველომ თავისი ბუნებრივი და კულტურული რესურსები უნდა გამოიყენოს და ტურიზმი განავითაროს. ტექსტში განათლების თემა ტურიზმის თემით გრძელდება, ამიტომაც ისე ჩანს, თითქოს, განათლება და განათლებული ადამიანები მხოლოდ ტურიზმის განსავითარებლად არიან საჭირო. მიუხედავად ამბიციური რიტორიკისა კონკურენტუნარიანობის შესახებ, ეკონომიკური განვითარების ერთადერთ მიმართულებად და გეგმად საბოლოო ჯამში მხოლოდ ტურიზმის განვითარება გამოიყოფა.

კონკურენცია, კონკურენტულ წესრიგში ადაპტირება, თავისთავად მასკულინური ფენომენია. გარდა ამისა, სააკაშვილის დისკურსში თვალსაჩინოა ერის მასკულინიზაცია ისეთ მასკულინურ "საკუთრებაზე", მახასიათებელზე აპელირებით, როგორიცაა "ღირსება". ერის მასკულინურ სახეს და წესრიგს აფუძნებს და განსაზღვრავს ეს ერთი წინადადებაც: "ჩვენმა ერმა დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ გადამწყვეტ მომენტში

მას ყოველთვის შეუძლია თავისი ღირსების დაცვა, ღირსეული თანაარსებობა და მეგობრული შეჯიბრება მსოფლიოს მოწინავე ერებთან.” (2004; 2007, გვ. 60).

სააკაშვილი მთავარ პოლიტიკურ მიმართულებებად გამოყოფს კორუფციასთან ბრძოლას და ქართული არმიის მშენებლობას. ინაუგურაციის შემდეგ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაში იგი აღწერს იმ ღრმა კორუფციას და დაუსჯელობას, რომელიც შევარდნაძის პერიოდში იყო გამეფებული. საინტერესოა, რომ კორუფცია განხილულია, როგორც სოციალური უთანასწორობისა და უსამართლობის წყარო: ფული და ძალაუფლება რამდენიმე ელიტური ჯგუფის ხელშია; ისინი უღარიბეს რაიონებს მილიონებს პარავენ და ამავდროულად არ ისჯებიან, რადგან ძალაუფლება მათ ხელშია. მეორე მხრივ, სააკაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ხალხი შიმშილობს, არ არსებობს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ადამიანები ჯანდაცვაზე ხელმიუწვდომლობის გამო არ იღუპებოდნენ, სოფლებში ბავშვებს ფეხსაცმელი არ აქვთ და სკოლაში ვერ დადიან. სააკაშვილი ამბობს, რომ სიღარიბე უნდა დამარცხდეს კორუფციისა და კორუმპირებული ელიტების დამარცხებით. სიღარიბეც და კორუმპირებულებიც, ორივე მტრად მოინიშნება. “ჩემთვის ყოველი კორუმპირებული თანამდებობის პირი, დღევანდელ ეტაპზე, ეროვნული ინტერესების მოღალატეა.” (2004; 2007, გვ. 62). “რა თქმა უნდა, ჩემი მთავარი მტერი საქართველოში, მე არა მყავს მტრები პიროვნულად, ჩემი მთავარი მტერი არის სიღარიბე, სიღარიბე არის ქართველი ერის შეურაცხყოფა.” (2004). თუმცა სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელ გზად სააკაშვილი ინვესტიციების მოზიდვას სახავს. კორუფციის აღმოფხვრა სწორედ კარგი საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს შესაქმნელად არის საჭირო.

შევარდნაძის პერიოდში ჯარი არაპრესტიჟული და არაპოპულარული ინსტიტუტი იყო, სადაც “უპატრონოები” მსახურობდნენ. სააკაშვილი თავის მეორე პრიორიტეტად ძლიერი არმიის ჩამოყალიბებას და ამ საქმეში კაცების საყოველთაო ჩართულობას სახავს. აქვე იგი საუბრობს “ქართული მხედრული სულისა” და გმირული ტრადიციების აღორძინებაზე (2004; 2007, გვ. 62). სამხედრო გმირობა მნიშვნელოვანი ეროვნული ნორმა ხდება, როცა იგი საუბრობს სამას არაგველზე, დიდგორზე, დავით აღმაშენებელზე და ა.შ. ასევე აღსანიშნავია, რომ სააკაშვილი ქართული არმიის

მშენებლობას თითოეული ქართული ოჯახის საქმედ მიიჩნევს. არმიის მშენებლობა ასევე დაკავშირებულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზანთან, რასაც სააკაშვილი თავისი ცხოვრების მიზნად აცხადებს, ასევე ამბობს, რომ მისი თაობა შეურაცხყოფილი და სულშიჩაფურთხებულია აფხაზეთის დაკარგვით და ის მოუთმენლად ელის მთლიანობის აღდგენას. ჩანს, აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა მასკულინური ღირსების საკითხია. სააკაშვილი (2004) ამბობს, რომ მას არ უნდა ომი, მაგრამ სურს ძლიერი არმია, რომელიც ზურგს გაუმაგრებს მის დიპლომატიას. ტერიტორიულ მთლიანობასთან მიმართებაში სააკაშვილს განსაკუთრებით კატეგორიული და შეუწყნარებელი პოზიცია აქვს; ეს ჩანს იქიდანაც, რომ ტერიტორიული მთლიანობის სახელით იგი ხელისუფლების ცენტრალიზაციას მოითხოვს.

> მოხდება ცენტრალიზაცია აქ აღარ იქნება ეს ფეოდალური დაყოფა რომელიც არის, ფეოდალიზმის ხანა საქართველოში უნდა დასრულდეს. მე შემთხვევით არ მივსულვარ დღეს დავით აღმაშენებლის ძეგლთან, დავით აღმაშენებელმა შეძლო სულ სხვა ეპოქაში და სხვა კონტექსტში მაგრამ ფეოდალების პარპაშის აღკვეთა და ყველა მოიყვანა ჭკუაზე, დღეს ჩვენ გვაქვს საქმე ახალ ქართულ ფეოდალიზმთან, ჩვენი ამოცანაა რომ ფეოდალების მიერ საქართველოს დატაცება ნაკუწ-ნაკუწ, სამინისტროებად, გუბერნიებად, მხარეებად, კუთხეებად, ავტონომიებად, ეს უნდა მორჩეს, საქართველო არის ერთიანი და მთლიანი. (2004).

ინაუგურაციისდროინდელ სულისკვეთებას სააკაშვილი შემდგომშიც ინარჩუნებს. 2004 წლის 26 მაისს, საზეიმო აღლუმზე სააკაშვილი კვლავაც საუბრობს კორუფციასთან ბრძოლაზე, არმიის ჩამოყალიბებაზე, გმირობაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, საერთაშორისო წარმატებებზე და ევროპაში ინტეგრაციაზე. ის ხაზს უსვამს, რომ აჭარიდან ასლან აბაშიძის განდევნით ცენტრალურმა ხელისუფლებამ იქ კონტროლი აღადგინა და ეს არის ნაბიჯი საქართველოს გამთლიანებისკენ. “ძალა ერთობაშია” – იმეორებს იგი რამდენჯერმე და ამას ქართველი ერის დევიზად აცხადებს. იგი უარყოფს იმას, რომ საქართველო დამპყრობლის (რუსეთის იმპერიის) ძალით და ინიციატივით შეიქმნა. ერი უნივერსალური და გამაერთიანებელია და სააკაშვილის აზრით, იგი

პარტიკულარიზმისა და განსხვავებების გვერდზე გადადებით შეიქმნა: "საქართველო შეიქმნა, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის წინამძღოლებმა საქართველო დააყენეს საკუთარ თავზე მაღლა, მათ გვერდზე გადადეს საკუთარი ეგოიზმი, საკუთარი ინტერესი, საკუთარი ძალაუფლებისადმი ლტოლვა და ჩვენ გვაქვს მძლავრი, მარადი მშვიდობიანი გზით შექმნილი ერთობა, ძალა ერთობაშია." ამავე გამოსვლაში იგი თავიანთ ენებზე მიმართავს აფხაზებს და ოსებს, განსხვავებულებს, რომლებიც ერთიან ქართულ ერში და სახელმწიფოში უნდა შემომტკიცდნენ. თავის მხრივ, ეს სახელმწიფო უნდა გახდეს საამაყო და მოიპოვოს დიდება: "საქართველოს დღეს ხელახლა გაუჩნდა შანსი, ისე როგორც არასდროს გახდეს დიდი სახელმწიფო, როგორიც ის ოდესღაც იყო, საქართველო შეიძლება გახდეს სახელმწიფო, რომელშიც ჩვენი შვილები იამაყებენ თავისი წარმომავლობით, მოქალაქეობით, საკუთარი პასპორტებით, სახელმწიფო, რომელიც თავისი მეზობლების და მეგობრების აღტაცების და პატივისცემის ობიექტად იქცევა."

ამასთან, სააკაშვილის დისკურსი მკვეთრად ანტიიმპერიალისტური (ანტირუსული), მილიტარისტური და მუქარით აღსავსე ხდება. 2004 წელს, ეროვნული აკადემიის ოფიცერთა გამოშვებაზე სიტყვით გამოსვლისას იგი იმუქრება, რომ საქართველო სასტიკად გაუსწორდება და გაანადგურებს მტრებს, რომლებიც საქართველოში სისხლის დასაღვრელად ან საქართველოს დამოუკიდებელი კურსისა და განვითარების ხელშესაშლელად შემოდიან. "დაუნდობლად გავანადგურებთ ყველას, ვინც შემოვა საქართველოში მახვილით და იარაღით… ჩვენი მტერი არის ის გარე ძალა, რომელიც შეიძლება შემოვიდეს საქართველოში, რათა შეაჩეროს საქართველოს ინტეგრაცია ნატოში, რათა შეაჩეროს საქართველოდან უცხო ჯარების გაყვანა, რათა შეაჩეროს საქართველოს ეკონომიკური პროგრესი…" მტერი არის რუსეთი, იმპერია, რომელიც მოწადინებულია, ხელი შეუშალოს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის ინტეგრაციას "ევროპულ ოჯახში", საქართველო კი მზადაა ამ იმპერიალისტურ ძალას და აგრესიას იარაღით დახვდეს. სააკაშვილი ასახელებს სხვადასხვა ერებს, რომლებიც რუსეთს/საბჭოთა კავშირს წინააღმდეგობას უწევდნენ (ფინელებს, უნგრელებს, ბალტიის ქვეყნებს, ავღანელებს…) და ამბობს, რომ საქართველო ამ მხრივ არავისზე ნაკლები არ არის. "...ჩვენც გავხდით ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, ჩვენი ოჯახები იცხოვრებენ კარგად, ჩვენც აღარ ვართ ვასალები, ჩვენც აღარ ვეკითხებით

რომელიმე სამმართველოს უფროსის მოადგილეს სადმე უცხო ქვეყანაში როგორ ვიცხოვროთ და როგორ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, აი ამისთვის უნდათ საქართველოს დასჯა…" ამიტომ "ყოველი კაპიკი ზედმეტი რომელიც შემოვა, უნდა წავიდეს თავდაცვაზე" და "თითოეული ქართული ოჯახი უნდა გახდეს თავდაცვის შტაბი."

ანტირუსული დისკურსის პარალელურად სააკაშვილი მჭიდრო კავშირებს ამყარებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ქართულ სახელმწიფოს და არმიას "ტერორიზმთან ბრძოლის" ეგიდით მიმდინარე აშშ-ს იმპერიალისტურ პროექტებში რთავს. ჯერ კიდევ 2004 წლის 26 მაისს, სააკაშვილი საუბრობს იმაზე, რომ საქართველო ტერორიზმთან ბრძოლაში აშშ-ს საერთაშორისო მოკავშირეა და ქართული კონტინგენტი იბრძოლებს ერაყში. 2005 წლის მაისში საქართველოში ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჩამოვიდა. მას საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. სააკაშვილისა და ბუშის ერთობლივ პრესკონფერენციაზე სააკაშვილი საუბრობს იმაზე, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს ყველაზე ახლო მეგობარი და დამხმარე შეერთებული შტატებია, საქართველოს და აშშ-ს პარტნიორობა მნიშვნელოვანია, რადგან "აქ ლაპარაკია თავისუფლებების გაზიარებაზე, დემოკრატიის პრინციპების გაზიარებაზე და ღირებულებების დამკვიდრებაზე." სააკაშვილის თქმით, სწორედ დემოკრატიისა და ამ ღირებულებების დამკვიდრებისთვის იბრძვიან ერაყში ქართველი ჯარისკაცები. 2006 წლის 26 მაისს კი სააკაშვილი ულოცავს ქართველ ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომლებმაც ამერიკული სამთავრობო ჯილდოები მიიღეს. მისი თქმით, ეს საამაყოა და ქართველების ტრადიციაა, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლაში თავი მთელ მსოფლიოში გამოიჩინონ. ქართული ჯარის შეკავშირება აშშ-სთან და ერაყში ბრძოლით სიამაყე ერთგვარად ეწინააღმდეგება სააკაშვილისვე (2005) განცხადებას, რომ ქართული არმია არავის ემუქრება, გარდა იმისა, "ვინც მზად არის ხელი აღმართოს საქართველოს თავისუფლებაზე, საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე, გარდა იმ ხალხისა, ვისაც უნდა საქართველოს არეულობა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის წერტილის დასმა."

ამდენად, აშშ საქართველოს მთავარ დამხმარედ/დამცველად არის მოაზრებული, სანაცვლოდ კი საქართველო "თავს გამოიჩენს" და აშშ-ს ომებში თავის ჯარს ახმარს. ამავდროულად, საქართველოსთვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ქვეყნად სახელდება

ისრაელი, სადაც 2004 წელს მიხეილ სააკაშვილი და ქართული დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ჩავიდნენ. სააკაშვილის თქმით, ისრაელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანია იმით, რომ ის არის "ძალიან ბევრ საკითხში შთაგონების, ძალიან ბევრი საინტერესო გამოცდილების და ისტორიული პარალელების გავლების ძალიან მნიშვნელოვანი წყარო." სააკაშვილი აცხადებს, რომ მას დასაფასებლად და მნიშვნელოვნად მიაჩნია სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ისრაელის სახელმწიფოს დამფუძნებლისა და პრემიერმინისტრის, დავიდ ბენ-გურიონის მოღვაწეობა. სააკაშვილის თქმით, ეს სახელმწიფო მოხელე გამორჩეულია იმით, რომ მან ნულიდან შექმნა ძლიერი და ანგარიშგასაწევი სახელმწიფო. გარდა ამისა, ისრაელი სააკაშვილისთვის არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება შედგეს ერის/ სახელმწიფოს მოდერნული, უნივერსალისტური პროექტი; პროექტი, რომელიც დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიას და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპს წარმატებით ახორციელებს, მაგრამ ამავდროულად უქვემდებარებს ამას საერთო ეროვნულ ინტერესებს და კონსენსუსს, "როდესაც ერს ყველაზე მეტად ჭირდება ერთ მუშტად შეკვრა სახელმწიფოს და ერის, იმისათვის რომ დაიცვას მისი სასიცოცხლო ინტერესები. ისრაელის მაგალითი ნათლად ადასტურებს რომ დემოკრატია და პლურალიზმი და ასევე ეროვნული ინტერესების დაცვა სხვადასხვა ამბები კი არ არის, არამედ სრულიად თავსებადი…" ამ ასპექტებში ისრაელი ქართველი ერისა და სახელმწიფოსთვის მისაბაძ მაგალითად სახელდება. ქართული სახელმწიფო უნდა აშენდეს ნულიდან, ისევე როგორც ისრაელი და ის უნდა გაძლიერდეს, გაერთიანდეს და მილიტარიზდეს მტერთან საბრძოლველად და "ეროვნული ინტერესების" დასაცავად.

ეროვნული გმირობისა და პატრიოტიზმის თემის გააქტიურების მაგალითია 2005 წელს 1920-იან წლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აჯანყებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადმოსვენება და დაკრძალვის ცერემონიალი. სააკაშვილი თავის საჯარო გამოსვლაში ასახელებს სხვა ეროვნულ გმირებს, მაგალითად, მარიამ დედოფალს, ილია ჭავჭავაძეს, კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას. აქვე ახსენებს ანტიგმირ სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც საქართველოს საბჭოთა ოკუპაციას ხელმძღვანელობდა. გმირები და ანტიგმირები, ბუნებრივია, ერთმანეთს უპირისპირდება და სწორედ გმირების ძალა არის საქართველოს გადარჩენისა და გამარჯვების წინაპირობა. თანამედროვე პირობებში საქართველოს ძალა და მნიშვნელობა მის სახელმწიფოებრიობაში

გამოიხატება. სააკაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო სიმბოლოების (დროშის, ჰიმნის…) პატივისცემას, აგრეთვე ამბობს, რომ თანამედროვე "ორჯონიკიძეები" ვეღარ გაიმარჯვებენ, რადგან "ქაქუცას დროს საქართველო არ იყო სახელმწიფო… დღეს საქართველო არის სახელმწიფო."

სააკაშვილის აღნიშნული ანტირუსული რიტორიკა, მუქარა, მილიტარიზაცია, ეროვნული გმირების წინწამოწევა, აშშ-სთან მოკავშირეობა და ევროპისკენ დაჟინებული სწრაფვა წინ უძღოდა 2008 აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომს. ამ ნაშრომის მიზანი, ბუნებრივია, არ არის ომის მიზეზების ან ბრალეულობის ძიება თუ მტკიცება, არამედ ისევ და ისევ, იმ დისკურსის ანალიზი, რომელსაც სააკაშვილი ომის დღეებში ავითარებდა და რომელიც ებმის წინა დისკურსს და მოვლენებს. ომის ბოლო დღეებში სატელევიზიო გამოსვლაში, აგრეთვე უშიშროების საბჭოს სხდომაზე სააკაშვილი, ბუნებრივია, საუბრობს იმაზე, რომ რუსეთის მხრიდან ეს არის იმპერიალისტური ომი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მოსპობას, მისი პოლიტიკური კურსის შეცვლას ან შესაძლოა საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებასაც. რა მდგომარეობაშია ამ დროს არმია, რომელსაც სააკაშვილი წლების განმავლობაში აშენებდა და აძლიერებდა, რომლისთვისაც იზრდებოდა სამხედრო ბიუჯეტი? სააკაშვილი აღნიშნავს, რომ მათ ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს და თორმეტჯერ მეტი წინააღმდეგობა გასწიეს, ვიდრე მტერი ელოდა. თუმცა ეს წინააღმდეგობაც არ არის საკმარისი თავის დასაცავად, ამიტომ სააკაშვილს უწევს, რომ ეროვნულ სოლიდარობას და საერთაშორისო მხარდაჭერას დაეყრდნოს. ჩვენ ვხედავთ, რომ წინააღმდეგობის ლოკუსი გადანაიცვლებს ხალხში, რომელიც დიდ მიტინგებს აწყობს და ევროპელ სახელმწიფო ლიდერებში, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ. სააკაშვილის თქმით, "ბარბაროსი აგრესორების" გეგმა ჩაიშალა, რადგან ქართული სახელმწიფო "არ ჩამოიშალა", ხალხი ჩვეულებრივად აგრძელებდა ცხოვრებას და მუშაობას და აგრეთვე, გაიმართა "უზარმაზარი მიტინგი, ყველაზე დიდი მიტინგი, რომელიც ჩვენ გვქონია ბოლო მრავალი წლის განმავლობაში თბილისის ცენტრში"; მეორე მხრივ კი, "ყველაზე უფრო დიდი უსიამოვნება რაც შეიძლება მოწინააღმდეგეს ენახა", არის ის, რომ საქართველოში ჩამოვიდნენ საფრანგეთის (იმ პერიოდში ევროკავშირის თავმჯდომარე) პრეზიდენტი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერები. სააკაშვილი მოუწოდებს ხალხს კიდევ

უფრო მეტი სოლიდარობისკენ და დასავლური მხარდაჭერის მოხმობასთან ერთად გამოხატავს უკმაყოფილებასაც დასავლელი ლიდერების მიმართ, რომლებმაც არ დაუჯერეს მას თავიდან, როცა იგი რუსეთიდან მომავალი საფრთხის შესახებ ეუბნებოდა.

რომ შევაჯამოთ, სააკაშვილის დისკურსი ერთი მხრივ, მკვეთრად ანტიიმპერიალისტურია რუსეთთან მიმართებაში, თუმცა მეორე მხრივ, აქ იკვეთება პროდასავლური ნაციონალიზმის დომინაციის პერიოდი. სააკაშვილი აქტიურად თანამშრომლობს აშშ-სთან და მხარს უჭერს მის იმპერიალისტურ პროექტებს, აგრეთვე, ამტკიცებს, რომ საქართველო არის ევროპული ცივილიზაციის ნაწილი და საქართველო არის ევროპა. გარდა რუსეთის/საბჭოთა კავშირისგან დისტანცირებისა, აგრეთვე შეიძლება საინტერესო იყოს, რომ თუ საქართველო ევროპა/დასავლეთია და ეს სიამაყის საგანია, ეს ასევე გულისხმობს არადასავლელებისა თუ საკუთარი "არადასავლური" ნაწილის ორიენტალიზაციაზე თანხმობას. ისრაელი, რომელიც ასევე იმსახურებს სააკაშვილის მოწონებას, არ არის გეოგრაფიულად დასავლეთი, თუმცა პოლიტიკურად და კულტურულად მაინც დასავლეთის ნაწილად ან მის მოკავშირედ პოზიციონირებს და მოიაზრება, მისი მტრები კი "ველური" აღმოსავლელები არიან. სააკაშვილის ნაციონალიზმი საკმაოდ კომპლექსურია, რადგან შეიარაღება და მილიტარიზაცია ერთი მხრივ გვევლინება რეაქციად რუსეთის აგრესიასა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევაზე, ხოლო მეორე მხრივ უშუალოდ ემსახურება აშშ-ს ინტერესებს. გარკვეულწილად ჩანს კორუფციისა და სიღარიბის ასევე არადასავლური, "ჩამორჩენილი" კულტურის მახასიათებლებად განხილვის ტენდენციაც. ამიტომ კორუფციას და სიღარიბეს დაუპირისპირდება ლიბერალური კანონის უზენაესობა, რაც ასევე გახსნის სივრცეს ინვესტიციებისთვის. აქ განვითარების მაჩვენებელი არა უთანასწორობის რეალური აღმოფხვრა, არამედ კარგი საინვესტიციო გარემო და "ბიზნესის კეთების სიმარტივე" ხდება. სააკაშვილისთვის ერის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა და გამოხატულება არის სახელმწიფო, სახელმწიფო სიმბოლოები და ინსტიტუტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და სწორედ სახელმწიფომ უნდა გააერთიანოს სხვადასხვა ეთნიკური და სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფები; სახელმწიფო აწარმოებს ერის საერთო, უნივერსალურ ინტერესებს. რაც შეეხება ჰეგემონურ მასკულინობას, ის განსხეულდება პატრიოტიზმით, ჯარში

მსახურებისთვის მზად ყოფნით, “მხედრული სულით”, ეროვნული გმირობით და თავგანწირვისთვის მზაობით. თუ მოცემულ მასალებს დავეყრდნობით, ქართველი კაცის იდეალს სწორედ ეს უკანასკნელი ჩამონათვალი ქმნის.

3.4. კახა ბენდუქიძე

მიხეილ სააკაშვილის დისკურსს ავსებს ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე, რომელიც მის მთავრობაში ეკონომიკური რეფორმების კუთხით ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენდა. იგი 2004-2008 წლებში იყო ჯერ ეკონომიკის მინისტრი, შემდეგ რეფორმების კოორდინაციის მინისტრი. 2009 წელს მან დატოვა მთავრობა და მუშაობას განაგრძობდა თავის დაფუძნებულ თავისუფალ უნივერსიტეტსა და აგრარულ უნივერსიტეტში. რა იდეები ჰქონდა ბენდუქიძეს ერის ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის, აგრეთვე მასკულინური სუბიექტურობის შესახებ? ეს თვალსაჩინო ხდება 2010 წელს ყოველკვირეულ გამოცემა “ტაბულაში” გამოქვეყნებული ბლოგებიდან.

კახა ბენდუქიძის დისკურსი მკვეთრად ანტისაბჭოური და ანტირუსულია. ბლოგებში იგი ხშირად საუბრობს საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობასა და რუსეთზე, როგორც მავნებელ და მტრულ მოვლენებზე. მაგალითად, ერთ-ერთ ბლოგში “საბჭოთა გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე” იგი აღწერს ისეთ მოვლენას, როგორიცაა “საბჭოთა აზროვნება”, რომელიც მისი აზრით, მცდარი, აბსურდული და ირაციონალურია. “საბჭოთა აზროვნების” თვალსაჩინო ნიმუშად მას მოჰყავს ერთ-ერთი ქართული ქარხანა – ე.წ. “გეგმიურად წამგებიანი საწარმო”, რომელიც დასავლეთში დაფუძნებული ბიზნეს-მაგნატისთვის გაუგებარი აღმოჩნდა. ბენდუქიძის თქმით, საბჭოთა მემკვიდრეობის სიაში ბევრი ასეთი უკუღმართი რამ გვაქვს, მათ შორისაა “ქართული ტრადიციებიც” და სამინისტროებიც. ბენდუქიძე მატერიალურ საგნებსაც ეხება: “აქაც ბევრია საბჭოთა - სტალინის ძეგლი, ნამგალი და ურო საზოგადოებრივ შენობებზე, საქართველოს რკინიგზაზე მანძილების ათვლა მოსკოვის ცენტრიდან და მრავალი სხვა…” გარდა იმისა, რომ “საბჭოთა აზროვნება” მცდარი და აბსურდულია, ის ქართველებისთვის თავს მოხვეულადაც მიიჩნევა, ამიტომ ამ დისკურსში გამორკვევა და ავტონომიურობა საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობისგან დისტანცირებით მიიღწევა.

აგრეთვე ანტიიმპერიალისტურია ბენდუქიძის მიერ “ნამდვილი” ქართული ტრადიციების ძიება და მისი გარჩევის სურვილი რუსეთის იმპერიის/საბჭოთა კავშირის პერიოდში შექმნილის/თავსმოხვეულისგან.

ბენდუქიძის დისკურსში ნაციონალიზმი და ნაციონალური ბრძოლა მისივე განსაზღვრულ ეკონომიკურ სიკეთეს (საბაზრო ეკონომიკა) და ეკონომიკურ ბოროტებას (გეგმიური ეკონომიკა, სოციალიზმი) ებმის. მაგალითად, ერთ-ერთ ბლოგში იგი სოციალიზმს სენს უწოდებს და მისი თქმით, ის განვითარებადი ქვეყნების გაღარიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს, სხვაგან კი სიკეთისა და ბოროტების პირდაპირ დიქოტომიებს გვთავაზობს: “მინდა მოგიყვეთ ისტორია, თუ როგორ მოისპო მონეტარული თავისუფლება საქართველოში. ეს იყო რუსეთის ბრძოლა საქართველოსთან, სახელმწიფო სექტორის ბრძოლა კერძოსთან, შეზღუდვებისა და იძულების ბრძოლა თავისუფლებასთან.” შესაბამისად, რუსეთი და სახელმწიფო სექტორი ბოროტებაა, საქართველო და კერძო სექტორი კი სიკეთე. ერთ სხვა ბლოგში ბენდუქიძე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის აგებას მტრის (რუსეთის) სურვილის საპირისპიროდ გვთავაზობს, რაც რიტორიკულად ასე გამოიხატება: “ჩვენს მტერს უნდა, რომ ჩვენ მეტი ფული ვხარჯოთ, გადასახადები გავზარდოთ, ვალები ავიღოთ. რა ვქნათ?”

ბენდუქიძე საუბრობს ოკუპაციის 200 წელზე, რომელშიც რუსეთის იმპერიას საბჭოთა კავშირი ანაცვლებს, შემდეგ კი ისევ რუსეთი, რომელზეც ტელეგადაცემა “აქცენტებში” ბენდუქიძემ განაცხადა, რომ ის “არის იმპერიული სახელმწიფო და საქართველოს მიმართ გააჩნია ძალიან მკაფიო ინტერესები.” გარდა ამისა, მისი თქმით, რუსეთის სახელმწიფო არ არის დემოკრატიული და საკუთარი ხალხის ნებას არაფრად აგდებს, რაც მასთან ურთიერთობას ართულებს. რუსეთის სახელმწიფო არასანდო სავაჭრო პარტნიორია და ვაჭრობას მუდამ პოლიტიკურ ინტერესებს უქვემდებარებს. შესაბამისად, რუსეთს შეუძლია, რომ ეკონომიკური ზიანი მიაყენოს სხვა სახელმწიფოებს და მწარმოებლებს, ამიტომ ის ერთი მხრივ საშიშია, თუმცა მეორე მხრივ, სასაცილო და აბსურდულია. ამის საილუსტრაციოდ ბენდუქიძეს მოჰყავს “სასაცილო შემთხვევები”, როდესაც რუსეთმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში

გერმანული ავტომობილებისა და შვეიცარიული საათების იმპორტი აკრძალა, რადგან ისინი საფრთხის შემცველად შეაფასა.

როგორ ფიგურირებს ერისა და მასკულინობის იდეები ბენდუქიძის დისკურსში? გადაცემა "აქცენტებში", სააკაშვილის მსგავსად, სამაგალითო ქვეყნად ისიც ისრაელს ასახელებს. საინტერესოა, რომ ბენდუქიძე ისრაელს სამოქალაქო ნაციონალიზმის სავანედ უფრო წარმოადგენს, ვიდრე ერთი ეთნოსის გაერთიანებად: ისრაელის სახელმწიფო ემიგრანტებმა, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასულმა ებრაელებმა შექმნეს. მათ შორის არსებობს კონსენსუსი, რომ ისინი გარშემორტყმული არიან მტრებით და ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რათა არ განადგურდნენ, თუმცა ამავდროულად ერთგულნი არიან დასავლური პოლიტიკური ღირებულებებისა – აქვთ დემოკრატია და "გაცხოველებელი" ვაჭრობა "მტერ" მეზობელ სახელმწიფოებთან. ბენდუქიძე გულისხმობს, რომ სასურველია საქართველოს ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდეს თავის მეზობელ/მტერ რუსეთთან. საერთო ჯამში, ისრაელის მისაბაძ ქვეყნად დასახელება მიანიშნებს იმაზე, რომ ბენდუქიძისთვის მისაღები ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფო ხასიათდება მტრის აქტიური წარმოებით, მტრულ გარემოში ცხოვრებასთან შეგუებით, მილიტარიზმით, რომელიც შერწყმულია დასავლური ტიპის პოლიტეკონომიკურ სისტემასთან. ამ მხრივ, ბენდუქიძისა და სააკაშვილის ხედვები სრულ თანხვედრაშია და ბენდუქიძე მხარს უჭერს ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის სააკაშვილისეულ პროექტებს.

მაგრამ ქართველი ერისა და ერი-სახელმწიფოს პროექტს ბენდუქიძე ეკონომიკურ ასპექტებსაც ამატებს. ერის/სახელმწიფოს შედგენის საფუძველი უნდა გახდეს ეკონომიკური თანაცხოვრება – ვაჭრობა და გაცვლა. ბენდუქიძე ახსენებს გლობალურ ვაჭრობას, გლობალიზაციას, თუმცა მისი თქმით, ქართველებს "შიდა გლობალიზაცია" და ერთმანეთთან ვაჭრობის სწავლა სჭირდებათ. "ოთხი მილიონი ქართველი თავისი ბურჟუაზიული ინტერესებით დაუკავშირდება ერთმანეთს… ასჯერ იფიქრებს თითოეული, სანამ სხვას გაემიჯნება ან გადაემტერება - მაშინ გაუყიდავი რძე აეჭრება და თივა ჩაუწვება." ბენდუქიძის მიხედვით, ერს შეაკავშირებს არა იმდენად საერთო ენა, კულტურა თუ ნათესაური კავშირი, არამედ ეკონომიკური ინტერესები და რაციონალური გათვლები. აქედან გამომდინარე, ერის სიმტკიცე და მთლიანობა კერძო

ინტერესებს უფრო დაეფუძნება, ვიდრე სოლიდარობის განცდასა თუ სურვილს. გათვლისა და დათვლის საკითხს ეხება ბენდუქიძე ერთ-ერთ სხვა ბლოგშიც. მისი თქმით, საქართველო და ქართველი ერი ზედაპირულია და წარუმატებელია, რადგან აქ არ იციან გათვლა/დათვლა, კალკულატორი არაპოპულარული ნივთია და ხარჯ-სარგებლის ანალიზის კეთების ნაცვლად არჩევანის გაკეთებისას გადამწყვეტი სხვა, "ზედაპირული" კრიტერიუმებია. ბენდუქიძე მოუწოდებს ქართველებს, რომ შეიცვალონ და კალკულატორი აიღონ. აქვე ჩანს, რომ ერის მთავარ სუბიექტად იგი კაცებს მიიჩნევს ან ერს აიგივებს კაცებთან და შესაბამისად იწუნებს ქართულ მასკულინობას: "მიმტკიცებენ, საქართველოში მამაკაცმა რომ კალკულატორი იხმაროს, სირცხვილია. ანუ იარაღი - კარგია. სიგარეტი - მოსულა, კალკულატორი - სამარცხვინოა. სრიალი მოსულა, ჩაღრმავება - არა."

სამაგალითო ქართველი კაცი დავით აღმაშენებელია. აქ ბენდუქიძე მხარს უბამს სააკაშვილს, რომლისთვის დავით აღმაშენებელი ასევე მისაბაძი მაგალითია, თუმცა ბენდუქიძე სცდება მილიტარიზმის, ეროვნული გმირობისა და ქვეყნის გაერთიანების დისკურსს და აღმაშენებლის პიროვნებისა თუ პოლიტიკის სხვა ასპექტებსაც ეხება. ბენდუქიძე მის ისტორიას გვიყვება, როგორც "ერთი ქუთაისელი ბიჭის ისტორიას", რომელსაც მამამ "საგვარეულო ბიზნესი" (სამეფო) გადასცა სამართავად. ბენდუქიძე ცდილობს ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ თანამედროვე სტანდარტებით დავით აღმაშენებელი ქართველებისთვის სრულიად მიუღებელი ქართველი/კაცი/მმართველი იქნებოდა: მას ჰყავდა არაქართველი წინაპრები და ცოლები, ურჯულო ძმაკაცები (ყივჩაღები), რომლების საქართველოში ჩამოყვანაც უნდოდა, ცუდი ურთიერთობა ჰქონდა ეკლესიასთან – "თავის ბიზნესს უფრო მაღლა აყენებდა"; გარდა ამისა, ქართველებს მაღალ გადასახადებს უწესებდა და უცხოელებს დაბალს. ამგვარად ბენდუქიძე ცდილობს თანამედროვე ნეოლიბერალიზმი და კულტურული ლიბერალიზმი, აგრეთვე თანამედროვე მმართველებიც (მიხეილ სააკაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა"...), დავით აღმაშენებლის პიროვნებასა და პოლიტიკასთან დააკავშიროს. ბიზნესის/ქვეყნის კარგად სამართავად ეს პირობებია საჭირო და არა ის, რასაც კონსერვატორი ქართველები და ოპოზიცია მიიჩნევს საჭიროდ. "რა უნდა თქვას თბილისელმა, ქართული ჯიშისა და ჯილაგის მაქებარმა კაცმა, შევარდნაძის დროს ხაზინიდან მოპარული ფულით კაცურად რომ ქეიფობს და საქართველოს

სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით სვამს, ახლა კი სოროსისტებმა და ლიბერასტებმა სამშობლო გაუყიდეს, სამსახური დაუკარგეს და ქართველობას ართმევენ?" ასე აღიწერება ის კატეგორია, რომელიც "დავით აღმაშენებლის" ლიბერალურ და ნეოლიბერალურ საქართველოს უპირისპირდება. სავარაუდოდ იგივე კატეგორია საუბრობს ქართველობის უპირატესობაზე და დასცინის დასავლურ კულტურას. ბენდუქიძე ამგვარი ქართველი კაცების საილუსტრაციოდ წარმოგვიდგენს პაპუასების წარმოსახვით საუბარს, სადაც პაპუასები ასკვნიან, რომ თეთრკანიანები "არ არიან ადამიანები... ველურები არიან, კაცობა არ ესმით, ნათესაობა არ ესმით, ჭამა არ ესმით!", რადგან ისინი მათ კანიბალურ და სხვა ტრადიციებს არ იზიარებენ. ნათელია ბენდუქიძის მოსაზრება, რომ სინამდვილეში ქართველები (ისევე როგორც პაპუასები) არიან ველურები და არა დასავლელი თეთრკანიანები, განვითარებისთვის ქართველებმა უნდა ისწავლონ დასავლელებისგან და, რა თქმა უნდა, არა პირიქით.

შესაბამისად, ვხედავთ, რომ ბენდუქიძის დისკურსში ერისა და მასკულინობის აგება ხდება პროდასავლური, ლიბერალური და ნეოლიბერალური ღირებულებების შესაბამისად, იქნება ეს ვაჭრობისა და თვლის სწავლა, მოგებაზე ორიენტირება, ტოლერანტობა თუ დასავლური კულტურის უპირატესობის აღიარება. ბენდუქიძე უარყოფს საბჭოთა კავშირს და რუსეთს, მაგრამ მიესალმება დასავლეთს ლიბერალიზმის სახით. ბენდუქიძის დისკურსში პროდასავლური ნაციონალიზმი უფრო მეტადაც კი არის გამოკვეთილი, ვიდრე სააკაშვილის დისკურსში, რადგან ბენდუქიძე პოლიტეკონომიკურ წესრიგს და კულტურულ ღირებულებებს მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ტერიტორიულ მთლიანობას და სამხედრო აგრესიას. ბენდუქიძისთვის საბჭოთა კავშირი და რუსეთი ირაციონალური, აბსურდული, სასაცილო და "წამგებიანია", დასავლური ღირებულებები კი უკავშირდება ქვეყნის/ერის ძლიერებას, სიმტკიცეს და განვითარებას.

3.5. ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი

ბიძინა ივანიშვილმა, ბიზნესმენმა, რომელიც იქამდე საჯაროდ გამოჩენას ერიდებოდა, 2011 წლის 7 ოქტომბერს პოლიტიკაში მოსვლის შესახებ სპეციალური განცხადება

გააკეთა, 2012 წელს მან ჩამოაყალიბა კოალიცია სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად და 2012 წლის 21 მარტს ოფიციალურად დაარსდა "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო." 2012 წლის ოქტომბერში, ე.წ. ციხის სკანდალის შემდეგ კოალიციამ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და სააკაშვილის მთავრობა შეცვალა. ბიძინა ივანიშვილმა პარტიული ბრძოლა თავიდანვე სწორედ ამ მიზნით დაიწყო. რა პრეტენზიები ჰქონდა მას სააკაშვილის პოლიტიკასთან? ამას იგი 2011 წელს გამოქვეყნებულ ორ წერილში აყალიბებს. მისი თქმით, სააკაშვილი არის ავტორიტარული მმართველი, რომელმაც ძალაუფლების ცენტრალიზაცია და მონოპოლიზაცია მოახდინა, რომელმაც კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგო და ძალაუფლების უვადოდ შენარჩუნება სურს. ივანიშვილის თქმით, სააკაშვილი ქვეყანას მართავს ძალადობით და სიცრუით. ივანიშვილი ხაზს უსვამს სახელმწიფო ინსტიტუტების ძალადობას ბიზნესზე, რის შედეგადაც "საქართველოში, პრაქტიკულად, თავისუფალი ბიზნესი აღარ არსებობს", აგრეთვე მოქალაქეების დარბევებს და დაჭერებს; მეორე მხრივ, ის სააკაშვილს ადანაშაულებს საინფორმაციო საშუალებებით "სიცრუის მანქანის" შექმნაში.

რა არის ივანიშვილის პროგრამა, რომელიც მთავრობაში მოსვლის შემდეგ უნდა განახორციელოს? იგი აცხადებს, რომ შეიმუშავებს მართვის უფრო დემოკრატიულ მოდელს, აღმოფხვრის ელიტურ კორუფციას, შექმნის დამოუკიდებელ სასამართლოს და კარგ საინვესტიციო გარემოს. დღის წესრიგში რჩება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აშშ-სთან მოკავშირეობა და ევროკავშირში ინტეგრაცია, თუმცა ამას ემატება რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. რეალურად, ივანიშვილი სააკაშვილს ედავება არა პროდასავლური, ლიბერალური და ნეოლიბერალური პოლიტიკის გამო, არამედ იმის გამო, რომ ეს პოლიტიკა სინამდვილეში საკმარისად დასავლური და ნეოლიბერალური არ არის. პრობლემაა ის, რომ სახელმწიფო ზედმეტად ძალადობრივი გახდა და ზედმეტად ერევა სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის ცხოვრებაში. ამის ნაცვლად, სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს წესრიგს და მშვიდ გარემოს, კორუფციის არარსებობას და კანონის უზენაესობას დამოუკიდებელი სასამართლოს სახით. სწორედ ეს შექმნის კარგ საინვესტიციო გარემოს. "საქართველოში რეალურად შეიქმნება საიმედო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო. მოგეხსენებათ, რომ სწორედ დღევანდელი მდგომარეობის გამო არც ერთი სერიოზული კომპანია არც კი

განიხილავს საქართველოში ინვესტირების საკითხს.” ერთი, რაც ივანიშვილის პროგრამას სააკაშვილის პოლიტიკისგან მკვეთრად განასხვავებს, არის რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. საბოლოო ჯამში, ივანიშვილის პროგრამა გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო უნდა გახდეს ნაკლებად აგრესიული საშინაო და საგარეო პოლიტიკაშიც, აგრეთვე არის მინიშნებები ძალაუფლების დეცენტრალიზაციაზე, თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის არსი უცვლელი რჩება. ამ პროგრამასთან შესაბამისობაში მოდის ივანიშვილის შემდგომი განცხადებაც, რომ “აუცილებელია პირველყოვლისა შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ჩვენს ცნობიერებაში.”

ივანიშვილის თქმით, პოლიტიკაში იგი სამშობლოზე პატრიოტულმა წუხილმა მოიყვანა; მას ჰქონდა შეგრძნება, რომ სამშობლო ეკარგებოდა და აქ პრივილეგიებსაც აღარ ჰქონდა ფასი. გარდა ამისა, ივანიშვილის თქმით, მასზე იმოქმედა მისი შვილის, უტას მოწოდებამ, რომელსაც თავისზე უფრო დიდ პატრიოტს და კარგ ქართველს უწოდებს. გარდა პატრიოტიზმისა, ივანიშვილი ასევე ააქტიურებს “მოქალაქეობისა” და “ღირსების” ნაციონალისტურ/მასკულინისტურ ცნებებს. პოლიტიკაში მოსვლა მოქალაქეობრივი ვალიც იყო, რადგან ივანიშვილის თქმით, მან დაინახა, რომ მხოლოდ ქველმოქმედებით და თავისი პრინციპების დაცვით ვეღარ იქნებოდა კარგი მოქალაქე. გარდა ამისა, იგი ხაზს უსვამს, რომ ყველა მოქალაქე თანასწორია და მას არასდროს უფიქრია, რომ თავისი სიმდიდრის გამო ვინმეზე მეტია. 2012 წლის აპრილში საჩხერეში სიტყვით გამოსვლის დროს ივანიშვილი კვლავ აკრიტიკებს სააკაშვილს და წარმოადგენს თავის პროგრამას, აგრეთვე, ამ შემთხვევაში იგი გაცილებით მეტს საუბრობს დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების გაზრდაზე. “ღირსებას” იგი მედიაზე საუბრისას ახსენებს. იგი პირობას დებს, რომ ჟურნალისტები და მედიასაშუალებები, რომლებიც სააკაშვილის ზეწოლას განიცდიან, გათავისუფლდებიან და მათ აღუდგებათ ღირსება. მოცემულ შემთხვევაში, ღირსების აღდგენა “ერთი კაცის მორჩილებაში” ყოფნისგან გათავისუფლებას და ძალაუფლების გადანაწილებას ნიშნავს, რაზეც ივანიშვილი დემოკრატიის სახელით საუბრობს.

“ქართული ოცნების” საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე საქართველოს

პრემიერმინისტრის პოსტს იკავებდა. შემდეგ იგი შეცვალა ირაკლი ღარიბაშვილმა, 2015 წლის ბოლოდან კი პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილია. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების (მათ შორის, კოალიციის ყოფილი წევრების) მხრიდან კეთდებოდა განცხადებები, რომ ივანიშვილი ქვეყნის არაფორმალურ მმართველად რჩება. საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე კვლავ რჩებოდა ქვეყნის მეთაურად. 2013 წელს ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე "ქართული ოცნების" მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ამცირებდა პრეზიდენტის უფლებებს და ზრდიდა პრემიერმინისტრის უფლებებს და შესაბამისად საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნიდა. ეს ცვლილებები ძალაში შევიდა ახალი პრეზიდენტის არჩევისა და მის მიერ ფიცის დადების შემდეგ. 2013 წლის ოქტომბერში პრეზიდენტად "ქართული ოცნების" კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი აირჩიეს, ხოლო მისი ინაუგურაცია იმავე წლის 17 ნოემბერს შედგა. მარგველაშვილი იქამდე ივანიშვილის მთავრობაში განათლების მინისტრი და ვიცე-პრემიერი იყო, თუმცა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მასსა და ივანიშვილს (აგრეთვე, მთავრობას და საპარლამენტო უმრავლესობას) შორის ურთიერთობები გაცივდა. 2014 წელს ივანიშვილმა განაცხადა, რომ ინაუგურაციიდან მეორე დღესვე მარგველაშვილმა განაცხადა, რომ იგი მთავრობასა და პარლამენტთან კონკურენციას აპირებდა. ეს ივანიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და პრეზიდენტის პოლიტიკა ქვეყნისთვის ხელის შეშლად შეაფასა.

აქ ვხედავთ, რომ მმართველობის სისტემის კონსტიტუციური ცვლილებისა და არაფორმალური მმართველობის შესაძლებლობის გაჩენასთან ერთად მმართველობისა და ძალაუფლების სისტემური კონფიგურაცია შეიცვალა. იქამდე არსებული ერთი გამოკვეთილი ლიდერის (პრეზიდენტის) ნაცვლად ვხედავთ რამდენიმე ლიდერს – "არაფორმალურ მმართველს", პრეზიდენტს, პრემიერმინისტრს. თითოეულ მათგანს სხვადასხვა ინსტიტუციური და ძალაუფლებრივი პოზიცია უჭირავს, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს საშუალება, რომ თავისი ნაციონალური დისკურსი აწარმოოს. ამ შემთხვევაში, მიუხედავად მარგველაშვილის დაძაბული ურთიერთობისა ივანიშვილსა და "ქართული ოცნების" მთავრობასთან, იგი მაინც რჩება ქვეყნის მეთაურად და ამ პოლიტიკურ ძალასთან ასოცირებულ ნაწილადაც. ამიტომ მის დისკურსსაც განვიხილავ

ახალი მთავრობის პოლიტიკის ნაწილად, რომლის შექმნასაც ივანიშვილი და "ქართული ოცნება" სააკაშვილთან ოპოზიციაში და ასევე მისგან განსხვავებულად ცდილობენ.

მარგველაშვილი, სააკაშვილის მსგავსად, ინარჩუნებს ერის/ქვეყნის ევროპულ იდენტობას. 2013 წელს, თავის საინაუგურაციო სიტყვაში იგი აცხადებს: "ქართველი, თავისი ინდივიდუალური შეგნებით, ევროპელია; თავისი ბუნებით – კი დასავლური ცივილიზაციის ორგანული ნაწილი." აგრეთვე, იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ პარლამენტი და პრეზიდენტი დემოკრატიული არჩევნებით შეიცვალა (და არა რევოლუციით ან გადატრიალებით), რაც მას სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ეტაპად მიაჩნია. ეს "პოსტსაბჭოთა პერიოდის" დასრულებას და ევროპული პოლიტიკური კულტურის ათვისებას მოასწავებს. ევროპასთან ინტეგრაცია კვლავ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ცხადდება, მარგველაშვილი ამ მხრივ მთავრობის განსაკუთრებულ წარმატებად მიიჩნევს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. მომდევნო წლებში მარგველაშვილი კვლავ აგრძელებს იმაზე საუბარს, რომ საქართველო ევროპაა, ქართველი კი – ევროპელი მოქალაქე. ამას ამბობს იგი 2015 წლის ყოველწლიურ საპარლამენტო მოხსენებაში, სადაც ასევე აცხადებს: "პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან – ევროპულ სახელმწიფომდე" – შარშან პარლამენტში, სწორედ ასე განვსაზღვრე ჩემი წლიური გამოსვლის მიზანი, წელს კი ჩვენ მტკიცე ნაბიჯი უნდა გადავდგათ ევროპული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ისტორიულად, კულტურულად, ჩვენ ევროპა ვართ – არა უბრალოდ მისი ნაწილი, არამედ – საუკუნეთა განმავლობაში ევროპის განვითარებისა და ქმნადობის აქტიური მონაწილეც." 2016 წელი კი პრეზიდენტმა ევროპული სახელმწიფოს წლად გამოაცხადა. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, უნდა გახდეს ევროპული, არა უბრალოდ პროდასავლური, არამედ დასავლური სახელმწიფო.

2015 წლის და 2016 წლის საპარლამენტო მოხსენებები სიმბოლურ თარიღებში გაიმართა. პირველ შემთხვევაში, 31 მარტს, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, მეორე შემთხვევაში კი 3 თებერვალს, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დღეს. მარგველაშვილი ხაზს უსვამს ამ თარიღებისა და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, პიროვნებების მნიშვნელობას, რომლებიც ასოცირდებიან "ეროვნულ გამარჯვებებთან",

დამოუკიდებლობასა და ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვაზე. მაშასადამე, მარგველაშვილისთვის ეს ისევ და ისევ ის ღირებულებებია, რომლებიც შენარჩუნებას და განმტკიცებას საჭიროებს.

რაც შეეხება რუსეთს, მარგველაშვილი საუბრობს იმაზე, რომ რუსეთი საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას ევროპული არჩევანისთვის სამხედრო ინტერვენციებით და ტერიტორიული მთლიანობის რღვევით სჯის. თუმცა იგი რუსეთის მიმართ სააკაშვილის მსგავსად აგრესიული არ არის, იგი ესწრაფვის "თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ კეთილმეზობლურ პოლიტიკას", "ურთიერთობების განმუხტვას", რაშიც ევროპული სახელმწიფოების დახმარების იმედი აქვს. იგი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ევროპული პოლიტიკის ნაწილად აცხადებს, რაც მრავალგვარად შეიძლება იყოს გაგებული, თუმცა ნათელია, რომ ეს ამტკიცებს საქართველოს ევროპულ იდენტობას. გარდა ამისა, მარგველაშვილი საუბრობს რუსულ რბილ ძალაზეც, რომლის ამოცანაც "დასავლური ღირებულებების დისკრედიტაცია და საქართველოს მიერ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმაა. ამაში იგი ადგილობრივი ანტიდასავლური ძალების კონგლომერატს იყენებს." საინტერესოა, რომ მარგველაშვილი არ აკონკრეტებს, რომელ ადგილობრივ ძალებს გულისხმობს. 2016 წელს მარგველაშვილი რუსული რბილი ძალის ეკონომიკურ ბერკეტებსაც ახსენებს და "გაზპრომთან" მოლაპარაკებების გამჭვირვალობას მოითხოვს. რუსული რბილი ძალისგან თავის დასაცავად საჭიროდ სახელდება ასევე დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობა. ამავდროულად, მარგველაშვილის თქმით, აშშ საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად რჩება. საქართველოს არმია კვლავ აგრძელებს მონაწილეობას "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის" საერთაშორისო მისიებში.

ეკონომიკურ გამოწვევებზე საუბრისას მარგველაშვილი აცხადებს, რომ გლობალურ დონეზე იზრდება ქვეყნებს შორის კონკურენცია შეზღუდულ რესურსებზე წვდომისთვის, ამიტომ საქართველო უნდა ორიენტირდეს თავისი კონკურენტული უპირატესობების განვითარებაზე. ეკონომიკის განვითარებისთვის მარგველაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს ევროპასთან, აშშ-სთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან/რეგიონებთან, რაც გზას ხსნის ინვესტიციებისთვის. მარგველაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში კორუფციისა და კრიმინალის

დაბალი დონე, ბიზნესის კეთების სიმარტივე და დაბალი გადასახადები ასევე კარგ პირობებს ქმნის ინვესტორებისთვის და საჭიროა მათი უკეთ ინფორმირება. აქედან ჩანს, რომ სახელმწიფო სააკაშვილის პრეზიდენტობისას გააქტიურებულ ნეოლიბერალურ პოლიტიკას აგრძელებს და ეს პოლიტიკური ელიტისგან მხარდაჭერილია.

მიუხედავად ამისა, მარგველაშვილი ასევე ყურადღებას ამახვილებს სოციალურ პოლიტიკასა და ქალთა უფლებებზე. იგი მხარს უჭერს მთავრობის მიერ განხორციელებულ ჯანდაცვის რეფორმას, რადგან ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის პოლიტიკა მოქალაქეების სიცოცხლეს იცავს. გარდა ამისა, იგი მოუწოდებს მთავრობას, იმუშაონ ბავშვთა სიღარიბის აღმოსაფხვრელად, დააკმაყოფილონ დევნილების, ვეტერანების და სხვა სოციალური ჯგუფებების საჭიროებები. იგი აგრეთვე საუბრობს 2014 წელს ქალთა მიმართ გამოვლენილ მასშტაბურ და სასტიკ ძალადობაზე (ფემიციდზე), რის გამოც 2015 წელი ქალთა წლად გამოაცხადა და ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით მხარს უჭერს კვოტირების სისტემის დანერგვას. ამრიგად, იგი აფართოებს მოქალაქეობის ცნებას "განსხვავებულის" (ქალის) საჭიროებებზე მითითებით. აგრეთვე, როდესაც მთავრობისგან მათ სიცოცხლესა და კეთილდღეობაზე ზრუნვას მოითხოვს, იგი მოქალაქეებს თვითგადარჩენის ნეოლიბერალურ პასუხისმგებლობას აშორებს. ამრიგად, მარგველაშვილი ინარჩუნებს საქართველოს ევროპულ იდენტობას, თუმცა ეს იდენტობა უფრო კომპლექსური და დაძაბული ხდება. თუ იქამდე ევროპელობა/დასავლელობა კორუფციის აღმოფხვრას და თავისუფალ ვაჭრობას ნიშნავდა, მარგველაშვილი ამას უმატებს ქალთა უფლებებს და სოციალურ კეთილდღეობასაც.

რომ შევაჯამოთ, ივანიშვილისა და მარგველაშვილის საჯარო გამოსვლების ანალიზიდან ვხედავთ, რომ ანტიიმპერიალიზმი ანტირუსულობის სახით უკანა პლანზე გადადის ან/და ნაკლებად აგრესიული ხდება. მეორე მხრივ, კვლავაც აქტიურია პროდასავლური ნაციონალიზმი, რაც მოიცავს დასავლური პოლიტიკური სისტემის (ლიბერალური დემოკრატიის) უკეთ ათვისებას და ღიაობას და კარგ პირობებს ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის. თუმცა "ევროპელობა" ასევე იძენს ახალ კონოტაციებსაც, როგორიცაა ქალთა უფლებები და კეთილდღეობა. როგორც ჩანს მმართველობის სისტემის კონსტიტუციური ცვლილება და აგრეთვე ნაციონალიზმის

ფორმის აღნიშნული ცვლილება იწვევს უფრო კომპლექსურ და მრავალმხრივ ძალაუფლებრივ ინტერაქციებს და მეტ შესაძლებლობებს სხვადასხვა აქტორებისთვის. ჰეგემონური მასკულინობა კვლავ თანხვედრაშია ნეოლიბერალურ ღირებულებებთან, თუმცა მარგველაშვილის დისკურსში ასევე ვხედავთ ალტერნატიული ღირებულებების შემოსვლას, რომლებიც ჯერჯერობით დანამატის სახით არსებობს.

3.6. ლევან ვასაძე

ჩემ მიერ შერჩეულ პირებს შორის ლევან ვასაძე ერთადერთია, ვინც არასდროს იკავებდა სახელმწიფო თანამდებობას, იგი არ არის არც ერთი პარტიის წევრი. შესაბამისად, იგი თავის მოსაზრებებსა და იდეებს არა "პოლიტიკის", არამედ "სამოქალაქო საზოგადოების" პოზიციიდან აჟღერებს. ამრიგად, მისი დისკურსი საინტერესოა, როგორც "პოლიტიკის გარეთ" დარჩენილი ნაციონალიზმის გამოვლინება. რა ამსგავსებს ან რა განასხვავებს მას დანარჩენი ნიმუშებისგან?

ლევან ვასაძემ 2013 წელს გამოცემა "კვირის პალიტრის" ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა ვრცელი წერილი "ერი და სახელმწიფო". ამ ნაშრომის ფარგლებში სწორედ ამ წერილს გავაანალიზებ. წერილის დასაწყისში ვასაძე სვამს ზოგად კითხვებს ერისა და სახელმწიფოს რაობის შესახებ, აგრეთვე, იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენოს და განავითაროს ერმა სახელმწიფო. შემდეგ იგი ვრცლად მსჯელობს იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენია ქართველი ერის განვითარება და სახელმწიფოს მოწყობა თანამედროვე პირობებში. მისი ზოგადი პოზიცია ანტიიმპერიალისტურია, რაც ზვიად გამსახურდიას მსგავსად, მოიცავს დაპირისპირებას რუსეთთანაც და დასავლეთთანაც. თუმცა თუ გამსახურდიას დისკურსი და პრაქტიკა უმეტესად მაინც ანტისაბჭოური თუ ანტირუსული იყო, ვასაძე თავის თანამედროვეობაში უფრო დიდ საფრთხედ დასავლეთს და პროდასავლურ პოლიტიკას/ნაციონალიზმს ხედავს.

ვასაძე წერს, რომ რუსეთს საქართველოსთან "ერთმორწმუნეობა" და კულტურული მსგავსება აკავშირებს, მაგრამ იგი, როგორც იმპერია, სეპარატიზმის მხარდაჭერით არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. იგი აცხადებს, რომ ამ ფონზე და

მორიგი სამხედრო აგრესიების მოლოდინში, საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა გასაგებია. თუმცა დასავლეთიც იმპერიაა და "ბუა რუსეთისგან" გაქცევისას სიფრთხილეა საჭიროა. ვასაძე წერს, რომ საქართველოს ბევრი იმპერია უნახავს და ორცეცხლშუა ყოფნა მისთვის ახალი არ არის. "ჩვენი ერისათვის არც ეს დასავლური იმპერია არის პირველი, ვინც ჩვენთან შემოსულა და არც ეს რუსული იმპერია იქნება ბოლო, ვინც აქედან მიდის. ჩვენი ამოცანა ამ ეპოქათა ცვლაში, როგორც ყოველთვის, არის ქართველობის აღდგენა და შენარჩუნება…"

წერილის დიდ ნაწილს ვასაძე დასავლეთის "დეკადანსისა" და დასავლეთიდან მომდინარე საფრთხეების ანალიზს უთმობს. ერთი მხრივ, დასავლეთი მიმზიდველი და დასაფასებელია თავისი კულტურით, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, თუმცა მეორე მხრივ, ვასაძის აზრით, თანამედროვე დასავლეთი ბოლო ათწლეულების განმავლობაში დეკადანსს განიცდის. რა არის ცუდი დასავლეთში? ეს არის პირველ რიგში რწმენისა და ღმერთის დაკარგვა და მის ნაცვლად ფულის გაღმერთება, აგრეთვე, ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის რღვევა. ვასაძე წერს, რომ დასავლეთში ახალგაზრდებისთვის მიღებულია "გარყვნილი სქესობრივი ცხოვრება", რაც შემდგომში ხელს უწყობს ოჯახების ნგრევას. ტრადიციულ ოჯახს ასევე ძირს უთხრის "გარყვნილების უკიდურესი ფორმები, როგორიცაა მამათმავლობა და ლესბოსელობა" და ერთნაირსქესიანთა ქორწინება. ეს ქორწინებები დიდ საფრთხედ არის წარმოდგენილი ბავშვებისთვის, რომლებსაც გეი ან ლესბოსურ ოჯახში გაშვილებით, ვასაძის აზრით, ადამიანობის უფლებას უსპობენ. ვასაძე ბავშვისა და ოჯახისთვის საფრთხედ განიხილავს იუვენალურ იუსტიციას, რომელიც ბავშვის მშობლებისთვის ჩამორთმევის უფლებას იძლევა. აგრეთვე, მისი თქმით, დასავლეთში არსებობს პედოფილიის მოძრაობები, რომლებიც პედოფილიის ლეგალიზაციას მოითხოვენ და ეს შეიძლება რეალობად იქცეს. მოკლედ რომ ვთქვათ, დასავლეთი დასახულია გარყვნილების სავანედ, რომელიც საფრთხეს უქმნის და არაჰუმანურია ადამიანებისა და პირველ რიგში, ბავშვების მიმართ. გარდა ამისა, ვასაძე ასევე საუბრობს დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო და საბინაო პოლიტიკის ნაკლოვანებებზე, ვალებზე, ნარკომანიაზე და სხვა სოციალურ პრობლემებზე. ამასთან ერთად, დასავლეთს აქვს იმპერიული მახასიათებელი: "დანარჩენ სამყაროზე დასავლეთის ზემოქმედება არ არის ამ ქვეყნების არჩევანი, იგი არის მოცემულობა,

დადგენილი დასავლური სამყაროს მიერ: დასავლური იდეოლოგია თავის დაცვის საბაბით აცხადებს, რომ ყველა ქვეყანა სწორედ მის იდეოლოგიაზე უნდა გადავიდეს და რომ ვინც ამას არ იზამს, იგი დაარღვევს საკუთარი მოქალაქეების უფლებებს. დასავლეთს მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში მას ეძლევა უფლება, იძალადოს მსგავს ურჩ ქვეყნებზე მათი ხალხის კეთილდღეობაზე უანგარო ზრუნვის დროშით." ერთი მხრივ, ვასაძე თითქოს ცდილობს გამოკვეთოს ეს იმპერიული მახასიათებელი და ის, რომ დასავლური იდეოლოგია თუ კულტურა შესაძლოა ცალსახად კარგი არ იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, იგი დასავლეთს აანალიზებს უკიდურესად კონსერვატიული პოზიციიდან, მხარს უჭერს ნუკლეარულ ოჯახს, რომელიც "ძველი" დასავლური ღირებულებაა და შესაბამისად, თავს ესხმის ახალ "გარყვნილ" დასავლეთს. აგრეთვე იგი დასავლეთის საზოგადოებების კრიტიკისას ახდენს მათ ჰომოგენიზაციას, არ უთმობს ყურადღებას ქვეყნებს შორის განსხვავებებს და შიდაძალაუფლებრივ ურთიერთმიმართებებს სხვადასხვა ქვეყნებსა და კლასებს შორის. აგრეთვე, იგი წერს წყაროების მითითების გარეშე და სავარაუდოდ ერთმანეთში ურევს რეალურ მონაცემებს და გადაჭარბებულ ინტერპრეტაციებს.

ვასაძის აზრით, ქართველმა ერმა უნდა განახორციელოს "სელექციური ვესტერნიზაცია": ქართველებმა დასავლეთისგან უნდა ისწავლონ შრომის კულტურა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განხორციელება და სამოქალაქო და სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა. ხოლო ის სფეროები, რაშიც ქართველები უნდა შეეწინააღმდეგონ დასავლეთს და პირიქით, დასავლეთმა უნდა ისწავლოს ქართველებისგან, არის ოჯახის ინსტიტუტი და ზნეობრივი ნორმები. მაშასადამე, მიუხედავად დასავლური საზოგადოებების ნაკლოვანებების ვრცელი და მრავალფეროვანი აღწერისა და კრიტიკისა, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის კრიტიკასაც მოიცავს, ვასაძე მხოლოდ სექსუალობას განსაზღვრავს იმ სფეროდ, რომელსაც თანამედროვე დასავლური ტენდენციები არ უნდა შეეხოს.

ვასაძის აზრით, ტრადიციული ნუკლეარული ოჯახი ერთადერთი სწორი სექსუალობაა. "ეს არის სწორედ ის ესპერანტო, რომელზეც ადრე ყველა მეტყველებდა... [და] ...ადამიანური ყოფის ერთადერთი სავანე." ქართველი ერი სწორედ ამგვარი ოჯახით უნდა იყოს განსაზღვრული, ის უნდა გახდეს მისი საფირმო ნიშანი, ამისთვის

კი საჭიროა, რომ სახელმწიფომ ოჯახი აიყვანოს "დაცულობისა და ზრუნვის უმაღლეს, მსოფლიოში აქამდე არნახულ იურიდიულ კატეგორიაში." ეს კი საპირისპიროდ, ალტერნატიული სექსუალობების კანონით მკაცრ რეგულირებას ნიშნავს. ვასაძის მიხედვით, ყოველგვარი სხვა სექსუალობა სიბილწე, გარყვნილება და ცოდვაა, ხოლო გარყვნილების უკიდურესი ფორმა და ტრადიციული ოჯახის მთავარი მტერი მამათმავლობა და ლესბოსელობაა. სექსზე და სექსთან ან სექსუალობასთან დაკავშირებულ მოვლენებზე იგი მუდამ ზიზღით საუბრობს. მაგალითად, მას რატომღაც მიაჩნია, რომ სიტყვა "ჰომოსექსუალი" ქართულად უხამსად ჟღერს და უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ტერმინ "მამათმავალს", იგი იყენებს ტერმინ "ქალაჩუნასაც". სექსს იგი უწოდებს "სიამტკბილობას", თუმცა აზუსტებს, რომ ეს ევფემიზმია. "არაოჯახურ" სექსს მხოლოდ გარყვნილებისა და თავაშვებულობის კონოტაცია აქვს და ის კარგი არ შეიძლება რომ იყოს. წესიერი სექსი და სექსუალობა მხოლოდ რეპროდუქციას უნდა ემსახურებოდეს, ამიტომ ვასაძე აბორტის აკრძალვის ინიციატივითაც გამოდის.

როგორ საუბრობს ვასაძე ქალებზე? მის ტექსტში ქალის სამი სახე იკვეთება: "ჩვენი" ქალები, "სხვისი" ქალები და ქალები, როგორც ერის სიმბოლო. პირველ ორ შემთხვევაში ქალი აუცილებლად სექსუალიზებულია. "ჩვენი" ქალები არიან ოჯახის ქალები, ცოლები და დედები, რომლებიც ოჯახისთვის ბევრს შრომობენ. ამ ქალების სექსუალობა, რეპროდუქციული და პროდუქტიული შრომა დამორჩილებულია და ათვისებულია ერის მიერ, ამიტომ ისინი საერთო ჯამში "კარგი ქალები" არიან, თუმცა შეიძლება ხანდახან რაღაც ეშლებოდეთ (მაგალითად, ბევრ შვილს არ აჩენდნენ). მეორე მხრივ, არიან "სხვისი" ქალები, რომლებსაც ვასაძე ზიზღით მოიხსენიებს, გამუდმებით ობიექტივაციას უწევს ან/და "ბოზობასთან" აკავშირებს. ამ შემთხვევაში, "სხვა" ან მიხეილ სააკაშვილი და "ნაციონალური მოძრაობის" პროდასავლური მთავრობაა ან/და სხვა ერები. ვასაძე "სხვის" ქალებს შემდეგნაირად მოიხსენიებს: "უსაქციელო ცოლები", "ამაგზნებელი უცხოელი მროკავი ქალები", "კბენია მასაჟისტები", "სლავი პუტანები", "სილიკონებით დაბერილი ლათინოსი ქალები". თუ ქალი ოჯახის მიერ არ არის დამორჩილებული, იგი ცალსახად გარყვნილებით ხასიათდება და ისეთივე ერის მტერია, როგორიც "მამათმავლები". ერის სიმბოლოები კი წმინდა ნინო და თამარ მეფე არიან – 14 წლის გოგო, რომელმაც "მოგვდრიკა და მოგვნათლა" და მონარქი, რომლის

დროსაც, ვასაძის თქმით, ევროპული დემოკრატიის პირველი პროტოტიპი (სამეფო დარბაზი) მივიღეთ. ვასაძის აზრით, ამ სიმბოლოებისა და "ჩვენი" ქალების არსებობა ადასტურებს, რომ ქართულ კულტურაში ქალი კაცზე აღმატებულია და ქართველებს ფემინიზმი და "სქესობრივი თანასწორობა" არ სჭირდებათ, რადგან ეს ქალების კაცების დონეზე დაქვეითებას გამოიწვევს.

წერილის ნაწილს ვასაძე მიხეილ სააკაშვილისა და "ნაციონალური მოძრაობის" პროდასავლური მმართველობის შეფასებას უთმობს. იგი ამ მთავრობის მიმართ შეურიგებელია, უწოდებს მათ ანტიეროვნულს, ანტიქართულს და ანტიქრისტიანულს, მოღალატეებს, რომლებსაც "უსაქციელო ცოლები" და "პუტანები" ჰყავთ. თუმცა "ნაციონალური მოძრაობის" მთავრობის პროდასავლურ კურსს იგი კვლავინდებურად სექსუალობისა და ოჯახის პოლიტიკის სფეროებში ედავება, მიიჩნევს მათ გარყვნილების ცენტრად და მის გამავრცელებლად. მეორე მხრივ, საინტერესოა ვასაძის მიერ "ნაციონალური მოძრაობის" ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა: იგი მათ ედავება არა მემარჯვენე, ნეოლიბერალური კურსის გატარებისთვის, არამედ პირიქით, ამ კურსის გამრუდებისა და გზიდან გადახვევისთვის. ვასაძის დისკურსში "ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროიდელი საქართველო წარმოდგენილია ადგილად, სადაც სახელმწიფო დაკავებულია მასშტაბური მშენებლობებით, კონცერტების გამართვით, "ბოზებისთვის" ფულის გადახდით და ფულის ირაციონალური ხარჯვით. ამასთანავე, ვასაძე მიუთითებს სახელმწიფოს არასათანადო დამოკიდებულებაზე ბიზნესთან, მასთან კონკურენციაში შესვლასა და საკუთრების ჩამორთმევაზე. "ალბათ, მსგავსი რამის სოციალიზმის მშენებლობის ისეთ თანამედროვე გიგანტებსაც კი შეშურდებოდათ, როგორიც იყვნენ და არიან უგო ჩავესი, კიმ ჩენ ირი, დანიელ ორტეგა და ძმები ფიდელ და რაულ კასტროები." ეკონომიკური პოლიტიკის ამგვარი კრიტიკა კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ ვასაძის ანტიდასავლურობა ძირითადად მის მიერ ტრადიციული ოჯახის მხარდაჭერასა და "დასავლური სექსუალობის" კატეგორიულ მიუღებლობაში გამოიხატება. დასავლური სახელმწიფოს მოდელს (ლიბერალურ დემოკრატიას) და ეკონომიკურ პოლიტიკას იგი შერჩევითად ეკიდება, თუმცა ძირითადად მაინც იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ამ სფეროებში ქართველებმა დასავლეთს უნდა მიბაძონ და მისგან ისწავლონ. დასავლეთის გარდა, ვასაძე მისაბაძ ქვეყნად ასახელებს ისრაელს, როგორც მტკიცე და ბრძნულ, სანიმუშოდ

მილიტარისტურ ქვეყანა. დასავლეთისა და ისრაელის მიმართ მსგავსი დამოკიდებულების გათვალისწინებით, ვასაძე არც ისე შორს დგას მიხეილ სააკაშვილისა და კახა ბენდუქიძის დისკურსებისგან, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

ზვიად გამსახურდიას მსგავსად, ვასაძეც ფიქრობს, რომ ქართველებისთვის ეკონომიკურად და კულტურულად უფრო მარგებელი "სოფლის კულტურაა". ქალაქი და ურბანიზაცია კი ხელს უწყობს ქართველი კაცების გადაგვარებას – ერთი მხრივ, გამორჩენაზე ორიენტირებული და უპრინციპო პიროვნებების, ხოლო მეორე მხრივ, ლოთი, ნარკომანი და მამათმავალი კაცების წარმოშობით. ურბანიზაციის გარდა, კაცების გალოთება და განარკომანება ქალებს, ამ კაცების დედებს ბრალდებათ. ვასაძის მიხედვით, პრობლემა მცირეშვილიანობაა, ამ ქალებმა უარი თქვეს ბევრი შვილის გაჩენაზე და "ჭარბი ქალური ენერგია" ერთ ან ორ შვილზე მიმართეს, რამაც თითქოს ამ შვილების ინფანტილიზაცია გამოიწვია. ამიტომაც, ვასაძის თქმით, მათ "წიკვინა, ვითომ ვაჟკაცი და სინამდვილეში ქალაჩუნა ფსიქოპათი" შვილები გამოზარდეს. ცხადია, ვასაძე ტრადიციული ოჯახის ერთგულია და ქალების ჭარბი ენერგიის გადანაწილებას არა სხვა საქმეზე (მაგალითად, სახლის გარეთ შრომაზე), არამედ ბევრ შვილზე ითხოვს. მისი აზრით, ქართველი კაცების, და მაშასადამე, ერის დეგრადაციას მრავალშვილიანობით და დეურბანიზაციით უნდა ეშველოს.

ერთი შეხედვით, ვასაძე ანტიიმპერიალისტურია, თუმცა მეორე მხრივ, მის დისკურსში ჩანს შევარდნაძისეული ლავირების და ორივე ძალასთან მორგების ტენდენცია. იგი, ერთი მხრივ, თითქოს ემიჯნება რუსეთთსაც და დასავლეთსაც, მაგრამ მეორე მხრივ ცდილობს მათთან ურთიერთობის ისეთი გზების გამონახვას, რომელიც მისი აზრით, ქართველი ერისთვის სასარგებლო იქნება. რუსეთი სამხედრო და პოლიტიკური აგრესორია, მაგრამ ქართველებს მასთან აკავშირებთ "ერთმორწმუნეობა" და კულტურა, რაც საერთო ენის გამონახვის შანსს ტოვებს. რაც შეეხება დასავლეთს, ვასაძე "სელექციური ვესტერნიზაციის" მომხრეა. იგი დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების, ეკონომიკური პოლიტიკისა თუ სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის საქართველოში გადმოღებას არ ეწინააღმდეგება, პირიქით, საჭიროდ და სასარგებლოდაც კი მიიჩნევს. ერთადერთი სფერო, სადაც ვასაძე კატეგორიულად

ეწინააღმდეგება დასავლეთის გავლენას, არის სექსუალობა, ოჯახი და “ზნეობა”. იგი დასავლურ პოლიტეკონომიას, საჯარო სფეროს და სექსუალობის ორგანიზებას შორის კავშირს ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ამ სფეროების კიდევ უფრო მეტად გამიჯვნა და ერთის გადმოღება მეორის გარეშე. ვასაძის დისკურსი ქალებზე ემთხვევა ნაციონალიზმის კლასიკურ მოდელებს, სადაც ქალი ერთი მხრივ შეიძლება ერის სიმბოლოდ ფიგურირებდეს, მეორე მხრივ კი, არ მიიჩნევა ავტონომიურ სუბიექტად და ინსტრუმენტალიზებულია როგორც მატერიალურად – რეპროდუქციისა და ერის მსახურებისთვის, ასევე სიმბოლურად და კულტურულადაც – ერის “ზნეობისა” და განსაკუთრებულობის მოსანიშნად. სრულიად მიუღებელია ქალები, რომელთა სექსუალობა არ არის დამორჩილებული და ერის სამსახურში ჩაყენებული, აგრეთვე, “სხვა” ქალებიც, რომლებიც ამ შემთხვევაში სხვა ერებს წარმოადგენენ, ან პროდასავლურ მთავრობასთან არიან კავშირში. ისინი ოჯახს და ერის ზნეობას განადგურებით ემუქრებიან, ისევე როგორც მამათმავლები და ლესბოსელები და ”გარყვნილი დასავლეთი”, რომელიც მათ მხარს უჭერს. უნდა ითქვას, რომ ვასაძე ამ “დაუმორჩილებელ” სექსუალობებზე განსაკუთრებული ზიზღით ლაპარაკობს. მის ტექსტში დასავლეთი, “ნაციონალური მოძრაობის” პროდასავლური მთავრობა, “გარყვნილი ქალები” და მამათმავლები გარკვეულ ერთიან “სხვას” ქმნიან. ერისა და მასკულინობის იდეების აგებისას ვასაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მოდერნიზაციას, საჯარო და პირადი სფეროების მკვეთრ გამიჯვნას, ქალების სექსუალურ დამორჩილებას და რეპროდუქციული სექსუალობის წარმოებას, კაცების ჰეტეროსექსუალობას. მასკულინობის სასურველი მოდელის შექმნისთვის იგი ასევე სასურველად მიიჩნევს ქვეყნის ნაწილობრივ დეურბანიზაციას, რაც თითქოს მისივე “სელექციური ვესტერნიზაციისა” და მოდერნიზაციის იდეებთან წინააღმდეგობაში მოდის.

დასკვნა

განხილული მონაცემები იძლევა საშუალებას, რომ უპასუხოს კვლევის მიზანს, ანუ შევისწავლოთ პოსტსაბჭოთა საქართველოში ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის ურთიერთკავშირი, ურთიერთკვეთა და ტენდენციები.

ელიტების დისკურსში ერისა და მასკულინობის იდეები ხშირად მართლაც თანადროულად იწარმოება, მაგალითად, როგორც ამას ვხედავთ გამსახურდიას, სააკაშვილის, ბენდუქიძის, ივანიშვილის ტექსტებში. ეს ლიდერები ერის გათავისუფლებას თუ განვითარებას სწორედ კაცებს უკავშირებენ. ერი მასკულინიზებულია ან/და გაიგივებულია კაცებთან. კაცები არიან ერის სახეები და წარმომადგენლები გლობალურ ასპარეზზე, აგრეთვე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საკითხების ყველა დონეზე. ვფიქრობ, ქართული ელიტების ნაციონალიზმთან კავშირში შეგვიძლია გამოვყოთ ჰეგემონური მასკულინობის სამი სახე, სამი ვერსია:

1. მასკულინობა, როგორც ერის სიმბოლო ან/და კულტურის მარკერი – ქართული ნაციონალიზმის გარკვეულ ვერსიებში (მაგ. გამსახურდია, სააკაშვილი, ვასაძე) ერის სიმბოლოების როლს კაცები ასრულებენ. ვფიქრობ, ეს ფორმა სპეციფიკურია, რადგან თეორეტიკოსების (მაგ. იუვალ-დევისი) მიხედვით, ერის სიმბოლოსა და კულტურის მცველის როლი ქალებს ერგებათ ხოლმე. განხილულ დისკურსებში კაცებს მიეწერებათ ზნეობა, სპეციფიკური გლეხური ცხოვრების წესი, ვაჟკაცობა და თავგანწირვა. ეს ის კულტურული მარკერებია, რომლებითაც ერის განსხვავებულობა/განსაკუთრებულობა მოინიშნება და შესაძლებელი ხდება, რომ კაცებს ნაციის გადარჩენა სწორედ ამ თვისებების ერთგულებით დაეკისროთ. როგორც ითქვა, ეს კულტურული მახასიათებლები ნაწილობრივ მოცემულია სააკაშვილის დისკურსში, თუმცა ასევე გვხვდება გამსახურდიას და ვასაძის დისკურსებში. ეს უკანასკნელნი კი დანარჩენებთან შედარებით პოლიტიკური მარგინალები არიან (გამსახურდია თავისი მცირეხნიანი მმართველობის, ვასაძე კი იმის გამო, რომ არც არასდროს იკავებდა პოლიტიკურ თანამდებობას). აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ ქართული ელიტების ნაციონალიზმში ეს ფენომენი არცთუ დომინანტურია.

2. მილიტარისტური მასკულინობა – მასკულინობის ეს ვერსია სააკაშვილის გააქტიურებულია და სავარაუდოდ, იწარმოებოდა 2004-2008 წლების პერიოდში (ჩემი შერჩევა ფარავს 2004-2006 წლებს და 2008 წლის აგვისტოს ომს, დასკვნაც სწორედ ამ წლების შესწავლით გამომაქვს). მიუხედავად დომინაციის არც თუ დიდხნიანი პერიოდისა, ეს დისკურსი იყო მეტად მძლავრი და მომთხოვნი. სააკაშვილი აქცენტს აკეთებდა პატრიოტიზმზე, "მხედრულ სულზე", ეროვნულ გმირობასა და სამხედრო ასპექტში მთელ მსოფლიოში თავის გამოჩენაზე. გარდა ამისა, სააკაშვილი ქართული არმიის მშენებლობას თითოეული ქართული ოჯახის საქმედ აცხადებდა.
3. ნეოლიბერალური მასკულინობა – მასკულინობის ეს ვერსიაც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აქტიურდება. ის ასევე განსაკუთრებით აქტიურად იწარმოება კახა ბენდუქიძის ტექსტებში, რომელიც როგორც ვიცით, სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკური რეფორმების შემოქმედია. ჰეგემონურ მასკულინობას და ნეოლიბერალიზმს შორის კავშირი შენარჩუნებულია ივანიშვილისა და მარგველაშვილის "პროგრამაშიც." მასკულინობისა და ნეოლიბერალიზმის კავშირში შეგვიძლია გამოვყოთ მაკრო და მიკრო დონეები. მაკრო დონეზე ეს კავშირი გამოიხატება შემდეგი ღირებულებებით თუ პოლიტიკებით – ანტიკორუფციულობა, ანტისაბჭოურობა, კარგი საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს შექმნა, თავისუფალ ვაჭრობაზე ორიენტირება. მიკრო დონეზე კავშირი გამოიხატება ინდივიდის სუბიექტურობის ფორმებით, როგორიცაა ეკონომიკური რაციონალურობა, ვაჭრობისა და თვლის ცოდნა, მოგებაზე ორიენტირება.

განხილულ მასალებში ჩანს მინიშნებები, რომ ჰეგემონური მასკულინობის ეს ვერსიები საბჭოთა/პოსტსაბჭოთა მასკულინობების სხვა ვერსიებთან წინააღმდეგობაში იწარმოება და ლამობს მათ ჩანაცვლებას. სხვადასხვა დისკურსებში (მაგ. გამსახურდია, სააკაშვილი, ბენდუქიძე) ჩანს დაპირისპირება მასკულინობის ისეთ სახეებთან, როგორიცაა კრიმინალური ავტორიტეტი, საბჭოთა ინტელიგენტი, "თბილისელი მოქეიფე კაცი", "ქართული ტრადიციების" მიმდევარი კაცი.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ჰეგემონურ მასკულინობებზე, მათ წარმოებასა და ბრძოლაზე ჰეგემონიისთვის. ჩვენ ვერ

ვისაუბრებთ რაიმე “მასკულინობის კრიზისზე”, რადგან თითოეული ჰეგემონური მასკულინობა თავისი იერარქიის სათავეში დგას და თავისი დაქვემდებარებული და მარგინალიზებული მასკულინობები ჰყავს. ჰეგემონური მასკულინობის სახეები გვაჩვენებს საბჭოთა საქართველოს პატრიარქალური კულტურის ტრანსფორმაციას პოსტსაბჭოთა პატრიარქალურ კულტურად. ამ პროცესში ჰეგემონური მასკულინობა მართლაც ინარჩუნებს პატრიარქატს და იერარქიულ გენდერულ წესრიგს.

ნაციონალური “სხვის” წარმოებისას ვხედავთ ანტიიმპერიალისტური ნაციონალიზმის მნიშვნელობას. ჩემ მიერ განხილული თითქმის ყველა პირის ტექსტებში ვხვდებით ანტიიმპერიალიზმის რაიმე ფორმას, იქნება ეს ანტისაბჭოურობა/ანტირუსულობა, ანტიდასავლურობა თუ ორივე ერთად (შერჩეული პირების დისკურსებში ძირითადი თემების კვეთა შეგიძლიათ იხილოთ დანართ #3-ში). ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ივანიშვილი, რომლის ანტაგონიზმიც სააკაშვილსა და მის მმართველობას მიემართება და არა რომელიმე იმპერიულ ძალას. თუკი განხილულ ლიდერებს ქრონოლოგიურად მივყვებით, ვნახავთ, რომ გამსახურდიას “ორმაგი” ანტიიმპერიალიზმი, რომელიც საბჭოთა კავშირს/რუსეთს და დასავლეთსაც უპირისპირდებოდა, შევარდნაძის დროს ფრთხილმა, მაგრამ მაინც მტკიცე პროდასავლურობამ შეცვალა. შევარდნაძე რუსეთსა და დასავლეთს შორის ლავირების პოლიტიკას მიმართავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა და მიუხედავად იმ ღრმა კორუფციისა, რომელშიც მისი მმართველობისას ქვეყანა იყო ჩაფლული, მან ლიბერალური დემოკრატიისთვის საფუძვლების მომზადება დაიწყო. შევარდნაძის დისკურსში უკვე ჩანს პროდასავლური ნაციონალიზმის ნიშნები. შემდგომში ნაციონალიზმის ამ ტიპმა იმძლავრა და ე.წ. ვარდების რევოლუციის საშუალებით დომინაცია მოიპოვა. სააკაშვილისა და ბენდუქიძის დისკურსებით ვხედავთ, რომ 2004 წლიდან ელიტური, დომინანტური ნაციონალიზმი გამოირჩეოდა საბჭოური ან/და რუსული პოლიტეკონომიკური წყობის, პოლიტიკური გავლენის, კულტურული ღირებულებების რადიკალური და აგრესიული უარყოფით. ნაციონალიზმის ეს ფორმა ამგვარად აწარმოებდა თავის “სხვებს", ხოლო მის მეორე, ასე ვთქვათ, პოზიტიურ მხარეს წარმოადგენდა მილიტარიზაცია, კორუფციასთან ბრძოლა, ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, ევროპული იდენტობის წარმოება და აშშ-ს ნეოიმპერიალისტური პოლიტიკების აქტიური მხარდაჭერა. შემდგომში, ივანიშვილი და მარგველაშვილი რუსეთის მიმართ გამოხატულ აგრესიას

მკვეთრად ამცირებენ, თუმცა პროდასავლური ნაციონალიზმის პოზიტიური ასპექტები კვლავაც შენარჩუნებულია. ივანიშვილი და "ქართული ოცნება" სააკაშვილს ედავებოდნენ არა პროდასავლურობის გამო, არამედ იმისთვის, რომ ის, მათი აზრით, საკმარისად და სწორად პროდასავლური არ იყო.

ამრიგად, ჩემი აზრით, პოსტსაბჭოთა საქართველოში პროდასავლური ნაციონალიზმის დომინაცია შეიძლება ინტერპრეტირდეს ორგვარად:

1. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში პროდასავლური ნაციონალიზმი დომინირებს თითქმის მთელი მისი ისტორიის განმავლობაში, ზვიად გამსახურდიას განდევნიდან მოყოლებული. ყველა შემდეგი ლიდერი მეტ-ნაკლებად ორიენტირებულია დასავლური სახელმწიფოს მოდელზე (ლიბერალურ დემოკრატიაზე), დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობაზე ან/და მათგან მხარდაჭერის მიღებაზე. თუმცა ეს ნაციონალიზმი სახელმწიფოს, ეკონომიკისა და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა კონფიგურაციებში გვხვდება: შევარდნაძის დროს ეს იყო სუსტი და დაქსაქსული სახელმწიფო, კორუფციული კაპიტალიზმი და სხვადასხვა ძალებს შორის ლავირებაზე ორიენტირებული პოლიტიკა; სააკაშვილის დროს – ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ აგრესიული სწრაფვა, მილიტარიზმი, ნეოლიბერალური კაპიტალიზმი, ევროპული იდენტობა და აშშ-ს მჭიდრო მოკავშირეობა; "ქართული ოცნების" მმართველობისას კვლავაც ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, თუმცა ცოტა მეტი აქცენტით სოციალურ პოლიტიკაზე, რუსეთთან ნაკლებად აგრესიული დამოკიდებულება, ნეოლიბერალური კაპიტალიზმი, ევროპული იდენტობა და აშშ-ს მჭიდრო მოკავშირეობა.
2. მეორე ინტერპრეტაცია კი ისაა, რომ საქართველოში მკვეთრად გამოხატული ელიტური პროდასავლური ნაციონალიზმი ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, სააკაშვილის მმართველობისას დაიწყო, ხოლო "ქართული ოცნების" მმართველობისას მას ზოგიერთი ასპექტი გამოაკლდა, თუმცა მაინც გრძელდება. ეს დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, თუ პროდასავლური ნაციონალიზმის შესაფასებლად უფრო მეტად დავეყრდნობით შემდეგ კრიტერიუმებს: კორუფციასთან დაპირისპირება და ნეოლიბერალური კაპიტალიზმის დანერგვა,

ანტისაბჭოურობა/ანტირუსულობა, დასავლეთის ნეოიმპერიალისტური პროექტების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობა.

როგორც ითქვა, დასავლური (ნეო)იმპერიალისტური ნაციონალიზმისთვის გენდერული, სექსუალური და რასობრივი "სხვა" "აღმოსავლეთია". როგორ ხდება ამ ნიშნებით "სხვის" კონსტრუირება პოსტსაბჭოთა ქართულ კონტექსტში და რამდენად განსხვავდება ეს დასავლური ტენდენციებისგან?

1. რასობრივი თვალსაზრისით "სხვის" კონსტრუირება მოცემულია ზვიად გამსახურდიას ნაციონალიზმში. გამსახურდია მტრულად იყო განწყობილი ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით "არამკვიდრი" ერების მიმართ და მიიჩნევდა, რომ ისინი იმპერიის (საბჭოთა კავშირის) ხელში ქართველთა შევიწროებისა და მათი უფლებების შელახვის ინსტრუმენტს წარმოადგენდნენ. თუმცა შემდგომი ლიდერების ნაციონალიზმში ეთნიკური უმცირესობების "სხვად" მონიშვნა აღარ ხდება. შევარდნაძე წინ წამოსწევდა ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს და ეროვნული შერიგების იდეას. სააკაშვილის ნაციონალიზმი კი მკვეთრად გამოხატული სამოქალაქო ნაციონალიზმი იყო, სადაც გამაერთიანებელი გახდა სახელმწიფო და მოქალაქეობა და არა რასა/ეთნიკური წარმომავლობა. სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმდევარია "ქართული ოცნებაც". შესაძლოა, "სხვის" კონსტრუირებისას გარკვეულწილად აქტუალური იყოს არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ასპექტი, თუმცა აქ გაანალიზებულ მასალებში არც ეს ასპექტი ჩანს. შესაბამისად, განხილული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური ელიტისთვის (გამსახურდიას გამოკლებით), რასობრივი ასპექტი აქტუალური არ არის. როგორც ითქვა, "სხვის" კონტრუირება ანტიიმპერიალისტური და პროდასავლური ნაციონალიზმების კონტექსტში ხდება, რაც უფრო გარკვეული ღირებულებების არჩევას გულისხმობს, ვიდრე ექსპლიციტურ რასობრივ დავებს.
2. ელიტების დისკურსში ჰეგემონური მასკულინობის კონსტრუქტების შესახებ უკვე ვისაუბრე, მაგრამ რას ამბობენ ეს პირები ქალებზე? საინტერესოა, რომ განხილულ მასალებში, ლიდერების უმრავლესობა ქალებს არ ახსენებს, ანუ იყენებს "წაშლის" დისკურსულ ტაქტიკას. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ გიორგი მარგველაშვილი და ლევან ვასაძე. ვასაძის დისკურსი შეესაბამება ნაციონალიზმის კლასიკურ

მოდელს, სადაც ერის სიმბოლოდ ქალები ფიგურირებენ – ერთი მხრივ, ისტორიული ფიგურების წინწამოწევით და მეორე მხრივ, ერისთვის ტრადიციული ოჯახის მნიშვნელობაზე აპელირებით, სადაც ქალები/დედები ერისა და მასკულინობის კვლავწარმოებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. მეორე მხრივ, სრულიად განსხვავებულია ქალების როლი მარგველაშვილის დისკურსში: აქ ქალები ჩნდებიან მიმდინარე პროდასავლური ნაციონალიზმისა და საქართველოს ევროპული იდენტობის განხორციელების კონტექსტში. მარგველაშვილი საუბრობს არა "ოჯახურ ღირებულებებზე", არამედ პირიქით, ქალების დაცვაზე ოჯახში ძალადობისგან და აგრეთვე, მხარს უჭერს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდას. ქალთა უფლებების დაცვა განამტკიცებს საქართველოს "ევროპელობას" და (პრო)დასავლურობას. აქ ვხედავთ ანტიიმპერიალისტური (ანტიდასავლური) და პროდასავლური ნაციონალიზმის შეპირისპირებას. ვასაძის ანტიდასავლურობა სწორედ "დასავლური" სექსუალობის უარყოფაში გამოიხატება, ამიტომ მის ნაციონალიზმში ოჯახს და ქალთა რეპროდუქციულ თუ პროდუქტიულ შრომას ცენტრალური ადგილი უჭირავს. მეორე მხრივ, მარგველაშვილის დისკურსი გვიჩვენებს, რომ პროდასავლური ნაციონალიზმისთვის გარკვეულ ეტაპზე საჭირო ხდება დასავლეთიდან ნაკარნახევი გენდერული თანასწორობისთვის მუშაობა და ქვეყნის შესაბამისობაში მოყვანა "საერთაშორისო სტანდარტებთან". რადგან ვასაძე პოლიტიკური სისტემის გარეთ დგას (პოლიტიკურ თანამდებობას არ იკავებდა), ამიტომ მისი პოზიცია მარგინალურად უნდა განვიხილოთ. გიორგი მარგველაშვილი "ქართული ოცნების" მმართველობისას პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს, თუმცა როგორც ითქვა, ბიძინა ივანიშვილსა და მთავრობასთან მისი ურთიერთობები გაცივდა, შესაბამისად, მისი გავლენა არც თუ დიდია. ამ გარემოებების და აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ დანარჩენები ქალებზე არ საუბრობენ, კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ ელიტა აგრძელებს სტატუს კვოს – პატრიარქატის – კვლავწარმოებას, სადაც დომინაციას ჰეგემონური მასკულინობის სხვადასხვა ტიპები მოიპოვებენ.

3. განხილულ მასალებში სექსუალობაზე ღიად არ საუბრობს არც ერთი სხვა შერჩეული პირი, გარდა ლევან ვასაძისა. ვასაძისთვის კი სექსუალური "სხვა" ცალსახად დასავლეთია. დასავლეთი არის გარყვნილი სქესობრივი ცხოვრების, მამათმავლობისა და ლესბოსელობის სავანე, ადგილი, სადაც აკანონებენ

ერთნაირსქესიანთა ქორწინებას და პედოფილიას. საქართველოში კი, ამის საპირისპიროდ, ტრადიციული ნუკლეარული ოჯახი უნდა განმტკიცდეს. ვასაძისთვის "ჩვენი" ქალები არიან ერს და ოჯახს დამორჩილებული ცოლები და დედები, "სხვა" ქალები კი – უცხოელი "ბოზები", აგრეთვე პროდასავლური მთავრობის წარმომადგენელთა ცოლები. ვასაძის დისკურსსა და ლიტერატურის მიმოხილვაში ნახსენებ სხვა კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ნაციონალისტურ დისკურსებში ჰეტეროსექსუალურ ნუკლეარულ ოჯახს გარეთ არსებული სექსუალობა, მათ შორის ლგბტ სექსუალობა დასავლეთთან, მის გავლენასა და ძალაუფლებასთან არის ასოცირებული, რაც ქვიარებისა და ალტერნატიული სექსუალობებისთვის მებრძოლებისთვის არასახარბიელო ვითარებას ქმნის.

მოცემული კვლევა შეისწავლის პოსტსაბჭოთა ქართული ელიტების დისკურსებში ნაციონალიზმისა და ჰეგემონური მასკულინობის ტიპების კონსტრუირებას. თუმცა რჩება კითხვა, ნაციონალიზმისა და მასკულინობის სხვა რა ორგანიზებული დისკურსები და პრაქტიკები არსებობს ქართულ საზოგადოებაში, რამდენად განსხვავდება ისინი დომინანტური ტიპებისგან და აქვთ თუ არა ჰეგემონიის მოპოვების პოტენციალი. საინტერესოა აგრეთვე, რა ტიპის დისკურსი/პრაქტიკა შეიძლება დაუპირისპირდეს ნაციონალიზმს და მასკულინობებს ქვიარ პოზიციიდან. ვფიქრობ, პოსტსაბჭოთა საქართველოში ნაციონალიზმისა და მასკულინობების კვლევა სწორედ ამ მიმართულებით შეიძლება გაგრძელდეს.

ბიბლიოგრაფია

აღდგომელაშვილი, ე. (2013). ჰომოფობია პოლიტიკურ დისკურსში. დ. გაბუნია (რედ.), გენდერის წახნაგები: კონფერენციის მასალები (გვ. 83-89). თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო.

აღდგომელაშვილი, ე. (2016). წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე: საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ. თბილისი: ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG).

ბენდუქიძე, კ. (თარიღი უცნობია). კახა ბენდუქიძე გადაცემა "აქცენტებში". მოძიებულია 13 მაისს, 2017: https://www.youtube.com/watch?v=D26KezoNym8

ბენდუქიძე, კ. (2010). საბჭოთა გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. მოძიებულია 13 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52306-sabchota-gavlena-saqartvelos-ekonomikaze

ბენდუქიძე, კ. (2010). ღარიბი ადამიანების გასაჭირი. მოძიებულია 16 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52361-gharibi-adamianebis-gasachiri

ბენდუქიძე, კ. (2010). ნელ-ნელა წინ, ნელ-ნელა უკან. მოძიებულია 13 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52395-nel-nela-tsin-nel-nela-ukan

ბენდუქიძე, კ. (2010). ჩვენი სტერეოტიპები. მოძიებულია 16 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52438-chveni-stereotipebi

ბენდუქიძე, კ. (2010). მონეტარული თავისუფლება და ვერცხლის აბაზები. მოძიებულია 13 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52499-monetaruli-tavisufleba-da-vercxlis-abazebi

ბენდუქიძე, კ. (2010). ვსრიალებთ. მოძიებულია 16 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52628-vsrialebt

ბენდუქიძე, კ. (2010). ერთი ბიჭის ისტორია. მოძიებულია 16 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52656-erti-bichis-istoria

ბენდუქიძე, კ. (2010). რუსული ცხენი. მოძიებულია 13 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52734-rusuli-cxeni

ბენდუქიძე, კ. (2010). ოკუპაციის 200 წელი. მოძიებულია 13 მაისს, 2017: http://www.tabula.ge/ge/blog/52947-okupaciis-2-tseli

გამსახურდია, ზ. (1990). საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე. მ. ხოსიტაშვილი (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი I (გვ. 23-40). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გამსახურდია, ზ. (1990). საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა. მ. ხოსიტაშვილი (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი I (გვ. 308-333). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გამსახურდია, ზ. (1991). ზვიად გამსახურდია: "კრემლის ზღურბლს მხოლოდ მაშინ გადავაბიჯებ, როცა თავისუფალი საქართველოს მოქალაქე ვიქნები". მ. ხოსიტაშვილი (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი I (გვ. 153-159). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გამსახურდია, ზ. (1991). საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საინაუგურაციო სიტყვა, 1991 წლის 7 ივნისი. მ. მაცაბერიძე (რედ.), საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004 წ.წ.), კრებული (გვ. 15-28). თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.

გამსახურდია, ზ. (1991). მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მ. ხოსიტაშვილი (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი II (გვ. 167-169). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გამსახურდია, ზ. (1991). გამოსვლა საღამოს სხდომაზე 15 სექტემბერს. მ. ხოსიტაშვილი (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი II (გვ. 302-305). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გამსახურდია, ზ. (1991). პრეზიდენტის საათი: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია უპასუხებს ტელემაყურებელთა შეკითხვებს, 1991 წლის 15 ნოემბერი. მ. ხოსიტაშვილი (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი II (გვ. 369-389). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გამსახურდია, ზ. (1991). საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა ეროვნული გვარდიის ნაწილს, რომელიც არ ემორჩილება სახელმწიფო ხელისუფლებას. მ. ხოსიტაშვილი (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი II (გვ. 367-368). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გამსახურდია, ზ. (1992). “ეროვნება არა აქვს ცხოველს…” მ. ხოსიტაშვილი (რედ.), საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი III (გვ. 184-190). თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ვასაძე, ლ. (2013). ერი და სახელმწიფო. მოძიებულია 21 მაისს, 2017: http://www.kvirispalitra.ge/politic/16259-levan-vasadze-qeri-da-sakhelmtsifoq.html

ივანიშვილი, ბ. (2011). ბიძინა ივანიშვილის განცხადება პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, 7 ოქტომბერი, 2011 წელი. მოძიებულია 2 ივნისს, 2017: http://www.civil.ge/geo/article.php?id=24617

ივანიშვილი, ბ. (2011). ივანიშვილის ღია წერილი ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიის წარმომადგენლებს, საქართველოს მოქალაქეებს. მოძიებულია 2 ივნისს, 2017: http://www.civil.ge/geo/article.php?id=24639

ივანიშვილი, ბ. (2012). თავისუფალი ტრიბუნა (1) [ბიძინა ივანიშვილი საჩხერეში] (DVC F11-222). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

ივანიშვილი, ბ. (2014). მარგველაშვილი ცდილობს ხელი შეუშალოს მთავრობას. მოძიებულია 6 ივნისს, 2017: http://www.myvideo.ge/v/2411326

კობახიძე, ო. (2016). რატომ გვხვდება ფემინოფობია გეი მამაკაცებში? (ქართული ქეისი) (გამოუქვეყნებელი სამაგისტრო ნაშრომი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მარგველაშვილი, გ. (2013). საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე. მოძიებულია 6 ივნისს, 2017: https://www.president.gov.ge/ka-GE/prezidenti/inauguracia.aspx

მარგველაშვილი, გ. (2015). საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება. მოძიებულია 6 ივნისს, 2017: https://www.president.gov.ge/ka-GE/prezidenti/cliuri-mokhseneba/2015-clis-saparlamento-mokhseneba.aspx

მარგველაშვილი, გ. (2016). საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება. მოძიებულია 6 ივნისს, 2017: https://www.president.gov.ge/ka-GE/prezidenti/cliuri-mokhseneba/2016-clis-saparlamento-mokhseneba.aspx

სააკაშვილი, მ. (2004). საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საინაუგურაციო სიტყვა, 2004 წლის 25 იანვარი. მ. მაცაბერიძე (რედ.), საქართველოს

პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004 წ.წ.), კრებული (გვ. 58-64). თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.

სააკაშვილი, მ. (2004, 24 იანვარი). მიხეილ სააკაშვილის პრესკონფერენცია (DVC E4-168). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

სააკაშვილი, მ. (2004, 26 მაისი). აღლუმი (26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე) (DVC F8-15). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

სააკაშვილი, მ. (2004). ეროვნული აკადემიის ოფიცერთა გამოშვება (DVD A10-598). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

სააკაშვილი, მ. (2004). პრეზიდენტი სააკაშვილის ვიზიტი ისრაელში (DVD A10-592). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

სააკაშვილი, მ. (2005, 10 მაისი). ჯორჯ ბუში საქართველოში (DVC C4-164). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

სააკაშვილი, მ. (2005). ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვა (DVC C4-198). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

სააკაშვილი, მ. (2006, 26 მაისი). აღლუმი (26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე) (DVC F8-02). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

სააკაშვილი, მ. (2008). მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა CNN-ზე (DVC E3-229). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

სააკაშვილი, მ. (2008, 11 აგვისტო). უშიშროების საბჭოს სხდომა (DVC E3-228). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

ააკაშვილი, მ. (2008, 12 აგვისტო). მიტინგი რუსთაველის გამზირზე (DVC E3-228). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

ტაბიძე, მ. & ბერაია, ა. (2016). რუსეთის რბილი ძალა საქართველოში: ელიტების ჰომოფობიური, ტრანსფობიური და ჰეტერონორმატიული დისკურსი. კრებულში ჩაგრულთა ხმები: კვლევა, ხელოვნება და აქტივიზმი სოციალური ცვლილებებისთვის. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). მოძიებულია 15 აპრილს, 2017: https://emc.org.ge/2016/10/22/emc-165/

შევარდნაძე, ე. (1992, 14 იანვარი). ედუარდ შევარდნაძე – ინტერვიუ პროლოგითა და ეპილოგით (DVC E9-93; DVC 9-102). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

შევარდნაძე, ე. (1992, აგვისტო). ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა (DVC F3-194). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

შევარდნაძე, ე. (1992). ედუარდ შევარდნაძე : ჩვენ უმძიმესი წელი განვვლეთ, რომელიც ისტორიაში შევა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი წელიწადი დემოკრატიული მშენებლობის გზაზე. 28 დეკემბრის რადიოინტერვიუ. მოძიებულია 24 მაისს, 2017:: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=q-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10-AU--4----Doc---0-1l--11-ka-50---20-about-ედუარდ+შევარდნაძე--00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=preziden&srp=0&srn=0&cl=search&d=HASH014e8ae33ec3566764736309

შევარდნაძე, ე. (1993, 21 მარტი). ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენცია (DVC D1-114). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი, თბილისი.

შევარდნაძე, ე. (1993). საქართველოს მოქალაქეთა კავშირი დიდხანს იმოღვაწებს, იცხოვრებს, იცოცხლებს და იმუშავებს საქართველოს საკეთილდღეოდ. 22 ნოემბრის რადიოინტერვიუ. მოძიებულია 24 მაისს, 2017: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=q-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10-AU--4----Doc---0-1l--11-ka-50---20-about-ედუარდ

+შევარდნაძე--00-3-21-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=preziden&srp=0&srn=0&cl=search&d=HASH015e17b3ba11961239976989

შევარდნაძე, ე. (1994). საქართველო შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებას : საქართველოს პარლამენტის 1 მარტის სხდომის დღიური. მოძიებულია 24 მაისს, 2017: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=q-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10-AU--4----Doc---0-1l--11-ka-50---20-about-ედუარდ+შევარდნაძე--00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=preziden&srp=0&srn=0&cl=search&d=HASH8a47e4b173270b7d3b0cc9

შევარდნაძე, ე. (1995). საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის საინაუგურაციო სიტყვა, 1995 წლის 26 ნოემბერი. მ. მაცაბერიძე (რედ.), საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004 წ.წ.), კრებული (გვ. 29-38). თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.

ხოსიტაშვილი, მ. (რედ.). (2013ა). საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი I. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ხოსიტაშვილი, მ. (რედ.). (2013ბ). საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი II. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ხოსიტაშვილი, მ. (რედ.). (2013გ). საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი III. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ჯონსი, ს. (2013). საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. (ხ. ჩხეიძე, მთარგ.). თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

Anderson, B. (2016). *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism*. London: Verso.

Balibar, E. (2010). The Nation Form: History and Ideology. In E. Balibar & I. Wallerstein (Authors), *Race, Nation, Class: Ambiguous Identities* (pp. 86-106). London: Verso.

Connell, R. W. (1991). Hegemonic Masculinity and Emphasized Femininity. In *Gender and Power: Society, the Person, and Sexual Politics* (pp.183-188). Cambridge: Polity Press.

Connell, R. W. (2005). *Masculinities*. Berkeley: University of California Press.

Foucault, M. (1978). *The History of Sexuality, Volume I: An Introduction*. (R. Hurley,Trans.) New York: Pantheon.

Gramsci, A. (1992). *Selections from the Prison Notebooks of Antonio Gramsci* (Q. Hoare & G. Nowell Smith, Eds.). New York: International Publishers.

Haraway, D. (1988). Situated Knowledges: The Science Question in Feminism and the Privilege of Partial Perspective. *Feminist Studies*, 14(3), 575-599.

Harding, S. (1992). Rethinking Standpoint Epistemology: What Is “Strong Objectivity?" *The Centennial Review*, 36(3), 437-470.

Hartsock, N. (1983). The Feminist Standpoint: Developing the Ground for a Specifically Feminist Historical Materialism. In S. Harding & M. B. Hintikka (Eds.). *Discovering Reality: Feminist Perspectives on Epistemology, Metaphysics, Methodology, and Philosophy of Science* (pp. 283-310). Dordrecht: Kluwer Academic Publishers.

Jager, S. (2001). Discourse and Knowledge: Theoretical and Methodological Aspects of a Critical Discourse and Dispositive Analysis. In R. Wodak & M. Meyer (Eds.), *Methods of Critical Discourse Analysis* (1st ed., pp. 32-62). London: SAGE Publications.

Nagel, J. (1998). Masculinity and Nationalism: Gender and Sexuality in the Making of Nations. *Ethnic and Racial Studies*, 21(2), 242-269.

Nagel, J. (2003). Sex and Nationalism: Sexually Imagined Communities. In *Race, Ethnicity and Sexuality: Intimate Intersections, Forbidden Frontiers* (pp. 140-176). Oxford: Oxford University Press.

Reeser, T. W. (2010). Masculinity and the Nation. In *Masculinities in Theory: An Introduction* (pp. 171-199). Malden: Wiley-Blackwell.

Reisigl, M. & Wodak, R. (2016). The Discourse-Historical Approach (DHA). In R. Wodak & M. Meyer (Eds.), *Methods of Critical Discourse Studies* (3rd ed. pp. 23-61). London: SAGE Publications.

Said, E. W. (2003). *Orientalism*. London: Penguin Books.

Whitehead, S. M. (2008). Power and Resistance. In *Men and Masculinities: Key Themes and New Directions* (pp. 83-112). Cambridge: Polity Press.

Wodak, R. (2001). What CDA is About – A Summary of Its History, Important Concepts and Its Developments. In R. Wodak & M. Meyer (Eds.), *Methods of Critical Discourse Analysis* (1st ed., pp. 1-13). London: SAGE Publications.

Yuval-Davis, N. (2004). Cultural Reproduction and Gender Relations. In *Gender & Nation* (pp. 39-67). London: SAGE Publications.

დანართი #1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Aia Beraia

Nationalism and Hegemonic Masculinity in Post-Soviet Georgia

Gender Studies

In partial fulfillment for the degree of Master of Gender Studies

Supervisor: Maia Barkaia, Ph.D. in Gender Studies

Co-supervisor: Lia Tsuladze, Ph.D. in Sociology, associate professor

Tbilisi 2017

დანართი #2

Abstract

Nationalism and nation state are modern phenomena which are closely related to modern masculinities. Nation state as an institutional power system is intertwined with hegemonic masculinity. In post-Soviet Georgia the creation and development of neoliberal nation state was accompanied by various types of nationalism and hegemonic masculinity. In addition, considering post-Soviet/postcolonial specificity in Georgia, it is possible to distinguish two types of nationalism, which I call anti-imperialist nationalism and pro-Western nationalism. The research aim is to study interrelation, intersection and tendencies of nationalism and hegemonic masculinity in post-Soviet Georgia. The objectives focus on studying the ideas of nation and masculinity in the discourse of political and economic elite, analysis of anti-imperialist and pro-Western nationalism and studying how national Other is constructed. The methodology is drawn up by combining feminist epistemology and the theoretical and methodological approach of critical discourse analysis (CDA). Research method applied is critical discourse analysis as well, while analysed data was selected from public speeches, statements, articles and interviews of the elites. One of the main findings of the study is that the ideas of nation and masculinity are generated simultaneously, also there are three major types of hegemonic masculinity as a construct. The research also reveals the prevalence of anti-imperialist nationalism, although it is often combined with pro-Western nationalism. The domination of this latter type throughout the history can be interpreted in two ways.

დანართი #3

ცხრილი N 1.
ძირითადი ურთიერთმკვეთი თემები შერჩეული პირების დისკურსებში

	მასკულინობა	ანტისაბჭოურობა/ ანტირუსულობა	ანტიდასავლურობა	პროდასავლურობა	საქართველოს ევროპული იდენტობა	კორუფციასთან ბრძოლა, როგორც პრიორიტეტი	ისრაელი, როგორც მისაბაძი ქვეყანა
ზვიად გამსახურდია	X	X	X				
ედუარდ შევარდნაძე	X	X		X			
მიხეილ სააკაშვილი	X	X		X	X	X	X
კახა ბენდუქიძე	X	X		X			X
ბიძინა ივანიშვილი	X			X		X	
გიორგი მარგველაშვილი	X	X		X	X	X	
ლევან ვასაძე	X	X	X				X

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია ტაბიძე

ქალები აუნაზღაურებად და ანაზღაურებად შრომაში

გენდერის კვლევა
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია გენდერის კვლევის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია ბარქაია,

გენდერის კვლევების

დოქტორი

თსუ გენდერის

კვლევის ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი

თბილისი, 2017

ანოტაცია
ქალები აუნაზღაურებად და ანაზღაურებად შრომაში
მაია ტაბიძე

კვლევის მთავარი მიზანია შეისწავლოს ქალების ანაზღაურებადი, აუნაზღაურებადი შრომისა და რეკრეაციის ურთიერთმიმართების კულტურული და სოციალური ფაქტორები ფემინისტური გადმოსახედიდან. მონაცემები შეგროვებულია ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდების - ძირითადად ჩაღმავებული ინტერვიუსა და დაკვირვების - გამოყენებით, საქართველოს ორ მთიან დასახლებაში - ყაზბეგსა და მესტიაში. მასალის დისკურსული ანალიზი გვაჩვენებს, რომ გენდერული დაქვემდებარების ახსნისას კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები გადაჯაჭვულია და შეუძლებელია მათი ცალ-ცალკე განხილვა. საკუთარ საოჯახო სასტუმროებში დასაქმებული ქალების და სახლს გარეთ მომსახურების სფეროში მომუშავე ქალებისა და კაცების შედარებით შეგვილძია ადვინახოთ, რომ სამუშაოს შესრულების ადგილი და ამ საქმის ქალის ტრადიციულ საქმიანობასთან ასოცირება, ამ აქტივობის შრომად აღიარებისთვის გადამწყვეტი ფაქტორებია.

საკუთარ საოჯახო სასტუმროებში შესრულებული სამუშაო არ არის აღიარებული ,,ნამდვილ სამსახურად", რაც გულისხმობს, რომ ამ ქალებს ნაკლებ თავისუფალ დროს და შემოსავალთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისთვის მეტი ბრძოლა უწევთ. მეორე მხრივ, იმ ქალების შრომა, ვინც სახლს გარეთაა დასაქმებული აღიარებულია შრომად და მეტი დამოუკიდებლობაც აქვთ საკუთარი ფულის განსაკარგად. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი პირველთან შედარებით საშუალოდ თითქმის 10-ჯერ ნაკლებს გამოიმუშავებენ. ამ ურთიერთობის ამხსნელი ფაქტორი ქალების საოჯახო სფეროსთან ასოცირებაა. მართალია, ეს ურთიერთობა კვლევის მონაწილეთა მიერ ისტორიულად ან ბუნებით განპირობებულად მიიჩნევა, მაინც ძალიან წინააღმდეგობრივია და რესპონდენტების ნარატივებში რიგ კონფლიქტებს ააშკარავებს. ქალების პერსპექტივა და თვით-აღქმა განსხვავდება კაცების პერსპექტივისა და საზოგადოების წარმოსახული აღქმებისგან. ადვილად ამოსაცნობია ის დომინანტური ნარატივი, რომლის არტიკულაციასაც ქალები ცდილობენ. თუმცა როცა დიალოგში ,,შემოდის" დომინანტური დისკურსი სათანადო ტრადიციული ქალის როლის შესახებ, რესპონდენტები ეკამათებიან, ეთანხმებიან, მალავენ - ერთი სიტყვით ძალიან კომპლექსურ ურთიერთობაში არიან ამ უკანასკნელთან.

სარჩევი

1. შესავალი 4
2. კვლევის მიზანი და ამოცანები 5
3. მეთოდოლოგია 7
მკვლევრის პოზიცია 8
შერჩევა 9
4. ლიტერატურის მიმოხილვა 11
აღიარება-გადანაწილების დილემა 11
შრომა 12
ოჯახი 14
სივრცე: კერძო-საზოგადო 15
დრო, შრომა და დასვენება 17
აგენტობა და წინააღმდეგობა 18
5. მონაცემთა ანალიზი 20
კონტექსტის მიმოხილვა: ტურიზმი და მომსახურების სფერო 20
სამსახურების იერარქია 22
სივრცის ვერტიკალური და ჰორიზონტალური გეოგრაფია 24
სექსუალობა და გენდერული გამოხატვა 27
რეპროდუქცია და ქორწინება 30
საკუთრება და გენდერიზებული ეკონომიკური ინტერესები 32
სივრცე გენდერულ პერსპექტივაში 40
დრო და შრომა 47
პერსპექტივა 49
თავისუფალი ნება 51
6. დასკვნა 54
ბიბლიოგრაფია 57
დანართი #1 60
დანართი #2 61

1. შესავალი

პირველად სახლში დასაქმებული ქალების შრომაზე მაშინ დავფიქრდი, როცა საოჯახო ტიპის სასტუმროში მომუშავე ქალებთან დავახლოვდი. რაც მაშინ თვალში მომხვდა ის იყო, რომ სასტუმროებში მთლიან შრომას ქალები ასრულებდნენ, თუმცა სასტუმროები ხშირად მათი ქმრების სახელს ატარებდა. შრომის ასეთი გადანაწილება თანხვედრაშია იმ კულტურულ და ეკონომიკურ რეალობასთან, რომელშიც ქალები ვცხობრობთ. ამას რაოდენობრივი კვლევებიც ადასტურებს, თუმცა არ არსებობს საქართველოს კონტექსტში საკითხის უფრო ღრმად შესწავლის მცდელობები.

2011 წლის მონაცემებით საქართველოში ქალები 45%-ით ნაკლებ ფულს გამოიმუშავებენ ვიდრე კაცები (ხითარიშვილი,2013). გარდა დაბალი ანაზღაურებისა, აუნაზღაურებადი საშინაო და მზრუნველობითი საქმეც დიდწილად ქალების მოვალეობად რჩება, მაგ., საქართველოში გამოკითხულთა 89% თვლის, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, და რაც ყველაზე პრობლემურია, ამგვარი გადანაწილებით ქალების და მამაკაცების უმრავლესობა კმაყოფილია (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2013). მიუხედავდ იმისა, რომ სახელმწიფო გარკვეულ პოზიტიურ ნაბიჯებს დგამს ქალების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საზოგადოებრივი განწყობები ქალების ეკონომიკური აქტიურობის შესახებ არსებითად არ იცვლება. მაგალითად, ქონების ფლობის უფლება, სახლში შრომის და ზრუნვის არაანაზღაურებადი სამუშაოს გადანაწილების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებები არასახარბიელოა ქალების მიმართ. ამავდროულად, იზრდება ქალების დასაქმების მაჩვენებელი, რაც პოზიტიურად უნდა აისახებოდეს მათ უფლებრივ მდგომარეობაზე ცხოვრების სხვა სფეროებშიც. თუმცა სხვადასხვა ფაქტორების გამო ეს ტენდენცია ყველგან ერთნაირი არაა. ამჯერად მინდა ყურადღება მაღალმთიან რეგიონებში აგრარულ დასახლებებზე შევაჩერო.

2014 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობას ქალის მიერ ეკონომიკური საქმიანობის და საკუთარი შემოსავლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების შესახებ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. მაგალითად, რესპონდენტების 54% თვლის, რომ ქალმა ოჯახს უნდა შეუთანხმოს რაზე დახარჯავს შემოსავალს, 69%-ს კი მიაჩნია, რომ

ქალმა სახლში უნდა იშრომოს, კაცმა კი სახლს გარეთ (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014).

ქალების ეკონომიკურ მდგომარეობას საქართველოში, განსაკუთრებით კი სოფლებში, სადაც დასაქმების ნაკლები შესაძლებლობებია, ამწვავებს მძიმე სოციო-ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში და დამსაქმებელზე მორგებული შრომის კოდექსი, რომელიც დასაქმებულს იმთავითვე არასახარბიელო მდგომარეობაში აგდებს. სახელმწიფოს პოლიტიკა ამ მხრივ მოუქნელია - ის პოლიტეკონომიკის წარმოებისას გენდერულ ფაქტორებს არ ითვალისწინებს, და პირიქით, გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა და კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ არ მოიცავს ექპლიციტურ ხედვებს და ნაბიჯებს ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის. რაც ყველაზე ცუდი სახელმწიფო საჭიროებების კვლევის გარეშე იღებს გადაწყვეტილებებს და შესაბამისად, ერთი და იგივე აქტივობები ქალების გასაძლიერებლად სამოქმედო გეგმებში წლიდან წლამდე პირდაპირ გადადის (საია, 2014).

თეორიის დონეზე, მემარცხენე და მარქსისტულ ხედვაში არსებობს საფრთხე, რომ ქალების ეკონომიკური ჩაგვრის გენდერული ასპექტები მიიკარგოს ზოგადი ეკონომიკური და კლასობრივი ჩაგვრის ნარატივებში. ამის კარგი მაგალითია ადრეული მარქსისტული მიდგომა, რომელშიც გენდერი არ ფიგურირებს როგორც ჩაგვრის ცალკეული განზომილება. გადაჭრის გზადაც სწორედ ზოგადი კლასობრივი დაყოფის აღმოფხვრა გვესახება და ის კულტურული დატვირთვა, რომელსაც სქესი ეკონომიკური სისტემებისგან დამოუკიდებლადაც ატარებს, არ ითვლება მნიშვნელოვან ფაქტორად.

ამრიგად, პოლიტიკის წარმოების არცერთ ეტაპზე: არც ფორმალურ და არც არაფორმალურზე არ ხდება გენდერული უთანასწორობის ეკონომიკური ასპექტების კვლევა და და მათი დაკავშირება სოციო-კულტურულ ჩაგვრასთან. ამიტომ საჭიროა საკითხის ინტერსექციური განხილვა, რომელიც გენდერს მოიაზრებს მნიშვნელოვან, თუმცა არა ერთადერთ ფაქტორად ქალების ეკონომიკური დაქვემდებარების ასახსნელად. როგორც უკვე აღვნიშნე საქართველოში ამ კუთხით ჩატარებული კვლევები ძირითადად რაოდენობრივ მონაცემებს ეყრდნობა, ამიტომ საჭიროა კვლევები, რომელიც ქალების ჩაგვრის კულტურულ და სოციალურ ასპექტებსაც მოიცავს, თეორიას და პრაქტიკას დააკავშირებს ერთმანეთთან და უფრო სიღმისეულ ანალიზს მოგვცემს ქალების ეკონომიკური ჩაგვრის ასახსნელად.

აკადემიური თვალსაზრისით კვლევა შეავსებს იმ თეორიულ დანაკლისს, რომელიც საქართველოში შრომის გენდერული ასპექტების კვლევაში არსებობს. კვლევა ქალების ეკონომიკურ დაქვემდებარებას ეკონომიკური ჩაგვრის ზოგად და გენდერული ნიშნით კულტურული ჩაგვრის კონტექსტში განიხილავს, რაც საქართველოში აქამდე არ მომხდარა.

პრაქტიკული თვალსაზრისით, მომავალში ქალების ეკონომიკური გაძლიერების და ამ კუთხით პოლიტიკის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი იქნება კვლევის შედეგების

გათვალისწინება. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის შედეგები განზოგადებას არ ექვემდებარება და შესაბამისად საჭიროებების გამოსავლენად და ქალების ეკონომიკური გაძლიერების პროექტების საწარმოებლად შემდგომ კვლევას საჭიროებს.

2. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია შეისწავლოს ქალების ანაზღაურებად და აუნაზღაურებად შრომაში მონაწილეობის კულტურული და სოციალური ასპექტები საქართველოში, მესტიასა და ყაზბეგში მცხოვრები ქალების მაგალითზე. მიზნის მისაღწევად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. როგორ მიმართებაშია ქალის ანაზღაურებადი და აუნაზღაურებადი შრომა და რეკრეაცია და დროის ფლობა ერთმანეთთან?

2. როგორ მიმართებაშია ქალის შრომა სივრცის საოჯახოდ და საჯაროდ დაყოფის კონტექსტში? (საოჯახო ბიზნესში ჩართული ქალების და ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ქალების მაგალითზე)

3. როგორ მიმართებაშია ქალების შრომაში ჩართულობა სოციუმის მიერ ქალების აღქმასთან?

4. როგორ მიმართებაშია ქალების შრომაში ჩართულობა ქალების მიერ საკუთარი თავის აღქმასთან?

3. **მეთოდოლოგია**

ფემინისტური მიდგომა სამყაროს შესახებ კონვენციური დაშვებებისა და მათი აღწერის გზებისადმი უნდობლობით გამოირჩევა. გამონაკლისი არც წინამდებარე ნაშრომია. პირველ რიგში, არ ვიღებ რეალობას ობიექტურ მოცემულობად და არც მხოლოდ ექსპლიციტური შინაარსებით შემოვიფარგლები. ჩემი ონტოლოგიური დაშვება პოსტსტრუქტურალისტურ მიდგომას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც რეალობა სოციალურადაა კონსტრუირებული. მნიშვნელოვანი ამ სოციალურ წესრიგში სუბიექტის ადგილი და ის ძალაუფლებრივი მიმართებაა, რომლებშიც იმყოფება სხვა სუბიექტებთან.

მეთოდს რომელსაც ვიყენებ, შეიძლება ინსტიტუციური ეთნოგრაფიაც ეწოდოს, ვინაიდან ეს მიდგომა არ უყურებს მოვლენებს როგორც უბრალოდ არსებულს. სოციალური ურთიერთობები კონკრეტულ ადგილებში იქმნება და დროშია გაშლილი (DeVault,1999).

მონაცემების შეგროვების მთავარი საშუალება დაკვირვება და ჩაღრმავებული ინტერვიუა. ასეთ პირობებში მკვლევარი თვითონ არის კვლევის ინსტუმენტი. რაც თავის მხრივ, მრავალ ეთიკურ საკითხს წარმოშობს, რომელზეც შემდგომ თავებში ვისაუბრებ.

მონაცემების შეგროვება ასევე თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე არ ემსახურება უკვე კარგად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების და კითხვების შემოწმებას. კვლევა ამ თვალსაზრისით აბდუქციურია. აბდუქციური მიდგომა გულისხმობს, რომ კვლევის ზოგადი ორიენტირებით და საკვლევი კითხვებით "შეიარაღებული" ერთმანეთს ვუნაცვლებდი თეორეტიზებას და მონაცემების შეგროვებას. სოციალური სამყაროს შემეცნება კი ხდება სოციალური აქტორების მოტივების და მონათხობის ტერმინებში (Blaikie,2004, pp. 101).

ცნებების განმარტება ხდება სენსიტიზაციის მეთოდით: რაც გულისხმობს, რომ კვლევა იწყება რამდენიმე ძირითადი საკითხით, ანუ თავიდან იქნება ექსპოზიცია საკვანძო

ცნებებისადმი და არა წინასწარმოცემული ცნებების განმარტება, მნიშვნელობებით კი მონაცემების შეგროვების პროცესში დაიტვირთება; სიტყვა სენსიტიზაციაც სწორედ მეცნიერის მხრიდან ახალი იდეებისადმი ღიაობას მიემართება თეორიის და მონაცემების დაკავშირების პროცესის ურთიერთშერწყმისას (Blaikie,2004, pp. 137).

თავის მხრივ, ენა მოიაზრება არა რეალობის ამსახველ საშუალებად, არამედ მის მაკონსტრუირებელ ძალადაც. ვინაიდან მნიშვნელობებს არ განვიხილავთ სუბიექტური-ობიექტურის დიქოტომიაში, მნიშვნელობებს ვერ ვუწოდებთ სუბიექტურს, ისინი ინტერსუბიექტურია, რაც გულისხმობს, რომ ერთი და იგივე ჯგუფის ან საზოგადოების წევრები იზიარებენ და ინტერაქციის მიმდინარე პროცესში ინარჩუნებენ საერთო მნიშვნელობებს და ინტერპრეტაციებს (Blaikie,2004). ენის ამგვარი გაგება მნიშვნელოვანია ფემინისტური გადმოსახედიდან, ვინაიდან ქალებისთვის გამოხატვა ფალოცენტრისტულ სიმბოლურ წესრიგში უკიდურესად შეზღუდულია, გამოცდილება კი მარგინალიზებული. შესაბამისად როგორც ამ გამოცდილებების არტიკულაცია, ისე მოსმენა აქტიურ ფემინისტურ თვითრეფლექსიას საჭიროებს.

მონაცემების ანალიზიც შესაბამისობაშია შეგროვების პრინციპებთან. შეგროვებული მასალა დისკურსულ ანალიზის მეთოდითაა დამუშავებული. ამ მიდგომაში გარდა ექსპლიციტური შინაარსებისა, მნიშნელოვანია მონათხრობში ქალების პოზიციონირების, მათი წარმოსახული აუდიტორიის და მონათხრობში არსებული წინააღმდეგობების ანალიზი. მაგალითად, როცა ქალების შრომის სოციუმის მიერ აღქმასა და მათ თვითაღქმაზე ვსაუბრობ, ვითვალისწინებ იმას თუ რა პოზიციიდან საუბრობს კვლევის სუბიექტი, რომელ დისკურსს იმეორებს და რომელს უპირისპირდება ის.

მკვლევრის პოზიცია

კვლევის მეთოდები ფემინისტური ეთიკისთვის რიგ შემთხვევებში გამოწვევა შეიძლება იყოს. როგორც უკვე აღინიშნა კვლევა არ ემსახურება მხოლოდ აღწერას და გვერდიდან დაკვირვებას. მას ფემინისტური ღირებულება აქვს როგორც მკვლევრისთვის ისე იმ ქალებისთვის ვის შესახებაც კვლევა კეთდება. ამასთან, ეს არ არიან ჩემთვის უცნობი ადამიანები. წლების განმავლობაში მე მათთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები მქონდა. რაც ერთი მხრივ, საშუალებას გვაძლევდა ერთმანეთთან გულახდილად გვესაუბრა, თუმცა მეორე მხრივ, როლურ გაურკვევლობას ქმნიდა, ვინაიდან როდის ვიყავი მკვლევარი და როდის მეგობარი, ორივე მხარისთვის ძნელი გასამიჯნი. გარდა ამისა, ეს პროცესი არ არის მხოლოდ ცალმხრივი, მეც ვესაუბრებოდი მათ ჩემს გამოცდილებებზე, რაც სოციალური სასურველობის პრობლემას წარმოშობს, რაც გულისხმობს, რომ რესპონდენტები შესაძლოა არ იყვნენ გახსნილი და გულახდილი თავის მოსაზრებებთან და გამოცდილებებთან დაკავშირებით, რადგან მკვლევრის მოსაწონი უნდათ გამოჩნდნენ. ამიტომ თავს ვიკავებდი საკუთარი ფემინისტური პოზიციების დაფიქსირებისგან ამა თუ იმ საკითხზე.

მიუხედავად არსებული საკმაოდ ახლო ურთიერთობებისა, გასათვალისწინებელია რომ იმ ქალების უმრავლესობა, ვისთანაც ვმუშაობდი სხვა გამოცდილების მქონეა. მე მათთვის მაინც ცენტრიდან პერიფერიაში ჩასული მკვლევარი ვარ და ეს გარკვეულ ასიმეტრიას და გაუცხოებას ქმნიდა გარკვეულ შემთხვევებში.

როგორ უნდა მოხდეს პირადი ინფორმაციის ისე გადმოცემა რომ კონფიდენციალობა დაცული იყოს? სად მთავრება „ობიექტური“ მკვლევრის როლი და იწყება მეგობრის/კლიენტის ან ფემინისტი აქტივისტის როლი? როდესაც კვლევის პროცესი გარკვეული ფემინისტური ღირებულებას იმთავითვე ატარებს, როლების შემოსაზღვრა არც ისე ადვილია. ამ კითხვებზე პასუხის ბოლომდე გაცემა და ეთიკური პრობლემის სრული აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომელსაც კვლევის პროცესში ვეყრდნობოდი. უმთავრესი პრინციპი კრიტიკული თვით-რეფლექსიაა, რომელიც თან სდევდა როგორც მონაცემების შეგროვების, ისე მათი დამუშავების პროცესს. ამაზე შეპერ ჰიუგი (2010) წერს, რომ ადამიანების ღირებულებების მკვლევარი ეთნოგრაფები ერთგვარი შემგროვებელ-მონადირეები არიან. ამიტომ მორალური და ეთიკური სიტუაციების მიმართ მგრძნობელობა მოგვეთხოვება. პერსპექტივა კი რელატივისტური და არა უნივერსალისტური უნდა გვქონდეს (Scheper-Huges, 2010).

რელატივიზმი ამ შემთხვევაში არ გულისხმობს იდეოლოგიური და ღირებულებითი განზომილებებისგან დაცლას. რელატივიზმი ვერ იქნება მაგალითად, მოძალადე ქმრის პერსპექტივის გათვალისწინება. რელატივიზმი არც არის სავარაუდოდ კარგი განსაზღვრება ჩემი მიდგომისთვის, ის უფრო სუბიექტის პოზიციის პერსპექტივის მიდგომაა, რომლისთვის ცენტრალური სუბიექტების პოზიციაა დინამიკურ ძალაუფლებრივ მიმართებებში.

ჩემი თავდაპირველი ონტოლოგიური დაშვება ანტი პოზიტივისტურია. თვისებრივ კვლევას, მით უმეტეს ეთნოგრაფიული მეთოდებით შეგროვებულ მონაცემებს პოზიტივისტურად განსაზღვრულ ობიექტურობას უპირისპირდება. ასეთი კვლევის პირობებში მუშაობა მოითხოვს პროფესიული ეთიკის თვითრეფლექსიას და თვითკრიტიკას, სიმართლის და კვლევის სუბიექტების დასაცავად (*Scheper-Huges, 2010)*. ასევე იმის აღიარებას, რომ საბოლოოდ ინტერპრეტაცია ყოველთვის მკვლევარს ეკუთვნის. თვითონ კვლევის პროცესში მონაწილეები ერთმანეთში საუბრობენ, მკვლევართანაც მუდმივ დიალოგში არიან და არ წარმოადგენენ მხოლოდ ინფორმაციის მომწოდებელ რესპონდენტებს. ობიექტურობა კი ადამიანების პოზიციების, მათი გამოცდილებების მრავალფეროვნების ასახვას და ინკლუზიურობის პრინციპს ემყარება და არა „მიუკერძოებელი“ მკვლევრის იდეას.

შერჩევა

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ორ დაბაში მცხოვრები ქალები. აუნაზღაურებად შრომაში, ანაზღაურებად შრომაში (მცირე ბიზნესი), ანაზღაურებადი სამუშაოში ჩართულობა ის ძრითადი კრიტერიუმებია, რომლის მიხედვითაც ქალები შეირჩა. ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში ყოფნა, ანაზღაურებადი სამუშაოს ქონა, დასახლების ტიპი, სამუშაოს ტიპი მოიაზრება იმ ფაქტორებად, რომელთან მიმართებაშიც მაინტერესებდა ამეხსნა ქალების ეკონომიკური დაქვემდებარების კულტურული და სოციალური ასპეტები. ხოლო დასაქმებულ ქალებში მცირე ბიზნესში ჩართული ქალებიდან საკუთარი საოჯახო ტიპის სასტუმროების მქონე ან მსგავს სამსახურში დასაქმებულის (და არა მესაკუთრის) როლში მყოფი ქალები შეირჩევიან. დაკვირვება კი მოხდა როგორც ტურისტულ სეზონამდე, ისე სეზონის განმავლობაში.

შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებებს სამი მიზეზი განაპირობებს: 1. სამუშაოს ტიპი: როგორც უკვე აღვნიშნე ჩემთვის საინტერესოა ეკონომიკური აქტივობის გენდერული ასპექტების განხილვისას კერძო-საზოგადოს დიქოტომიური დაყოფის სირთულის და შეზღუდვების წარმოჩენა. ის ქალები, ვინც ერთი მხრივ, სახლში ასრულებენ ანაზღაურებად შრომას და ამასთან, შრომის შინაარსი (საჭმლის მომზადება, დალაგება და ა.შ.) ძალიან ძნელს ხდის გაიმიჯნოს ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შრომის და დასვნების საზღვრები, რაც საფუძელს აცლის კერძო-საზოგადოს ტრადიციულ გაგებას და შრომის და ანაზღაურების (განსაკუთრებით ქალების) მიმართების სირთულეებს წარმოაჩენს. 2. საოჯახო სასტუმროები და ზოგადად სერვისის ინდუსტრიაში ქალები მასობრივად არიან დასაქმებული, განსაკუთრებით, ტურისტულ რეგიონებში, ამასთან მესტიას და ყაზბეგში მეტ-ნაკლებად ერთდროულად მოხდა სასოფლო მეურნეობიდან ტურიზმის ინდუსტრიაში გადართვა, რაც მათ ერთმანეთთან მსგავსს და ამავდროულად კულტურული განსხვავებიდან გამომდინარე შედარებადს ხდის. 3. ქალების ეკონომიკურ საქმიანობაზე დაკვირვება და მათი გამოკითხვა უფრო ადვილია საოჯახო ტიპის სასტუმროებში, უფრო ზუსტად კი მესტიასა და ყაზბეგში, სადაც საოჯახო სასტუმროებში დასაქმებულ ქალებს ისედაც ვიცნობდი და როგორც მკვლევარს გარკვეული ნდობა მქონდა მოპოვებული. გარდა ამისა, საოჯახო სასტუმროები არა მხოლოდ ძირითად დასაქმების ადგილს წარმოადგენს ქალებისთვის, ის ასევე ჩართული დაკვირვებისთვის მოსახერხებელ გარემოს ქმნის, რადგან ამ ქალების საცხოვრებელი და სამუშაო არ არის სივრცობრივად გამიჯნული და ღიაა სტუმრებისთვის.

კვლევაში გამოყენებული იქნა შემთხვევის ანალიზის, ჩაღრმავებული ინტერვიუების და ჩართული დაკვირვების მეთოდები. სულ კვლევის ფარგლებში 13 ინდივიდუალური და 2 ჯგუფური ინტერვიუ ჩავატარე, რომელშიც 17 ადამიანი მონაწილეობდა, აქედან 14 ქალი და 3 მამაკაცი. მონაწილეების ასაკი 25-დან 83 წლამდე მერყეობდა. უმრავლესობა 35-დან 50-წლამდე ასაკის იყო. გამოკითხულებს შორის იყო ერთი მხოლოდ აუნაზღაურებელ შრომაში ჩართული ქალი, სხვადასხვა ტურისტულ ობიექტზე დასაქმებული 7 ქალი და ერთი კაცი, ტურიზმში თვითდასაქმებული 2 კაცი და 4 ქალი და 1 კაცი, მათგან 2 ქალი სხვაგანაც მუშაობს პარალელურად, 1 კი პენსიონერია. ინტერვიუს რესპონდენტების

მოძიება 1 ყაზბეგში და 1 მესტიაში მცხოვრები ოჯახის მეშვეობით ხდებოდა, რომლებიც ინტერვიუს გარდა დაკვირვების სუბიექტები იყვნენ. ძირითად რესპონდენტებთან ერთად, დაკვირვებას ვაწარმოებდი კაფეებში, რესტორნებში და სხვა სასტუმრო სახლებში. მონაცემების მოპოვება რესპონდენტებისგან ძირითადად ვერბალური სახით არის წარმოდგენილი, გარკვეული ფოტო-მასალაც შევაგროვე, რომელსაც კონფიდენციალურობიდან გამომდინარე კვლევას ვერ დავურთავ, თუმცა ანალიზი ეყრდნობა როგორც აუდიო ინტერვიუებს, ისე დაკვირვებებს და ვიზუალურ მასალას.

გარდა პირველადი წყაროებისა, გამოვიყენე უკვე არსებული რაოდენობრივი, ძირითადად აღწერითი სახის, მონაცემები მაღალმთიან რეგიონებში და ზოგადად საქართველოში ქალების ეკონომიკური მდგომარეობის და ამ საკითხისადმი დამოკიდებულებების შესახებ. ეს მონაცემები საშუალებას იძლევა შედეგები განვაზოგადოთ, თუმცა ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს აღქმებთან, განწყობებთან და მიმართებებთან დაკავშირებით. სწორედ რაოდენობრივი კვლევების ერთგვარი შემავსებელია წინამდებარე კვლევის მიგნებები.

ჩემთვის, როგორც ფემინისტისთვის სწორედ ამ მეთოდების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. კაცების გამოცდილება სტანდარტად მოიაზრება და ენაც სწორედ ამ გამოცდილებებს არის მორგებული, მაშინ როცა ქალების გამოცდილება ხშირად უგულებელყოფილია და მათი არტიკულაციაც - გართულებული. აქედან გამომდინარე, როგორც მონაცემების შეგროვების, ისე ქალების ხმის გასაჟღერებლად, აუცილებელია მათი არა წინასწარ თავსმოხვეული ტერმინების და ცნებების, არამედ ავთენტური მნიშვნელობათა სისტემების გამოყენებით მოსმენა და ახსნა. ქალების გამოცდილებების მრავალფეროვნების აღიარება და საკუთარი როლის კრიტიკული გააზრება ობიექტურობის მიღწევის ის სტანდარტია, რომლითაც ამ კვლევაში ვხელმძღვანელობდი.

4. ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის თეორიული ჩარჩო მემარცხენე ფემინისტ ავტორებს ეყრდნობა. მონაცემები აღიარება-გადანაწილების, შრომის სხვადასხვა ფორმების, კერძო-საზოგადოდ დაყოფის, დროის და დასვენების, აგენტობისა და წინააღმდეგობის წინასწარშემუშავებული და კვლევის პროცესში შექმნილი კონცეპტების მიხედვით გავაანალიზე.

აღიარება - გადანაწილების დილემა

კვლევა ორ ფაქტორს: კულტურულის და ეკონომიკურის ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ აღიარების და გადანაწილების საკითხებს, აკავშირებს ფემინისტური პერსპექტივიდან. უპირველს ყოვლისა, მინდა ძირითადი ცნებები განვმარტო. ფრეიზერის მიხედვით გადანაწილება მიემართება იმ „სოციო-ეკონომიკურ უსამართლობას, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში აქვს ფესვები.“ ფრეიზერი

ეკონომიკურ ექსპლუატაციასთან ერთად ეკონომიკურ მარგინალიზაციას (მაგ., სამუშაოზე უარი) და ეკონომიკური დეპრივაციას განიხილავს ეკონომიკური დაქვემდებარების ფორმებად (ფრეიზერი, 1997). ამგვარი ეკონომიკური დაქვემდებარების ილუსტრაციაა სოციალური კლასი, რომელიც სწორედ რესურსების არათანაბარი გადანაწილების საფუძველზე იქმნება. რესურსების გადანაწილება არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალურ კაპიტალს, არამედ იმ კულტურულ (უკეთესი განათლება) და სიმბოლურ (სტატუსი საზოგადოებაში) კაპიტალსაც, რომელიც მაღალ სოციალურ ფენებს გააჩნია მუშათა კლასთან შედარებით.

გადანაწილებისგან განსხვავებით აღიარების მოთხოვნა მიემართება იმ კულტურულ და სიმბოლურ უსამართლობას, რომელიც ,,რეპრეზენტაციის, ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციის სოციალურ მოდელებში აქვთ ფესვები გადგმული“ (ფრეიზერი, 1997). ანალიტიკურ დონეზე ფრეიზერი აღიარების მოთხოვნას განასხვავებს სამართლიანი სოციო-ეკონომიკური გადანაწილების მოთხოვნებისგან და შესაბამისი ჩაგვრებისგან.

გადანაწილების პრობლემის მოგვარება გულისხმობს სოციალური კლასის გაქრობას, მაშინ როცა აღიარების პოლიტიკა ერთგვარად აწარმოებს და კვლავაწარმოებს ჯგუფს - ჩვენს შემთხვევაში ქალებს. ვინაიდან ქალები სოციალური იერარქიის ყველა საფეხურზე გვხვდებიან, ძნელია ფემინისტური ბრძოლის კლასობრივთან გათანაბრება. ამის გამო კლასიკურ მარქსისტულ და ნეომარქსისტულ თეორიებში, რომელშიც კაპიტალიზმი კრიტიკულადაა გააზრებული, გენდერული ჩაგვრის კულტურული განზომილება ეკონომიკურზე „ზედნაშენ“ სტრუქტურებად მოიაზრება და ძალიან რედუქციონისტულად იხსნება (ფოლბრე, 1994).

ამავ დროს, პატრიარქატის კაპიტალიზმის კოლაბორციის კრიტიკულად გააზრების მცდელობები მრავლადაა სოციალისტ და მარქსისტ ფემინისტებში. მაგალითად, ჰეიდი ჰარტმანი მიიჩნევს, რომ პატრიარქატი ეფუძნება მამაკაცების მიერ ქალთა სამუშაო ძალის კონტროლს. კონტროლი ხორციელდება ორგვარად: არსებით წარმოებით რესურსებზე (მაგალითად, მაღალანაზღაურებად სამსახურზე) წვდომის და ქალთა სექსუალობის შეზღუდვით (ჰარტმანი, 1976 გვ. 146).

ამრიგად, ქალები სხვადასხვა ნიშნით შეიძლება იჩაგრებოდნენ ერთდროულად: პატრიარქალურ საზოგადოებაში მამაკაცს, შესაბამისად მის სიცოცხლეს და შრომას, მეტი კულტურული და ეკონომიკური ღირებულება აქვს ვიდრე ქალს. ეკონომიკური დაქვემდებარების თვალსაზრისით, ცალკეული ქალები, მაგალითად ბიზნესის მქონე ან რომელიმე დიდი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ქალი, შეიძლება უფრო კარგ პოზიციაში იყოს ვიდრე მაღაზიაში კონსულტანტად მომუშავე მამაკაცი. როგორც უკვე აღვნიშნე, ტენდენციურად საქართველოში ქალების ანაზღაურებაც ნაკლებია და სახლის არაანაზღაურებადი სამუშაოც ძირითადად ქალების მოვალეობად მოიაზრება. ამიტომ ქალების დაქვემდებარებას როგორც კულტურული ისე ძალიან მკვეთრად გამოხატული ეკონომიკური განზომილება აქვს.

აქედან გამომდინარე, ჩემი დაშვებაა, რომ შეუძლებელია თუნდაც ანალიტიკურ დონეზე დავყოთ და განვასხვავოთ ქალების ჩაგვრა ეკონომიკურ უთანასწორობის შედეგია თუ კულტურულის. ამ პრობლემას ფრეიზერიც აღიარებს და გენდერული და რასობრივი უთანასწორობის პრობლემას აღიარებისა და გადანაწილების მოთხოვნების კონტექსტში ორივეს მიაკუთვნებს. თუმცა ამ კვლევაში ისიც კი პრობლემურია ანალიტიკურ დონეზე ეს ორი ჩაგვრა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან: არსებული ეკონომიკური სისტემა რომელიც ნეოლიბერალური იდეოლოგიით არის ნასაზრდოები, ჰარმონიულად ერწყმის და ურთიერთგანმაპირობებელ მიმართებაშია პატრიარქატთან, ოჯახი კი ამ თანაკვეთის ეპიცენტრია.

შრომა

შრომაზე საუბრისას როგორც წესი პირველი ანაზღაურებადი შრომა გვახსენდება. ამ ტიპის შრომის განსაზღვრა მარტივია: შრომა, რომლის მიზანია მატერიალური თუ არამატერიალური პროდუქტის წარმოება და რომლის სანაცვლოდაც ადამიანი გარკვეულ ანაზღაურებას იღებს. თუმცა ყველა შრომა ანაზღაურებადი არ არის და ანაზღაურებად სამსახურებშიც ძალიან დიდი განსხვავებები არსებობს შესრულებული სამუშაოების მიხედვით. ჩემთვის მნიშვნელოვანი ანაზღაურებადი და აუნაზღაურებადი შრომის ურთიერთმიმართებაა. პირველი ამ შემთხვევაში მომსახურების სფეროში დასაქმებული ქალების და მამაკაცების შრომას მიემართება და უფრო კონკრეტულად სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებული პერსონალის: მენეჯერი, მზარეული, მიმტანი, დიასახლისი, მძღოლი და სხვა პოზიციებზე დასაქმებული ადამიანების გამოკითხვას და დაკვირვებას გულისხმობს.

ბევრად უფრო ძნელი განსამარტია აუნაზღაურებადი შრომა, რომელშიც უპირველეს ყოვლისა ძირითადად ქალის მიერ შესრულებულ საშინაო შრომას მიემართება. აუნაზღაურებადი შრომა ხშირად განიხილება სახლში შესრულებული საქმეების ერთობლიობად: მაგალითად, დალაგება, ჭურჭლის რეცხვა, საჭმლის მომზადება და ა.შ. შედარებით უფრო გაფართოებულ ვარიანტში შესაძლოა მას დაემატოს მზრუნველობითი შრომაც. თუმცა აუნაზღაურებადი შრომა მხოლოდ გარკვეული აქტივობების ჩამონათვალი არ არის. რამდენიც არ უნდა ვეცადოთ ძალიან გაგვიჭირდება აუნაზღაურებადი შრომის ყველა ტიპის ჩამოთვლა. მათი რაოდენობა და ინტენსივობა კი განსხვავებული იქნება სხვადასხვა სიტუაციებში. ქალის მიერ შესრულებული აუნაზღაურებადი სამუშაო გულისხმობს ისეთი ტიპის საქმეებსაც რაც სახლთან არაა დაკავშირებული, მაგალითად, მშობლების დახმარება, მორალური მხარდაჭერა, ავადმყოფი ნათესავების/ახლობლების მონახულება. შესაბამისად, საშინაო აუნაზღაურებად შრომაზე საუბრისას შრომის ყველანაირ ფორმას ვგულისხმობთ, რომელიც საშინაო სივრცეში ან მასთან კავშირში სრულდება (Delphy & Leonard, 1992).

აქვე უნდა დავსვათ კითხვა რატომ არის ის აუნაზღაურებადი?

მარქსისტების მიხედვით საშინაო შრომა მისი არაპრდუქტიული ბუნებიდან გამომდინარე არის აუნაზღაურებადი. პროდუქტიულობა ასეთი განმარტებით მხოლოდ ბაზარზე გაცვლადს ან ანაზღაურებად სამუშაოს, და შესაბამისად,ზედმეტი ღირებულების წყაროდ გულისხმობს, რაც მცდარია ორი მიზეზის გამო 1. იგივე სამუშაო, მაგალითად, სახლის დალაგება ანაზღაურებადიც შეიძლება იყოს როცა დამლაგებელი ასრულებს და არა ცოლი, 2. ამის გარდა, პროდუქტიულია იმ გაგებით რომ გარკვეულ ნედლ მასალას გარდაქმნის პროდუქტად ან მომსახურებად. მაგალითად, საკვებს მომზადება სჭირდება, ბავშვებს - მეთვალყურეობა და ა.შ. 3. ასევე, ის არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ადამიანზე, ვინაიდან, თუ ქალი როგორც ცოლი ასრულებს საშინაო საქმეს, ის აუნაზღაურებადია, თუ როგორც, მაგალითად, მზარეული, ანაზღაურებადი. ამიტომ ქალების პოზიციის გასაგებად უნდა გამოვიყენოთ წარმოების უფრო ფართო განმარტება - ის, რომელიც მოიცავს ყველა სახის სამუშაოს, რომელიც აწარმოებს ან ზრდის სიმდიდრეს ან ღირებულებას" (ოქსფორდის მოკლე ლექსიკონი, ციტირებულია Delphy & Leonard, 1992, გვ. 80). აქედან გამომდინარე:

*აუნაზღაურებლობა, როგორც სახლის საქმის სპეციფიკური მახასიათებელი დამოკიდებულია იმ ფაქტზე, რომ მისი შემადგენელი ამოცანები კონკრეტულ ურთიერთობებში სრულდება, ურთიერთობაში, რომელშიც ადამიანები სამუშაოს ასრულებენ, მათი პრაქტიკული, ემოციური, სექსუალური ან რეპროდუქციული შრომის ნაყოფს არ ფლობენ. (*Delphy & Leonard, 1992, გვ. 84).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუნაზღაურებელი შრომა იქმნება კონკრეტულ, კერძოდ კი გენდერული ძალაუფლებრივი ურთიერთობების პირობებში, და ის არც შრომის შინაარსიდან და ინდივიდებიდან არ გამომდინარეობს (Delphy & Leonard, 1992).

ოჯახი

თანამედროვე დასავლურ სამყაროში ოჯახის სახეხატი ბირთვული ოჯახია. ეს უკანასკნელი დიდი ხანია წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკის საფუძველსაც. ოჯახი, სადაც ერთი ან ორივე მშობელი მუშაობს, დედა კი შვილებსა და საშინაო შრომაზეა პასუხისმგებელი, იდეალიზებულია მედიაში, რეკლამებში, სერიალებსა თუ ლიტერატურაში. თუმცა ოჯახის ამგვარი ფორმა არ არის არც ერთადერთი და არც ისტორიულად უნივერსალური ინსტიტუტი. მიუხედავად ამისა, ოჯახი და განსაკუთრებით ნუკლეარული ოჯახი იმდენად ბუნებრივ მოვლენად ითვლება, ძალიან ხშირად მისი პოლიტიკური განზომილება უგულებელყოფილი შეიძლება იქნას. თავისთავად ოჯახის განმარტებაც ძალიან რთული და იდეოლოგიურად დატვირთულია. ერთადერთი რამ, რაც თამამად შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ოჯახი ჩვენს კულტურაში უკავშირდება ქორწინებას და ნათესაობას. ნათესაობა თავის მხრივ, არ არის აუცლებელი სისხლით ნათესაობას გულისხმობდეს და რიტუალის (მაგალითად, ნათლობის) ან მეორად სისხლით ან ქორწინებით ნათესაობით აკავშირდებდეს ადამიანებს, მაგალითად მზახალი (ქმრის ძმა), ან სიდედრი (ცოლის დედა) მეორადი კავშირის შედეგად შეიძლება ოჯახის

ნაწილი გახდეს. მეორე საკითხი ოჯახის განსაზღვრისას არის თანაცხოვრება. არის თუ არა ეს უკანასკნელი აუცილებელი კომპონენტი ოჯახად მოაზრებისთვის. მე-19 საუკუნემდე ოჯახი დასავლურ კულტურაში არ არსებობდა ამგვარი დაყოფა და ოჯახი ერთ საოჯახო მეურნეობაში ჩართული ადამიანების მიხედვით განისაზღვრება (ფლანდრინი, ციტირებულია ბერეტთან და მაკინტოშთან, 2015). თუ ოჯახს მოვიაზრებთ მხოლოდ ერთ სახლში მცხოვრები ადამიანების ერთობად, ყურადღების მიღმა შეიძლება დაგვრჩეს მემკვიდრეობითობის, გენეოლოგიის და უფლება-მოვალეობების რიგი მოდელები; მეორე მხრივ, თუ მას ნათესაობის და ქორწინებაზე დაფუძნებულ ინსტიტუტად მოვიაზრებთ, შეიძლება ილუზია შევქმნათ, რომ ოჯახი საშინაოს, პირადის, კერძოს და ინტიმურის მიღმა განიხილება ((Barret & McIntosh, 2015).

ჩვენ შემთხვევაში ვინაიდან ცნებების სენსიზიტაციას ვახდენთ რესპონდენტებს თავად ეძლევათ საშუალება ოჯახი და მისი შემადგენლობა და მნიშვნელობა თავად განსაზღვრონ. თუმცა ფოკუსი ოჯახზე საუბრისას მის ეკონომიკურ განზომილებასა და საჯარო სფეროსთან მიმართებაში გვექნება გენდერულ ჭრილში. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ოჯახი არის შრომის, მარტივი დაგროვების და საკუთრების ფლობის წესების რეგულირების ეპიცენტრი, ოჯახის ორივე ასპექტი: მისი მოაზრებული ბმა პირად სფეროსთან და ამავ დროს მემკვიდრეობითობის და ერთმანეთის მიმართ არსებული უფლება-მოვალეობების მოდელები მნიშვნელოვანია ქალების ეკონომიკური დაქვემდებარების ასახსნელად.

თუმცა ოჯახი წინამდებარე კვლევაში უფრო გლობალურადაც უნდა გავიაზროთ, რადგან საზოგადოების ოჯახებად ორგანიზება მჭირდო კავშირშია სექსუალობის, რეპროდუქციის, ეკონომიკის მაკრო და მიკრო მოწყობასთან. ოჯახი მემარცხენე ნარატივში ზოგჯერ ნეოლიბერალურ იდეოლოგიასთან დაპირისპირებაში განიხილება. ნეოლიბერალიზმის ქვაკუთხედი პასუხისმგებლობის ინდივიდზე დაკისრება, განათლებაზე, სოციალურ დახმარებას და ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მაქსიმალური შემცირება შეიძლება მოვიაზროთ. კუპერი (2017) აკრიტიკებს მოსაზრებას თითქოს ინდივიდზე გადასული პასუხისმგებლობა მთლიან ეკონომიკურ მდგომარეობას ადამიანის პირად გადაწყვეტილებებს და არჩევანს მიაწერს თანამედროვე სამყაროში. ის ასევე არ ეთანხმება დაშვებას, რომლის მიხედვითაც ქალების მასობრივმა ჩართვამ სამუშაო ბაზარზე და ე.წ. ფორდისტული ოჯახის რღვევა გამოიწვია. ეს უკანასკნელი ოჯახის ისეთ მოდელს გულისხმობს, რომელშიც მამაკაცი შემომტანი, ცოლი კი - დიასახლისია. ამის საპირისპიროდ კუპერი (2017) თვლის, რომ პასუხისმგებლობამ არა ინდივიდზე არამედ ოჯახზე გადაინაცვლა. მართალია, მისი ანალიზი ამერიკის კონტექსტზეა მორგებული, ძირითადი დებულებები შეგვიძლია ჩვენს რეალობაზეც განვაზოგადოთ: ოჯახი მართლაც წარმოადგენს ეკონომიკურ ინსტიტუტს. ნეოლიბერალიზმს ძვირად უჯდება ფორდისტული ოჯახის ნგრევა, პრეკარეატულ პირობებში დარჩენილი ადამიანებისთვის ოჯახი ეკონომიკური გადარჩენის და სოციალური კეთილდღეობისთვისაა მნიშვნელოვანი (კუპერი, 2017).

გენეტიკური კავშირი და ნათესაური მიკუთვნებულობა მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუქციას ატარებს, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით ხდება საკუთრების გადაცემა და ინდივიდზე ზრუნვის უფლება-მოვალეობების დაწესება. თუმცა ამის პარალელურად რეპროდუქცია, ზრუნვა და საკუთრება გენდერული განზომილებას ატარებს. მაგალითად საქართველოში: მოსახლეობის 56% თვლის, რომ სახლი ვაჟს უნდა დარჩეს, 44% კი თანაბრად განაწილდეს (UNDP, 2013).

ეს გულისხმობს, რომ კაცისთვის უპირატესობის მინიჭებით მემკვიდრეობის გადაცემისას, ქალები იმთავითვე არათანსწორ სასტარტო პირობებში არიან კაცებთან შედარებით, მათი ინტერესები დაქვემდებარებულია ოჯახის ინტერესს. სახელმწიფო დონეზე საკუთრების უფლება გაცხადებულია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედად (საქართველოს მთავრობა, 2013) ეკონომიკური გაძლიერება კი როგორც უკვე აღვნიშნე არ არის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის და კანონმდებლობის ფუნქციური ნაწილი. უფრო დიდ თეორიულ პერსპექტივაში ეს მონაცემები ჰარმონიულ თანხვედრაშია ნეოლიბერალურ იდეოლოგიასთან, რომლის სუბიექტისთვის განმსაზღვრელად ფლობას სახავს, გენდერულ ჩაგვრას კი მხოლოდ კულტურული ჩაგვრის პრობლემად განიხილავს. ნეოლიბერალური სუბიექტის წარმოება ქალებს იმთავითვე გამორიცხავს. შესაბამისად ნათესაობის და მემკვიდრეობითობის კულტურული ნორმები, ისევე როგორც სოციო-ეკონომიკური პოლიტიკა ურთიერთშემავსებელია ქალების დაქვემდებარებისთვის, ოჯახი კი ამ უკანასკნელის ეპიცენტრია.

სივრცე: კერძო-საზოგადო

ოჯახის გენდერული განზომილების შრომასთან დასაკავშირებლად, აუცილებელია კერძო და საზოგადო სფეროების დანაწილების ანალიზი. თავისთავად საშინაო და საზოგადო სფეროებად დაყოფა არ არის დროსა და სივრცეში უნივერსალური და განსხვავებულია კულტურებს შორის, ის ისტორიულად კაპიტალიზმის პირობებში ანაზღაურებადი შრომის გაჩენას მოყვა. (Barret & McIntosh, 2015). საშინაო-საზოგადო სფეროებად დაყოფა მარტივად შეიძლება სივრცობრივად: სახლი-სამუშაო, სოციალურად: ოჯახი-საზოგადოება დიქოტომიებში ავსახოთ. ამას ფემინისტური პერსპექტივიდან თავისი იმპლიკაციები აქვს. პირველ რიგში, საზოგადო სფერო თავის მხრივ, კიდევ იყოფა კერძოდ და პოლიტიკურად: პოლიტიკაში მონაწილეობაზე წვდომა გენდერული, კლასობრივი და მრავალი სხვა ნიშნითაა შეზღუდული. საბოლოოდ კი, საზოგადოებრივ ცნობიერებაში ქალი ასოცირდება საოჯახოსთან, ბუნებასთან, ზრუნვას, ემოციურ სფეროსთან, მაშინ როცა კაცი საზოგადოსთან, რაციონალურთან, ცივილიზაციასთან… (Philips, 1987). საზოგადოების ცნობიერებაში დაყოფის ესენციალიზება ხდება ისტორიის უგულებელყოფით, რაც დაკავშირებულია ლიბერალურ პროექტთან, რომელიც თავს არ აღიარებს როგორც პატრიარქალურს, თუმცა სწორედ ის მიჯნავს მამრობითი სქესის ინდივიდს მისი ცოლის სფეროდან, რომელშიც ეს უკანასკნელი "ბუნებრივ" დაქვემდებარებაშია. ის შემდგომ საზოგადო კაცის გენერალიზებით ხდის

შესაძლებელს ადამიანის "ბუნების" ამგვარ დაყოფას ქალად და კაცად, პირადად და საზოგადოდ." (Philips, 1987, გვ. 121).

ფემინისტებმა სამაოდ წარმატებულად აჩვენეს სახელმწიფო პოლიტიკა დედობასთან, განათლებასთან, სოციალურ კეთილდღეობასთან და სხვა საკანონმდებლო საკითხებში როგორ არეგულირებს ოჯახს და არღვევს მითს საშინაო და საზოგადო სფეროების დაყოფასთან დაკავშირებით.

ის ფაქტი, რომ ეს ორი სფერო ურთიერთდაკავშირებულია, არ გამორიცხავს მათი თუნდაც ანალიტიკურ დონეზე გამიჯვნის შესაძლებლობას და საჭიროებას. თუმცა ჩემი კითხვა წინამდებარე კვლევაში არა ამ დაყოფის ავ-კარგიანობის, არამედ სივრცესთან და ოჯახის იდეოლოგიასთან მიმართებაში დაყოფის მექანიზმების ახსნა და მათი შედეგების ანალიზია.

კიდევ ერთი გარემოება, რაც ართულებს საზოგადო-საშინაოს თეორეტიზებას ზოგიერთი შრომის სპეციფიკურობაა. მაგალითად, როცა ქალი სახლის გარეთ სამუშაოს პოულობს ასრულებს ამ სამუშაოს, და სამსახურის შემდეგ ვალდებულებებისგან თავისუფალია დამსაქმებლის მიმართ (Gortz, 2010), თუმცა რა ხდება მაშინ როცა სამუშაო სახლშია, ან როცა სამუშაოს შინაარსი არ აძლევს საშუალებას ასე მკვეთრად გამიჯნოს როდის მთავრდება ანაზღაურებადი სამსახური და იწყება არაანაზღაურებადი? რა ხდება, როდესაც შრომის ასპარეზი კერძო საოჯახო სივრცეა? გორცი მსახურის და სექს-მუშაკის სამუშაოს განიხილავს, როგორც მაგალითებს როცა დასაქმებულის მიზანი სხვისთვის სიამოვნების მინიჭებაა და შესაბამისად ძალიან ძნელია შრომის საოჯახო ან საჯარო სივრცისთვის მიკუთნება (2010).

წინამდებარე კვლევაში ქალების შრომა მომსახურების სფეროში და მით უმეტეს საოჯახო ტიპის სასტუმროში სწორედ კერძო-საზოგადოს დიქოტომიური დაყოფის სირთულის გამო არის საინტერესო. ტურიზმის და შესაბამისად მომსახურების ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად ჩნდება და ფართოვდება სხვადასხვა ბიზნეს-დაწესებულებები (სასტუმროები, რესტორნები, სააგენტოები და ა.შ.), რაც ახალი ანაზღაურებადი სამსახურების და შესაბამისად, მოსახლეობის, მათ შორის ქალების, სახლს გარეთ დასაქმების საშუალება ხდება. მაგალითად, ყაზბეგში ფუნქციონირებს ძალიან დიდი სასტუმრო „რუმსი", რომლის ანალოგიც მესტიაში არ არის, თუმცა არის სხვადასხვა პატარა სასტუმროები. ამგვარი სამუშაო ადგილების გაჩენა სახლს გარეთ, უფრო აძლიერებს საოჯახო - საზოგადო დაყოფას, მეორე მხრივ, კი საკუთარ საოჯახო სასტუმროში დასაქმება პრობლემურს ხდის ანაზღაურებადი სამუშაოს განსაზღვრას საჯარო სფეროსთან მიმართებაში.

დრო, შრომა და რეკრეაცია

ერთ-ერთ კვლევაში ქარხანაში მომუშავე მშობლებზე დაკვირვებისას არლი ჰოხშილდი წერს (1997): ისინი დროს ისე უყურებენ როგორც პერსონალ კაპიტალს, რომელსაც საფრთხე ემუქრება, როგორც ინვესტიციას, რომელიც მათი სურვილის მიუხედავად უნდა გაწიონ და განკარგონ, და რომლის ფასი მათგან დამოუკიდებლად ეცემა ან იწევს .. ახალი ამ მიდგომაში ისაა, რომ სახლში გატარებულ დროსაც ისე უყურებენ როგორც ფინანსური მენეჯერები. … თავიანთ ოჯახებთან გატარებულ დროს უყურებენ როგორც საქონელს, რომელიც შეიძლება დააბანდო ან აიღო და სურთ რომ მეტი ასეთი დრო იყიდონ ან გამოიმუშავონ უფრო დასვენებული ცხოვრებისთვის (Hoschield, 1997, გვ. 51, 52). დრო გაიგივებულია მოხმარებასთან. ის უნდა შეიძინო ან/და მოიპოვო, რათა დასვენების შესაძლებლობა გქონდეს.

დრო იყოფა სივრცესთან მიმართებაში, თუმცა მკვეთრად გენდერიზებული: თუ სახლი სახლს გარეთ დასაქმებული კაცისთვის დასვენების ადგილი შეიძლება იყოს, სახლს გარეთ დასაქმებული ქალისთვის სამუშაო დღე სამსახურის შემდეგაც გრძელდება. ქალის მიერ სახლში შესრულებულ სამუშაოს არლი ჰოხშილდი “მეორე განაკვეთს” უწოდებს (1997). სახლის აუნაზღაურებადი სამუშაო ქალისთვის სახლსაც სამუშაო სივრცედ აქცევს. თავისი დაკვირვების დროს ჰოხშილდი (1977) წერს, როგორ შეიძლება გახდეს სამუშაო სოციალიზაციის სივრცე, სადაც ქალი უფრო მეტად გრძნობს თავს „შინ“ და სახლი სამუშაო.

ამასთან, გარდა რუტინული ყოველდღიური სახლის საქმისა, უდიდესი შრომა, რომელსაც ქალები ასრულებენ ზრუნვასთან დაკავშირებული ემოციური შრომაა რომელსაც ჰოხშილდი (1977) მესამე განაკვეთს უწოდებს. ვინაიდან ადამიანები უფრო და უფრო მეტ დროს ატარებენ სამსახურში, საშინაო საქმე უფრო სწრაფად და დაგეგმილად უნდა შესრულდეს, ქალებს მეორე განაკვეთის შეზღუდვით გამოწვეულ ემოციურ ნარჩენებთან უწევთ გამკლავება, მაგალითად, შვილების მოსმენა, მეცადინეობაში დახმარება და აშ. ვინაიდან ზრუნვაზე მთავარ პასუხისმგებლად ქალები ითვლებიან, სახლს გარეთ დასაქმებული ქალები დანაშაულის განცდაზე საუბრობენ, რადგან შვილებს მთელ თავის დროს არ უთმობენ. მეორე და მესამე განაკვეთი კაცებისთვის ნაკლებად პრობლემატურია, ვინაიდან მათგან ამის მოლოდინი არ არის.

საბოლოოდ, ქალები დროის სიღარიბეს განიცდიან კაცებთან შედარებით. დასვენების შესაძლებლობები შეზღუდულია, რადგან ქალების მიმართ განსხვავებული მოლოდინი არსებობს. თუ კაცი შეიძლება შაბათ-კვირას მეგობრებთან გასართობად წავიდეს, ქალის მხრიდან, როცა სახლის სამუშაოა შესასრულებელი ან ბავშვები მოსავლელი, ამგვარი ქცევა როგორც საზოგადოების მხრიდან პირდაპირი წნეხის, ისე სინდისის ქენჯნის გამო მიუღებელი ხდება.

ამრიგად, დროის დაყოფა სამუშაოდ და დასვენებად დაკავშირებულია გენდრულ როლებთან. ვინაიდან ქალებს, როგორც სახლს გარეთ ისე სახლში შრომის დიდი ნაწილის შესრულება უწევთ, ისინი ერთგვარ „დროის შიმშილს“ განიცდიან.

აგენტობა და წინააღმდეგობა

ჩემთვის საინტერესო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი როცა დროის და სივრცის გადანაწილებას ვადარებ, აგენტობაა. ეკონომიკური გაძლიერების პროექტების შეფასებისას ტაილორი და პერეზნიეტო (2014) მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებენ არა მხოლოდ ქალების ეკონომიკურ და ქონებრივ მდგომარეობას, არამედ მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებებს და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს. აგენტობა გარდა გადაწყვეტილებების მიღებისა, გულისხმობს ქალების მიერ საკუთარი ცხოვრების სხვა ასპექტების კონტროლის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობასაც. თუმცა აგენტობა მხოლოდ არსებულ გენდერულ და ეკონომიკურ წესრიგთან დაპირისპირებით არ შემოიფარგლება. ის თუ ვინ შეიძლება მოვიაზროთ ქმედითუნარიან სუბიექტად, პრობლემურია ფემინისტური ნააზრევისთვის.

აგენტობის გაგება დაკავშირებულია თავისუფლების და სუბიექტის ცნებებთან. საბა მაჰმუდი (2014) კრიტიკულად აანალიზებს ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლების გაგებებს. ნეგატიური თავისუფლება გულისხმობს ბარიერების არარსებობას საკუთარი ნების გასახორციელებლად, მაგ.ქალისთვის შრომის აკრძალვა ქმრის ან სახელმწიფოს მხრიდან იქნება ნეგატიური თავისუფლების ვერგანხორციელების მაგალითები. პოზიტიური თავისუფლება უფრო პრობლემური ცნებაა ვინაიდან გულისხმობს საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობას აკრძალვების არარსებობის პირობებში. ამგვარი მიდგომა პრობლემურია ჩემთვის ვინაიდან რთულია განსაზრვრო რა არის სუბიექტის "ნამდვილი სურვილი ან ინტერესი". ამასთან, ეს სურვილები ყოველთვის ემანსიპატორულ ხასიათს არ ატარებს, მაგალითად, ქალის ნამდვილი სურვილი შეიძლება იყოს იძულების ან საჭიროების არარსებობის პირობებში დარჩეს მჩაგვრელ ურთიერთობებში. ამგვარი მიდგომა ასევე სუბიექტს როგორც რაღაც ესენციის მქონედ მოიაზრებს. რაც საჭიროს ხდის სუბიექტის ჩემი გაგება დავასაბუთო.

სუბიექტზე საუბრისას ვეყრდნობი პოსტ-მოდერნისტულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც სუბიექტი არ არსებობს ძალაუფლებრივ მიმართებამდე, ძალაუფლების ველს მიღმა (Foucault, 1978). ამასთან სუბიექტის წარმოება ყოველთვის გენდერიზებულია. ადამიანი განსხეულდება კაცად ან ქალად, მამრობითად ან მდედრობითად, რაც არ არის ერთჯერადი აქტი, რომელიც დაბადებისას იარლიყის მიკერებით შემოიფარგლება, ის სუბიექტის მიერ გენდერის "თამაშს" მოითხოვს. ეს თამაში კი თავის მხრივ, ამოცნობადი უნდა იყოს საზოგადოების მიერ (Butler, 1988). ამგვარად განსაზღვრული სუბიექტის აგენტობას ბატლერი ნორმების სუბვერსიაში ხედავს. თუმცა პრობლემურია ასეთი ლოგიკით რიგი ქმედებების წაკითხვა. ვინაიდან ნორმების გაგება მხოლოდ მორჩილება/წინააღმდეგობის ტერმინებში უგულებელყოფს იმ ფაქტს რომ ნორმების მიხედვით თამაში, მათი დამკვირდება და განცდა მრავალგვარად არის შესახლებელი (Mahmood, 2012). ასევე ერთი ნორმისადმი წინააღმდეგობა, სხვა ნორმისადმი მორჩილებას არ გამორიცხავს. ვინაიდან პრობლემურია წინააღმდეგობის წაკითხვა

მხოლოდ გარკვეულ ნორმებთან მიმართებაში. ამიტომ აგენტობას და წინააღმდეგობას იგივურ ტერმინებად არ მოვიაზრებ. ამის შესახებ საბა მაჰმუდი (2012, გვ. 40) წერს:

> *აგენტობის ცნება უნდა გაემიჯნოს პროგრესული პოლიტიკის მიზნებს. აგენტობის გაგება როგორც მხოლოდ დომინანტური ძალებისადმი წინააღმდეგობა ზღუდავს ცნებას. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ აგენტობამ არ შეიძლება წინააღმდეგობის ფორმა მიიღოს.. ამის ნაცვლად ის [აგენტობა] ეთიკისა და პოლიტიკის ღერძებზე განვიხილოთ.*

აქედან გამომდინარე, ჩემი კვლევის სუბიექტების ქმედებების ანალიზი აგენტობის და წინააღმდეგობის უფრო მრავალმხრივ ანალიზს მოითხოვს. ამ პროცესში კი დიდ როლს თამაშობს ის ისტორია და კონტექსტი, რომელშიც ისინი მოქმედებენ. ქმედებების განხილვა რეზისტენტულად ან აგენტობის გამოვლინებად ძალიან ამარტივებს სურათს, ამიტომ ანალიზი ეყრდნობა იმის ახსნას თუ რას და როგორ ემორჩილებიან, იმეორებენ, უწევენ წინააღმდეგობას კვლევის სუბიექტები.

5. მონაცემთა ანალიზი

კონტექსტის მიმოხილვა: ტურიზმი და მომსახურების სფერო

ვინაიდან ჩემი კვლევის მთავარი სამიზნე მომსახურების, უფრო ვიწროდ კი ტურიზმის სფეროში დასაქმებული ქალები არიან, მოკლედ შევეხები ამ სფეროს სპეციფიკას და საქართველოში მისი განვითარების ისტორიას: საქართველოში 90-იანების პაუზის შემდგომ ტურიზმის ხელახალი განვითარება 2004 წლიდან იწყება. ზემო სვანეთსა და ყაზბეგში ტურიზმის ზრდა კი 2006 წლიდან ინფრასტრუქტურის განვითარებას უკავშირდება. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ტურიზმი წამყვანი სფეროა მთელი ხევის და ზემო-სვანეთის რეგიონებში.
USAID-ის 2016 წლის კვლევაში ვკითხულობთ:

> *მესტიის მუნიციპალიტეტში ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა სოფლის მეურნეობაა, სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა(მეკარტოფილეობა). (USAID, 2016)*

მიუხედავად ამისა, მძიმე კლიმატური პირობების და საკმარისი ცოდნისა და ტექნოლოგიების არარსებობის პირობებში მესაქონლეობა მცირდება, რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში - დაბა მესტიასა და მის შემოგარენში კი მას ნელ-ნელა ტურიზმი ანაცვლებს. ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა ყაზბეგშიც, სადაც მანამდე წამყვანი სასათბურე მეურნეობა და მესაქონლეობა იყო. 2009 წლის მაისიდან ყაზბეგის მოსახლეობას კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული გაზის საფასურის გადახდა უწევს, რის გამოც სათბურები გაუქმდა, მოსახლეობამ კი კვადრატულ მეტრზე 35 ლარის ოდენობის კომპენსაცია მიიღო[1]. მესაქონლეობამაც იკლო ტურიზმის განვითარებასთან ერთად.

[1] **მოხევეები ყაზბეგს ტოვებენ,** http://regions.ge/8&newsid=882&year=2009&position=news_main

თავის მხრივ, ტურიზმის განვითარება მოითხოვს შესაბამისი ცოდნის მიღების და ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობებს. სასტუმროების და კვების ობიექტების გახსნა შესაბამის თანხებთან არის დაკავშირებული. ბიზნესის წამოწყებისთვის კი საწყისი კაპიტალის არარსებობის პირობებში უმრავლეს შემთხვევაში კომერციული ბანკებიდან სესხებით და სახელმწიფო დახმარების პროგრამების მეშვეობით ხდება მესტიასა და ყაზბეგში სასტუმროების და რესტორნების გახსნა/გაფართოება და ახალი მანქანების შეძენა. მართალია, სახელმწიფოს აქვს პროგრამა „აწარმოე საქართველოში", რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა მცირე ბიზნესების, მათ შორის საოჯახო სასტუმროების, განვითარებას, მთლიანობაში მაინც არც ისე სახარბიელო სურათი წარმოგვიდგება, მაგალითად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ვკითხულობთ:

,,ფინანსური სექტორის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს. აღნიშნული ორგანიზაციები ქვეყანაში მრავლად არის წარმოდგენილი, თუმცა, მათი საქმიანობა, ძირითადად ორიენტირებულია სამომხმარებლო სესხების გაცემაზე და არა მცირე და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე". (საქართველოს მთავრობა, 2013).

ეს ნიშნავს, რომ ბიზნეს-სესხებს აღემატება სამომხმარებლო სესხები, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, რომელიც საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებაზეა როგორც წესი ორიენტირებული. რაც შეეხება ბიზნეს სესხებს, ისინიც არ გამოირჩევა დაბალი საპროცენტო განაკვეთით და დამწყები მეწარმეებისთვის მაგალითად, ხევში 30%-ს აღწევს.

ტურიზმს და ზოგადად მომსახურების სფეროს გენდერული განზომილებაც გააჩნია: 2014 წლის მონაცემებით სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებული ადამიანების 60% ქალი, ხოლო 40% მამაკაცია (საქსტატი, 2014). მომსახურების, კერძოდ კი სასტუმრო და კვებით დაწესებულებებში ქალების რაოდენობა შემთხვევითად არ აღემატება კაცებს. სასტუმროს და სარესტორნო საქმიანობა ძირითადად შედგება იმ აქტივობებისგან, რომელიც საშინაო საქმესთან ასოცირდება: საჭმლის მომზადება, სუფრის გაშლა, თეთრეულის გარეცხვა, დალაგება და ა.შ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ამ საქმისათვის ემოციური შრომაა, ვინაიდან კლიენტებთან კომუნიკაციას და სასიამოვნო გამოცდილების უზრუნველყოფას მოითხოვს, რითაც მზრუნველობით საქმეს წააგავს, ეს უკანასკნელი კი ასევე ქალებთან ასოცირდება. სწორედ ამ მიზეზების გამო ტურიზმის და მომსახურების სფეროში ძირითადად ქალები არიან ჩართული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სფერო ასევე პრეკარიატული შრომაა, პრეკარიატული შრომა გულისხმობს რომ ხშირად ამ სფეროში დასაქმებულებს არ აქვთ შრომითი კონტრაქტები, სამსახურის უსაფრთხოება, არ არიან სრულ განაკვეთზე, არ აქვთ

ცოდნის და უნარების განვითარების შესაძლებლობა და ადვილად ჩანაცვლებად მუშახელად აღიქმებიან, აქედან გამომდინარე, მომსახურების სფეროში დასაქმებას შესაბამისი შფოთვა და არასტაბილურობის განცდა სდევს, რომელსაც შემდგომ თავებში უშუალოდ კვლევის მონაწილეების ინტერვიუებში უფრო ნათლად დავინახავთ.

ამრიგად, ბოლო 10 წლის განმავლობაში ყაზბეგსა და მესტიაში ტურიზმი სწრაფად განვითარდა, მეურნეობის მანამდე გავრცელებული ფორმები კი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ პროცესმა ქალების ამ სფეროში მასიური დასაქმება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ დაბების ეკონომიკა ქალების შრომაზე დგას.

სამსახურების იერარქია

ანაზღაურებადი სამსახურები სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ფასდება ნაკლებ ან მეტად პრესტიჟულ ან/და სასურველად. წინა თავში ხსენებული სტაბილურობის და ხელფასისა და სამუშაოს უსაფრთხოების განცდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვენი რესპონდენტები ხშირად საუბრობენ სტაბილურობაზე. მაგალითად მუზეუმში დასაქმებული ქალები ამბობენ, რომ მათი ცხოვრება და კომუნიკაცია კლიენტებთან მოსაწყენი და ერთფეროვანია, თუმცა ვინაიდან სტაბილურობის განცდას სთავაზობს, მიჩვეულები არიან და ურჩევნიათ უფრო რისკის შემცველ სამსახურებს ისევ აქ დარჩნენ. უფრო რისკის შემცველად კი შედარებით მაღალანაზღაურებადი სამსახურები იგულისხმება, რომელიც სეზონურ მუშაობაზეა დამოკიდებული. ასევე რისკი მიემართება სამსახურის ძებნის პერიოდსაც. რაც არანაკლებ პრობლემურია დაბაში. ვინაიდან საკვლევ ადგილებში სამსახურების დიდი არჩევანი არ არის და დასაქმების სფეროები გენდერული ნიშნითაა შემოსაზღვრული, სახლს გარეთ ანაზღაურებადი სამუშაოს პოვნა ძნელია და დიდწილად დამოკიდებულია ადამიანის სოციალურ კაპიტალზე. დასაქმების თვალსაზრისით, ქალებისთვის ტურიზმი წამყვანი სფეროა, თუმცა ტურიზმის გარდა ან პარალელურად მასწავლებლობა, ფარმაცევტობა და მაღაზიაში მუშაობა დასახელებულია გავრცელებულ სამსახურებად ქალებისთვის.

რაც შეეხება სამსახურების იერარქიას, გამგეობაში მუშაობა ყველასთვის სასურველია, რადგან უფრო მაღალ ხელფასებთან, ნაკლებ სამუშაო საათებს და პატივსაცემ შრომასთან ასოცირდება. თითქმის ყველა რესპონდენტს უცდია გამგეობაში მუშაობის დაწყება, და მხოლოდ ერთს უმუშავია. ამ უკანასკნელმაც ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად პარტიასთან მიკუთვნებულობის გამო დაკარგა სამუშაო. ყველა რესპონდენტი ასახელებს ნაცნობობას, როგორც გადამწყვეტ ფაქტორს გამგეობაში მუშაობის დასაწყებად. *"გამოცხადდა ვაკანსიები გამგეობაში, მარა ყველაფერი როგორც ხდება წინასწარ ცნობილი იყო ვინ გავიდოდნენ, ამიტომ გამოვბრუნდი უკან."* - ყვება ერთ-ერთი მათგანი.

თავის მხრივ, გამგეობაში მუშაობის უპირატესობებს ქალები სხვადასხვანაირად ხედავენ. ტურიზმში დასაქმებულთათვის გამგეობა სამუშაო ადგილის უსაფრთხოების და უფრო მოკლე სამუშაო გრაფიკის გამოა სასურველი. ვისაც უმუშავია გამგეობაში, მისთვის ეს სამსახური პოლიტიკურ აქტიურობასთან ასოცირდება და "სულიერ დანაკლისად" მიიჩნევს, რომ რაშიც „სპეციალიზებული" იყო (იგულისხმება ადგილზე ქონდა დიდხნიანი პრაქტიკის შედეგად ნასწავლი) იმაში რეალიზების საშუალება აღარ აქვს." თუმცა უსაფრთხოების განცდა არც გამგეობაში მუშაობას ახლავს თან, ვინაიდან მთავრობის ან თუნდაც უფროსის ცვლილება ნეპოტიზმის გამო პირდაპირ კავშირშია კადრების ცვლილებასთან დაბალ საფეხურებზეც კი.

მიუხედავად იმისა, რომ გამგეობაში დაბალ საფეხურზე ძირითადად ქალებს მოიაზრებენ დასაქმებულად, კერძო ბიზნეს სექტორში დასაქმებასთან შედარებით, მაინც კაცებისთვის სასურველ პროფესიად უფრო ითვლება. მაგალითად, საკუთარ დაუსაქმებელ ქმარზე საუბრისას ერთ-ერთი რესპონდენტი გვეუბნება "*სურვილი აქვს [მუშაობის დაწყების], მაგრამ კერძოში რა უნდა იყოს მამაკაცმა რომ იმუშაოს, და მთავრობაში არის რაღაცეები რომ დასაქმდეს."* მათთვის, ვინც მასწავლებლებად მუშაობენ ან თვითონ არ ფლობენ სასტუმროებს, გამგეობაში დასაქმება უფრო მეტი ანაზღაურების გამოც არის სასურველი, თუმცა მასწავლებლობაც პატივსაცემ პროფესიად მოაზრება და გონებრივ და ემოციურ სამუშაოსთან ასოცირდება. მაგალითად, ქალი, რომელსაც საკუთარი საოჯახო სასტუმროც აქვს და სკოლაში მასწავლებლადაც მუშაობს, შემდეგნაირად ადარებს ამ ორ სფეროს ერთმანეთს: "იქ [სკოლაში] სულ სხვაა, აქ [სასტუმროში] ფიზიკური დატვირთვაა, იქ [სკოლაში] - გონებრივი, სკოლაში ემოციური დატვირთვაც მეტია" თუმცა ემოციურ დატვირთვაში დადებითი ემოციები მოიაზრება - სიყვარული, სოციალიზაცია თანამშრომლებთან, განსხვავებით სასტუმროსი, სადაც როგორც ეს კონკრეტული, ისე სხვა სასტუმროს მეპატრონე ქალები დროით და ემოციურ სტრესზე მიუთითებენ. ვინაიდან "საკუთარ შრომას არ ითვლიან" სასტუმროში მუშაობისას და ის ძირითადად სახლში სრულდება, მას არც მოიაზრებენ სრულფასოვან სამსახურად, სხვა სამუშაოებთან, მაგ სკოლაში მუშაობასთან შედარებით.

სხვის სასტუმროში მუშაობა ასევე ნაკლებ სასურველია ვიდრე საკუთარი გესტჰაუსის ქონა, თუმცა ნაკლებ ან მეტად პატივსაცემად არც ერთი ითვლება და უფრო მეტად ასაკთან არის დაკავშირებული. თუმცა პრესტიჟის მიხედვით, სახლს გარეთ დასაქმება არა მომსახურების სფეროში, როგორიცაა მასწავლებელი ან გამგეობა, უფრო დადებითად ფასდება, მაშინაც კი, როცა სახლში დასაქმებას, მაგალითად, საკუთარ სასტუმროში უფრო მომგებიანი იყო. ასაკობრივად: 30 წლამდე ასაკის ქორწინებაში არმყოფი ქალებისთვის სწორედ ასეთი სამსახურებია უფრო სასურველი. მაშინ როცა სახლში დასაქმება შვილებიანი ქალებისთვის საოჯახო საქმისთვის უფრო მეტი დროის დათმობის საშუალებასთან ასოცირდება. თუმცა მაგალითად, თუ გესტჰაუსის ამუშავება მოითხოვს ცენტრში (ყაზბეგში) დგომას და ტურისტების მიზიდვას, ეს ქალისთვის შეუფერებელ

აქტივობად მოაზრება. მეორე მხრივ, თუ იგივე ინტერნეტში სრულდება სასტუმროების დასაჯავშნი “ booking.com” საიტით, კონკურენცია მისაღები და გამართლებულია.

განსხვავებულია სოციუმის დამოკიდებულება ზოგადად ქალების დასაქმების მიმართ. დაუსაქმებელი ქალები კაცებისგან განსხვავებით და დასაქმებული ქალებისგან განსხვავებით ფასდებიან ნორმატიულად, თუმცა ასეთი ქალების რაოდენობა ძალიან მცირეა და რესპონდენტების მოძიება ძალიან გამიჭირდა. ის ერთადერთი რესპონდენტი, რომელიც არანაირი სახის ანაზღაურებად სამუშაოში არ არის ჩართული ყველაზე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია სხვა ქალებთან შედარებით. მისი ოჯახიც სიღატაკის ზღვარს ქვემოთაა. შესაბამისად, მისი თვითაღქმაც ნეგატიურია სახლში თუ სახლს გარეთ დასაქმებულ ქალებთან შედარებით.

ამრიგად, სამუშაობი კლასიფიცირდება გენდერულად თავისი შესაბამისი იერარქიებით, სადაც შრომითი უსაფრთხოება და სამუშაოს საოჯახო საქმესთან შეთავსების შესაძლებლობა ყველაზე სასურველია შვილებიანი ქალებისთვის, ხოლო ახალგაზრდა ქორწინებაში არ მყოფი ქალები უფრო მეტად სახლს გარეთ დასაქმებას ანიჭებენ უპირატესობას. ამგვარი მოწყობა თანხვედრაშია ქალების მიკუთვნებას საოჯახო სფეროსთან.

სივრცის ჰორიზონტალური და ვერტიკალური გეოგრაფია

ერთ-ერთი პირველი ინფორმაცია, რომელსაც რესპონდენტები საკუთარ თავზე საუბრისას ამბობენ მათი დაბადების ადგილია. სივრცის დაყოფა და ადამიანების მიკუთვნებულობა სხვადასხვა ტერიტორიებთან მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდება, თუმცა ერთ კანონზომიერებას ექვემდებარება: „სხვა“-ს წარმოებას და საკუთარი თავის განსაზღვრას ამ წარმოსახულ სხვასთან მიმართებაში. პროცესი სხვადასხვა გეოგრაფიულ ცენტრებსა და პერიფერიებთან ურთიერთქმედებაში ხორციელდება. ეს უკანასკნელნი იმ ათვლის წერტილთან, რომელთანაც ადამიანებს მიკუთვნებულობა აკავშირებს წარმოსახულ თუ რეალურ სოციო-ეკონომიკურ და კუტურულ ურთიერთქმედებაშია. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი-პერიფერიის წარმოება არ წარმოადგენს ჩემი კვლევის საგანს, მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო: 1. ვინაიდან ამგვარი დაყოფა მკვეთრი ეკონომიკური განზომილების მქონეა, ზოგადი მდგომარეობის და შრომისადმი მიდგომის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას და ავლენს იმ კულტურულ კრიტერიუმებს, რომლითაც შემდგომ ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტები იგება; 2. ცენტრი-პერიფერია დაყოფა საშუალებას გვაძლევს გლობალურ კონტექსტში დავაკავშიროთ კულტურული და ეკონომიკური საკითხების თანაკვეთა.

მონაცემების შეგროვება რეგიონულ ცენტრებში (მესტასა და ყაზბეგში) ხდებოდა, შერჩევის წერტილები გარკვეულ დასახელებულ ადგილებთან მიმართებაში ცენტრია, ხოლო ზოგიერთთან მიმართებაში - პერიფერია. ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი, რომელიც მონათხრობში იკვეთება თბილისია. შესაძლოა ვინაიდან მე, როგორც მკვლევარს და უშუალო მოსაუბრეს, თბილისს მიმაკუთვნებენ ამიტომ იყო ასე ხშირად სწორება თბილისზე. თუმცა ეს უკანასკნელი საქართველოს ერთადერთი სოციო-ეკონომიკური ცენტრია და რეგიონების, განსაკუთრებით კი მთის წარმოება, სწორედ ამ ცენტრთან მიმართებაში ხდება, ამიტომ თბილისს სუბიეტური თუ ობიექტური მოცემულობიდან გამომდინარე შეიძლება ვუწოდოთ **ცენტრი შიგნით.**

მეორე ცენტრი, რომელიც არაერთხელ წამოიჭრა საქმიანობიდან გამომდინარე სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტებია. ამ შემთხვევაში ტურისტი, როგორც სტუმარი, ერთი მხრივ, სტუმართმოყვარეობის ნარატივის მთავარი პერსონაჟია - ის უსაფრთხოა, რადგან როგორც სტუმარი მათ საკუთრებას და ცხოვრების წესს არ ემუქრება. უფრო მეტიც, ტურიზმი მათი შემოსავლის მთავარი წყარო და დასახლების დაცარიელებისგან გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი კითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია ტურისტებთან ურთიერთობა, ამბობს: „ვერ გაბედავენ. ჩვენთან ასეთი რამე რომ ვინმე ვინმეს ეუხეშოს ისიც ჩამოსულმა სტუმარმა რომ ეუხეშოს, არც შემგუები არ ვართ.“ ამ შემთხვევაში ვლინდება რომ ტურისტი მართალია განსხვავებულია, მასპინძლები მათში იმხელა საფრთხეს ვერ ხედავენ.

როცა კაცების მიერ სახლის სამუშაოს და ბავშვებზე ზრუნვის გადანაწილებაზე მიდგება საქმე, ხშირი პასუხია, რომ ქართველი კაცების კულტურული მახასიათებელია საშინაო საქმეზე უარის თქმა. „ხო ეგ ჩვენი ქართველების ამბავია .... ალბათ ქართველები შეჩვეული ვართ ყველაფერი ქალი, ქალია... მაგალითად, ჩემს საქმეს კაციც სამზარეულოში კარგად აკეთებს.“ ანალოგიურად, საოჯახო შრომაში კაცების ჩართულობასთან დაკავშირებით, ისინი ხშირად ამბობენ, რომ „აქ (ანუ მათ დასახლებაში) კაცები ბავშვს ხელში არ იყვანენ,“ ან „ქალაქში [იგულისხმება თბილისი] უფრო ეხმარებიან ქალებს ქმრები ზრუნვასა და საოჯახო საქმეში.“ საკუთარი დასახლების წარმოება და არსებული გენდერული და შრომითი მიმართებების ახსნა სწორედ ამ შედარებებით საშუალებით ხდება.

ანალოგიურად, ქალების სექსუალებასთან მიმართებაში მაგალითად „სახელგატეხილი“ ქალების გარიყვაც კულტურის ნაწილად მოიაზრება. ქართველები არ მოითმენენ ქალის „მიუღებელ საქციელს“, ამ უკანასკნელის მაგალითებია „ღამე კაცებთან სიარული“, „ქორწინებამდე სექსი“ და „კაცების კისერზე ჩამოკიდება (თუნდაც მეგობართან)“, რის გამოც როგორც ქალები ისე კაცები ასეთ ქალს რიყავენ. სექსუალობის ამგვარი

რეგულირება კი ნაციონალურ იდენტობასთანაა დაკავშირებული. ქართველი და მით უმეტეს სვანი ან მოხევე ქალის წარმოება სწორედ ამ წარმოსახულ ქალაქელ ან უცხოელ „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალებთან დაპირისპირებაში ხდება.

მეორე მხრივ, განსხვავებული მიმართებაა როცა ქალებსა და კაცების როლებზე საუბრსას რესპონდენტები იყენებენ „როგორც ყველგან“ ან „როგორც სხვაგან“ ახსნას. აქ ურთიერთობა ორ ტენდენციას ეყრდნობა: ერთი მხრივ, დაკვირვების ადგილები კვლავწარმოებულია, როგორც პერიფერია თბილისთან და სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. ამის პარალელურად, ცენტრთან და სხვა დანარჩენ საქართველოსთან კავშირზე ხაზგასმით, რომ აქაც ისე ხდება ყველაფერი „როგორც დანარჩენ საქართველოში“, რეგიონის მიკუთვნება ხდება უფრო დიდ ტერიტორიულ ერთობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ორივე რეგიონში „საქართველო“ ცალკე ხევს და სვანეთს გარეთ ტერიტორიის აღსანიშნად გამოიყენება, ეს კავშირი საშუალებას აძლევს უფრო დიდ უცხოსთან - დასავლეთთან მიმართებაში განსაზღვროს თავი. დასავლეთი ყოველთვის ნეგატიურ კონტექსტში არ განიხილება. მაგალითად, ერთ-ერთ დიალოგში როცა ქმარი ქალებს მიგრაციაში ადანაშაულებს და თვლის რომ აქ ეთაკილებათ ძიძებად მუშაობა. ცოლი უსწორებს: „იქ ხელფასებიც სხვაა.“ ანალოგიურ შრომით მიგრაციაზე საუბრობს ერთი რესპონდენტი ყაზბეგიდან რუსეთის მიმართულებით. ამრიგად, უკეთესი დასაქმების შესაძლებლობების თუმცა კულტურულად კონფლიქტში მყოფი დასავლეთი და რუსეთი გამიჯნული არაა და იწარმოება როგორც **გარე ცენტრები.**

მეორე მხრივ, ცენტრთან ერთად იწარმოება პერიფერიაც. მაგალითად, ბორჯომიდან გადმოსული ქალი ადარებს ბორჯომს და მესტიას: „სხვადასხვა ტრადიციებიც არის. მართალია ჩემი სამშობლო ბორჯომია, მაგრამ იქაურ ტრადიციებს ვერ ვეგუები, აქ უფრო თავისუფლად ვარ... იქ არ ვმუშაობდი, მამაჩემისთვის მიუღებელი იყო სადმე გვემუშავა. სოფელში ვარ გაზრდილი, და ცოტა მკაცრი პირობებია იქ.“ როგორც ამ მონათხრობში ჩანს მესტია ცენტრია, მეტი თავისუფლების და შესაძლებლობების ასპარეზია ქალისთვის ვიდრე სხვა სოფელი სამხრეთ საქართველოში.

ამის პარალელურად მესტია და ყაზბეგი ცენტრებად იწარმოება ირგვლივ არსებულ სოფლებთან მიმართებაშიც, რასაც ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური განზომილება აქვს. ის სოფლები, რომლებშიც ტურიზმი არ განვითარებულა და დასაქმების შესაძლებლობები არ გაჩენილა, აღიწერება როგორც „მძიმე პირობების“ მქონე ადგილები, სადაც სიღარიბე და ალკოჰოლიზმი დიდი პრობლემაა, შეხედულებები კი - განსხვავებული. მაგალითად, ერთ კითხვაზე თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ქალების დასაქმებასთან რეგიონში, სწორედ სოფლები მოიაზრება ადგილად, სადაც ქალებს შეიძლება უშლიდნენ მუშაობას. სოფლები ყაზბეს და მესტიას გარეთ შეიძლება მოვიაზროთ **შიდა პერიფერიად.**

სოფლებისგან და სტუმრებისგან განსხვავებით, არსებობს „სხვა“ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ არსებული საფრთხეები, რომლებიც სხვადასხვა ინტენსივობით და სიხშირით ჩნდება რესპონდენტების მონათხრობში. „სავსეა ყაზბეგი დასავლელებით, გზებზე, ჰესებზე სულ ეგენი მუშაობენ“, - ამბობს ერთი რესპონდენტი. მეგრელები მესტიაში და ყაზბეგში დასავლელები მოიაზრებიან შიდა „სხვად“, რომელიც მათ საკუთრებას და სამსახურებს ემუქრება. გარდა ქვეყნის შიგნით არსებული „სხვისა,“ არსებობს უფრო საშიში „სხვაც“, რომელიც უფრო ფუნდამენტურ იდენტობებს უქმნის საფრთხეს. იკვეთება განსხვავება უწყინარ „სტუმარს“ და საფრთხის შემცველ სუბიექტებს შორის, რომელსაც პირობითად „დამპყრობელს“ ვუწოდებ. მუსლიმები (არაბები) მოიაზრება „სხვად“ რომელიც მიწას ართმევს, და საკრალურ წესრიგსაც უქმის საფრთხეს. ის ეკონომიკური და კულტურული მტერია, მტრობას კი რესპონდენტების მიხედვით ისტორიული განზომილება აქვს. ამის მაგალითია ყაზბეგელი რესპონდენტების მიერ შფოთვა სნოში არაბების მიერ ნაყიდ მიწებზე: „სნოსა, უზმინდესის სოფელში არაბებმა იყიდეს“, რასაც მოსდევს შფოთვა იმის შესახებ რა მიზნები შეიძლება ამოძრავებდეთ ინვესტორებს, რომლებიც სასტუმროებს აშენებენ ყაზბეგის შემოგარენ სოფლებში. რუს და დასავლელ როგორც ტურისტებთან, ისე ინვესტორებთან მიმართებაში ეს პრობლემა არ სახელდება.

მუსლიმების გამორიცხვა სტუმრების რიგებიდანაც ხდება. მაგალითად ერთ-ერთი გესტჰაუსის მეპატრონის ქმარი მუსულმანების შემოშვებას უკრძალავს ცოლს:

- მუსულმანებს არ მივიღებ, შეიძლება ისე ურთიერთობა მქონდეს, მარა სახლში არ შემოვუშვებ.
- არ შემომაშვებინა [ქმარმა], ჩვენი წინაპრები იმას შეეწირნენ ეგენი არ შემოვუშვათ და ეგენი შინ შემოვიყვანოო?

უცხოების აღრევა და დაყოფა ერთგვაროვანი და უკონფლიქტო არ არის. მაგალითად დისკუსიაში მიწების უცხოებისგან ყიდვის შესახებ ერთი ქალი წუხდა, რომ მეგრელები ყიდულობენ ყაზბეგის მიწებს. მეორემ სიცილით შეუსწორა „მეგრელები ქართველები არიან, არაბებმა იყიდეს.“ ამ შემთხვევაში დასავლელი და მეგრელი ეკონომიკური საფრთხეა, ვინაიდან „სამსახურებს ართმევს“ ადგილობევებს, თუმცა მუსლიმთან შედარებით ნაკლები საფრთხეა, ამიტომ გამორიცხვა კუთხური მიკუთვნებულობის მიხედვით მიწების ყიდვისას ისეთი მტკივნეული არ არის.

ამრიგად, განსხვავება და მსგავსება იწარმოება სტრატეგიულად მიკუთვნებულობის ხაზგასმისთვის. გადამწვეტი ამ შემთხვევაში წარმოსახული ეკონომიკური და კულტურული საფრთხეებია, რომლის მიხედვითაც შეიძლება რამდენიმე კატეგორია გამოვყოთ: სტუმარი - რომელიც დროებით არის მოაზრებულ საკუთარ ტერიტორიაზე, სტუმარი, რომელიც კულტურულ საფრთხეს წარმოადგენს ნაციონალისტური ნარატივიდან გამომდინარე (მუსულმანი), „დამპრყრობელი“ შიგნით, რომელიც საფრთხეს უქმნის

ეკონომიკურ უსაფრთხოებას, „დამპყრობელი“ გარეთ, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც ეკონომიკურ ისე კულტურულ (ამ შემთხვევაში რელიგიურ) უსაფრთხოებას. საკუთრება და მიწა ამ შემთხვევაში როგორც ეკონომიკური ისე საკრალიზებული ნაციონალისტური იდენტობის წარმოების ასპარეზია. ამ უკანასკნელი საფრთხის განცდა ძლიერია ყაზბეგის რეგიონში, თუმცა რეალურად რამდენად ხდება მიწების შესყიდვა ამ რეგიონში დადასტურებული ინფორმაცია არ არის. და არც მესტიასთან შედარებით რაიმე განსხვავება არსებობს უცხოური ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით. მიუხედავად, ფაქტობრივად არსებული ინფორმაციისა, მიწის უცხოელებზე მიყიდვის საკითხი კვლევის პერიოდში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის აქტიური საგანი იყო, რაც სატელევიზიო გადაცემებიდან ხშირად გვესმოდა. ეს თემა ასევე ყაზბეგში მეორე ვიზიტის დროს ემთხვეოდა და შესაბამისად ზუსტად ამ პერიოდში ჩნდება რესპონდენტთა ნარატივში. შესაძლოა სწორედ თემის აქტუალობამ მედიაში შეუწყო ხელი ყურადღების მიმართვას ამ საკითხისადმი.

სექსუალობა და გენდერული გამოხატვა

ცენტრი-პერიფერიად დაყოფა მნიშვნელოვანი კომპონენტია ქალის და კაცის კონსტრუირებისას. თვითაღქმა და სხვების მიერ საკუთარი თავის აღქმა მიბმულია წარმოსახულ „სხვაზე“ შიგნით და გარეთ. სექსუალობა და გენდერული გამოხატვა ქალების შრომისადმი დამოკიდებულების ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლია, რომელიც გენდერული როლების წარმოება/კვლავწარმოების პროცესში არაერთგვაროვანი და ისეთივე სელექციურია როგორც ცენტრი-პერიფერიის დაყოფა.

პირველ რიგში, შევეხები იმ კონტექსტს, რომელშიც სექსუალობის და გენდერის წარმოება მიმდინარეობს. მესტიაში კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ქალების და კაცების გენდერული გამოხატვა საჭიროებებს არის მორგებული. ვინაიდან დაბა არც იმდენად ურბანიზებული და ინფრასტრუქტურულად გამართულია, გადაადგილება მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელებით წარმოუდგენელია. იგივე შეიძლება ითქვას ყაზბეგზეც, თუმცა მესტიაში უფრო მეტი ახალგაზრდაა, რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ გამოხტვის ასაკობრივი ტენდენციები და დავაკავშიროთ ისინი ეკონომიკურ რეალობას და კულტურულ იმპერატივებს. შეიძლება ითქვას, რომ მესტიაში ახალგაზრდა ქალები და გოგოებისთვის მეტი თავშეყრის ადგილი ე.წ. „ბირჟა“ არსებობს. მაშინ როცა ყაზბეგში გარეთ სოციალიზაცია მხოლოდ კაცების პრეროგატივაა. ქალები უპირატესად სახლებში სოციალიზდებიან. თვითგამოხატვა და ჩაცმულობაც უფრო სპორტული და გენდერულად ნეიტრალურია.

მიუხედავად იმისა, რომ თავის მოვლა და საკუთარ თავზე ზრუნვა ძირითადად განიხილება მაკიაჟის გაკეთებად, ტანსაცმლის შერჩევად და ა.შ. არ არსებობს მოლოდინი, რომ მაგალითად, ქალებმა მაკიაჟი გაიკეთონ ან მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელები ჩაიცვან. უფრო მეტიც, ერთი მესტიელი ახალგაზრდა მამაკაცი რესპონდენტი ამბობს, რომ ის, ქალები ვინც „სახეზე რაღაცეებს ისვამენ ცანცარები“ არიან, „ცანცარად“ კი თავის მხრივ, იმ ქალებს თვლის, ვინც სექსუალობის ნორმებს არ ემორჩილებიან - მაკიაჟის მქონე ქალებს უფრო სექსუალურად „ხელმისაწვდომ“ ქალებად მოიაზრებს.

ფულის დახარჯვა საკუთარ ტანსაცმელზე წახალისებული საქციელი არ არის. უკლებლივ ყველა რესპონდენტი ხაზს უსვამს იმას, რომ ძვირფასი ტანსაცმელი, ზოგჯერ კი - ბაზისური მოხმარების ნივთებიც კი არ აქვს და არც სურვილს გამოხატავენ ამის. ერთგვარი დაბნეულობა არსებობს ფემინურ გამოხატვასთან დაკავშირებით და ეს კონფლიქტი სხვადასხვა ნარატივებში იჩენს თავს. მედიიდან მოწოდებული მოდერნული ქალის სახე, რომელიც სექსუალური და მიმზიდველია, შეუსაბამოა „დედის“ ხატთთან, რომელიც ყველანაირი სექსუალობისგან დაცლილია და რომელსაც ცალსახა უპირატესობა ენიჭება. მაგალითად, ერთ-ერთი ხანში შესული რესპოდენტი ყაზბეგიდან საყვედურით საუბრობს ქალებზე, რომლებსაც სათანადოდ მოკრძალებულად არ აცვიათ. მისი შუა ხნის შვილი ამ მხრივ, უხერხულად გრძნობს თავს და პასიურად უპირისპირდება მის შეხედულებებს.

იგივე ტენდენციაა სექსუალობასთან დაკავშირებით. 83 წლის რესპონდენტი მეორედ გათხოვილ ქალზე საყვედურით ამბობს: „ჩემი შვილებისთვის მიწას შევჭამდი, სხვა კაცს როგორ ჩავუწვებოდი“. თუმცა ამის პარალელურად აღაფრთოვანებს ამ ქალის შრომისუნარიანობა. მისი საყვედური უფრო შვილების მიმართ საოჯახო საქმის „არასათანადოდ“ შესრულებას და ქალის სექსუალობის დედობისგან გატანას მიემართება.

ინდეფერენტულობა ტანსაცმლის და სილამაზის მედია სტანდარტების მიმართ, ასექსუალური დედის იდეალით იხსნება. რესპონდენტების უმრავლესობა საკუთარი მატერიალისტური სურვილების არქონას სწორედ შვილებზე ზრუნვის საჭიროებით ხსნის, მაშინაც კი როცა ამის ფინანსური შესაძლებლობა აქვთ. შესაბამისად ქალის სექსუალობის და სასურველი გენდერული გამოხატვის კონსტრუირება ხდება ძლიერი სხეულის ირგვლივ: მას უნდა შეეძლოს ბევრი შვილის გაჩენა და მძიმე პირობებში მუშაობა. „ჩემი გოგო სუსტია აქ ვერ გაძლებს [გულისხმობს მათ სასტუმროში მუშაობას]“, მის წინა რძალს, რომელიც სასტუმროს ამუშავებდა და ახლა რომელიც ამუშავებს „ყოჩაღებად“ მოიხსენიებს. რძლის შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმად ფიზიკური ამტანობა მიიჩნევა, ვინაიდან დაქორწინება ავტომატურად მოიაზრებს ფიზიკურ შრომას.

სექსუალობის კონტროლი ქალების განსაზღვრის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: „სახელი რომ გაუტყდება იმას ეგრევე გარიყავენ და არც ნდობა და არც დამოკიდებულება გაქვს. იმასთან ერთად არ გავიდეთ და გვაქვს გაყოფილი, ქართველებში ეგრეა.“ მიუხედავად იმისა, რომ „მსუბუქ ყოფაქცევაში“ შემჩნეულ ქალს ავტომატურად რიყავენ, „სახელის გატეხვის“ თავიდან ასარიდებლად ექსპლიციტური შეზღუდვების საჭიროებას ნაკლებად ხედავენ. სექსუალობის კონტროლი იმდენად თავისთავად და გაზიარებულ მოვლენად მოიაზრება, რომ რესპონდენტები ძირითადად არ ხედავენ ნეგატიური აკრძალვების საჭიროებას. მაგალითად, ქალები ამბობენ რომ თავის შვილებს არაფერში ზღუდავენ, ვინაიდან „ნდობა“ აქვთ. ნდობა, რომელიც, ერთი მხრივ, გულისხმობს მათი გოგოების მხრიდან იმის ცოდნას რისი გაკეთება შეიძლება ან/და არ შეიძლება, მეორე მხრივ, პატარა დასახლების სპეციფიკას, სადაც ყველამ ყველაფერი იცის და „ჩუმად ვერავინ ვერაფერს იზამს“ შესაბამისად, დედებს კონტროლისთვის სხვებიც ეხმარებიან. ამისგან განსხვავებით, ძალიან ძნელია ქალებითვის იმის განსაზღვრა კაცი როგორი უნდა იყოს. ერთი რესპონდენტი გვეუბნება, რომ თავისზე უფრო ძლიერი და მასკულინური კაცი უნდოდა ქმრად, თუმცა ძირითადი ტენდენცია კაცების სექსუალობასთან მიმართებაში, ერთი რესპონდენტის ფრაზაში შეიძლება შევაჯამოთ: „კაცებს რა უნდა მოთხოვო, ყველა ერთნაირია.“

ქალების და კაცების სექსუალობა და გენდერული გამოხატვა როგორც უკვე აღვნიშნეთ გარკვეულ ცენტრებთან მიმართებაში იგება, გენდერული გამოხატვაც შესაბამისად ეკონომიკურ, კლიმატურ და კულტურულ განზომილებას ატარებს. თავისი არსით ის „ანტიპროგრესული“ ნარატივის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც სოციო-ეკონომიკურად დაწინაურებული ცენტრის „მავნე“ გავლენისგან თავის დაცვას ცდილობს. ის ორმაგ სტანდარტს ემორჩილება ქალებისა და კაცებისთვის განსხვავებული სექსუალური როლების მინიჭებით. სხეულის გენდერიზება კი შრომასთან მჭიდრო კავშირშია, ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე ქალის სხეულიც ძლიერ და უფრო გენდერულად ნეიტრალურად იგება, ვიდრე ეს ურბანულ პირობებში ხდება. ქალის სხეულის გენდერიზებაში კი რეპროდუქცია თამაშობს უდიდეს მნიშვნელობას. როგორც სექსუალობას, ისე რეპროდუქციას კი თავისი ეკონომიკური განზომილება აქვს.

რეპროდუქცია და ქორწინება

ქალებისთვის შვილის გაჩენა ცხადდება უპირველეს მოვალეობად, თუმცა ის არა უბრალოდ ბუნებისგან დაწესებული სოციალური წესრიგის ასახვას წარმოადგენს, საქმედაა აღქმულია, ის ასევე ბავშვის გაჩენის ან ორსულობის დროს არ იწყება, ჩასახვა და რეპროდუქციაზე ფიქრი, მისი დაგეგმვა და მასთან დაკავშირებული სტრესიც ერთგვარი სამუშაოა, რომელიც ქალმა უნდა გასწიოს და სხვა საქმეებზე წინ დააყენოს, მაშინაც, თუ მაგალითად, უნივერსიტეტში სიარულისთვის არის ხელისშემშლელი. ერთი ქალი, რომელიც 17 წლის ასაკში გათხოვდა და პირველი შვილი დაკარგა, გვიყვება:

„მერე აღარ ვრჩებოდი 2 წელი. მეორე წლიდან იმას ვფიქრობდი ფეხმძიმედ დავრჩე, დავრჩე, დავრჩე“. შვილის გაჩენის მცდელობა და ამით გამოწვეული სტრესი იმხელა წნეხი იყო, განსაკუთრებით პირველი შვილის დაკარგვის შემდეგ, რომ ყველა საჭიროებასა და ინტერესზე წინ იდგა.

მიუხედავად ამისა დაქორწინების და შვილების გაჩენის მოთხოვნებზე პირდაპირ ხშირად არ მიუთითებენ. განსაკუთრებით მესტიაში, სადაც ქალებს ხშირად უმცროს და-ძმებზე უწევთ ზრუნვა, ყველა გამოკითხული ნეგატიურად აფასებს 23-25 წლამდე გათხოვებას. თუმცა წნეხები ძირითადად ხუმროების სახით ვლინდება. კარგად სწავლა, მუშაობა და შემოსავლის ქონა, უკვე არა მხოლოდ კაცებისთვის, არამედ ქალებისთვისაც სასურველი და საჭიროა ოჯახის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, თუ კაცებისთვის ამ სიკეთეების არქონა დაბრკოლება შეიძლება იყოს დაქორწინებისთვის, ქალების მიმართ ამის მოთხოვნა არ არის.

ერთი შეხედვით აბორტის წინააღმდეგ დისკურსი ძალიან ძლიერია მესტიაში, ერთი რესპონდენტი გვეუბნება: *„მე წინააღმდეგი ვარ აბორტებზე, რამდენსაც ღმერთი მოგცემს, რაც ძალიან მინდა, მარა მიჭირს. ახლა გოგონა მყავს.“* უმრავლესობას 3-ზე მეტი შვილი ან და-ძმა ყავს, თუმცა მრავალშვილიანობა აბორტის წინააღმდეგ დისკურსებს ხშირად არ ემთხვევა. ის ფაქტი, რომ ქალებს სოფლებში გინეკოლოგიურ მომსახურებაზე და კონტრაცეფტივებზე წვდომა არ აქვთ, მესტიაში კი მიუხედავად არსებული გინეკოლოგის კაბინეტისა, ყველა მაინც თბილისში ან ქუთაისში დადის, ვინაიდან თანამედროვე აპარატურა და კვალიფიციული პერსონალი არ არის, ძნელია გავარკვიოთ მრავალშვილიანობა აბორტის წინააღმდეგ დისკურსების შედეგია თუ რეპროდუქციის შესახებ ცოდნის და შესაბამისი სერვისების არარსებობის.

კითხვაზე თუ როგორ ხდებოდა რეპროდუქციული გადაწყვეტილებების მიღება, რესპონდენტები იყენებდნენ ნაცვალსახელს „ჩვენ“, რომელშიც ის თვითონ, მისი ქმარი და ქმრის ოჯახი მოიაზრებოდა. თუმცა ძალიან ძნელია განისაზღვროს რეალურად ვინ რამდენად იყო ჩართული ამ პროცესში. მაგალითად, ერთ-ერთი ყვება მეორე ქალიშვილზე ორსული ექიმს როგორ ეხუმრა: კიდევ ერთი გოგო რომ იყოს სახლში არ შემიშვებენო. მესამე შვილი კი, მიუხედავად იმისა, რომ მის სიცოცხლეს ძალიან დიდ საფრთხეს უქმნიდა, მხოლოდ იმიტომ გააჩინა, რომ ვაჟი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ საფრთხის შესახებ ექიმებისგან წინასწარ იყო გაფრთხილებული და კატეგორიულად ეკრძალებოდა, ვაჟი „ღმერთის საჩუქრად“ ჩათვალეს და ქალის სიცოცხლისთვის უდიდეს რისკზე წავიდნენ, ამ გადაწყვეტილების მიღება კი რესპონდენტის მიხედვით ერთობლივად მოხდა მისი, თავისი ქმრის და დედამთილის მიერ. წინააღმდეგობა და საპირისპირო რჩევა არავისგან მიუღია გარდა ექიმისა, რაც თავისთავად მაშინაც კი თუ ეს მისი პირადი გადაწყვეტილება იყო, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სიცოცხლეები როგორ ეწყობა იერარქიულად.

აბორტის საწინააღმდეგო დისკურსის პარალელურად, უფრო და უფრო მეტი ადამიანი წინასწარ გეგმავს შვილის გაჩენის დროს, რაც ერთი მხრივ, დაბაში არარსებული შესაბამისი მომსახურების არარსებობით და მეორე მხრივ, სამსახურის შეთავსების საჭიროებით იხსნება. მესტიაში ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული ახალგაზრდა ქალები დიდწილად უპირატესობას თბილისში ჩასვლას და სამედიცინო მომსახურების იქ მიღებას არჩევენ. თუმცა საკუთარი რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ ცოდნა და კონსულტაციები მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც კიბოს, კისტის და ა.შ. რისკის ქვეშაა ხელმისაწვდომი არ არის. ამის მიზეზები კი მრავალფეროვანია დაწყებული ფინანსური და დროითი რესურსების არქონით და დასრულებული არცოდნით. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელსაც კონსულტაციები რეგულარულად ჭირდება ამბობს, რომ საკუთარი საოჯახო სასტუმროს გამო დრო არ რჩება ექიმთან წავიდეს, და არა მხოლოდ საჭირო გინეკოლოგიური არამედ სტომატოლოგიური და სხვა სამედიცინო მომსახურება მიიღოს.

შეიძლება ითქვას, რომ რეპროდუქცია და ქორწინება, ქალებისთვის უმთავრეს, კაცებისთვის შედარებით მეორეხარისხოვან, თუმცა ასევე მნიშვნელოვან მოვალეობად ითვლება. რეპროდუქციისადმი დამოკიდებულებები კი მამაკაცი შვილის როგორც უპირობო მემკვიდრის კვლავწარმოებასთანაა პირდაპირ კავშირში. შესაბამისად, ამას მრავალმხრივი შედეგები აქვს ქალებისთვის: ერთი, ზღუდავს და მორგებას საჭიროებს სამუშაო ცხოვრებასთან, დასაქმების შესაძლებლობებსა და განათლებასთან; მეორე, მათი სხეულების რეპროდუქციისთვის დაქვემდებარებით, მოწყვლადს და დამოკიდებულს ხდის სხვადასხვა ინსტიტუტებსა და ინსტიტუციებზე, ბოლოს, გამორიცხავს საკუთრების უფლებისგან, რაც კაცებს ავტომატურად უპირატეს პოზიციაში აგდებს. ამაზე შემდგომ თავში ვისაუბრებ დაწვრილებით.

საკუთრება და გენდერიზებული ეკონომიკური ინტერესები

რესპონდენტებში ძალიან დიდია მამრობითი სქესის ბავშვების გაჩენის სურვილი. მამაკაცი შვილის გაჩენა მჭიდრო კავშირშია მემკვიდრეობითობის წესებთან. მაგალითად ერთ 4 შვილიანი დედა მესტიიდან შემდეგნაირად ხსნის ბიჭის ყოლის საჭიროებას: „პირველი გვინდოდა ბიჭი, მერე ალბათ არც გავაჩენდით, გაგვიჩნდა გოგოები, აქ ესე იციან ბიჭი არის საძირკველი - ყველაფერი არის ბიჭის აქა.“ მესაკუთრედ ბიჭი მოიაზრება ყაზბეგშიც, კითხვაზე თუ ვისია სახლი და ვის დარჩება ის მემკვიდრეობით, სახლის მეპატრონე, რომელიც ქვრივი ქალია, გვპასუხობს, რომ ნახევარი ერთი ბიჭი შვილიშვილისაა, მეორე ნახევარი მეორე ბიჭი შვილიშვილის. მისი ქალიშვილი და მისი გოგო შვილი არ იღებს წილს, ქალიშვილმა მიიღო მზითვი ფულის სახით, თუმცა კერძო საკუთრება არ აქვს და თვითონ უნდა იზრუნოს.

საკუთრება, განსაკუთრებით კი უძრავი ქონება, არა მხოლოდ მემკვიდრეობითობის წესების გამო იძენს მნიშვნელოვან გენერულ განზომილებას. საკუთრება არის როგორც სხვების ისე საკუთარ საოჯახო სასტუმროებში დასაქმებული ქალებისთვის ორმაგი დაქვემდებარების წყარო:

საკუთრების არქონის გამო ისინი დამოკიდებული არიან ანაზღაურებად ხელფასზე და არ აქვთ წარმოების საშუალებების კონტროლის შესაძლებლობა. ქალები, რომლებიც სხვის სასტუმროებში არიან დასაქმებული, თავიანთ უპირველეს ინტერესად საკუთარი საოჯახო სასტუმროს ბიზნესის წამოწყებას სახავენ. ამის მოტივაციას, მაგალითად ერთი რესპონდენტი მესტიიდან შემდეგნაირად ხსნის: *„ყველაზე კარგი იქნებოდა საკუთარი. და მარტო ხელფასისთვის ხომ არ მუშაობ, ეს არის საქმის აღორძინებაც. შენ იღებ სარგებელს და შენს შრომას და სიკეთეს ჩადებდი.“* ანალოგიურად ხსნიან უკვე სასტუმროს მქონე ქალები, იმას თუ რატომ არის საჭირო „სანდო“ ადამიანის აყვანა სამსახურში და „ფულის ოჯახში“ დატოვება.

საკუთრების არქონა ქალებს დამოკიდებულს ხდის მეუღლესა და მის ოჯახზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დამოკიდებულება ორმხრივია. მაგალითად, ყაზბეგში ჩემი მთავარი დაკვირვების სუბიექტი ქალი და მისი ოჯახი იყო, რომელსაც საკუთარი სასტუმრო აქვს. ვინაიდან საოჯახო სასტუმრო ამ ქალის ქმრის ოჯახის სახლშია, ის ქმრის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენს, თუმცა გახსნის დღიდან რძლების და მოხუცი დედამთილის შრომაზე დგას მთლიანად. ერთი რძალი, რომელმაც სასტუმრო თავისი ოჯახის კონტაქტების დახმარებით ჯერ კიდევ ტურიზმის განვითარებამდე გახსნა 2000-იანების დასაწყისში, ქმარმა (ანუ ამ ოჯახის წარმომადგენელმა) მიატოვა და სხვა ცოლი მოიყვანა. თუმცა დედამთილმა და მულმა მიტოვებული რძლის მხარე დაიკავეს და მოღალატე ქმარი და მისი ახალი პარტნიორი არ მიიღეს. საბოლოოდ, ეს ქალი დარჩა სასტუმროში, რომლის შემოსავლითაც მისი დედამთილი, და შვილები სარგებლობდნენ. შესაბამისად, ქალის სახლში დატოვებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოტივაცია ედო საფუძვლად. აქვე შემოდის ნორმატიული სექსუალობის საკითხიც: როცა ამ ქალმა ურთიერთობა სხვა კაცთან დაიწყო, მაშინვე დიდი განხილვის საგანი გახდა და სახლიდან წასვლა აიძულეს. სანამ ქალი ქმრის „ტერიტორიაზე“ შრომობდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ შრომის ნაყოფით როგორც მისი შვილები, ისე ქმრის ოჯახი სარგებლობდა, ის ამ ტერიტორიის წესებს უნდა დამორჩილებოდა. როგორც კი მისი სექსუალობა დედის ნორმატიულ სახეხატს დაუპირისპირდა, კუტურული ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეკონომიკურთან შედარებით.

მოყვანილი ისტორიის პროტაგონისტმა საბოლოოდ დაგროვილი ფულით ყაზბეგში რესტორანი იყიდა. მის მსგავსად მესტიაში ერთმა ქმარს-გაშორებულმა რესპონდენტმა თვითონ ააშენა ახალი სახლი-სასტუმრო. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შემთხვევები იშვიათია, ახლის აშენების სურვილი, ქმრის სახლის ტერიტორიის გარეთ სხვა

რესპონდენტმაც გამოთქვა ყაზბეგის ერთ ოჯახში. იგივე რესპონდენტი ამბობს, რომ მისი ქალიშვილისთვისაც უნდა იყიდოს ბინა, „რომ თუ ცუდი ქმარი შეხვდა, წასასვლელი ქონდეს.“ ცუდ ქმარს კი გენდერული ძალადობის კონტექსტში განიხილავს. როცა ქალებს წასასვლელი არ აქვთ იძულებული არიან აიტანონ ქმრები, ამიტომ სჭირდებათ ცალკე უძრავი ქონება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად ქალები ზოგიერთ შემთხვევაში მემკვიდრეობითობის და საკუთრების ფლობის მნიშვნელობას აცნობიერებენ. ამ უკანასკნელს კი სექსუალობას და გენდერულ დაქვემდებარებას აკავშირებენ.

მიუხედავად იმისა, ვაჟი მაინც პრიორიტეტია და ქალთან შედარებით ყველა რესპონდენტის ნარატივში, უპირატესობა ენიჭება ქონების განაწილების თვალსაზრისით, ძალაუფლებრივი მიმართებები არაერთგვაროვანია. სხვა ქალებთან კონკურენცია როგორც დასაქმების და ბიზნესის თვალსაზრისით, ისე ოჯახს შიგნით, აქტუალური თემაა. არა მხოლოდ კაცები გამორიცხავენ ქალებს მესაკუთრეობიდან და გადაწყვეტილებების მიღებიდან, ქალებიც იგივენაირად გამორიცხავენ ახალ თუ ძველ რძლებს, მულებს, დედამთილებს ეკონომიკური ურთიერთობებიდან. მაგრამ ერთი ფუნდამენტური განსხვავება ის არის რომ ყველაფერი საბოლოოდ ოჯახის „პატრიარქების“ ინტერესებს ემსახურება.

მემკვიდრეობის წესი, რომელიც კაცებს ანიჭებს უპირატესობას ქალებს იმთავითვე არასახარბიელო მდგომარეობაში აგდებს ეკონომიკურად სახლს გარეთ უფრო გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. მაშინაც კი როცა ქალი მუშაობს და მისი შრომა წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთ ან მთავარ წყაროს, რაც როგორც მესტიაში ისე ყაზბეგში მოსახლეობის ფაქტობრივ უმრავლესობაზე შეიძლება განვაზოგადოთ, საკუთრების არქონა მის შრომას საკუთრების მფლობელს უქვემდებარებს. ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ მისი მეუღლე, ძმა, დედამთილი, მამა ან უბრალოდ დამსაქმებელი. იმ ქალების შემთხვევაში ვინც დაქორწინებული არ არიან ან ქმარს გაშორდნენ, მათი მდგომარეობა ისევ საკუთრების ფლობაზეა დამოკიდებული. საკითხი შემდეგნაირად დგება: რამდენად მიიჩნევა ქორწინებაში შეძენილი დაგროვებული ქონება ქალის საკუთრებად? აქაც ძნელია ერთგვროვანი პასუხის გაცემა, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა.

პირველ რიგში, ქონება და მატერიალური რესურსი, რასაც ადამიანები მესტიასა და ყაზბეგში ფლობენ ყოველთვის პირდაპირი მზა სახით არ არის მოცემული. ეს შეიძლება იყოს ძროხა, რომელიც მესტიაში გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას ყავს, საკარტოფილე მინდვრები, რაც ორივე რეგიონში ყველას აქვს ერთი ოჯახის გარდა, მანქანა, რომელიც აუცილებელია საოჯახო სასტუმროების მომარაგებისთვის, და ა.შ. სახლი და მიწა, რომლითაც ყველა სარგებლობს, საერთო საკუთრებად აღიქმება, ის „ჩვენი“-ს კატეგორიაში ვარდება და საკარტოფილე მიწის მოვლაც და სახლზე ზრუნვაც

საერთო საოჯახო პასუხისმგებლობად არის აღიარებული. თუმცა სახლში შესრულებული სამუშაოების უმრავლესობა ქალის საქმეა, რემონტი და გაფართოებაც კი ქალების ხელმძღვანელობით ხდება. მაგალითად გესტჰაუსის გაფართოებაზე ერთი ყაზბეგელი რესპონდენტი გვეუბნება, რომ ქალი თვითონ ხელმძღვანელობს ამ სამუშაოებს, ვინაიდან სასტუმროს ამუშავება „მისი ინიციატივა იყო“. ანალოგიური დამოკიდებულება გვხვდება საქონლის მოვლაზეც. მიუხედავად იმისა, რომ ძროხებისგან მიღებული სარგებელი რძე იქნება ეს, ხორცი თუ მათი გაყიდვით მიღებული ფული, ყველასია, საქონლის მოვლა ექსკლუზიურად ქალების პახუსიხმგებლობად მოიაზრება. მიუხედავად ამგვარი დაყოფისა, თუ ქალი ქმრის ოჯახში ცხოვრობს, ქონების არცერთი ჩამოთვლილი ფორმისადმი საკუთრების განცდა არ აქვთ და ხშირად პასუხობენ რომ ეს მათი ქმრის ოჯახისაა.

განსხვავებულია დამოკიდებულება თანაცხოვრებაში შეძენილი ქონების მიმართ. განსაკუთრებით, როცა ეს ქონება ძირითადად ან სრულიად ქალის შრომითაა შეძენილი. უფრო მეტი ჩაძიებისას და არაფორმალურ საუბრებში, ერთ-ერთი ყაზბეგელი ოჯახის ქალები საკუთარ „ბინებზე“ საუბრობენ თბილისში, რომლებიც თვითონ პირადად იყიდეს ან დაუტოვეს შვილიშვილებს და შვილებს. თუმცა ამასთან ერთად, იგივე რესპონდენტი საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთებზე, რომელიც სასტუმროსთვის სჭირდება ამბობს, რომ „ქმარს აყიდინა.“ იგივეს ამბობს მანქანაზეც, რაც თავიდან ცოტა გაუგებარი იყო ჩემთვის, ვინაიდან თვითონ არის ერთადერთი შემომტანი ოჯახში, მაგრამ შემდგომ ფულის განაწილებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე საუბრისას გასაგები გახდა.

ფულის და მისი გადანაწილების მიმართ დამოკიდებულება რამდენიმე ტენდენციას ემორჩილება, რომელიც ყველა გამოკითხული რესპონდენტების შემთხვევაში გამოვლინდა. აქ შეიძლება განვასხვავოთ გესტჰაუსის მქონე და ანაზღაურებად სამსახურებში დასაქმებული ქალები. ისინი ვინც გესტჰაუსში მუშაობს ამბობენ, რომ „საკუთარ ნამუშევარს არ ითვლიან.“ მათ არც ის იციან რამდენია რეალურად მათი მოგება და შემოსავალი დახარჯულ პროდუქტებთან და რესურსებთან მიმართებაში. შემოსავლის განკარგვაც როგორც წესი ქმრების მიერ ან მთელი ოჯახის მიერ ხდება „საჭიროებისამებრ.“ მაგალითად, ყაზბეგის ერთი ოჯახის შემთხვევაში, სადაც ქალი არის ერთადერთი შემომტანი, ამბობს, რომ ფულს მთლიანად მისი ქმარი განკარგავს.

> *ყველაფერი ირიცხება ანგარიშზე, ხელზე რაც არის, იმასაც ერთად ვიღებთ და ვაგროვებ. .... მე რომ სახლში მიწევს ჯდომა, ვერ ვეტყვი [ჩემს ქმარს] მე ვატარო ჯიპით და რო დაგჭირდება დამირეკე. წასული რომ არის და რაღაცა მინდა, მე აქ მქონდეს ფული. ახლა აქ არ მჭირდება. იმ დღეს დარჩა „კარტაჩკა“ და სულ ვალები აიღო. ჩემს ბარათზე ირიცხება. იმ წუთში თუ ფული არა მაქვს ნისიაზე ავიღებ აქ და მერე უფრო ჩემი ქმარი არიგებს.*

როგორც მონათხრობიდან ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი შემოსავალი ქალის ბარათზე ირიცხება ან ხელზე იღებს, ის „ნებაყოფლობით“ აძლევს მას ქმარს, რომელიც ძირითადად თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს მისი განკარგვის შესახებ. ის ასევე ამბობს, რომ „ქმრებს არ უყვართ როცა ნათესავებს ეხმარები“ და თავისი დისთვის და დისშვილისთვის გაკეთებული საჩუქრების შესახებ ზოგჯერ არ ეუბნება ქმარს. ხოლო თუ რამის ყიდვა სჭირდება სახლისთვის, საკუთარი თავის ან შვილისთვის, ქმარს სთხოვს ფულს. მსგავს ისტორიას ყვება მესტიაში გამოკითხული სასტუმროს მფლობელი ქალიც: „ყველაფერი ქმრის სახელზეა და მას ერიცხება. გადაწყვეტილებებს ერთად ვიღებთ, თუმცა გადამწყვეტი მაინც მისი სიტყვაა.“ მეორე სასტუმროს მეპატრონე ქალი ამბობს რომ თვითონ განკარგავს ძირითადად, თუმცა მის მულს, რომელიც ასევე იმავე სახლში ცხოვრობს და სასტუმროს მასთან ერთად უძღვება ფულზე პირდაპირი წვდომა არ აქვს და მისგან ან მისი ქმრისგან იღებს. შესაბამისად, რესურსებზე წვდომა მხოლოდ გენდერული ნიშნით ან წარმოების საშუალებებზე კონტროლის მიხედვით არ განისაზღვრება და სტატუსის, შიდა იერარქიების და ძალაუფლების ცენტრებთან სიახლოვის მიხედვითაც ნაწილდება, რაც ქალებს შორის შესაბამის კონკურენციებსაც წარმოშობს, მაგალითად, დედამთილი-რძლის ურთიერთობა განმეორებადი თემაა, მაშინაც კი როცა ერთად არ ცხოვრობენ. კონკურენცია ერთი კაცის ყურადღებისათვის ხდება, რომელიც სხვადასხვა ქალების შრომას ერთმანეთთან მიმართებაში აფასებს. ეს შეფასება ქმრის/შვილის მხრიდან ყოველთვის პირდაპირი არ არის და ამ ქალებს ხშირად წარმოსახული სოციუმის მიერ მოეწოდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო სასტუმროს მეპატრონეებს ექვს წლამდე გამოცდილებაც აქვთ ამ სფეროში მუშაობის და სხვადასხვა ტურისტული კომპანიებიდან ან საიტებიდან კონკრეტული ანაზღაურების ფასად ყიდიან თავის მომსახურებას, ხელზე ნაღდი ფულის აღებისას უხერხულობაზე საუბრობს ყველა გამოკითხული. „კომპანიებთან მუშაობა მიყვარს იმიტომ რომ ფული ხელზე არ უნდა ავიღო. ცოტა ძნელია ვერ შევეჩვიე..“ აქვე დასძენს, რომ იმ დამსვენებლებს, ვინც ხშირად ჩამოდიან უკვე ფულს არ ართმევს და „როგორც სტუმარს ისე იღებს“. იგივე ტენდენციაა სხვა სასტუმრო სახლებშიც. სტუმრის მიღება თავის მხრივ, „კარგი ქალის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია „მეგობარი თუ შემოიყვანა მეუღლემ ან მამამთილმა, მას ისე უნდა დახვდე, რომ იმან თავი უხერხულად არ იგრძნოს“ ასე განსაზღვრავს ერთი რესპონდენტი „კარგი ქალის“ გაგებას მესტიაში. ამგვარად, პირობებში, სადაც ერთი მხრივ სტუმართმოყვარეობის გაყიდვის და მეორე მხრივ, სტუმრების მიმართ ალტრუიზმის მოლოდინი არსებობს, სტუმარს და კლენტს შორის წყალგამყოფი ანგარებაა, რაც ხილვადი ხდება ნაღდი ფულით გაცვლის შემთხვევაში, მაშინ როცა უნაღდო ტრანზაქცია ამ კოგნიტურ დისონანსს არ ამწვავებს და სტუმართმოყვარე ქალად თვითაღქმის სამუშაოსთან შეთავსების საშუალებას ტოვებს.

განსხვავებული სიტუაციაა იმ ქალების შემთხვევაში ვინც ანაზღაურებად სამსახურშია დასაქმებული. მათი ხელფასი პირად საკუთრებად, შრომა კი სამსახურად ითვლება. შესაბამისად, არ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი ამ თანხას სხვა ოჯახის წევრს მისცემენ განსაკარგად. თუმცა მაშინაც, როცა ისინი ერთადერთი შემომტანები არ არიან, ხელფასი საოჯახო მეურნეობის ხარჯებს და შვილებს ხმარდება. ეს უკანასკნელი ტენდენცია არა მხოლოდ ანაზღაურებადი სამსახურის მქონეთ, არამედ საოჯახო სასტუმროების მეპატრონეების შემთხვევაშიც იკვეთება. უფრო მეტიც, მუშაობის მთავარ მოტივაციად სწორედ შვილების უზრუნველყოფა სახელდება. კითხვაზე, თუ რამდენად აქვს თანხების თავისი სურვილისამებრ დახარჯვის საშუალება, ერთი რესპონდენტი გვპასუხობს:

საშუალება მაქვს, მაგრამ მაინცდამაინც ქალები მაინც ესე ვართ ალბათ პირველ რიგში ოჯახს და მერე... თუკი რაიმე მჭირდება, ტანსაცმელია და ვყიდულობ, ჩემი მეუღლეც ასევეა.

მეორე რესპონდენტი ამბობს: *„რათქმაუნდა დამღლელია მუშაობა, სახლში ბავშვები, მაგრამ შვილებისთვის უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, მადლობა უფალს რომ არის სამსახურები და შეგვიძლია გავუკეთოთ.“*

ორივე რესპონდენტი სხვა გამოკითხული ქალების რეპრეზენტაციულია. შვილების და ოჯახის კეთილდღეობა ცხადდება უპირველეს საჭიროებად, რომელიც ავტომატურად ქალის კეთილდღეობას უნდა უტოლდებოდეს. ამას ძირითადად საკუთარი „ქალობით“ ხსნიან და საკუთარ მოტივაციას სხვა ქალებზეც გადანაზოგადებენ. მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ როცა შვილების და ოჯახის ინტერესების და საჭიროებების შესახებ საუბრობენ არ სახავენ ამას მათ საკუთარ სურვილად, არამედ, მსხვერპლად, რომელიც „უნდა“ გაიღონ, როგორც ქალებმა და დედებმა. საკუთარი თავის კონტრუირებაც სწორედ ამ თავგანწირვის ნარატივზე გადის. ამგვარად დაყენება საკითხის პრობლემურია და ერთგვარ შიდა კონფლიქტს ააშკარავებს ტექსტში: მათი ინტერესი და მოტივაცია მთლიანად გაიგივებულია შვილებთან და ოჯახთან, მეორე მხრივ, ამაზე არ საუბრობენ ისე როგორც მათ სურვილზე. უფრო მეტიც, როცა საკუთარ სურვილებზე და ეკონომიკურ საჭიროებებზე ვეკითხებოდი საკუთარი გაიგივებული იყო ოჯახთან და ბავშვებთან, მაგრამ ამავ დროს როგორც მათგან დამოუკიდებლად თავისთავად არსებული სურვილი. ეს ტენდენცია ვლინდება, როცა კითხვის დაუსმელად, საკუთარ ინტერესებზე საუბრისას, ქალები იწყებენ საუბარს რატომ არის ოჯახი და შვილი მათთვის საკუთარ თავზე მნიშვნელოვანი. ამ დროს ისინი საურობენ, რომ „ყველა“ ქალისთვის ასეა, რომ „ბუნებრივია“, რომ „გათხოვების შემდეგ, ასე ხდება“.

დასაქმებას გარდა ეკონომიკური საჭიროებისა სხვა უპირატესობებიც გააჩნია ქალებისთვის. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ ქალის მაგალითზე, ვინც აღარ მუშაობს. დასაქმების პერიოდთან შედარებისას ის ყვება:

უფრო მეტ პატივს გცემენ როცა მუშაობ, თამამად ხარ, დადიხან საზოგადოებაში. ეხლა გარეთ გასვლა აღარ მინდა, მგონია, რო აღარავის უყვარვარ... მეგობრებთანაც მქონდა ურთიერთობა, რაც სახლში დავჯექი აღარც მე გავდივარ და აღარც ისინი მოდიან. თავსაც მეტად უვლი, მაინც საზოგადოებაში რო გადიხარ, აი სახლში კიდე – აჰა.

მეორე რესპონდენტი ასევე ყაზბეგიდან ამბობს, რომ სანამ მუშაობას დაიწყებდა გარდა ეკონომიკური სიდუხჭირისა, ემოციურადაც ძალიან ცუდად იყო და თავს „ჩაკეტილად“ გრძნობდა. „სახლში რომ ჩაჯდე მაინც ცუდია, რამდენი საქმეც არ უნდა გქონდეს, თვითრეალიზებისთვის გარეთ გასვლა მაინც კარგია, რომ რაღაცას მიაღწიო ცხოვრებაში, თავი იგრძნო ადამიანად“ - ამბობს ის. „ჩაკეტილობის“ განცდაზე საუბრობს კიდევ ერთი რესპონდენტი მესტიიდან, რომელსაც მანამდე მამა უკრძალავდა მუშაობას. შესაბამისად, მუშაობა ამ ქალებისთვის არა მხოლოდ შვილების და ოჯახის, არამედ საკუთარი საჭიროებებითაც არის განპირობებული. სამსახურის კოლექტივიც სოციალიზაციის მნიშვნელოვანი წყაროა, სადაც მეგობრებს იძენენ და როგორც თვითონ მიუთითებენ „ბევრს სწავლობენ.“

მიუხედავად იმისა, რომ ყველა კვლევის მონაწილე ქალი, რომელსაც შვილი ყავს, ბავშვებს და ოჯახის საჭიროებებს ასახელებს მუშაობის მთავარ მიზნად და ყველა საუბრობს სინდისის ქენჯნაზე, რომელიც ოჯახისთვის და ბავშვებისთვის არასაკმარისი დროის დათმობით არის გამოწვეული, ამ ნარატივის პარალელურად გვხვდება ძლიერი მოტივაცია დასაქმების როგორც „ახლის სწავლის“ და „საზოგადოებაში ყოფნის“ მიზნით. ერთი რეპონდენტი ამბობს: „გამოსვლის მერე [იგულისხმება დასაქმება] ბავშვებს ვუყურებ სწავლა არ მოაკლო, წიგნი, ტანსაცმელი“, ამავ დროს „ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, მაგრამ ოჯახის და შვილების გამო ვისურვებდი სახლის საქმისთვის დრო მეტი მრჩებოდეს.“ თუმცა როცა სახლში ყოფნას და სამსახურის ქონას შორის გარდა მატერიალური საჭიროებისა, მოტივაციაზე მიდგება საქმე, ამბობს: „მირჩევნია საზოგადოებაში ვიტრიალო ვიყო, ვიდრე სახლში და ყოველ წამში წყალს ვსვამდე.“ ამ მონათხრობში ვხედავთ სამ ხაზს: პირობები, რომელიც ქალებს სამუშაოს საჭიროებაში აგდებს, ქალის, როგორც დედის როლის შესრულების მოტივაციას და ამავ დროულად დასაქმების გზით საზაგადოებივ ასპარესზე საკუთარი თავის მონიშვნის სურვილს.

აქვე უნდა დავძინო, რომ ოჯახი და შვილი ხან იგივური ცნებებია ხან არა, ვინაიდან ხშირად აცალკევებენ. შვილზე ზრუნვის გარდა, ოჯახში მოიაზრება ის საქმე, რომელიც ქმრისთვის, ქმრის ნათესავებისა და მათთვის თვითონ კეთდება. ისინი დისკუსიაში შედიოდნენ წარმოსახულ ხმასთან, რომელიც სავარაუდოდ საზოგადოები ხმად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს ხმა მათ კარნახობს რა „უნდა“ გააკეთონ და როგორ „უნდა გააკეთონ“ ისე რომ „უნდა“ „მინდად“ იქცეს. რა თქმა უნდა, არ ვაკეთებ დაშვებას, რომ არსებობს რაიმე

ნამდვილი სურვილი ან ინტერესი, რომელიც საზოგადოების მოთხოვნების პირობებში გადაფარულია. თუმცა მიუხედავად ამისა, იკითხება გარკვეული კონფლიქტი, რომელიც მიუთითებს, რომ ქალების მიერ დედის მზრუნველის და ოჯახის ინტერესის შემსრულებლის იდეას ქალები უპრობლემოდ არ ახორციელებენ. მაგალითად, კითხვაზე თუ როგორი იყო მათი ცხოვრება ქორწინებამდე და ქორწინების შემდგომ, ამ უკანასკნელის განხილვისას ისინი საუბრობენ სტრესზე, დროის ნაკლებობაზე და საკუთარი ინტერესის დაკარგვაზე შვილების და ოჯახის სასარგებლოდ. ერთი რესპონდენტი ამბობს ქორწინებამდე ცხოვრების ამჟამინდელთან შედარებისას: „როგორც ყველა 18 წლის გოგონა რომელიც ვარდისფერი სათვალეებით უყურებს ცხოვრებას, მეც ესე წარმომედგინა, მაგრამ როცა სინამდვილეს შეეჩეხები, ესე არ არის. მოდის ბევრი საზრუნავი, ბევრი ფიზიკური დატვირთვა და ყველაფერი რაც ოჯახს ჭირდება."

ამ ინტერვიუში კარგად ჩანს, რომ ქალის მოლოდინები ოჯახის შესახებ არ გამართლდა, დაშვება ალტერნატიული ცხოვრების გარდა ოჯახის და ბავშვებისა რესპონდენტებს ნაკლებად ესახებათ. მიუხედავად ამისა, მაგალითად, ერთადერთი რესპონდენტი ლ., დაქორწინებამდე ოჯახის ინსტიტუტის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებაზე გვესაუბრება: „ინგლისურის მასწავლებელი მყავდა, თარჯიმნად მუშაობდა და სულ მოგზაურობდა. ამბობდა ოჯახი რომ მყოფოდა ამდენს ვერ მივაწევდიო." ეს ქალი ლ-სთვის მისაბაძი პიროვნება იყო, თავისი თავიც მომავალში საქმიან ქალად წარმოედგინა, თუმცა მისგან განსხვავებით შვილები უნდოდა. „ვფიქრობდი შვილებს გავაჩენ, სახლი და მანქანა მექნება და მარტო ვიცხოვრებთ." თუმცა მხედრიონის პერიოდში, როცა მოტაცებისგან თავდაცვის ერთადერთ გზად გათხოვება ესახებოდა, კარგი „ოჯახის" ბიჭი შეარჩია, რომელიც მისი გემოვნების შესაბამისად მასკულინურიც იყო და შეძლებულიც. მხოლოდ ქმარი კი არა ქმრის ოჯახიც შეარჩია, რაც არანაკლები მნიშვნელობის მატარებელი იყო მისთვის, რადგან საკუთარ ფინანსურ და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა, კარგი ოჯახი კი ამის გარანტია იყო. მოყვანილი ორი რესპონდენტის მონათხრობი მაგალითია იმის, რომ ქალები დაქორწინების საჭიროებას უპირობოდ არ იღებენ და ქორწინებას ძალიან ბევრი სხვა გარემო ფაქტორი უდევს საფუძვლად, მათ შორის სხვა კაცების მხრიდან ძალადობისგან თავდაცვა.

როცა ოჯახის შექმნა-არშექმნაზე მიდგება საქმე, მიუხედავად ძალიან მკვეთრად გამოხატული გენდერული განზომილებისა, კაცებზე წნეხი ისევე ვრცელდება როგორც ქალებზე - უარის თქმა ორივესთვის ერთნაირად არანორმატიულია. ამის განზოგადება კი ჩემი დაკვირვებების საფუძველზე მთელ ყაზბეგის დაბაზე შემიძლია, ვინაიდან ფინანსურად და სოციალურად წარმატებული მამაკაცი, რომელსაც ცოლი არ ყავს, ყველას აქტიური განსჯის საგანი და ერთგვარი სიმბოლოა არანორმატიული ცხოვრების წესის კაცისთვის, რომელზეც ყაზბეგელი რესპონდენტები აქტიურად მიუთითებენ ინტერვიუებში. ერთი მათგანი ამბობს: „კაცს თუ ცოლი არ მოყავს ე.ი. ან „ცისფერია," ან

„უმოტი“ ან დედიკოს ბიჭი.“ სამივე ეპითეტი შეურაცხმყოფველად ითვლება კაცისთვის და შესაბამის შფოთვას ბადებს დაუქორწინებელ მამაკაცებში. მაშინაც კი, როცა წარმატების და „კარგი კაცობის“ სხვა დანარჩენ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. საინტერესოა, რომ დასახელებული ეს ეპითეტები ერთ წინადადებაში ქორწინებასთან მიმართებაში ერთად იყრის თავს: „დედიკოს ბიჭი“ და „ცისფერი“ კაცის მასკულინობას და სექსუალობას მიემართება, ხოლო სიძუნწე ეკონომიკურ მომჭირნეობას. კარგი კაცის აგება სწორედ ამ სამ ღერძზე ხდება: მასკულინობა, ჰეტერონორმატიულობა და ეკონომიკური უზრუნველყოფის საშუალება და სურვილი.

თუ იდეალური კაცის და ქალის წარმოება საკუთრებასთან და სამუშაოსთან მიმართებაში სელექციურია. ერთი მნიშვნელოვანი განზომილება, რომელიც ყველა ოჯახს გენდერულად ნეიტრალურად გასდევს საერთო ვალია. ბანკის სესხი აქვს ყველას, იმისგან დამოუკიდებლად ანაზღაურებად სამსახურში არიან დასაქმებული, თუ საკუთარ საოჯახო სასტუმროში. ვალი, რომელიც საერთო ხარჯად მოაზრება, ძირითადად ახალი ბიზნესის დაწყებას ან არსებულის გაფართოების მიზნით აქვთ აღებული. საოჯახო სასტუმროების უმრავლესობა ყაზბეგსა და მესტიაში სწორედ სესხებით და ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ საშუალებით იხსნება და ფართოვდება. ვინაიდან სესხს როგორც წესი მაღალი საპროცენტო განაკვეთით იღებენ (30% ხშირად) მისი გადახდა საკმაოდ დიდ ხანს გრძელდება და ბევრი მათგანი ვალის აღებისგან საერთოდ თავს იკავებს. ამასთან, ვალისგან თავისუფალი ის ნაწილია, ვისაც როგორც ერთი რესპონდენტი ამბობს „თავიდანვე მოსდგამს“ და საწყისი კაპიტალი გააჩნია. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკუთრების ქონა ყველა კაცის პრეროგატივაც არ არის. ოჯახის ქონება კაცებს შორისაც განსხვავებულ სასტარტო პირობებს ქმნის. პრობლემა ის არის, რომ თუ ქალები ვალებს იღებენ და იხდიან საოჯახო საერთო ბიზნესის თუ პირობების გასაუმჯობესებლად, ყველაფერი საბოლოოდ მაინც ქმრების და შემდგომ ვაჟების საკუთრებად რჩება და ჩაკეტილი წრე თაობიდან თაობებს გადაეცემა.

ამრიგად, მემკვიდრეობითობა და საკუთრების ფლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენდერულ დაქვემდებარებაში და ქალებს არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობაში აგდებს, რადგან ის თუ რა სამუშაო კეთდება და ვინ იღებს სარგებელს და გადაწყვეტილებებს შემოსავალთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ ვისი საკუთრების ფარგლებში კეთდება ესა თუ ის სამუშაო. როგორც სახლს გარეთ ანაზღაურებად შრომაში, ისე საკუთარ საოჯახო სასტუმროში თუ აუნაზღაურებად სამუშაოში ჩართულობა, ქალს სხვისი - დამსაქმებლის, ქმრის, ძმის, მამის, ქონებაზე დამოკიდებულს ხდის. ეს საკითხი პრობლემად განიხილება ზოგიერთი ქალისთვის. თუმცა ქალისთვის გათხოვების უმთავრეს ინტერესად დასახვა საბოლოოდ მის ინტერესებს მთლიანად ოჯახისა და შვილების ეკონომიკურ თუ ემოციურ საჭიროებებს უქვემდებარებს. ქალის განსხვავებული ინტერესი ამ შემთხვევაში მხოლოდ

ფრაგმენტულად სამუშაოში წარმატების და სახლს გარეთ დასაქმებასთან ასოცირებული პოზიტიური თვით და სოციალური აღქმის კონტექსტში ჟღერდება.

სივრცე გენდერულ პერსპექტივაში

უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ამ კვლევის ფარგლებში მაინტერესებდა სივრცის და შრომის მიმართებაა. შრომის გენდერიზებული დაყოფა მჭიდრო კავშირშია სივრცის საოჯახო და საზოგადოდ დანაწილებასთან. ამ თავში ჯერ დასაქმების სპეციფიკას, შემდგომ შრომის სივრცესთან მიმართებას განვიხილავ.

ტურიზმი ადამიანების სამუშაო ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფს იმთავითვე: ტურიზმის სეზონი (მაისი-ოქტომბერი) და არასეზონი (ნოემბერი-აპრილი). ტურიზმის სეზონი ასევე ემთხვევა სეზონის ცვლილება ორივე რეგიონში მკაცრ ზამთრთან შედარებით ძალიან ბევრ რამეს აიოლებს: მიმოსვლა რეგიონს შიგნით და გარეთ გამარტივებულია, პროდუქტები იაფდება, ზვავის საშიშროება აღარაა. ზამთრის პერიოდში მესტიაში მხოლოდ მოთხილამურეები ჩამოდიან. ვინაიდან ინფრასტრუქტურა ისე კარგად განვითარებული არ არის, ამ დროს მხოლოდ შედარებით დიდი და კეთილმოწყობილი სასტუმროები მუშაობს, ყაზბეგში კი ფაქტობრივად მხოლოდ ერთადერთ დიდ და ძვირადღირებულ სასტუმროს - რუმსს ყავს დამსვენებელი. ამიტომ კლიმატის და ტურიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე ადამიანების ცხოვრება თბილ და ცივ სეზონებზე განსხვავებულია.

მათ, ვინც ანაზღაურებად სამსახურებში არიან დასაქმებული სასტუმროებსა და რესტორნებში, შედარებით ნაკლები სამუშაო აქვთ ზამთარში, ხოლო მათ, ვინც საკუთარ ან სხვის საოჯახო სასტუმროებში მუშაობენ, სამუშაო ფაქტობრივად არ აქვთ. ამის შესაბამისად, შემოსავლის განაწილებაც განსხვავებულია: მიუხედავად უფრო მაღალი შემოსავლისა, ნახევარი წელი მეორე ნახევარი წლისთვის უნდა მოაგროვონ საკმარისი ფული, მაშინ როცა ისინი ვინც ანაზღაურებად სამსახურებშია ყოველთვიური ხელფასის მიხედვით ცხოვრობენ.

ზამთარში მართალია ნაკლები სამუშაოა, ზრუნვის საქმეში ჩართულობა მეტია მშობლებისთვის. მათთვისაც, ვისაც შვილები ყავს, ზამთარში შეჩერებული სამუშაო არ გულისხმობს არაანაზღაურებადი საშინაო საქმის კლებას, ზოგჯერ პირიქითაც არის, მაგალითად ერთი რესპონდენტი, რომელსაც ერთი მაღალი კლასის მოსწავლე და მეორე სტუდენტი შვილი ყავს, ზამთარში თბილისში ჩადის ყაზბეგიდან და თავის ცხოვრებას შემდეგნაირად აღწერს: „დილით ავდგები, ძაღლს გავასეირნებ, თაკოს [შვილს] სკოლაში გავაცილებ. მეცოდება მთელი ამდენი სეზონი აქ რო ვარ. მერე

ჩავწვები ლოგინში და გიო [ქმარი] რომ არა 5-მდე შემიძლია ვიწვე, მიყვარს კოტრიალი.“ ქალები, რომელიც შვილებთან იმდენ დროს ვერ ატარებენ მუშაობისას ერთგვარ დანაშაულის გრძნობაზე საუბრობენ, თუმცა ყველა მათგანი დამოუკიდებლობას აჩვევს შვილებს, ვინაიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ. ქმარზე პასუხისმგებლობების გადაბარება, მაშინაც კი როცა ის დაუსაქმებელია, არ განიხილება. მაგალითად ერთ-ერთი რესპონდენტი გვიყვება, რომ მისი სასკოლო ასაკის შვილები თავს თვითონ უვლიან, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები არიან, ვინაიდან გოგო არ ყავს მიაჩვია საუზმე თვითონ მოიმზადონ და ოთახი დაილაგონ. მეორე რესპონდენტი გვეუბნება, რომ მისი შუათანა მე-11 კლასელი ქალიშვილი უვლის სხვებს მისი და მისი უფროსი ქალიშვილის არყოფნისას. სამივე შემთხვევაში ქმარი დაუსაქმებელია, თუმცა მის მოვალეობაში შესაძლოა მხოლოდ ბავშვების სკოლაში წაყვანა-წამოყვანა შედიოდეს. გაკვეთილების მეცადინეობაში დახმარება და მასწავლებლებთან კომუნიკაციაც სწორედ ქალების მოვალეობაა.

ქალები ბავშვის „ბუნებრივ“ მომვლელებად ითვლებიან. ყველა გამოკითხული ქალი ამბობს, რომ მამაკაცები ბავშვებზე ზრუნვაში არ ეხმარებიან, უფრო მეტიც, ზრუნვის საქმის მხოლოდ მათზე დაკისრებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დათმობების გაკეთება უწევდათ, მაგალითად, ერთი რესპონდენტი, რომელმაც უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა დაორსულების გამო, ამბობს:

ისედაც რაში გამომადგებოდა უნივერსიტეტი? სადაც მე დავამთავრე ვერ ვიმუშავებდი. სადაც მე დავამთავრე ვერ ვიმუშავებდი. მაშინ გია [ქმარი] სხვანაირი უნდა ყოფილიყო. ცოტა რთულია გია (ქმარი) სამაგისოდ. არიან ქმრები თვითონ ინახავენ ბავშვებს.

თუმცა შემდგომ საუბარში სულ სხვა რეალობა იშლება:

17 წლის გავთხოვდი, ჯერ კიდევ სკოლაში ვიყავი. ტექნიკუმში წელიწად ნახევარი ვისწავლე....მერე მინანია განათლება რომ არ მივიღე. ქმარიც სხვანაირად გექცევა განათლება როცა გაქვს. ან სად უნდა მემუშავა? მიმტანი ვერ ვიქნებოდი, იმ ასაკში არ ვიყავი. დამლაგებლად არ შემეძლო. გია არაფერში მეხმარეობოდა. მერე ცოტა რომ გაიზარდა გ (პირველი შვილი) კი, მაგრამა მანამდე ჩვილობაში არ შეხებია.“

ამ უკანასკნელ წინადადებას კი პირდაპირი მნიშვნელობით ამბობს, ვინაიდან რესპონდენტების თქმით ყაზბეგში კაცისთვის ჩვილის ხელში აყვანაც კი სირცხვილად ითვლებოდა. ერთი მხრივ, მონათხრობში განათლებაზე უარის თქმას ჯერ სრულიად უმნიშვნელო მოვლენად მიიჩნევს, ხოლო შემდგომ ყვება იმ დანაკლისზე რაც სწავლის შეწყვეტამ მოუტანა. განათლებაზე უარმა, სამსახურის შესაძლებლობები შეზღუდა და მისი სოციალური სტატუსი და თვითაღქმაც დააკნინა, მაშინ როცა განათლება მისი აზრით გადაწყვეტილებების მიღების მეტ საშუალებასაც მისცემდა ოჯახში. ამ ყველაფერში კი იმპლიციტურად ქმარს ადანაშაულებს.

„არ იყო რომ მეუღლეს ბავშვი დაეტოვებინა და პამპერსები გამოეცვალა. ქალაქში უფრო არის ეგრე," - ამბობს მეორე რესპონდენტი მესტიიდან. ამ შემთხვევაშიც დანანებით ადარებს თავის ქმარს სხვა კაცებს ქალაქიდან, რომლებიც უფრო მზრუნველ მამებად წარმოუდგენია. ანალოგიურად სხვა რესპონდენტებიც აღნიშნავენ, რომ ზრუნვა მთლიანად მათი მოვალეობაა და მხოლოდ რაღაც ასაკის ბავშვების შემთხვევაში ეხმარებიან ქმრები, და ისიც ნაწილობრივი და შერჩევითია რასაც კაცები აკეთებენ. სხვა ქალებზე ამბობენ, რომ სურვილი ყველას აქვს ქმრებისგან მეტი დახმარება მიიღოს სახლის საქმეების შესრულებასა და აღზრდაში. თუმცა აქაც ტექსტი კონფლიქტურია. მაგალითად ერთი ქალი გვეუბნება რომ მესტიაში ქალებს ძალიან ბევრი საქმე აქვთ, კითხვაზე თუ რამდენად წუწუნებენ ამაზე და სურთ ქმრების დახმარება, სადღეგრძელოს რეჟიმში გადადის და ამბობს: „მთავარია ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ და სიყვარული იყოს." კითხვაზე პასუხისგან თავის ამგვარი არიდება არაერთგვაროვან წასაკითხს ხდის ტექსტს. როცა რაიმე მოვლენის - ამ შემთხვევაში თავისი დაუსაქმებელი ქმრის ზრუნვაში ჩართვას რაციონალურ ახსნას ვერ უძებნის - ავტომატურად იშველიებს საზოგადოებიდან მოწოდებულ დომინანტურ ნარატივს, რომელიც შაბლონურია მისთვისაც, მაგრამ თავისი მონაყოლის ერთიანობის შენარჩუნებისთვის და დისონანსის თავიდან აცილებისთვისაა აუცილებელი.

თავისთავად „დახმარებაც", მაგალითად, ძიძის მხრიდან მხოლოდ ქალისთვის დახმარებად განიხილება. ის ფაქტი, რომ რეალურად კაცებიც ისევე სარგებლობენ ძიძის მომსახურებით როგორც ქალები, გამორიცხულია. ყველა მათგანი ირჩევდა სამსახურს და ბავშვის მოვლას შორის და გამორიცხავდა სამსახურის შესაძლებლობას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ასევე გამორიცხულია შესაძლებლობა როცა საშინაო და მზრუნველობით საქმეს კაცი ითავსებს მთლიანად. ასეთი რამ მაგალითის დონეზეც არ ახსენდებათ, თუმცა წარმოსახულ ოჯახებზე სადაც ქმრები სახლის სამუშაოს აკეთებენ, ქმრებზე გაბრაზებისას მიუთითებენ.

მზრუნველობითი საქმე მხოლოდ ბავშვების მოვლით არ ამოიწურება, ზოგიერთს მოხუცი მშობლის ან შშმ ნათესავის მოვლაც უწევს. ამ შემთხვევაში, მაშინაც კი როცა უახლოესი უშუალო ნათესავი ქალი არ არსებობს (მაგ. დედა, და ან შვილი), ზრუნვის საქმე რძალზე ან სხვა ნათესავზე გადადის. მაგალითად, ერთი რესპონდენტი მთელ თავის დროს: დედით ობოლი ძმისშვილის, ალკოჰოლიზმით დაავადებული ძმის, მოხუცი დედის და გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე დის მოვლას უთმობს. საბოლოოდ, არც მუშაობისთვის რჩება დრო და არც დასვენებისთვის, თუმცა ვინაიდან მისი შვილი იმ ასაკში აღარ არის რომ მოვლას საჭიროებდეს, იმ საქმეს რასაც სახლში სწევს, მზრუნველობით საქმედ არ აღიქვამს.

მზრუნველობით საქმეს ცალკე გამოვყოფ იმიტომ რომ ის სპეციფიკურია და დიდწილად მიბმულია სექსუალობასთან, გენდერულ გამოხატვასა და რეპროდუქციასთან. ზრუნვა და მასთან ასოცირებული საქმიანობა: ბავშვების მეცადინეობა, პამპერსის გამოცვლა, მათთვის საჭმლის მომზადებ და ა.შ. ბუნებრივად ქალის ვალდებულებად მოიაზრება. ის კაცი, მაგალითად, ყაზბეგში მცხოვრები მარტოხელა კაცი, რომელიც მოხუც დედას უვლის, გაფემინურებულია. მაშინაც კი, როცა კაცები რაღაც ფორმით ერთვებიან ზრუნვაში, ამის შესახებ საუბარი ეუხერხულებათ, განსაკუთრებით თუ ზრუნვის ობიექტი მოხუცი მშობელი ან ნათესავია. ზრუნვის და საოჯახო საქმის გაწყვილება ქალებთან იმდენად ძლიერია, რომ მას შეიძლება ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობისთვის ნეგატიური გადაწყვეტილებებიც მოყვეს, მაგალითად, ქალები, გვიყვებიან როგორ დაანებეს სახლს გარეთ მაღალანაზღაურებად სამსახურებს, ვინაიდან საოჯახო საქმეს ვერ უთავსებდნენ. მამაკაცების ჩართვა საოჯახო საქმეში, მაშინაც კი როცა ისინი დაუსაქმებელი იყვნენ, არც განიხილებოდა. ვინაიდან ამ საქმეს „რა თქმა უნდა, ქალი უნდა აკეთებდეს.“ ხოლო კაცებისთვის კითხვის დასმაც კი თვითონ თუ რეცხავენ ჭურჭელს ან სარეცხს, შეურაცხმყოფელია.

ამგვარი ესენციალისტური ახსნების თანმხლებია ქალების მხრიდან სახლის და ზრუნვის საქმის საკუთარი ძალაუფლების სფეროდ მონიშვნაც. მაგალითად, ერთი რესპონდენტი ყაზბეგიდან გვეუბნება, რომ შვილებს გახანგრძლივებულში (სკოლის შემდგომ სამეცადინო საათები) აღარ ტოვებს და არც ქმრის შემოწმებულ გაკვეთილებს ენდობა, ვინაიდან თვითონ როგორც იზამს ისე სხვა ვერ გააკეთებს. არა მხოლოდ ქმრის არამედ სხვა ნათესავების მიმართაც შეიძლება ასეთ „უნდობლობას“ იჩენდნენ: ერთი ქალი, თავის შშმ დაზე, ხოლო მეორე მოხუც დედამთილზე გვეუბნებიან, რომ ჭურჭლის გარეცხვას ვერ „ანდობენ“ და ხელმეორედ რეცხავენ.

ზრუნვის საქმე მართალია დროის და ემოციური რესურსების გაღებას მოითხოვს ქალებისგან, რაც ირიბად თუ პირდაპირ მათ ცხოვრებას და დამოუკიდებლობის ხარისხზე ნეგატიურად მოქმედებს, ის ასევე არის სფერო, რომელშიც ისინი თავს თავდაჯერებულად და რეალიზებულად შეიძლება გრძნობდნენ. სუბიექტური აღქმის დონეზე მაგალითად, ბავშვებისთვის გაკვეთილების მომზადებაში დახმარებაზე ქალები სიამაყით საუბრობენ, რაც მართალია, ქალის სამოვაწეო ასპარეზსს ოჯახს და სახლს აბამს, ავტომატურად ინდივიდუალურ დონეზე დაქვემდებარებას არ უტოლდება. დაუსაქმებელ კაცთან შედარებით, რომლებიც რესპონდენტები თქმით, ხშირად ალკოჰოლს მიმართავენ, ქალებისთვის უფუნქციობის განცდას არასდროს ბადებს ზრუნვის შესაძლებლობა, შესაბამისად, თვითაღქმაც უფრო პოზიტიურია.

ამრიგად, ზრუნვა მკვეთრად გენდერიზებული შრომაა, რომლის ექსკლუზიურად ქალების შრომად დასახვა, მათი განათლების და ეკონომიკური კეთილდღეობის შესაძლებლობებს ამცირებს, მაშინ როცა კაცების შემთხვევაში ეს პრობლემა დღის

წესრიგში არ დგას. თუმცა ეს არ ნიშნავს ავტომატურად რომ ქალები ზრუნვის შრომით ბედნიერები არ არიან, პრობლემა იქ ჩნდება და ტექსტში კონფლიქტიც მაშინ იჩენს თავს, როცა არჩევანზე მიდგება საქმე. რამდენად აქვთ ქალებს შესაძლებლობა სხვანაირად იცხოვრონ? თუ შევხედავთ რესპონდენტების მიერ წუხილს და სურვილს მეტი ისწავლონ, მაშინ როცა შვილების და ოჯახის გამო ამ ოცნებაზე უარის თქმა უწევთ, ძნელია ვთქვათ, რომ დაქორწინება ის არჩევანია, რომლითაც კმაყოფილი არიან. აქვე დავძენდი, რომ იმ განათლების სახელმწიფო პროგრამებს მესტიასა და ყაზბეგში ქალები ნეგატიურად აფასებენ, რადგან სწორედ ის გენდერული კომპონენტი არ არის გათვალისწინებული, რომელიც ქალს ზრუნვასა და საოჯახო საქმეზე პასუხისმგებლად აქცევს, შედეგად, ბევრ მათგანს საშუალება არ აქვს დაესწროს ტრენინგებს, ისწავლოს და ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესოს.

საშინაო საქმესთან მიმართებაშიც ანალოგიურად სელექციურად „ეხმარებიან“ კაცები ქალებს. საჭმლის გაკეთება მარტოხელა დედასთან მცხოვრები კაცისთვის სათაკილო საქმედ არ ითვლება „ჩემზე უკეთ ვინ გააკეთებს“- გვეუბნება ერთ-ერთი რესპონდენტი. მეორე მამაკაცი ყაზბეგიდან ამბობს რომ არ „გამოსდის“, თუმცა კულინარობა კაცისთვის სამარცხვინო საქმედ არ მიიჩნევს. ამისგან განსხვავებით გარეცხვა და დალაგება, ისევე როგორც ძროხის მოწველა მათთვის დაუშვებელი აქტივობებია. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი მამაკაცი, რომელიც მოხუც დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობს ყველანაირად ცდილობს თავი აარიდოს კითხვაზე პასუხს თუ ვინ წველის ძროხას, მეორე ქალი რესპონდენტის მხრიდან ჩაძიების დროსაც, გვპასუხობს, რომ ისე მიუშვებს ძროხას ან რძალს აწველინებს თვითონ რომ აირიდოს ეს საქმე.

გარკვეული არაანაზღაურებადი საშინაო საქმე მაგალითად საჭმლის გაკეთება, ძროხის გარეკვა და ბოსლის გამოხვეტა არ ითვლება კაცისთვის სათაკილოდ, შრომის გენდერულ დაყოფას თავისი კომპლექსური საფუძვლები აქვს. პირველ რიგში, საქმეებს შორისაც არსებობს გარკვეული სპეციფიკური შერჩევითობა. მაგალითად, საჭმლის გაკეთება დაკავშირებულია რა ფორმის საჭმელზეა საუბარი, ხორცი კაცების საქმედ ითვლება, დანარჩენი - ქალების. თუმცა თავისთავად პროფესიონალი მზარეული ქალისგან მითითება რომ „კაცებიც მშვენივრად აკეთებენ მის საქმეს“ ანაზღაურებად სამსახურებში კაცების მზარეულებად დასაქმებას შეიძლება უკავშირდებოდეს. რაც შეეხება ძროხის მოვლისას გადანაწილებულ ფუნქციებს, ანაზღაურებასთან ან ფულთან კავშირი ვერ იქნება ვერანაირი ამხსნელი, ვინაიდან ძროხის მატერიალური მნიშვნელობა ცალსახად აღიარებულია თემში, თუმცა მისი მოწველა ისტორიულად ქალის საქმედ ასოცირდება და შესაბამისად, კულტული განზომილება აქვს.

ამასთან, სამუშაოს გადანაწილებისას ქალებს და კაცებს შორის მკვეთრი სივრცობრივი დაყოფა ვლინდება. ყველა საქმე რაც სახლთან ასოცირდება ქალის საქმედ მოიაზრება, ხოლო რაც სახლს გარეთაა მამაკაცთან. დასაქმების თვალსაზრისითაც, ანაზღაურებად

სამუშაოებში, რომელიც იგივე აქტივობების შესრულებას გულისხმობს, რასაც სახლის აუნაზღაურებადი სამუშაო ძირითადად ქალები არიან დასაქმებული. თუმცა მაშინაც კი როცა კაცები სახლს გარეთ ასრულებენ იგივე სამუშაოს რასაც ქალები, მაგალითად, მზარეულები, სახლში მაინც ქალებისგან ელოდებიან საშინაო შრომის გაწევას.

ერთი დაოჯახებული მამაკაცი რესპონდენტი გვეუბნება: „მე არ შემდგამ ეგ ხელობა რომ მე საჭმელი გავაკეთო. თეთრეულს რო არ მოვუდგები და მაგის რეცხავასა და რა ვიცი ეგ საქმე. საცა უქალო ოჯახია იქ აკეთებენ.“ ეს დამოკიდებულება კარგად ასახავს როგორც ყაზბეგში ისე მესტიაში მცხოვრები კაცების მიმართებას: საოჯახო საქმის ის ნაწილი, რომელიც სახლს გარეთაც დაბალანაზღაურებადია, ქალებს მიეწერებათ, რასაც რესპონდენტები როგორც ესენციალისტურად (არ აქვს უნარები რადგან კაცია), ისე სოციალურ-კულტურული ნორმებიდან გამომდინარე ხსნიან. ეს ნორმები კი თავის მხრივ ისტორიის და ტრადიციის შედეგად მოიაზრება. ეს უკანასკნელი დაშვება ძალიან მნიშვნელოვანია და მინდა უფრო მეტად ჩავუღრმავდე.

ზოგადად, წარსულზე საუბრისას ორი ძირითადი ნარატივი შეიძლება გამოვყოთ: 1. სახლის საქმე იყო დაფასებული და გავრცელებული სამუშაო და ეკონომიკაც საოჯახო მეურნეობებზე იდგა, 2. ამ წესრიგში ყველას თავისი ადგილი ქონდა, კაცს გარეთ (სამსახურში), ქალს - შიგნით სახლში. ეს წესრიგი დაირღვა ქალების მასიური დასაქმებით და კაცების ანაზღაურებადი სამსახურებიდან განდევნით. თუმცა პრობლემა ის არის, რომ მეორე ხაზი ბევრ პრობლემას ბადებს ისტორიული სიზუსტის თვალსაზრისით და ეს კონფლიქტი ტექსტშიც იჩენს თავს.

ურბანიზებამდე და ტურიზმის განვითარებამდე ძირითად საქმიანობად ორივე დაბასა და მის შემოგარენში რესპონდენტები მესაქონლეობას და მესათბურეობას (ყაზბეგში) ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ნაწილს საბჭოთა პერიოდში ანაზღაურებადი სამსახურები ქონდა, რესპონდენტების მონათხრობის მიხედვით ქალები მანამდეც იყვნენ დასაქმებული და როგორც ქალები ისე კაცები უმთავრესად საოჯახო მეურნეობით იყვნენ დაკავებული, როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აფასებს საბჭოთა და შემდგომ პერიოდს: *“ვინც ახლა გამგეობაში მუშაობდა, ან ფარმაცავტები ხო... ოჯახის ხალხი ოჯახში ვირჩენდით თავს.”*

რესპონდენტის მიხედვით საოჯახო მეურნეობაში ფუნქციები გენდერული ნიშნით იყო გადანაწილებული, თუმცა ერთმანეთის მიმართ იერარქიულობაზე არ საუბრობს და დაყოფა საზოგადო და საჯაროს შორის ნაკლებ იკვეთება. მეორე რესპონდენტი ამბობს: „დედაჩემი წველდა, მოვლა გამოხვეტვა მიდიოდა, მარა მამაჩემს რო ეწველა და დედაჩემი სახლში მჯდარიყო... სუ ყველას თავის განაწილებული საქმე ქონდა.“ ბოსელის მოხვეტა და ძროხის მოწველა ერთი და იგივე საქმის შემადგენელი აქტივობებია, რომელიც საოჯახო მეურნეობის მესაქონლეობის ნაწილია, თუმცა დღეს ერთმანეთთან

იერარქიულ მიმართებაშია. მოხვეტა ქალისთვის დასაშვებია, მაგრამ კაცისთვის ძროხის მოწველა მიუღებელია. ამასთან, არის აქტივობები რომლებიც წარსულშიც და ახლაც ქალებისთვის დაუშვებელია. მაგალითად, მძღოლად მუშაობა, რომელიც ტურიზმში დასაქმებული და თვითდასაქმებული კაცებისთვის ყველაზე გავრცელებული პროფესიაა, ქალებისთვის მიუღებელ საქმედ ითვლება. ერთ-ერთი წყვილი ყაზბეგიდან გვეუბნება, რომ ქმარს ცოლთან მიმართებაში არაფერზე პრობლემა არ აქვს, ის ეხუმრება კიდეც მძღოლად მუშაობაზე, თუმცა „ქალი თვითონ არ იკადრებს." ამ შემთხვევაშიც მძღოლად მუშაობა და ზოგადად მანქანით გადაადგილება, რაც სახლს გარეთ დამოუკიდებელ აქტივობად მოიაზრება, ქალს საოჯახო სფეროს წყვეტს და შესაბამისად, სხვადასხვა კულტურული ტაბუების წყალობით აკრძალულია.

ეს კომენტარი სხვა რესპონდენტების მონათხრობთან თანხვედრაშია. უმრავლესობა ოჯახების სწორედ საშინაო საქმით ირჩენდა თავს, რომელშიც ქალები და კაცები ერთნაირად იყვნენ ჩართული და რომელიც სივრცობრივად და ფუნქცურად დანაწილებული იყო და ქალის საქმეს სახლთან აკავშირებდა, თუმცა დაყოფა საზოგადო-საშინაოს შორის არ იკითხება წარსულზე რეფლექსიისას. საოჯახო საქმის და მეურნეობის მიღმა არც არსებობდა საზოგადო, რომელიც საოჯახოზე უფრო აღმატებული იყო და რომელშიც კაცები იყვნენ დასაქმებული.

არსებული შრომის გენდერული გადანაწილების ახსნა განსხვავდება ასაკობრივადაც. შუა ხნის და ხანში შესული ქალები და კაცები ცვლილებაზე საუბრობენ როგორც მათგან გარეთ არსებული ფაქტორების მოქმედების შედეგზე. „ყველამ უნდა ვიმუშავოთ, სხვა რა გზაა", „დრომ მოიტანა ასე". ისინი არსებითად არ ასხვავებენ ქალების და კაცების დასაქმებას და არც იმ დროის მიმართ გამოთქვამენ ნოსტალგიას, როცა ქალები სახლში ისხდნენ, კაცები კი - მუშაობდნენ. მეორე მხრივ, უფრო ახალგაზრდა რესპონდენტებიც, ვისაც საბჭოთა პერიოდში არ უცხოვრიათ, საუბრობენ იმ იდეალურ წესრიგზე, რომელშიც ქალები სახლის საქმეს ასრულებენ, კაცები კი ანაზღაურებად სამსახურებში დადიან. თუმცა ამ ანტიმოდერნისტულ ნარატივს არ აქვს თავისი ათვლის წერტილი, ის ისტორიულად არაფერს მიემართება მათი პირადი ან მათი მშობლების გამოცდილებიდან. საბოლოოდ, ყველა თაობის რესპონდენტების მონათხრობში განმეორებითად ჩნდება კონფლიქტი ერთი მხრივ, მათ პრაქტიკულ რეალობას, სადაც ქალები ასრულებენ ანაზღაურებად და აუნაზღაურებადი სამუშაოს უდიდეს ნაწილს, მეორე მხრივ წარმოსახულ იდეალურ რეალობას და მესამე, შრომა/თავგანწირვის იდეოლოგიებს შორის. პრაქტიკული რეალობა, რომელშიც ქალები არიან დასაქმებული, და ხშირად კაცებსაც არჩენენ, ან ქალების შრომის უგულებელყოფით ნორმალიზდება ან მეორე წარმოსახულ იდეალურ რეალობასთან მუდმივი შედარებით. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნე ეს რეალობა ისტორიულად არაფერს მიემართება თავად რესპონდენტების მონათრობიდან გამომდინარე და უფრო გლობალური დომინანტური ნარატივის ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც კაპიტალიზმის პირობებში გაჩნდა და

საზოგადო-საოჯახო დაყოფასთან ერთად, საოჯახო აუნაზღაურებელი შრომა ქალის ვალდებულებად მონათლა.

რაც შეეხება შრომის და თავგანწირვის იდეოლოგიას, იგი გულისხმობს ქალებში სოციალურ სასურველობას არ გამოჩნდნენ ზარმაცებად, აროგანტულებად, და ეგოისტებად. ეს თემა მრავალჯერ მეორდება სხვადასხვა რესპონდენტების მონათხრობში სხვებისთვის საყვედურის სახით როცა საკუთარ საოჯახო სასტუმროებში სხვებს ასაქმებენ, ან იმაზე ხაზგასმით, რომ სამუშაო შესაძლებლობები არის და ყველას შეუძლია დასაქმდეს, თუმცა ამას არ აკეთებენ და სოციალურ დახმარებაზე ცხოვრებას არჩევენ. ოჯახისადმი თავგანწირვა ქალებს როგორც ანაზღაურებად სამუშაოში ჩართვით, ისე საოჯახო საქმის შესრულებით მოეთხოვებათ. „სახლის საქმე არ უნდა გააფუჭო. თუ სახლის საქმე გააფუჭე აზრი არ აქვს გარეთ გასვლას.“ საკუთარ საოჯახო სასტუმროებში დასაქმებაც, სხვა ქალების მხრიდან სახლში უცხოს შეშვებად აღიქმება, რომელიც „საქმეს გულით არ გააკეთებს“, შესაბამისად, ის ქალები ვინც სხვებს ასაქმებენ საკუთარ სასტუმროებში, ზარმაცებად და აროგანტულებად ცხადდებიან. „ბევრი ისეთებიც არიან, ზიან და დაქირავებული ყავთ, ქმრები უფრო მუშაობენ იმათი.“ ერთგვარად საყვედურობს საკუთარ საოჯახო სასტუმროში მომუშავე ქალი. ეს გულისხმობს, რომ სახლის პირობებში ანაზღაურებადი შრომაც კი ქალის მოვალეობაა და მისი შესრულების სხვა ქალზე და მით უმეტეს კაცზე დაკისრება გენდერულად არანორმატიულ ქცევად აღიქმება.

საბოლოოდ, არა მხოლოდ ზრუნვა და საოჯახო საქმე, არამედ სახლში შესრულებული ყველანაირი ანაზღაურებადი თუ აუნაზღაურებადი შრომა ქალების საქმედ ცხადდება. საოჯახოს ქალებთან ასოცირება, საზოგადოსი კი - კაცებთან რესპონდენტთა მონათხრობში ურთიერთწინააღმდეგობრივია, ვინაიდან ერთი მხრივ, ისტორიით და ტრადიციით იხსნება, მეორე მხრივ, კი წარსულზე საუბრისას ამგვარი დაყოფის არსებობა არ იკითხება. ქალები ამ დაყოფას და მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს უპირობოდ არ იღებენ, ტექსტში რიგი კონფლიქტები ვლინდება როგორც ქალებს და კაცებს შორის საუბრებში, ისე „წარმოსახულ“ საზოგადოებასთან დიალოგში, რომელსაც ქალები ეკამათებიან, ვის წინაშეც თავს იმართლებენ ან ეთანხმებიან, თუმცა საბოლოოდ, ქცევის დონეზე დიდწილად ემორჩილებიან დომინანტურ ნარატივს, რაც შედეგად ქალების მიერ შრომის ძალიან დიდი ნაწილის შესრულებას გულისხმობს სახლშიც და სახლს გარეთაც. ამგვარი მოწყობა კი ქალებს დროის ნაკლებობის მდგომარეობაში აგდებს. შემდგომ თავს სწორედ დროის და შრომის მიმართებას დავუთმობ.

დრო და შრომა

დროის აღქმა დამოკიდებულია იმაზე შრომა ფასდება თუ არა ის სამუშაოდ. პირველ რიგში ვინაიდან ქალები მეტს მუშაობენ სამსახურში, საკუთარ გესტჰაუსსა და სახლში, ისინი დროის ნაკლებობასა და დასვენების მეტ სურვილს გამოთქვამენ მამაკაცი

რესპონდენტებისგან განსხვავებით. დროის აღქმა განსხვავებულია იმ ქალებს შორის, ვინც სახლის სივრცეში ასრულებენ ანაზღაურებად ან აუნაზღაურებად სამუშაოს და ვინც სახლს გარეთ არის ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული. ხოლო მათთვის, ვინც როგორც ანაზღაურებად სამსახურში ისე საკუთარ საოჯახო სასტუმროში მუშაობს, ეს მიმართება კიდევ უფრო კომპლექსურია. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია რამდენიმე ტენდენცია გამოვყოთ დროსთან მიმართებაში.

ის ქალები, ვინც ანაზღაურებად სამსახურებში არიან დასაქმებული ზღვარს ავლებენ სამსახურს და საშინაო სამუშაოს შორის. მათი სამუშაო დღე სახლში სხვა ფორმით გრძელდება. ხშირად იგივე საქმის გაკეთებით რასაც სამსახურში შვებოდნენ, თუმცა ყველაზე ემოციურად დატვირთული საქმე, რომელსაც გამოარჩევენ - შვილებთან ურთიერთობაა. ექსპლიციტურად არ იკითხება და სახლში გატარებული დროის რა ნაწილია დასვენება და რა შრომა ძნელი გამოსარჩევია. მიუხედავად ამისა, მაგალითად კითხვაზე თუ როდის და როგორ ისვენებენ, ერთი რესპონდენტი ამბობს: „ხან კინოს ვუყურებთ რო განვიტვითოთ ცოტა, მარა ვინ გაცდის ბავშვები. ასე თუ ისე უკმაყოფილოები არ ვართ.“ თუმცა შემდგომ თავის ქმართან დისკუსიაში შედის „მე კი ვიღლები, ქალი რასაც გააკეთებს კაცი იმას არ აკეთებს.“ სასტუმროებსა და კაფეებში ანაზღაურებადი სამუშაოს მქონე ქალებს არა აქვთ ანაზღაურებადი შვებულება, ისინი შაბათ-კვირის მანძილზეც კი არ ისვენებენ. დასვენების შესაძლებლობებზე ერთი ქალი ამბობს, რომ ურჩევნია იმუშავოს და ფული გამოიმუშავოს. ამ ქალის მსგავსად სახლს გარეთ დასაქმებული ქალები ფინანსურ საჭიროებას ასახელებენ დასვენების არქონის მიზეზად.

რაც შეეხება საკუთარ საოჯახო სასტუმროში დასაქმებულებს, მათი შრომა განსხვავებულად აღიქმება როგორც სასტუმროს მფლობელების, ისე თემის სხვა წევრების მხრიდან. ისინი, ვინც სახლს გარეთ არიან დასაქმებული სახლში მუშაობას უფრო სასურველ საქმედ თვლიან. ზოგისთვის ეს „საკუთარი საქმის ასაღორძინებად“ მიიჩნება, სხვებისთვის „ოჯახისთვის მეტი დროის დასათმობად.“ მაგალითად, ერთი რესპონდენტი, რომელსაც საკუთარი სასტუმროს გახსნა უნდა, ამბობს: „სახლში ჯობია როცა არის საშუალება, შვილების მიხედვა. ყოველთვის ჯობია ოჯახს და შვილებს ემსახურო.“ მეორე რესპონდენტისთვის საოჯახო სასტუმრო წარმოების საშუალებების კონტროლთან ასოცირდება და ამიტომ ურჩევნია თვითდასაქმებული იყოს, ვიდრე სხვის მოგებაზე იმუშაოს. ხოლო ისინი, ვინც რეალურად მუშაობენ საკუთარ სასტუმროებში მათი შრომის არაღიარებაზე მიუთითებენ, რაც მათი თემის სხვა წევრების მხრიდანაც იგრძნობა. ვინაიდან ანაზღაურებად სამუშაოს, ანაზღაურებადი საოჯახო სამუშაოს და დასვენებისთვის სივრცობრივად და დროის მიხედვით არ არის დაყოფილი, მათი შრომა არც მონეტარულად და არც სტატუსის თვალსაზრისით შეფასებული არ არის.

რაც შეეხება რეკრეაციას, თუ დასაქმებულებისთვის დასვენება ისეთი რამ არის რაც უნდა ფულში გაცვალო, მათთვის, ვინც საკუთარ სასტუმროში მუშაობს არც სამუშაო საათები არსებობს და საქმე გაფანტულია მთელ დღეზე. დასვენების დროის გამონახვა ძალიან უჭირთ განსაკუთრებით სეზონის განმავლობაში. ერთი რესპონდენტის ოჯახს წევრები გვიყვებიან, როგორ „გაიპარა“ მესტიის ცენტრში კონცერტის მოსასმენად. მეორე შემთხვევაში ქალებს შესაძლოა დროის გადანაწილება შვილებზე ზრუნვას და სამუშაოს შორის უწევდეთ. მაგალითად ერთი რესპონდენტი გვიყვება როგორც ვერ ტოვებდა თავის სასტუმროს, როცა მისი შვილი საავადმყოფოში მოხვდა. ქმრებისგან განსხვავებით ცოლები თავს დამნაშავედ გრძნობენ თუ დროს ვერ უთმობენ შვილებს, რის გამოც, მათი მოლოდინი, ვინც სასტუმროში არ მუშაობს, რომ მეტი დრო ექნებათ საოჯახო საქმისთვის, ყოველთვის მართალი არ არის. საოჯახო სასტუმროები მეტ დროს მოითხოვს და მართალია, მეტი ანაზღაურებასაც სთავაზობს ქალებს, მათ, ვინც სახლს გარეთ მუშაობენ სასტუმროში დასაქმებულებთან შედარებით საკუთარი შემოსავლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მეტი საშუალება აქვთ.

დასვენების დრო და რეკრეაცია მკვეთრად გენდერიზებულია. მაგალითად, ერთი მონაწილე ამბობს, რომ გარეთ გასვლა არ უყვარს და მეგობრების ნახვა და სოციალიზაციაც სახლში ურჩევნია, მაშინაც კი, როცა ასეთი ფორმის რეკრეაცია მისგან მეტ მუშაობას მოითხოვს. ვინაიდან არც მესტიაში და არც ყაზბეგში დასვენების და გართობისთვის სახლს გარეთ ბევრი ადგილი არ არის, ძირითადი თავისუფალი დროის გატარების საშუალება ერთმანეთის სახლებში სიარული და ე.წ. „ბირჟუებია,“ თუმცა ამ შემთხვევაშიც კაცებით არის დომინირებული. „კარგი ქალის“ განსაზღვრებაც კი მიბმულია კაცის რეკრეაციაზე კარგად ზრუნვას, კარგი ქალი ისაა, ვინც ქმრის და მამამთილის სტუმრებს კარგად დახვდება. მეორე რესპონდენტი ყაზბეგიდან ამბობს ქალზე, რომელსაც ქმარი ღალატობდა და შემდგომ მიატოვა, რომ ეს ქალი თვითონა არ აქცევდა სათანადო ყურადღებას ქმარს. შესაბამისად, სექსუალური დაკმაყოფილება და ქმრის სიამოვნებაზე ზრუნვა ქალის შესასრულებელ სამუშაოებს კიდევ ერთ განზომილებას მატებს, რაც ქალების დროით სიღარიბეს კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს.

როგორც ვხედავთ, დროსთან მიმართება განსხვავდება სახლს გარეთ და სახლში დასაქმებულ ქალებს შორის. შრომის განხილვას საჯარო-პირადი სფეროების დაყოფა ბმაშია დროით დაყოფასთანაც, რაც ქალებს, განსაკუთრებით კი საკუთარ სასტუმროებში დასაქმებულთ, კაცებთან შედარებით ბევრად ნაკლებ დროს უტოვებს. რეკრეაცია არც მოიაზრება ქალების საქმედ, მათი საოჯახო შრომის გაუფასურებასთან ერთად, კაცების სიამოვნება და დასვენება ცხადდება, ქალების არასამუშაო დროის მთავარ მიზნად. თუმცა როგორც უკვე აღინიშნა ქალები აქაც განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობენ კაცებისგან განსხვავებით. იმაზე, თუ რა მნიშნელობა აქვს რომელი პოზიციიდან საუბრობს გენდერიზებული სუბიექტი, შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

პერსპექტივა

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში მხოლოდ სამ კაცთან ჩავწერე ინტერვიუ და 2 ოჯახში და ერთ კაფეში მქონდა ქალებს და კაცებს შორის ურთიერთობის დაკვირვების საშუალება, ჯგუფურ ინტერვიუებშიც და ცალკეც იკვეთებოდა კაცების და ქალების პერსპექტივებს შორის განსხვავება. ქალის და კაცის გამოცდილებების შეფასება კაცების მიერ იქ დამსწრე ქალების ღია უკმაყოფილებას იწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ ამას ძირითადად უფრო ხმადაბლა და კომპრომისული ტონით გამოხატავდნენ.
მაგალითად, კითხვაზე თუ რამდენად ბევრი ქალია ოჯახში ერთადერთი შემომტანი კაცებთან შედარებით, სრულიად განსხვავებულ სურათს გვიხატავს ქალი და კაცი რესპონდენტები. თუ კაცი რესპონდენტი უარყოფდა ასეთი ოჯახების არსებობას, მას შემდეგ რაც ქალმა რამდენიმე რეალური ოჯახის მაგალითი მოუყვანა, სადაც ერთადერთი შემომტანი ქალია, კაცის რიტორიკა შეიცვალა და ეს შემთხვევები გამონაკლისებად შერაცხა და სიტუაციაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ქალებს დააკისრა. ამის კარგი მაგალითია შემდეგი დიალოგი:

> „იმას [მეზობელ ქალს] ორი გოგო და სიძეები ყავს და. ის სიძეები განა არ მუშაობენ? ის თავის საქმეა, არჩენს რა, განა რამეს თხოვენ, ნუ მისცემს და!“
> „როცა იმას [მეზობელ ქალს] შეუძლია და სხვა არავინ ყავს და რაღაცას შოულობს. არჩენს [შვილს] მა რა? დაეხმარება. მეტი წილი სუ კაცი მუშაობს, იგრე არის.“
> ამაზე იქ მყოფი ქალი ჩუმად პასუხობს: - მე ვმუშაობ.

მეორე დიალოგშიც ანალოგიური კონფლიქტი ვლინდება ცოლის და ქმრის პერსპექტივებს შორის დასვენების დროის და დატვირთვის თვალსაზრისითაც, კითხვაზე რამდენად ისურვებდნენ მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეთ კაცი პასუხობს ორივეს ნაცვლად: „დანაკლისი არ გვაქვს, შვებულებას აიღებ“, მისი ცოლი კი ცოტა საყვედურით უსწორებს: „მე კი ვიღლები, ქალი რასაც გააკეთებს, კაცი იმას არ აკეთებს.“

კიდევ ერთი დაპირისპირება საოჯახო საქმის შესრულებაზე საუბრისას გაჩნდა, როცა კაცმა ქალები და კაცი ცდილობდა ისეთი ოჯახის პორტრეტი დაეხატა სადაც ფუქციები ჰარმონიულადაა გადანაწილებული, ქალი აქტიურად დაუპირისპირდა.

> ინტერვიუერი: ოჯახის მარჩენალი ვინაა უფრო?
> ცოლი: კაცები უფრო.
> ქმარი: ორივე მუშაობენ, ქალი რას აკეთებს მეტს?
> ცოლი: ოთახებს შენ დაალაგებ? საჭმელს შენ გაუკეთებ?
> ქმარი: თუ ისეთი სიტუაციით ხარ რომ საჭმელიც უნდა აჭამო, მოაქვს კაცს, მომარაგება, ხორცი იქნება დასაჭრელი თუ...

ცოლი: რისი მომტანი ხარ? კვერცხი არ გიყიდია სახლში.“

ორივე დიალოგს მოყვა კაცების მხრიდან კაცის შრომის სირთულეების წარმოჩენა და „ბუნებრივ წესრიგზე“ ხაზგასმა - ილუსტრაციისთვის ორი სხვადასხვა კაცის კომენტარები შეგვიძლია შევადაროთ:

„ყველას [ქალს და კაცს] თავის საქმე ქონდა და სოფლურ ცხოვრებას რომ ეწევა ადამიანი, ბავშვებიდან იცოდა, მე ეს უნდა ვაკეთო, ინსტიქტურად ქონდა, ქალია ხო, გაიზარდა და იმის საქმეა სარეცხი, ძროხა“.

„მამაკაცის საქმეა ასჯერ რთული.“ და მეორე შემთხვევაში კაცების ქალების საქმესთან შედარებისას „კაპიკები ღირს შენი ხორცი, ვწვალობთ ტყუილად... აღარ უღირთ კაცებს საქონლის ყოლა, ურჩევნიათ გაყიდონ.“

ამ დიალოგებში იკვეთება, ერთი მხრივ, ტენდენცია კაცებმა ქალების შრომის გაუფასურებით ან/და უარყოფით და მეორე მხრივ, ერთგვარი თავის მართლების ტონით - გარეშე ფაქტორების გამოკვეთით - ახსნან კაცების ეკონომიკური აქტიურობის კლება, ქალების მიერ მარჩენალის ფუნქციის ათვისების პარალელურად. არსებული გენდერული წესრიგის რაციონალიზაცია, სადაც ქალი სამსახურს აუნაზღაურებად საოჯახო საქმეს უნდა უთავსებდეს, „ბუნების“, წარმოსახული „ტრადიციის“ საშუალებით ხდება, სადაც კაცების მიერ ქალებთან ასოცირებული შრომის ანაზღაურების სანაცვლოდ თუ მის გარეშე კაცის მიერ შესრულება, ეკონომიკური საჭიროების პირობებშიც კი, ისევ ქალიდან მომდინარე პრობლემების შედეგია. ნაკლებად გვხვდება სახელმწიფოს, დამსაქმებლის, გარეშე სისტემების კრიტიკა, რომელიც კაცების უმუშევრობაზე და ქალების გადატვირთულ სამუშაო ცხოვრებაზე შეიძლება მიიჩნეოდეს პასუხისმგებელად. უფრო მეტიც, ქალების მხრიდან საკუთარი ქმრების დაუსაქმებლობის ახსნა და მათდამი თანაგრძნობა უფრო ხშირად მიეწერება გარემო პირობებს. „ახლა როცა მეუღლე [ცოლი] გასულია და სამსახურიდან დაღლილი მიდიხარ, [კაცის] ფსიქოლოგიაზეც ძალიან აისახება, განიცდის და 200 ლარზეც თანახმაა.“ თუმცა ყველაზე კონსევატორულ ნარატივშიც კი, რომელშიც კვლევის სუბიექტი თვლის, რომ კაცი უნდა მუშაობდეს და ქალი მხოლოდ „ალაგ-ალაგ“ იყოს დასაქმებული და ოჯახზე და შვილზე ზრუნავდეს, ის თვითონვე პასუხობს ჩემ მიერ გაუჟღერებელ კითხვას - თუ რატომ თვლის რომ კაცის მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ქალის? ის ამბობს: „მამაკაცს ძალა და შემომტანობა მეტი აქვს და შრომასაც უფრო მეტი ძალა აქვს. რაც არ უნდა იმუშავოს ქალმა მის შრომას მაინც ძალა არ აქვს. შრომაც ქალის თითქოს არ ჩანს.“ ის, რომ ქალის შრომა არ ჩანს და ნაკლებ ანაზღაურებადი და დაფასებულია კაცისასთან შედარებით, არა გარემო პირობებით, არამედ ესენციალისტური დაშვებით იხსნება მისთვის - „მამაკაცის ძალა და შემომტანობა“ მის კაცობაშია და არა საზოგადოების მიერ ამ შრომის აღქმაში. მსგავს ესენციალისტურ დაშვებებს სხვებთანაც ვხვდებით დატვირთვის და თავისუფალი დროის მიმართებაზე: „რა

თქმა უნდა ყველა სეზონი თავისას მოითხოვს, ქალი ისეთი სუსტი არსება არის რომ ყოველ სეზონზე თუ არ მიხედა თავს, ფიზიკურობიდან გამომდინარე...“

მართალია, ქალები უმთავრესად იმეორებენ იმ ნარატივს, რაც საზოგადოებისთვის მათი გადმოსახედიდან მოსაწონ ქალს აკონსტრუირებს, მათ ნათქვამი წინააღმდეგობებით არის სავსე და მასში დომინანტურ პატრიარქალურ პერსპექტივასთან ღია თუ შეფარული პროტესტი იკითხება.

მიუხედავად იმისა, რომ ქალები თვითონ ასრულებენ საოჯახო საქმეს, ხშირად ამის პარალელურად მუშაობენ, ზრუნავენ შვილებზე და მთვრალი ქმრების, მათი სტუმრების სიამოვნებასაც უზრუნველყოფენ, ყოველთვის უპრობლემოდ არ იღებენ ამგვარ მოწყობას. თუ კაცები კითხვებს საოჯახო საქმის შესრულებასთან დაკავშირებით კითხვითვე პასუხობენ, იმდენად წარმოუდგენელი ჰქონიათ ამ მოცემულობის ეჭვქვეშ დაყენებაც კი, ქალები აქტიურ კონფრონტაციას უწევენ დიალოგებში, ხოლო ინდივიდუალურ ინტერვიუებში რაციონალიზაციის სხვადასხვა გზებს ეძებდნენ და საკუთარ თავთან დისკუსიაში შედიოდნენ, რათა აეხსნათ, თუ რატომ განსხვავდება 1. მათი პრაქტიკები იდეოლოგიისგან, რომელიც სახლს გარეთ დასაქმებას ოჯახის „მსახურებასთან“ მიმართებაში დანაკლისად განიხილავს: ამ ტენდენციას ძირითადად გარე საჭიროებით ხსნიან; 2. რატომ არ ერთვებიან კაცები აღზრდაში ან სახლის საქმეებში: რაზეც ძირითადად ამაზე ზემოთ განხილული ცენტრი-პერიფერიის აღქმული მიმართება ხსნის. მიკუთვნებულობა - გარიდების სტრატეგიებით ისინი წარმოსახულ სხვასთან მიმართებაში ხსნიან.

ამრიგად, პერსპექტივა და შესაბამისად არსებული ეკონომიკური და გენდერული მოწყობის ახსნის სტრატეგიები განსხვავდება ქალებს და კაცებს შორის. თუ კაცების შემთხვევაში ხშირია ქალების შრომის გაუფასურება, ქალები აქტიურად უწევენ წინააღმდეგობას ამ ტენდენციას, როგორც პირისპირ საუბარში, ისე ინდივიდუალურ ინტერვიუებში წარმოსახულ საზოგადოებასთან დიალოგში, ეს უკანასკნელი თავის მხრივ კაცის პერსპექტივაა. კაცის პერსპექტივა არ წარმოადგენს ერთადერთი ნარატივის ხაზს, მეორე მნიშვნელოვანი ტენდენცია ეკონომიკური სიტუაციის ასახსნელად თავისუფალი ნების პარადიგმაა.

თავისუფალი ნება

თავისუფალი ნება სხვადასხვა ფორმით და განსხვავებულ საკითხთან მიმართებაში შემოდის რესპონდენტთა მონათხრობში. პირველი გავრცელებული თემა დასაქმების მდგომარეობის თავისუფალი ნებით ახსნაა. დაუსაქმებლობის პრობლემაზე რესპონდენტები ძირითადად სოფლებში მიუთითებენ. ყაზბეგსა და მესტიაში, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელში, ყველა მონაწილე იმეორებს, რომ დასაქმების პრობლემა არ არის და თუ ვინმეს მუშაობა არ ეზარება, აუცილებლად ექნება

შემოსავალი. იგივეს ამბობენ სამსახურთან დაკავშირებულ დროით და ემოციურ წნეხებზე. სამსახურის ან ახალი ბიზნესის დაწყება-გაფართოებაზე ისინი, ვისაც ანაზღაურებადი სამუშაო აქვთ, შემდეგ კომენტარებს გვთავაზობენ:

> „მოწადინებული ადამიანი, გააკეთებს ყველაფერს"
> „იმდენი სამსახურები გაჩნდა. თუ მუშაობა გინდა უმუშევარი არ დარჩები."
> ანალოგიურად დროის განაწილებაზე სამსახურში და სამსახურს გარეთ:
> „გათვლილი უნდა გქონდეს, და ნორმალურ ჩამოყალიბებულ ადამიანს. სტრესი არ მიაღებინო. ვიცი ჩემი დრო."

მეორე მხრივ, თუ ამ ადამიანების სამუშაო გრაფიკს შევხედავთ შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: როგორც სასტუმროებში (მენეჯერად, მზარეულად) დასაქმებული ქალები, ისე კაფეებში მიმტანები, ისინი 12-14 საათს ატარებენ. თუ სასტუმროში შეიძლება შუალედში რამდენიმე საათიანი შესვენება ჰქონდეთ, კაფეებში შეუსვენებლად მუშაობენ. ხელზე ასაღები ანაზღაურება დღიურად 15-25 ლარს შორის მერყეობს, და რაც ყველაზე მთავარია ფასიანი შვებულება ან თავისუფალი დღე კვირაში არცერთს აქვს, რაც შეეხება მუზეუმში ან სკოლაში დასაქმებულებს, ისინი დღეში 8 ან ნაკლებ საათს მუშაობენ, თუმცა ანაზღაურებაც ნაკლები აქვთ და უკმაყოფილო არიან სამუშაო საათების და ხელფასის სიმცირით. ისინიც კი ვინც 14 საათს ატარებენ სამსახურში ან ამგვარ გრაფიკში მუშაობის გამოცდილება აქვთ, ამბობენ, რომ კმაყოფილი არიან დამსაქმებლითაც, სამუშაოთიც და არც ემოციურ სტრესს არ იღებენ. თუმცა შემდგომ უფრო დეტალურად ჩაძიებისას, თუ რატომ დაანება მაგალითად ერთმა მათგანმა თავის მაღალშემოსავლიან სამსახურს სასტუმროში მცხობელად და პატარა კაფეში გადავიდა სამუშაოდ, ამბობს: „კი, აბა შეკვეთა არ დაგვიგვიანდეს, ძაან დიდი იყო მოსწრება და დროის სტრესი, რომ მოეწონოთ" .... „სხვაგან გინდა გასვლა და ვერ ახერხებ და ძალიან იღლები"... ერთი და იგივეს აკეთებ და ვერ ვითარდები და სტრესული და დამღლელია."

სხვა რესპონდენტი, ამბობს, რომ საღამოს შვილებთან სოციალიზაცია უნდა და ამიტომ გვიანობამდე არ წვება, ხოლო კითხვაზე რას შეცვლიდა ცხოვრებაში ჯერ ამბობს რომ „ვერ შევცვლიდი ვერაფერს, სფერო არის ისეთი" თუმცა შემდეგ ირკვევა რომ დროის და სახსრების უქონლობის გამო ვერ ახერხებს თავისი საოჯახო სასტუმრო გახსნას, რისი დიდი სურვილიც აქვს. ანალოგიურად კონფლიქტურია მონათხრობში შრომის საჭიროებას და შრომის პირობებით ანაზღაურების შეთავსება. თუ თავიდან ხშირად კმაყოფილებას გამოთქვამენ დამსაქმებლის თუ საკუთარი სამუშაოს შესახებ, შემდგომ ირკვევა რომ რეალურად არჩევანი ხშირად არც აქვთ, რაც რა თქმა უნდა არ გამორცხავს შრომით კმაყოფილებასაც, თუმცა ეს უკანასკნელიც არჩევანის ქონის შემთხვევაში სხვანაირად ესახებათ. მაგალითად, დაოჯახებული ქალები, რომლებიც ანაზღაურებად სამსახურში არიან დასაქმებული, ამბობენ, რომ ურჩევნიათ საკუთარი საოჯახო სასტუმრო ჰქონდეთ, ხოლო ქალებს, რომელიც არ არიან დაქორწინებული და მუზეუმში მუშაობენ,

ერთფეროვნებაზე ჩივიან და უფრო საინტერესო და მაღალანაზღაურებად სამსახურის სურვილი აქვთ. „ჩვენ მიჩვეულები ვართ ერთფეროვნებას. ერთფეროვნებას. სტაბილურად ვარ, სტაბილურობა არის ის რომ ვიცი აქ ვარ და ვარ. ზოგია რისკიანი. და უნდა გარისკო.“ მეორე ქალი ყაზბეგიდან ამბობს რომ სახლში ყოფნა უყვარს და ამიტომ მისთვის იდეალურია ეს სამსახური და არც არაფერს შეცვლიდა, უნივერსიტეტისთვის თავის დანებებასაც სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს: რაში გამომადგებოდა? თუმცა შემდეგ საუბრობს თუ როგორ შეზღუდა უმაღლესი განათლების არქონამ არა მხოლოდ მისი სამუშაო შესაძლებლობები, არამედ სოციალური სტატუსიც: „განათლება როცა გაქვს, ქმარიც სხვანაირად გექცევა.“

სწავლის სურვილს გამოთქვამს მეორე ახალგაზრდა ქალიც მესტიიდან, რომელსაც უნდა ენები ისწავლოს, მაგრამ ამის დრო და ფინანსური საშუალება არ აქვს დაბალანაზღაურებადი სამსახურის და ბავშვზე ზრუნვის პირობებში. ზოგადად, ოჯახი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განათლებისთვის ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენდა ყველა ქალისთვის.

თუ გენდერულ ურთიერთმიმართებაზე საუბრისას ესენციალისტური და დოგმატური ახსნები ჭარბობს, შრომასთან და დამსაქმებელთან მიმართებაში წამყვანია არგუმენტები, რომელიც თავისუფალი ნებაზე აპელირებით ხსნის ადამიანების დამოკიდებულებებს და შრომით პირობებს. ორივე შემთხვევაში ვხედავთ კონფლიქტებს ტექსტში. სამსახურით და დამსაქმებლით კმაყოფილებას და სხვებისგანაც იგივეს მოთხოვნას, უკან უდგას ეკონომიკური საჭიროება, იმთავითვე შეზღუდული დასაქმების და განათლების შესაძლებლობები და ბოლოს პირადი ფაქტორები, რომელიც პრობლემურს ხდის თავისუფალ არჩევანზე საუბარს.

5. დასკვნა

მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, კვლევის დასაწყისში დასმულ კითხვებს, რომ მივუბრუნდეთ, რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება:

i. ქალები როგორც ანაზღაურებადი ისე აუნაზღაურებადი შრომის უდიდეს ნაწილს ასრულებენ. რეპროდუქცია, საოჯახო საქმე, ზრუნვა შვილებსა და სხვა ოჯახის წევრებზე, მათ შორის ქმრის სიამოვნებაზე, ქალების უმთავრეს მოვალეობად ცხადდება. ისინი, ვინც მუშაობენ საოჯახო სასტუმროებში ანაზღაურებადი და აუნაზღაურებადი სამუშაო გამიჯნული არ აქვთ ერთმანეთისგან, მათი დღეებიც უფრო დატვირთულია და რეკრეაციის საშუალება ნაკლებად აქვთ. მაშინ როცა ის ქალები, ვინც სახლს გარეთ მუშაობენ უფრო მეტად ახერხებენ საკუთარი დროის დაყოფას სამუშაოდ, სახლის საქმედ და დასვენებად. რეკრეაციულ აქტივობებშიც უფრო მეტად ერთვებიან. ზოგადად დროის დეფიციტი თან სდევს ქალების ცხოვრებას, რაც მათ უზღუდავთ განათლების და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს. ამ ყველაფრის მიმართ მორჩილებისკენ მოუწოდებთ დომინანტური დისკურსი, რომელიც ძირითადად კაცის ხმით ჟღერდება, თუმცა მათ წარმოსახვაში სულ ჩნდებოდა ინტერვიუებში წარმოსახული აუდიტორიის სახით. მიუხედავად ამისა, ქალები განსხვავებულ პერსპექტივას აჟღერებენ და საკუთარი თავის და სიამოვნებისთვის დროს შეძლებისდაგვარად „იპარავენ.“ თეორიულ დონეზე კი აქტიურ დისკუსიაში შედიან როგორც პირადად კაცებთან, ისე დომინანტურ ნარატივებთან.

ii. სივრცის საოჯახო და საჯაროდ დაყოფა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქალების დაქვემდებარების თვალსაზრისით. კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები იმდენად კარგად არის შერწყმული ამ შემთხვევაში, რომ ძალიან ძნელია გამოვაცალკევოთ და განსხვავებული საწყისები ვიპოვოთ. საკუთრების უფლება ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი პარამეტრია, საკუთრების მემკვიდრეობით კაცებზე გადაცემა ქალებს უქვემდებარებს, როგორც დამსაქმებელს ისე მამაკაცად გენდერიზებულ სუბიექტებს სახლში. ამ მხრივ პარადოქსულია, რომ სახლის სივრცეში ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ძირითადად ქალს ეკისრება, მაშინაც კი როცა ისინი ანაზღაურებადია, მაგრამ მის საკუთრებად არაფერი მოიაზრება. საოჯახო სივრცესთან ქალების ასოცირება ერთგვარი ისტორიულ-ტრადიციული ნარატივით იხსნება, რომელიც თავის თავთან წინააღმდეგობაშია და არანაირ ისტორიულ რეალობას რესპონდენტების მონათხრობში არ მიემართება, რაც საშუალებას მაძლევს დავასკვნა, რომ ის უფრო მოგვიანებით ანაზღაურებადი სამუშაოების 2000-იანებში გაჩენის პერიოდში შექმნილი დომინანტური დისკურსის გამოვლინებაა. საოჯახო სფეროსთან

ასოციაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალების მიერ საკუთარ შემოსავალზე კონტროლის თვალსაზრისითაც. საკუთარ საოჯახო სასტუმროებში დასაქმებულ ქალებს, მიუხედავად უფრო მაღალი ანაზღაურებისა, გადაწყვეტილების მიღების ნაკლები შესაძლებლობები აქვთ ვიდრე სახლს გარეთ დასაქმებულ ქალებს. ის ასევე კავშირშია შრომის აღქმასთან ქალების და სოციუმის მიერ.

iii. სოციუმის მიერ ქალების აღქმა ჩემს კვლევაში ძნელად მოსახელთებელი და გასამიჯნია ქალების მიერ მათ სოციალურ „მე“-სთან მიმართებაში. თუმცა კვლევის ფარგლებში მეტ-ნაკლებად საშუალება მქონდა დავკვირდებოდი და გამომეკითხა რესპონდენტები ქალების შრომაში ჩართულობასთან დაკავშირებით, რაც მესტიასა და ყაზბეგზე განზოგადებადია, უფრო გლობალურ კონტექსტში კი ქალის მიერ შესრულებული შრომის მიმართ საზოგადოების ნარატივს ეხმიანება. სახლში შესრულებული შრომა, როგორც ანაზღაურებადი ისე აუნაზღაურებადი, აღნიშნულ ორ თემში ნაკლებად ფასდება როგორც საქმედ და სამსახურად. მაშინაც კი, როცა საოჯახო სასტუმროში დასაქმებული ქალის შრომა ერთადერთი შემოსავლის წყაროა ოჯახისთვის, ის ქალის „ბუნებრივ“ სფეროდ, აუნაზღაურებელი შრომის გაგრძელებად მოიაზრება. აუნაზღაურებადი შრომის უგულებელყოფა კაცების მიერ ძალიან ხშირია, სახლს გარეთ დასაქმებული ქალების მხრიდან კი საოჯახო საქმესთან შინაარსობრივი და სივრცობრივი გაიგივების გამო, უფრო ადვილ და სასურველ საქმედ ითვლება. სახლს გარეთ ანაზღაურებად საქმეში დასაქმება კი ნამდვილ სამსახურად ითვლება, რომელიც ტრადიციასთან და ბუნებრივ გენდერულ წესრიგთან დაპირისპირებულ ფენომენად მოიაზრება, თუმცა მეტ ან ნაკლებ პრესტიჟთან და შესაბამის სოციალურ სტატუსთან ასოცირდება სამსახურის მიხედვით. საოჯახო სფეროსთან ასოცირებული დაბალანაზღაურებადი სამსახურები ნაკლებ სასურველია ქალებისთვის, ვიდრე გამგეობაში მუშაობა, რაც არა მხოლოდ საზოგადო არამედ პოლიტიკურ აქტიურობადაც მოიაზრება.

iv. ქალებისთვის პოზიტიური თვითაღქმა დაკავშირებულია როგორც საოჯახო საქმის და შესაბამისად საზოგადოების მოლოდინის, რომ იქნებიან კარგი დედები და დიასახლისები, შესრულებასთან, ისე ანაზღაურებადი სამსახურის ქონასთან. საშინაო და ზრუნვის შრომა უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია ამისთვის, თუმცა სახლს გარეთ დასაქმება ასოცირდება „თვითრეალიზაციასთან,“ სოციალიზაციასთან და „ჩაკეტილობისთვის“ თავის დაღწევასთან. მიუხედავად ამისა, განათლების და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოტივაცია აბსოლუტურად ყველა ქალის შემთხვევაში ცხოვრების რაღაც ეტაპზე ეწირება ოჯახის და შვილის ყოლის ინტერესს. ამ უკანასკნელისგან ქალები საკუთარ ინტერესს არ აცალკევებენ, თუმცა იმედგაცრუებები, კონფლიქტები ტექსტში, ქორწინების მიმართ ცვალებადი დამოკიდებულებები და ქალების მხრიდან კაცების დადანაშაულება მიგვითითებს იმ არაერთგვაროვან და წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაზე რაც ქალებს ოჯახის მიმართ აქვთ. დასაქმების შემთხვევაში,

> განსაკუთრებით როცა ქმრები უმუშევარი არიან, ქალების მიერ გენდერული როლის კვლავწარმოების კონფლიქტურობაზე მიუთითებს. ერთადერთი რაზეც ქალების და საზოგადოების მოლოდინები და განწყობები დიდწილად უკონფლიქტოდ თანხმდება ქალის სექსუალობის წარმოებაა, რომელიც მკაცრად ემორჩილება სექსუალობის კონტროლის ორმაგ სტანდარტს ქალბის და კაცების მიმართ. ამ შემთხვევაში ესენციალისტური ახსნები ჭარბობს, თუმცა საკუთარი თავის განსხვავებულ კულტურად წარმოჩენა ცენტრებთან მიმართებაში, გარკვეულ სპეციფიკას სძენს ამ რეგიონებში სექსუალობის წარმოებას.

გარდა ძირითადი მიგნებებისა, კვლევაში ასევე მრავალი პრობლემა გამოვლინდა, რომელთაგან სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობაზე გავამახვილებდი ყურადღებას. ის პროექტები, რომლების თემის ეკონომიკურ გაძლიერებას და განათლებას უნდა ემსახურებოდეს, ორივე დაბაში გენდერულ სენზიტიურობას მოკლებულია, რაც რესპონდენტების ნარატივებში ძალიან ექსპლიციტურად იკითხება. ახალი ცოდნის და უნარების შეძენის შეზღუდვა არა მხოლოდ ეკონომიკური საჭირობებით, კულტურის და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთქმედების შედეგია. ეკონომიკური ტრანზიცია საოჯახო-აგრარული მეურნეობიდან მომსახურების სფეროზე, ურბანიზაცია და პოლიტ-ეკონომიკურ ცენტრებთან მიმართება არა მხოლოდ ჩემ მიერ განხილული ორი დაბის მაგალითზე, ზოგადად საქართველოს ყველა რეგიონში მეტ-ნაკლები სიმწვავით დგას დღის წესრიგში. ეს პროცესი მკვეთრად გენდერიზებულია და სხვადასხვაგვარ რთულ ურთიერთქმედებაშია ქალებად და კაცებად მონიშნულ სუბიექტებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია ფემინისტურ დღის წესრიგში იმ მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინება, რომელშიც გენდერიზებული სუბიექტების წარმოება ხდება. თუ ერთი შეხედვით ქალების მასიური დასაქმება შეიძლება უპირობოდ დადებით მოვლენად მოგვეჩვენოს ქალების ემანსიპაციისთვის, ეს კვლევა დასტურია იმის, რომ თუნდაც მაღალი შემოსავლის ქონაც კი არ არის ქალების დაქვემდებარებისგან დახსნის გზა. თუ როგორი უნდა იყოს ფემინისტური სტრატეგიები ამ კვლევაში არ არის მოცემული, ბუნებრივია ვერც იარსებებს ერთი ფორმულა ან ერთი გამოსავალი, თუმცა ცხადია, რომ კულტურული აღიარების და ეკონომიკური გადანაწილების პრობლემები იმდენად გადაჯაჭვულია, რომ ეფექტური ფემინისტური პოლიტიკაც მხოლოდ ორივე კომპონენტის გათვალისწინებით არის შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია

1. Barrett, M., & McIntosh, M. (2015). The anti-social family. London: Verso.
2. Butler, J. (1988). Performative Acts and Gender Constitution: An Essay in Phenomenology and Feminist Theory. *Theatre Journal,40*(4), 519. doi:10.2307/3207893
3. Cooper M. (2017) Family Values: Between Neoliberalism and New Social Concervatism. New-York: Zone Books
4. Fraser N. (1997) Justice Interruptus, მოძიებულია 9 ივნისს, 2017 http://ethicalpolitics.org/blackwood/fraser.htm
5. Folbre, N. (1994). Who pays for the kids?: gender and the structures of constraint. London: Routledge.
6. Foucault, M. (1981). *The history of sexuality*. Harmondsworth: Penguin/Pelican.
7. Gorz, A. (2010). Critique of economic reason. London: Verso.
8. Hartmann, H. (1976).Capitalism, patriarchy, and job segregation by sex. Signs, 1(3), 137-169.
9. Hartmann, H. (1979). The unhappy marriage of marxism and feminism: Towards a more progressive union. Capital & Class, 8, 1-33.
10. Hennessy, R. (2013). Materialist feminism and the politics of discourse. London: Routledge.Scheper-Hughes, N. (2004). Parts unknown: Undercover ethnography of the organs-trafficking underworld. Ethnography,5(1), 29-73. doi:10.1177/1466138104041588
11. Hochschild, A. R. (2002). The time bind when work becomes home and home becomes work. Enskede: TPB.

12. Khitarishvili, T. (2009) Explaining the Gender Wage Gap in Georgia, Levy Economics Institute, Working Paper No. 577. Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=1476900 or http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1476900
13. Mahmood, S. (2012). Politics of piety: the islamic revival and the feminist subject. Princeton: Princeton University Press.
14. Norman Blaikie. 2004. Designing Social Research. 4th edition. Blackwell Publishing Ltd
15. Phillips, A. (1987). Feminism and equality. New York: New York University Press.
16. Standing, G. (2016). The precariat: the new dangerous class. London: Bloomsbury Academic, an imprint of Bloomsbury Publishing Plc.
17. Taylor G. and Pereznieto P. (2014) Review of evaluation approaches and methods used by interventions on women and girls' economic empowerment.
18. Wright, E. O., Gornick, J. C., & Meyers, M. (2009). Gender equality: transforming family divisions of labour. London: Verso.
19. USAID (2016) კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ადგილობრივ დონეზე კლიმატის დაცვის საერთაშორისო გამოცდილება, მოძიებულია 1 ივლისს, 2017 http://nala.ge/uploads/gori.pdf
20. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2014), ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, თბილისი
21. საქართველოს პარლამენტი (2006) ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მოძიებულია 1 ივნისს, 2017 https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422
22. საქართველოს პარლამენტი (2010) გენდერული თანასწორობის შესახებ. მოძიებულია 1 ივნისს, 2017 https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624
23. საქართველოს პარლამენტი (2014) საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მოძიებულია 1 ივნისს, 2017

http://www.ombudsman.ge/ge/about-us/kanoni/he-law-of-georgia-on-the-elimination-of-all-forms-of-discrimination.page

24. საქართველოს მთავრობა (2013) საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020
25. საქართველოს მთავრობა (2013) 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (დანართი #1)
26. საია (2014) სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით, თბილისი
27. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (2013) "საზოგადოებრივი დამოკიდებულებების კვლევა გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში". თბილისი
28. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2016) დასაქმება და უმუშევრობა 2015 წელი (წლიური), მოძიებულია 1 ივნისს, 2017 http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202015%20pres-relizi.pdf

დანართი #1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Women in Unpaid and Paid Labour

Maia Tabidze

Gender Studies

MA thesis is prepared with the purpose of obtaining Master's Degree in Gender Studies

Supervisor: Maia Barkaia,

Doctor of Gender Studies

Invited lecturer of TSU Gender studies Institute

Tbilisi, 2017

დანართი #2

Annotation

Women in Unpaid and Paid Labour

Maia Tabidze

The main objective of the research is to study social and cultural aspects of relationship between unpaid and paid labour and recreation of women from feminist perspective. The data was gathered using anthropological research methods: primarily in-depth interviews and observation, in two mountainous settlements of Georgia - Kazbegi and Mestia. The discourse analysis of the data suggests that cultural and economic factors are entwined and inseparable when understanding gender subordination. By comparing women working in their own guesthouses and women and men occupied in service sector, we can see that the place where the work is conducted and association of the work with traditional female occupation plays crucial role in recognizing the activities as work.

The work of women in their own family guesthouses is not considered and recognized as "real job", which means that these women have to struggle for getting more leisure time and for participating in decision-making about their income. On the other hand, the work done by women outside of the house brings them recognition of their work as labour and more independence from their families to distribute their own money. However, the latter is on average almost 10 times less paid than the first one. Association of women`s work with private sphere is the factor explaining this relationship. Despite the fact, that this relationship is seen as historically and naturally determined by respondents is highly controversial and reveals number of conflicts in the verbal accounts of participants of the study. The perspective of

women and men differs and so does self-perception of women and perception of women by society. There is a easily identifiable dominant narrative that women are trying to articulate, however, when imaginary society "enters" the dialogue as a dominant discourse about the proper traditional role of a woman, the respondents protest, hide, agree - briefly, engage in complex relationship with the narrative.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ტაკიძე

ნორმალურობის კოდექსი: ფემინურობის და მასკულინობის მოდელები ქართულ სარეკლამო სივრცეში

გენდერის კვლევა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია გენდერის კვლევის
სამაგისტრო ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სალომე ცოფურაშვილი,დოქტორი გენდერულ
კვლევებში; თსუ გენდერის კვლევების ინსტიტუტის მოწვეული
ლექტორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

გავხადოთ ხილვადი, რაც არის უხილავი. სარეკლამო სფერო ერთი შეხედვით ძალიან საინტერესო, თუმცა კომპლექსური ინდუსტრიაა. პატარა სიუჟეტებით ის ერთდროულად ასახავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და ამავდროულად გავლენა აქვს საზოგადოებაზე, ადამიანის ქცევაზე, სოციალურ როლებსა და სტერეოტიპებზე. სწორედ გენდერია ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რასაც რეკლამის სპეციალისტები ყურადღებას აქცევენ სარეკლამო კამპანიების შექმნისას. ჩვენს რეალობაში კი ნაკლებად არის ნაშრომები და კვლევები, რომლებიც გააანალიზებდა სარეკლამო სფეროს გენდერის კატეგორიის მიხედვით. ანუ უხილავი რჩება ის მესიჯები, რასაც ქართული სატელევიზიო რეკლამები ატარებენ.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში ჩვენ გამოვიყენებთ რეკლამას, როგორც მედიუმს, ერთგვარ „სარკეს“ და შევეცდებით ის უხილავი დეტალები, გავხადოთ ხილვადი, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელია გენდერული ნორმების მხრივ. გვსურს რეკლამაში გატარებული იდეების მიხედვით წარმოვაჩინოთ ის სოციალური თუ კულტურული გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელიც უზრუნველყოფს ჩვენთვის, როგორც ამ საზოგადოების წევრებისთვის მთელი რიგი ფასეულობებისა თუ სტერეოტიპების სისტემებს ჩვენს გენდერულ როლებთან დაკავშირებით.

სარჩევი

შესავალი 4

თავი 1. თემატური კვლევები და ნაშრომები 5

თავი 2. ძირითადი ტერმინები 8

თავი 3. მეთოდოლოგია 10

თავი 4. ლიტერატურის მიმოხილვა 13

1. რეკლამის კულტურა 13
2. რეკლამას დიდი გავლენა აქვს ჩვენზე... 16
3. რეკლამა, გენდერი & სტერეოტიპები 18
4. ქართული რეალობა & კანონმდებლობა 24

თავი 5. კვლევის ანალიზი 26

1. მთავარი პერსონაჟი 27
2. როლი/სფერო/სტატუსი 31
3. ოჯახი/ბავშვები: როგორ არის როლები გადანაწილებული 34
4. რეკლამაში ქალების და კაცების თანაფარდობა (ვიზუალი) 35
5. პროდუქტი, რომლის რეკლამირებაც ხდება 37
6. ხმების თანაფარდობა 38
7. მოქმედების ადგილი (კერძო სფერო/ საჯარო სფერო) 39
8. სხვა კატეგორია: 40

თავი 6. ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები: 43

დასკვნა 45

გამოყენებული ლიტერატურა: 48

შესავალი

„ბავშვობიდანვე გოგონები დამძიმებულნი არიან აკრძალვებით, ბიჭები მოთხოვნებით, ორი ერთნაირად მავნე დისციპლინა“ -წერს მეოცე საუკუნეში მოღვაწე ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, სიმონ დე ბოვუარი. სქესის მიხედვით განცალკევებულ აკრძალვებსა თუ მოთხოვნებს ბავშვებს საზოგადოება, მშობლები, ნათესავები, მასწავლებლები თუ მედია მიუთითებს. ამ მითითებების მიხედვით ბავშვები სოციალიზაციის პროცესში „ბუნებრივად“ ირგებენ გენდერულ როლებს; ირგებენ როლებს, რომლებიც მათთვის თითქოს ნორმალური და შესაფერისია: დაწყებული იქედან, თუ რომელი ფერის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვას გოგომ თუ ბიჭმა, სკოლაში რა საგნები ისწავლონ უფრო კარგად, შემდეგ სპორტის რომელ სახეობაზე იარონ ან რომელი პროფესია აირჩიონ. არჩევანი ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ილუზიაა, რადგანაც მთავარი გადაწყვეტილებები უკვე მიღებულია, ოღონდ მათ გარეშე. სწორედ ასე იზრდებიან ბავშვები და აგრძელებენ „ნორმალურობის“ იმ გზას, რაც თავიდანვე განუსაზღვრეს.

მედია, კონკრეტულად კი სარეკლამო სფერო - ერთი შეხედვით მარტივი და საინტერესო ინდუსტრიაა. აღნიშნულ ინდუსტრიას ძალიან დიდი ძალა და გავლენა აქვს საზოგადოებაზე, ადამიანების ქცევაზე, სოციალურ როლებსა და გენდერულ სტერეოტიპებზე. ჯულია ვუდის თანახმად, სწორედ მედია არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ძლიერი ინსტიტუტი, რომელსაც აქვს გალენა იმ ფაქტზე, თუ როგორ/სად დავინახავთ ქალს და კაცს. ამგვარად მედია გვინერგავს გარკვეულ მესიჯებს გონებაში, გვაცნობს რა, იმიჯებს სქესის შესახებ, რომელთაგან უმეტესობა არარეალურ, სტერეოტიპულ და შეზღუდულ წარმოდგენებს უკვდავყოფს. მედია აგრძელებს რა ქალების და კაცების წარმოჩენას სტერეოტიპული გზებით, ზღუდავს ჩვენს აღქმებს ადამიანების შესაძლებლობების შესახებ (ვუდი, 1994).

თემატურად საინტერესოა კულტივაციის თეორია, რადგანაც ის სწავლობს ტელევიზიის გრძელვადიან გავლენას ადამიანებზე. მოცემული სოციალური თეორიის თანახმად, ადამიანი რაც უფრო მეტ დროს ატარებს ტელევიზორთან,

მით უფრო იჯერებს იმ რეალობას, იმ სოციალურ გარემოს, რომელსაც გადმოცემენ ტელევიზიით. კულტივაციის თეორიის პერსპექტივიდან, ადამიანებში არის ტენდენცია, რომ მედიით წარმოდგენილი სტერეოტიპები დაუკავშირონ მათი რეალობის კონცეფციას. ეს უბიძგებს ადამიანებს შეიცვალონ უკვე არსებული რეალობის საკუთარი კონცეფციები, რათა ის მიესადაგოს მედიით წარმოდგენილ იმიჯებს; რასაც თავის მხრივ, გავლენა აქვს მათ ქცევაზე (პიკლესიმერ, 2010).

ნაშრომის ფარგლებში სწორედ მედიის ერთ-ერთ ფორმას -რეკლამას ვიკვლევთ გენდერის კატეგორიის მიხედვით. კონკრეტულად კი, ჩვენ გვაინტერესებს თუ რას გვიყვებიან ქართული სატელევიზიო რეკლამები ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული როლების შესახებ, იმის შესახებ თუ როლების როგორი გადანაწილები ითვლება ნორმალურად ჩვენთვის, როგორც ამ საზოგადოების წევრებისთვის, რა ღირებულებები შესაძლოა დაგვრჩეს მოცემული რეკლამების მიერ შექმნილი სამყაროდან.

სანამ კონკრეტულად მოცემულ თემასთან დაკავშირებით არსებულ ლიტერატურას განვიხილავთ, ვფიქრობ, ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია ჩვენს რეალობაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებული რამდენიმე კვლევა და ნაშრომი მიმოვიხილოთ და ასევე რამდენიმე ტერმინი თავიდანვე განვმარტოთ.

თავი 1. თემატური კვლევები და ნაშრომები

მოცემულ თემასთან დაკავშირებით ჩვენს რეალობაში ჩატარებულ კვლევებსა თუ ნაშრომებს რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს რომ ძირითადად ნაკვლევია გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში, გასართობ თოქ-შოუებში, ასევე ვხვდებით ნაშრომებს სათაურებით: „ქალთა საკითხების გაშუქება სატელევიზიო არაპოლიტიკურ გადაცემებში“ და „ძალადობის ფაქტების გაშუქება სამაუწყებლო მედიაში.“ აღნიშნული კვლევები თარიღდება ძირითადად 2011-2014 წლებით. მოცემული ნაშრომებიდან თუ კვლევებიდან შემდეგი დასკვნების გამოტანა ხდება:

1. ქეთევან მსხილაძის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა თემაზე „გენდერული სტერეოტიპები მედიაში“ აჩვენა, რომ ქართულ მედიაში სტერეოტიპული აზროვნება და მიდგომები ჭარბობს. ქალებსა და ქალთა საკითხებზე მომზადებული ჟურნალისტური მასალების უმეტესობა გენდერულ სტერეოტიპებს არა თუ ამცირებს, არამედ პირიქით, აძლიერებს. ჟურნალისტები არ არიან გათვიცნობიერებული გენდერის საკითხებში და შესაბამისად, გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებენ, რაც ხელს უწყობს ამ სტერეოტიპების გამყარებას (მსხილაძე, 2011).
2. 2012 წელს ქეთევან მსხილაძემ განმეორებითი მონიტორინგი ჩაატარა თემაზე „ გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში“. კვლევის მეორე ეტაპის მონიტორინგმა აჩვენა, რომ თუმცა იყო ორიოდე მაგალითი, რომლებიც გაშუქების უმნიშვნელო გაუმჯობესებად შეიძლება ჩათვლილიყო, მაგრამ ისინი ზოგად ტენდენციას ვერ ცვლიდა; შესაბამისად ავტორის დასკვნა მდგომარეობდა იმაში, რომ გენდერული საკითხების გაშუქებისადმი მედიის მიდგომა თვისობრივად არ იყო გაუმჯობესებული: „დადებითი გაშუქების ეს მაგალთები ჯერ-ჯერობით იმ გამონაკლისებად (ან შემთხვევითობად) შეიძლება მივიჩნიოთ, რომლებიც წესს არ განსაზღვრავს“(მსხილაძე, 2012).
3. შემდეგ თემაზე ნაშრომი „გენდერული სტერეოტიპები გასართობ თოქ-შოუებში“(„ნანუკას შოუ“;“პროფილი“) უკვე სტუდენტებს ეკუთვნის. კვლევის შედეგების მიხედვით იკვეთება, რომ აღნიშნული სატელევიზიო თოქ-შოუების წამყვანები, არაცნობიერად ხელს უწყობდნენ გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას. ისინი საუბარში იყენებენ სექსისტურ გამონათქვამებს, რაც წარმოადგენს გარკვეულ დისკრიმინაციას რომელიმე სქესის ადამიანების მიმართ (ფერაძე, 2012-13).
4. შემდეგი კვლევის სათაურია „ქალთა საკითხების გაშუქება სატელევიზიო არაპოლიტიკურ გადაცემებში“. მოცემული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქართულ სატელევიზიო გასართობ-შემეცნებით გადაცემებში ქალ რესპონდენტთა რიცხვი ჩამორჩება კაც რეპონდენტთა რიცხვს, თუმცა რაც

შეეხება ქალების, როგორც ექსპერტების სტატუსს ამ გადაცემებში, პროცენტული მაჩვენებელი არც თუ ისე დაბალი იყო და შეადგენდა 62%-ს. ქალის მიმართ დამკვიდრებულ სტერეოტიპული გამონათქვამები კი გამოვლინდა გადაცემათა 56%-ში (ქაფიანიძე, 2012).

5. „ძალადობის ფაქტების გაშუქება სამაუწყებლო მედიაში“ -ასევე სტუდენტის, თამარ გაგნიაშვილის ნაშრომია. როგორც ნაშრომის ავტორი აღნიშნავს, მონიტორინგის შედეგად შემდეგი სახის დარღვევებია გამოვლენილი: ყველა რეპორტაჟი შეიცავს ცნობებს საცხოვრებელი ადგილის შესახებ, არ არის დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, დეტალურად არის აღწერილი ძალადობის პროცესი. რეპორტაჟები მოიცავს ძალადობის ადგილისა და ძალადობის იარაღის ამსახველ კადრებს, „ყველა რეპორტაჟი განთავსებულია წყალგამყოფი ხაზის დარღვევით და არ არის დაცული არასრულწლოვანთა დაცვის წესები. რამდენიმე რეპორტაჟში წარმოდგენილია რესპონდენტის ჩანაწერი, რომელიც ამართლებს მოძალადეს და არ ხდება არც ბალანსის დაცვა და არც ფაქტის, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქმედების წარმოჩენა“(გაგნიაშვილი, 2014).

რაც შეეხება ნაშრომებს, სადაც რეკლამების ანალიზი ხდება გენდერის კატეგორიის მიხედვით, უფრო ნაკლებად გვხვდება. ამ მხრივ საინტერესოა ახალგზარდა მკვლევართა ჟურნალში მოცემული თამარ ნარინდოშვილის სტატია „გენდერული სტერეოტიპები ქართულ სატელევიზიო რეკლამებში“ და ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის -დავით ფარულავას ნაშრომი „ქართულ ტელეარხებზე წარმოდგენილი სატელევიზიო რეკლამები გენდერულ ჭრილში“. ორივე ნაშრომი 2014 წლით თარიღდება და ნაშრომების დასკვნაც მსგავსია: „ქალთა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება რეკლამებში მართლაც, რომ ძლიერია და ეს რეკლამაში ნათლად არის ასახული“(ფარულავა,2014). ორივე ნაშრომში შესწავლილია არა მხოლოდ ქართული რეკლამები, არამედ მათთვის საინტერესო საკვლევი პერიოდის განმავლობაში გასული ყველა რეკლამა. სწორედ ეს ფაქტორი იქნება ჩვენი

კვლევისთვის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი, ასევე განსხვავებული იქნება კოდირების სისტემაც და ნაწილობრივ სატელევიზიო არხებიც, სადაც გასული ქართული რეკლამების ანალიზი მოხდება.

თავი 2. ძირითადი ტერმინები

ტერმინები, რომელთა განმარტებებსაც მოცემულ ქვეთავში შემოგთავაზებთ პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება იმ საკითხებსა და პრობლემებს, რომლებიც ნაშრომში იქნება განხილული.

პატრიარქატი.პატრიარქალური საზოგადოება - სოციალური მეცნიერებების ლექსიკონ ცნობარში მოცემული ტერმინი განმარტებულია, როგორც საზოგადოებრივი ურთერთობების ტიპი, რომელიც ემყარება მამაკაცთა ბატონობას და ქალების დამორჩილებულ მდგომარეობას. ტერმინი აღნიშნავს მამაკაცის დომინანტურობას როგორც კერძო, ასევე საჯარო სფეროში. პატრიარქატი არის სისტემა, რომელშიც მამაკაცურობა პრივილეგირებულია და მამას უპირობო ძალაუფლება და ავტორიტეტი აქვს. მაგალითად, ოჯახში მამაკაცი-პატრიარქი აკონტროლებს ქალის სექსუალობას, შრომას, წარმოებას, რეპროდუქციას და გადაადგილებას. პატრიარქატისთვის დამახასიათებელია ღირებულებითი და ძალაუფლებრივი იერარქიები, რომლებშიც მამაკაცი დომინირებს. ეს ვლინდება სხვადსხვა ფორმით: ქალს ენიჭება ნაკლები ღირებულება, ის კონტროლის, ექსპლუატაციისა და ძალადობის ობიექტია(https://goo.gl/YBmvjs).

კერძო სფერო/საჯარო სფერო - საზოგადოსა და პირადს შორის არსებული დიქოტომია ფემინისტური თეორიისა და პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, ვკითხულობთ სოციალური მეცნიერებების ლექსიკონ-ცნობარში: „დიქოტომია გულისხმობს სოციალური ურთიერთობების ორი სფეროს -ერთი მხრივ, საჯარო, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და, მეორე მხრივ, ოჯახური,

პირადი ურთიერთბების სფეროების -ერთმანეთისგან მოწყვეტას და ერთმანეთთან დაპირისპირებას.“ ძირითადად კერძო სფერო განსაზღვრულია ქალის მოქმედების სფეროდ, ხოლო საჯარო სფერო -კაცის (https://goo.gl/HJas9n).

გენდერული როლები - გენდერული როლები სხვადასხვა კულტურის მიერ განპირობებულ ქცევებს გულისხმობს, რომლებიც მასკულინურად ან ფემინურად არის მიჩნეული. სოციალური მეცნიერებების ლექსიკონ-ცნობარში ვკითხულობთ: „მნიშვნელოვანია, რომ გენდერული როლებისთვის დამახასიათებელია იერარქიულობა. ის როლები, რომლებიც სტერეოტიპულად ქალის მახასიათებელად აღიქმება, გაუფასურებულია, ხოლო მამაკაცისა -დაფასებული.“ მაგალითად გენდერული როლების ამგვარი დაყოფის შედეგია: მამაკაცები ჭკვიანები არიან, ქალებს კი ნაკლები ინტელექტუალური შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ; მამაკაცი ძლიერია, ქალი -სუსტი და ასხვა.“

ფემინისტ მკვლევრების აზრით, ასეთი რწმენები ხელს უწყობს პატრიარქალურ სისტემაში ქალის ჩაგვრას და მის მეორეხარისხოვან არსებად წარმოჩენას. გენდერული როლების ინტერნალიზებას ხელს უწყობს ყველა ინსტიტუტი, რომელთან შეხებაც პიროვნებას ცხოვრების განამავლობაში უწევს: ოჯახი, საბავშვო ბაღი, სასწავლო დაწესებულებები, სამუშო ადგილი და მედია. (https://goo.gl/qQ91Mj)

ფემინურობა/მასკულინობა -გენდერული როლები თუ ურთიერთობები, თუ რა არის მისაღები კაცებისთვის ან ქალებისთვის სხვადასხვა საზოგადოებაში. მასკულინობა (ანუ მამაკაცურობა) იმ თვისებათა ნაკრებს გულისხმობს, რომელიც კონკრეტულად კაცებისთვის დამახასიათებლად მიიჩნევა; მისი შესატყვისია ქალებისთვის -ფემინურობა (ქალურობა). ფემინისტი თეორეტიკოსები მიუთითებენ, რომ „მასკულინობის (ისევე, როგორც ფემინურობის) გაგება, კულტურულად და ისტორიულად რელატიურია და, შესაბამისად, არ არის განსაზღვრული სქესთა ბიოლოგიური თავისებურებებით“ (https://goo.gl/YUP6cv).

ობიექტივიზაცია -სექსუალური ობიექტივიზაცია გულისხმობს პროცესს, როდესაც ქალის სხეული ან სხეულის ნაწილები მისგან, როგორც პიროვნებისგან

განცალკევებულია, გამოყოფილია. ამ დროს სხეულის სხვადასხვა ნაწილი სექსუალური კონტექსტით არის წარმოჩენილი. არ ჩანს თავი, ხოლო ფოკუსირება სხეულის ნაწილებზე იწვევს ჰუმანურობის დაკარგვას ინდივიდებში და მათ ობიექტებად ქცევას. ობიექტივიზაცია არის ერთ-ერთი ყველაზე დამამცირებელი პროცესი ქალებისთვის.(სზიმანსკი & მოფიტი & კარი, 2011)

სექსიზმი - კუდ/ჯოუნსის თანახმად, სექსიზმი საკამოდ კომპლექსური ცნებაა. „თუკი შესაძლებლობების განაწილებასთან ქალს სისტემატურად არ აქვს წვდომა, მაშინ როდესაც კაცს აქვს.“ ფართო მნიშვნელობით კი, ის შეიძლება გულისხმობდეს ნებისმიერ რაღაცას, რაც ქმნის, აყალიბებს, ხელს უწყობს, მხარს უჭერს სქესთა შორის გაუმართლებელ გარჩევას. (https://goo.gl/ZjAc7N)

როგორც სოციალური მეცნიერებების ლექსიკონ-ცნობარში ვკითხულობთ, ეს ტერმინი მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დამკვიდრდა იმ სისტემური და სტრუქტურული თავისებურებების აღსანიშნად, რომელიც საფუძვლად უდევს მამაკაცების მიერ ქალების ჩაგვრას. უფრო ვიწრო მნიშვნელობით კი „სექსიზმი“ ნიშნავს ადამიანის დისკრიმინაციას ან მის წინასწარგანწყობით შეფასებას მისი სქესის/გენდერის საფუძველზე. (https://goo.gl/ZjAc7N)

გენდერული დისპლეი -ირვინგ გოფმანს თავის ნაშრომებში ხშირად აქვს განხილული გენდერული დისპლეის ფენომენი. ურთიერთქმედების პროცესში ადამიანები მიიჩნევენ, რომ ადამიანთა ბუნება, არის, გამოიხატება რაღაც ნიშნების, ანუ „ფორმალური კონვენციური აქტების“ გზით. ქალურობა და მამაკაცურობა პირველივე შეხედვით ჩანს ნებისმიერ სოციალურ სიტუაციაში და ინდივიდის ძირითად მახასიათებლად აღიქმება. „თუ გენდერი არის სქესის კულტურულია კორელატი, მაშინ გენდერული დისპლეი ამ კორელატების კონვენციური გამოხატვაა“ -ამბობს ჰოფმანი.

თავი 3. მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევის მიზანია გავიგოთ, თუ რა გენდერულ როლებს და შესაბამისად ნორმებს ქმნის ქალებისთვის და კაცებისთვის სარეკლამო სფერო, რას ნიშნავს და

როგორ იქმნება „ნორმალურობის კოდექსი“ გენდერული როლების გამოყენებით ქართულ სარეკლამო სივრცეში, კონკრეტულად კი სატელევიზიო რეკლამებში. მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს კონკრეტულად ქართული რეკლამები. რაც შეეხება საკვლევ კითხვებს, ისინი შემდგომში მდგომარეობს:

- რა გენდერულ როლებს და შესაბამისად ნორმებს ქმნის ქალებისთვის და კაცებისთვის სარეკლამო სფერო?
- როგორ იქმნება „ნორმალურობის კოდექსი“ ზემოთ აღნიშნული გენდერული როლების გამოყენებით? (როდესაც საქმე ეხება გენდერეული როლების გადანაწილებას, როგორ სურათს ვღებულობთ; როლების როგორი გადანაწილებაა „ნორმალური“ ჩვენთვის?)
- რა ფაქტორები განსზღვრავს ჩვენთან მასკულინობასა და ფემინურობას?
- რეკლამები ხელს უწყობს სტერეოტიპების წახალისებას თუ მათ წინააღმდეგ მუშაობს?

ირვინ გოფმანის თანახმად, იმისთვის რომ გავხადოთ ხილვადი ის, რაც არის უხილავი, ჩვენი კულტურა უნდა შევისწავლოთ; ის კოდები (კოდექსები) უნდა ვიკვლიოთ, რომლებსაც ჩვენი კულტურა ატარებს. ამის შესაძლებლობას გვაძლევს მისი ერთ-ერთი დარგის -რეკლამის შესწავლა. გოფმანი ფოკუსირდება რეკლამებზე არა იმისთვის, რომ იკვლიოს მისი გავლენა თუ შედეგი ჩვენზე; არც იმისთვის, რომ იკვლიოს როგორ გვაიძულებს ვიმოქმედოთ, რა ვიყიდოთ, არამედ იმის საკვლევად თუ რეკლამში წარმოჩენილი „ნორმალურობის“ ხედვა, რას გვეუბნება საკუთარ თავებზე, როგორც ერთი საზოგადოების წევრებზე. ამისთვის სამყარო, რომელიც ძალიან ბუნებრივი და ნაცნობი გვგონია, ამ შემთხვევაში - რეკლამა უნდა დავშალოთ დეტალებად. რეკლამაში წარმოჩენილი როლები - გენდერული დისპლეი, ანუ რა როლი აქვს ქალს ან რა როლი აქვს კაცს, უმეტეს შემთხვევაში არ გვეჩვენება უცნაურად ან ჩვენი საზოგადოებისთვის ფატალურად. იქ წარმოჩენილი სამყარო ნორმალურია ჩვენთვის. მხოლოდ მას შემდეგ, როცა რეკლამის ყურადღებით შესწავლას ვიწყებთ, ვხედავთ, თუ როგორი უცნაურია

სინამდვილეში და უკვე დამოუკიდებლად ვიწყებთ ფიქრს იმის შესახებ, თუ რას გვიჩვენებს კულტურა, როგორც ნორმალურს (ჯჰალი, 2009).

კვლევის ჩასატარებლად - კონტეტნ ანალიზს, იგივე შინაარსის ანალიზს გამოვიყენებთ. ის სოციალურ მეცნიერებებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდია, როდესაც კვლევის ობიექტს წარმოადგენს გაზეთების, საჯარო გამოსვლების, ტელე და რადიოგადაცემების, ოფიციალური და პირადი დოკუმენტების, ინტერვიუების და სხვა მსგავსის შინაარსის მატარებელი მედიუმის კვლევა (პრასად, 2008).

მოცემული მეთოდი ფართოდ გამოიყენება ისეთი საკითხების ანალიზისთვის როგორიცაა სოციალური ცვლილებები, კულტურული სიმბოლოები, სხვადასხვა დისციპლინაში ტენდენციური ცვლილებები, მასმედიაში ცვლილებები თემების გაშუქების ტექნიკასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღვნიშნე, ბეჭდური მედია, ასევე რადიო, ტელევიზია მდიდარ მასალას სთავაზობს კონტენტ-ანალიზის მეთოდს შესასწავლად. ბევრმა სწავლულმა იკვლია ქალთა როლების ცვლილებები, სექსუალური ქცევა და ჯანმრთელობა, ასევე ძალადობა ტელევიზიასა და ფილმებში გასული მასალის მესიჯები- კონტენტ ანალიზის მეთოდით (პრასად, 2008).

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში კი ჩვენ ვიკვლევთ სარეკლამო რგოლებში წარმოჩენილ მესიჯებს, იმას თუ რას გვეუბნებიან ეს სარეკლამო რგოლები გენდერული როლების გადანაწილების შესახებ.

კონტეტნტ-ანალიზის მიზნები:

1) კონტენტის, შინაარსის მახასიათებლების აღწერა (რა? როგორ? ვისთვის?)
2) დასკვნების გამოტანა კონტენტის გამომწვევი მიზეზების შესახებ (რატომ? ვინ?)
3) დასკვნების გაკეთება კონტენტის/შინაარსის ეფექტების შესახებ. (რა ეფექტით?)

კვლევის დასაწყისში მკვლევარები შეიმუშავებენ კატეგორიათა ჯგუფს, ე.წ. კოდებს. სხვადასხვა ნაშრომის მიხედვით ჩვენც გამოვყავით ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი კოდები. ერთ-ერთი მთავარი ნაშრომი, რომელიც დაგვეხმარა სატელევიზიო რეკლამისადმი გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორების ორგანიზებაში არის 2013 წელს „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „გენდერმედიატორი“. ჩვენი კოდირების სისტემა შემდეგია:

- მთავარი პერსონაჟი,
- როლი/სფერო/სტატუსი,
- ოჯახი/ბავშვები: როგორ არის როლები გადანაწილებული,
- რეკლამაში ქალების და კაცების თანაფარდობა (ხმები და ვიზუალი)
- პროდუქტი, რომლის რეკლამირებაც ხდება,
- მოქმედების ადგილი (სახლი/გარეთ),
- ხმების თანაფარდობა .

ვიკვლევთ ორ რეიტინგულ არხზე: იმედსა და რუსთავი 2-ზე; პრაიმტაიმის დროს სატელევიზიო ეთერით გასულ ქართულ რეკლამებს. პრაიმ ტაიმის შერჩევის პრინციპი მდოგმარეობს იმაში, რომ ეს არის დრო, როდესაც ყველაზე მეტი მაყურებელი იყრის თავს ტელევიზორების წინ; შესაბამისად უფრო მეტი მაყურებელი უყურებს რეკლამას, ან უბრალოდ ესმის ხმა. მართალია, რეკლამა მრავალი სახის არსებობს საინფორმაციო, კომერციული, პოლიტიკური, სოციალური და ა.შ. მაგრამ ჩვენ არ გამოვყოფთ კონკრეტულ სახეს; რეკლამის არჩევისას მთავარი კომპონენტია -იყოს ქართული. საკვლევი პერიოდი გათვლილილია ერთ თვეზე, 6 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით.

თავი 4. ლიტერატურის მიმოხილვა

1. რეკლამის კულტურა

ბერგერის თანახმად, რეკლამა კაპიტალიზმის კულტურის მასაზრდოებელია. კაპიტალიზმი სწორედ რეკლამის დახმარებით ახერხებს გადარჩენას, რადგანაც აღნიშნული სისტემა აიძულებს უმრავლესობას, ანუ იმათ, ვის ექსპლუატაციასაც ეწევა განსაზღვრონ საკუთარი ინტერესები უფრო შეზღუდულად. ეს სისტემა ადამიანებს სთავაზობს ცრუ სტანდარტებს იმის შესახებ, თუ რა არის სასურველი და რა არა.

1. რატომ ყიდულობენ ადამიანები ბოთლით წყალს, როდესაც ის უფასოდ არის ხელმისაწვდომი ონკანში?
2. რატომ აქვს რეკლამას ყველაზე გავლენა, მაგრამ ჩვენზე არა?
3. რატომ იმეორებენ რეკლამებს, რომლებიც უკვე ნანახი გვაქვს?

ეს კითხვები ასახავს საზოგადო აზრს, რომ რეკლამა მუშაობს ჩვენს დასარწმუნებლად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ხშირად პირადად ვერ ვგრძნობთ ამ პროცესს- წერს ამერიკელი ფსიქოლოგი, მარკეტოლოგი და მწერალი მაქს საზერლენდი. წიგნში „რეკლამა და მომხმარებლების გონება“ ასევე ვკითხულობთ: „იმ დროისთვის, როდესაც ჩვენ მოვკვდებით, სატელევიზიო რეკლამების ყურებაში გატარებული გვექნება დაახლოებით წელიწადნახევარი“. მიუხედავად, ამისა ერთი შეხედვით ძალიან საინტერესო, ხშირად სახალისო, კარგად ნაცნობი სარეკლამო რგოლები ბევრისთვის მაინც მისტერიად რჩება, აღნიშნავს ავტორი. (საზერლენდი, 2008) ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა სწორედ ის ფაქტი იყოს, რომ ყველას გვსმენია რეკლამის გავლენის შესახებ, თუმცა პირდაპირი გზით ამ გავლენას იშვიათად ვგრძნობთ. ადმიანებს კი ყველაზე ხშირად ხშირად სწორედ ის აშინებთ, რასაც ვერ ხვდებიან. არ იციან ამ დროს როგორი ურთიერთობა შესაძლოა ქონდეთ მასთან (შეუცნობელთან). ის ემუქრება მათ უსაფრთხოებას, არსებობას, კარიერას,იმიჯს (https://goo.gl/2wqu1t).

ჩვენც რეკლამის კულტურის თუ ინდუსტრიის შესახებ საუბარი მისი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მარტივი განსაზღვრებით: „რეკლამა ლათინური წარმოშობის სიტყვაა (reclamo-წამოვიყვირებ). რეკლამის დანიშნულებას წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებით აცნობოს ადამიანებს რაიმეს შესახებ, პოპულარიზაცია უყოს საქონელს, სანახაობას (კინო, თეატრი, სპორტული

შეჯიბრი), მომსახურებას, რომელსაც ესა თუ ის დაწესებულება ეწევა (ვქვათ, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები, დამზღვევი ორგანიზაციები) და ა.შ. რეკლამის თანამედროვე საშუალებებია გაზეთი, ჟურნალი, რადიო, ტელევიზია, კინო, ელექტროგანათება და სხვ (გრიგოლავა, 1978).

რეკლამის მთავარი დანიშნულება საქონლის გაყიდვაა, ამიტომ თანმედროვე ბაზრის პირობებში თუ მწარმოებელი კმაყოფილდება ისეთი რეკლამით, რომელსაც მხოლოდ იდენტიფიცირება, ან ინფორმირება შეუძლია, კონკურენტებთან მიმართებით ძალიან სარისკო მდგომარეობაში აღმოჩნდება. რეკლამის შემქმნელს აუცილებლად უნდა ახსოვდეს, რომ მისი მთავარი მიზანი, განსხვავებით რეპორტიორის, ჟურნალისტის, კომენტატორის სამუშაოსგან, არის არა მარტო აუდიტორის ინფორმირება და გართობა, არამედ მოწოდებულია შეცვალოს ადრესატის დამოკიდებულება რეკლამის ობიექტისადმი (კაციტაძე, 2006).

რეკლამის გავრცელებასა და ახალი პროდუქტის შესახებ მომხმარებელთა ინფორმირებაში, მნიშნელოვანი როლი ეკისრება მედიასაშუალებებს; როგორც ნანა კაციტაძეს განმარტავს წიგნში „რეკლამა“, სარეკლამო ბიზნესის განვითარება პირდაპირ კავშირშია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებასთან: თავიდან იყო ბეჭდვითი პრესა, შემდეგ რადიოს გამოჩენამ კომუნიკაციაში ჩააბა წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობა, ტელვიზია კი დღესაც რჩება უნიკალურ სარეკლამო საშუალებად ფართო მასებში გავრცელების თვალსაზრისით - მასში შერწყმული ხმის გამოსახულების, ფერების, მოძრაობის, საქონლის დემონსტრირების ფართო შესაძლებლობები; მე-20 საუკუნის ბოლოს კი გამოჩნდა კომპიუტერი, რომელიც შეიძლება პერსონალური კომუნიკაციის სარეკლამო საშუალებად ჩაითვალოს, განსაკუთრებით დიდია მისი მნიშვნელობა, მოხმარებლის კომფორტულობისა და დიდი რაოდენობის ინფორმაციის ტევადობის გამო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სარეკლამო ბიზნესის დღევანდელ მასშტაბებს. (კაციტაძე, 2006)

სწორედ ამიტომ საინტრესოა რეკლამის შემდეგი განმარტება, რომელსაც ნანა კაციტაძე გვთავაზობს. კაციტაძის თანახმად რეკლამა არის ფასიანი მომსახურება, რომელსაც არაპირადი კომუნიკაციის გზებით ახორციელებს სპონსორი, რომელიც თავის მხრივ იყენებს მასობრივ საინფორმაციო ახორციელებს საშუალებებს, რათა დაიყოლიოს ან ზემოქმედება მოახდინოს აუდიტორიაზე. (კაციტაძე, 2006)
რეკლამა შეიძლება წარმოგვიდგეს შემდეგ ოთხ როლში: 1. მარკეტინგული; 2. კომუნიკაციური; 3. ეკონომიკური; 4. სოციალური. შესაბამისად განსხვავებულია რეკლამის ფუნქციები და ტიპები. (კაციტაძე, 2006) თუმცა, მოცემული ნაშრომის ამოცანას არ წარმოადგენს რეკლამის როლის, ფუნქციებისა და ტიპების შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაციის მიღება და თემის სიღრმისეული ანალიზი ამ კუთხით. ჩვენ გვაინტერესებს რეკლამისა და გენდერული როლების ურთიერთკავშირი. კონკრეტულად კი გვაინტერესებს თუ როგორ ხდება სატელევიზიო სარეკლამო რგოლებში გენდერის, როგორც კატეგორიის გამოყენება და ასევე გენდერული როლების როგორი გადანაწილებაა ნორმალური როგორც ქართულ სატელევიზიო სარეკლამო რგოლებისთვის, ასევე ჩვენი საზოგადოებისთვისაც.

2. რეკლამას დიდი გავლენა აქვს ჩვენზე...

რეკლამას დიდი გავლენა აქვს ჩვენზე, ჩვენს საზოგადოებაზე; ის განაპირობებს ჩვენს მოთხოვნებს, იმას, თუ რაზე ვზრუნავთ, როგორ ვზრდით ბავშვებს და ა.შ. რეკლამას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ასევე მთელი რიგი ურთიერთობების ფორმირებაში, რომელიც ყალიბდება საგნის, ადამიანის, ძალაუფლებისა და კმაყოფილების გარშემო (ლალიგენს, 2013).

რეკლამა არის ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ფაქტორი, რომელიც ერთის მხრივ აღწერს და ამავდროულად ასახავს ჩვენს ცხოვრებას. რეკლამა-უნივერსალური და შეუცვლელი, გარდაუვალი ნაწილია თითოეული ჩვენგანის ცხოვრებისა. შეიძლება არ უყურებდე ტელევიზორს, ან არ კითხულობდე გაზეთებს, მაგრამ გამოსახულებები, რომლებიც ჩვენს გარშემო გვხვდება გარდაუვალია ჩვენი თვალისთვის (ვილიამსონი, 1978).

მედია არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ძლიერი ინსტიტუტი, რომელსაც აქვს გალენა იმ ფაქტზე თუ როგორ/სად დავინახავთ ქალს და კაცს. ჩაქსოვილი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მედია გვინერგავს გარკვეულ მესიჯებს გონებაში. სხვადასხვა მედიასაშუალება გვაცნობს იმიჯებს სქესის შესახებ, რომელთაგან უმეტესობა ხელს უწყობს არარეალური, სტერეოტიპული და შეზღუდული წარმოდგენების უკვდავყოფას (ვუდი, 1994).

სუზან ბორდო წიგნში „შიმშილი, როგორც იდეოლოგია“ იხსენებს თავის გამოცდილებას, როდესაც თავის სტუდენტებთან ერთად აანალიზებდა რეკლამების მნიშვნელობას, როგორც კულტურის გამტარებლებსა ან წარმომჩენებს. სტუდენტები შეეწინააღმდეგნენ სუზანს, რომ რეკლამა არის უბრალო გამოსახულება და არა „რეალური ცხოვრება“, თუმცა როგორც სუზან ბორდო წერს, ყველა სულელმა იცის რომ რეკლამა მანიპულირებს რეალობით იმისთვის რომ გაყიდოს პროდუქტი. ეს ყველაფერი ხშირად „ვიცით“, მაგრამ გვავიწყდება (ბორდო, 1993).

რეკლამა არა მხოლოდ საზოგადოების სარკე, არამედ გავრცელებული, დომინანტური დამოკიდებულებების, ფასეულობების, კულტურის იდეოლოგიის, სოციალური ნორმებისა და მითების შემქნელი და დამწესებელი/განმსაზღვრელი, რომლის მიხედვითაც ადამიანთა უმეტესობა ხელმძღვანელობს ქცევის დროს (Kilbourne, 1999).

და თუკი თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ რეკლამას შეიძლება არ ქონდეს თითოეულ ჩვენგანზე გავლენა, ამის შესახებ პროფესორ სატ ჯჰალს აქვს ძალიან საინტერესო პასუხი: „რეკლამას არ ექნება ჩვენზე გავლენა თუკი კულტურის გარეთ ვიცხოვრებთ. არავინ ცხოვრობს კულტურის გარეთ.“

ვიზუალური გამოსახულება არ არის მხოლოდ პასიური ანარეკლი ან საზოგადოების „სარკე“ ; ეს გამოსახულება მუშაობს სოციალური იდეალების, მათ შორის გენდერული ნორმების შესაქმნელად და გასატარებლად (შერიფ, 2004).

3. რეკლამა, გენდერი & სტერეოტიპები

„ჩვენ ვართ ქალები და არა საგნები“ (https://goo.gl/cdzqaH) -სარეკლამო რგოლი ამ სახელწოდებით 2015 წლის ნოემბერში გავრცელდა ინტერნეტსივრცეში. ეს იყო ერთგვარი კამპანია, რომელიც მოუხმობდა სარეკლამო ინდუსტრიის წარმომადგენლებს, შეეწყვიტათ ქალთა ობიექტივიზაცია და მათი „განივთება“ რეკლამებში მომხმარებელთა მოსაზიდად. იმ მიზნით, რომ კონკრეტულმა კომპანიებმა პროდუქტი გაყიდონ, ქალს რეკლამაში სხვადასხვა იმიჯის მორგება უწევს. მოცემული იმიჯები დამოკიდებულია იმ სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობებზე, რაც სხვადასხვა საზოგადოებაში გავრცელებულია სქესთან და შესაბამისად გენდერთან დაკავშირებით.

გენდერი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რასაც რეკლამის სპეციალისტები აქცევენ ყურადღებას სარეკლამო კამპანიების შექმნისას; სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ იკვეთება მიგნებები, რომელთა გენერალიზაციაც შეიძლება მოვახდინოთ და ეს მიგნებები ახასიათებს რეკლამების დიდ რაოდენობას. ეფექტური როლის გამოსახვის გადაწყვეტილებები არის ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია სხვადსხვა ფაქტორებზე და ეს ფაქტორებია: 1. ადეკვატური შეთავსება გამოსახული მოდელის გენდერსა და პროდუქტის გენდერს შორის (მგ; სარეცხი პროდუქტი ქალისთვის არის და მისი რეკლამირებისთვის გამოიყენება ქალი). 2. გამოსახულების/ რეკლამის გადაღების გარემო. 3. ამ გამოსახულების „გამოთავისუფლება“ და რეალურობა. უფრო მეტიც, კვლევა აჩვენებს, რომ ეფექტურობა არის ფუნქცია ამ ფაქტორების ურთიერთობისთვის. (ვიპლ & კორტნი, 1985)

„რეკლამა წლების განმავლობაში იყენებდა ქალს, როგორც ხელსაწყოს, პროდუქტის გასაყიდად, წარმოაჩენდა რა ქალს როგორც ლამაზსა და სასურველს“(ლალიგენს, 2013). ხშირად რეკლამა უკვდავყოფს იმ გზებს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი კონკრეტულ კულტურაში. სწორედ ამიტომ სოციოლოგი ირვინგ გოფმანი მოგვიწოდებს უფრო დეტალურად შევისწავლოთ რეკლამა, თუკი გვსურს იმის გამოაშკარავება თუ როგორ საზოგადოებაში

ვცხოვრობთ, ქცევის როგორი მოდელია ჩვენთვის ბუნებრივი და მისაღები და შესაბამისად გამოვააშკარავებთ ნორმალურობის როგორ სურათს ვღებულობთ და რა ხერხებით.

სარეკლამო სფეროში გენდერული როლების სტერეოტიპული წარმოჩენის შესახებ კრიტიკა ჯერ კიდევ 1960-იან წლებს და ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბებას უკავშირდება აშშ-ში. Courtney & Lockeretz (1971) and Wagner & Banos (1973) აღმოაჩინეს, რომ ქალები რეკლამებში უფრო ხშირად წარმოჩენილნი იყვნენ გასაწმენდი საშუალებების, ტანსაცმლის, სახლის ნივთებისა და წამლების რეკლამირებისას, კაცები კი ალკოჰოლური საშუალებების, თამბაქოს, ბანკების, მოგზაურობისა და მანქანების რეკლამირებისას. ეს პირდაპირ მიუთითებდა იმ სტერეოტიპებსა თუ გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა და აქვს სხვადასხვა საზოგადოებაში ასწლეულების განმავლობაში. (პიკლესიმერი, 2010).
შემდეგ კვლევებშიც (Bardwick and Schumann; Courtney and Whipple (1974) რეკლამების უმეტესობაში ქალები იყვნენ ან სამზარეულოში ან სააბაზანოში, რაც აძლიერებდა სტერეოტიპებს იმის შესახებ რომ ქალის ადგილი სახლშია; ქალები წარმოდგენილნი იყვნენ ასევე როგორც სექსუალური ობიექტები, დეკორაციები; რეკლამების 87%-ში იყო კომენტატორი/ნარატორი კაცი და მხოლოდ 6%-ში ქალი (შრიკანდე, 2003).

წლების განმავლობაში მასმედია, კონკრეტულად კი ტელევიზია გახდა სოციალიზაციის მთავარი აგენტი, კონკრეტულად იგულისხმება 1980-იანი წლები (ჰესი,1983). ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძალაუფლება სწორედ სატელევიზიო რეკლამებს აქვთ; სატელევიზიო რეკლამას შეუძლია მიაღწიოს და გავლენა ქონდეს მომხმარებლის აღქმებსა და გრძნობებზე (Jin & Lutz, 2013)(ვიერრა, 2014). ტელევიზია კი წარმოაჩენს და აძლიერებს თანამედროვე დასავლური კულტურის წამყვან იდეოლოგიას: პატრიარქატს, რომელიც მამაკაცის დომინირებას, ხოლო ქალსა და მამაკაცს შორის იერარქიულ დამოკიდებულებას გულისხმობს.

შესაბამისად სარეკლამო სფეროშიც კი კაცს ვხედავთ, როგორც კულტურულ სტანდარტს (ინგჰამი, 1995).

პოპოვას მოსაზრებით მიმდინარე მიმოხილვის გაგრძელება საინტერესოა, რადგან ის გვთავაზობს მოსაზრებას, რომ თითქოს საზოგადოებამ იცის, არსებობს საზოგადო იდეა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ქალი და როგორი უნდა იყოს კაცი, რა არის მათთვის შესაფერისი (პატრიარქატის გავლენით). ამგვარად საზოგადოება ქმნის და ინარჩუნებს ჩარჩოებს, რომელსაც ქალების და კაცების უმეტესობა ერგება, მიუხედავად თავიანთ პირადი თვისებებისა და მახასიათებლებისა. ტრადიციულად კაცისგან მოელიან, რომ ის იქნება მასკულინური, ძლიერი, აგრესიული, მმართველი, რაციონალური და აქტიური. ქალი კი უნდა იყოს ფემინური, რაც გულისხმობს სისუსტეს, მორჩილებას, ემოციურობასა და პასიურობას. კაცები დაკავშირებული არიან ძირითადად ტექნოლოგიასთან, სასმელთან და „უწესობასთან“, მაშინ როდესაც ქალების ასოცირება ხდება სახლის საქმეებთან, შოპინგთან, მეგობრების გარემოცვაში დროის ტარებასა და სტაბილურ სექსუალურ ურთიერთობებთან (პოპოვა, 2010) .

მედია აგრძელებს ქალების და კაცების წარმოჩენას სტერეოტიპული გზებით, რაც ზღუდავს ჩვენს აღქმებს ადამიანების შესაძლებლობების შესახებ. როდესაც მედიისგან ვიღებთ ქალების და კაცების სტერეოტიპულ გამოსახულებას, არ უნდა გაგვიკვირდეს თუკი ურთიერთობებშიც ამგვარ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას აღმოვაჩენთ (ვუდი, 1994).

ჯულია ტ. ვუდი გვთავაზობს 3 ფორმას, თუ როგორ არის გენდერი წარმოჩენილი რეკლამაში. პირველი ეს არის -ქალების არასათანადოდ წარმოჩენა, რაც გულისხმობს კაცის, როგორც კულტურული სტანდარტის წარმოჩენას და ქალის, როგორც უხილავისა და უმნიშვნელოს. მეორე: ქალები და კაცები წარმოდგენილები არიან სტერეოტიპული გზებით, რომელიც ასახავს და აძლიერებს სოციალურად დამოწმებულ შეხედულებებს გენდერის შესახებ. მესამე: ქალსა და მამაკაცს შორის გამოსახული ურთერთობები ხაზს უსვამს ე.წ.

ტრადიციულ როლებს; ეს კი თავის მხრივ ქალთა მიმართ ძალადობის ნორმალიზებას უწყობს ხელს (ვუდი, 1994).

თუკი მასმედია ქალებისთვის და კაცებისთვის როლების შეზღუდულ დიაპაზონს წარმოგვიდგენს, შედეგად სოციალური როლებიც, რომლებიც ადამიანთა აზრით შესაფერისია ქალებისთვის და კაცებისთვის შეიზღუდება. მაგალითად ქალის პასიურმა როლმა რეკლამაში, შესაძლოა შთააგონოს მაყურებელს, რომ ქალები სხვებზე არიან დამოკიდებულები და მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება. ასევე კაცების „შეზღუდული" როლებით წარმოჩენამ შეიძლება შეუქმნას მაყურებელს წარმოდგენა, რომ ისინი არ უნდა იზიარებდნენ სახლის საქმეების, ბავშვების გაზრდის პასუხისმგებლობებს (შიჰენ, 2014).

მედიას აქვს ძალაუფლება შექმნას და გადასცეს „კულტურული მნიშვნელობები". ეს ძალაუფლება უფრო სერიოზულია, რადგანაც რეკლამა არა მხოლოდ უზრუნველყოფს შეზღუდულ შეხედულებებს გენდერული როლების შესახებ, არამედ ის თავის მხრივ ქმნის უარყოფით პორტრეტებს. ამგვარი პორტრეტები მცდარი წარმოდგენებით გამოსახავენ ქალებისა და კაცების როლებს საზოგადოებაში და შესაძლოა ამას საბოლოოდ გავლენა ქონდეს ინდივიდებზე და მათ დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ ეს უარყოფითი პორტრეტები სწორია/ზუსტია(ferguson et al., 1990) (შიჰენი, 2014).

დროთა განმავლობაში გენდერთან დაკავშირებული პასუხისმგებლობებისა და მოლოდინების აღრევა მოხდა, ანუ უფრო მეტმა ქალმა დაიკავა ისეთი პოზიცია, რაც ადრე მხოლოდ კაცის სფეროდ ითვლებოდა და უფრო მეტი კაცი ჩაერთო სახლის საქმეებსა და ბავშვების აღზრდის პროცესებში. შემდეგი ნაშრომის ავტორებს აინტერესებთ თუ რამდენად აისახა ამგვარი სოციალური ცვლილება რეკლამებზე და თუ გამოიყენებენ ისევ სტერეოტიპულ როლებს.

შემდეგში ავტორებს მოყავთ მაგალითები და ირკვევა, რომ უკნასკნელი კვლევების თანახმად, მიუხედავად, ბოლო პერიოდში მიმდინარე სოციო-კულტურული ცვლილებებისა თუ ტენდენციებისა, ქალები და კაცები უფრო დადებითად პასუხობენ მესიჯებზე, რომლებიც შეესაბამება მათ მოლოდინებს გენდერული

როლების შესახებ. ამ მიგნებების მიხედვით, გამოდის, რომ სტერეოტიპების გამოყენება რეკლამებში თანხმობაშია საზოგადო პრეფერენციებთან. ქალების სტერეოტიპული გამოსახულება და კაცების ასტერეოტიპული გამოსახულება უფრო მისაღები იყო როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვისაც, ვიდრე ქალების ასტერიოტიპული გამოსახულება და კაცების სტერეოტიპული გამოსახულება რეკლამებში (ვანტომე&გუენს&დევიტ, 2006).

ადამიანები იდენტიფიცირებას ახდენენ გამოსახულებასთან, რომელსაც მუდმივად ხედავენ რეკლამებში. მას შემდეგ, რაც ადამიანები განმეორებით წარმოჩენილები არიან სარეკლამო იმიჯებით, ისინი ითავისებენ იმ ხედვებს, როგორადაც მათ და გარშემომყოფებს რეკლამის სპეციალისტები ხედავენ (According to Hovland et al. (2005) (ვიერრა, 2014).

ლიტერატურის მიმოხილვის ბოლოს კი წარმოგიდგენთ რამდენიმე თორიასა და არგუმენტს, რომელიც თემატურად მნიშვნელოვანია ჩვენი ნაშრომისთვის:

- არსებობს ორი ძირითადი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც განმარტავენ საზოგადოებისა და სარეკლამო ინდუსტრიის ურთიერთკავშირს. ეს არის სარკისა (mirror) და მოდელირების (mold) არგუმენტი. სარკის არგუმენტის თანახმად, რეკლამა ასახავს იმ რწმენებსა და შეხედულებებს, რასაც საზოგადოება ატარებს და წარმოადგენს. ხოლო მოდელირების არგუმენტის თანახმად, სარეკლამო ინდუსტრია აყალიბებს საზოგადოებას თავისი უპირატესობით კულტურაში. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ადამიანებზე გავლენა აქვს იმას, რასაც რეკლამებში ხედავენ; შესაბამისად ატარებენ ამ სტერეოტიპებს მათ ყოველდღიურ ქმედებებსა და შეხედულებებში, რაც თავის მხრივ, ქმნის და აძლიერებს სოციალურ ფასეულობებს(ვიერრა, 2014). რეკლამა ასახავს რეალობას თუ ხელს უწყობს ახალი რეალობის შექმნასა და სტერეოტიპების გამყარებას მუდმივი კამათი და დავა მიმდინარეობს აღნიშნული ორ მიმართულებაზე. ჩვენი ნაშრომისთვის საინტერესოა უფრო სარკის არგუმენტი, რადგნაც სარეკლამო რგოლების მიხედვით ჩვენ გვსურს გავაანალიზოთ და

გავერკვიოთ თუ რა რწმენებსა და შეხედულებებს ატარებს ჩვენი საზოგადოება. გვსურს რეკლამის საშუალებით წარმოვაჩინოთ ის სოციალური თუ ეკონომიკური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელიც უზრუნველყოფს ჩვენთვის როგორც ამ საზოგადოების წევრებისთვის მთელი რიგი ფასეულობებისა თუ სტერეოტიპების სისტემის ჩამოყალიბებას. გვსურს დავინახოთ ჩვენი საზოგადოება არა როგორც იმ სტერეოტიპების მატარებელნი, რომელსაც რელკლამების გავლენით იღებენ, არამედ გვსურს „სარკეში", ამ შემთხვევაში რეკლამის საშუალებით დავინახოთ თუ როგორია ჩვენი საზოგადოების სახე. ამ მედიუმის საშუალებით გამოვააშკარაოთ, თუ რა სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობებს ვატარებთ ჩვენს ყოველდღურობაში, როგორც ერთი საზოგადოების წევრები.

- კულტივაციის თეორიის პერსპექტივის მიხედვით კი, ადამიანებს ტენდენცია აქვთ მედიით წარმოდგენილი სტერეოტიპები ჩართონ/დაუკავშირონ მათი რეალობის კონცეფციას. ეს უბიძგებს ადამიანებს შეიცვალონ უკვე არსებული რეალობის საკუთარი კონცეფციები, რათა ის მიესადაგოს მედიით წარმოდგენილ იმიჯებს; რასაც თავის მხრივ, ქცევაზე აქვს გავლენა (პიკლემისერ, 2010). მოცემული კულტივაციის თეორია უფრო მსგავსია მოდელირების არგუმენტისა, რაც შემდეგს გულისხმობს: ადამიანებზე გავლენა აქვს იმას, რასაც რეკლამებში ხედავენ, შესაბამისად ისინი ატარებენ მოცემულ სტერეოტიპულ რეალობას ყოველდღიურ ცხოვრებაში და ახალ სოციალურ ფასეულობებს ქმნიან.

- კულტივაციის თეორიისგან და მოდელირების არგუმენტისგან განსხვავებული, თუმცა ჩვენი ნაშრომისთვის ასევე საინტერესო თეორიაა - როლისა და პროდუქტის შესაბამისობის თეორია, რაც გულისხმობს, რომ რეკლამის ეფექტურობა გაიზრდება, თუკი შესაფერისი მოდელი გააკეთებს პროდუქტის რეკლამირებას. ეს თეორია მოიაზრებდა, რომ ქალი მოდელები უფრო წარმატებულად გააკეთებდნენ ქალებისთვის შესაფერისი

პროდუქციის რეკლამირებას, ვიდრე კაცები და პირიქით. კვლევებმა აჩვენა, რომ ქალების და კაცების შესახებ არსებული კონკრეტული სტერეოტიპული გამოსახულება შესაფერისია კონკრეტული კატეგორიის პროდუქტისთვის(შიჰენი, 2014). სწორედ ამგვარი მიდგომები აძლიერებს სტერეოტიპებს ქალების შესახებ, მათი შესაძლებლობების შესახებ და გამოკეტავს მათ კონკრეტულად ერთ სფეროში, ერთი და იმავე პროდუქტის სახედ. ფაქტია, რომ რეკლამის შემქმნელები არ ითვალისწინებენ ამგვარ შედეგებს, მათთვის მთავარია უფრო მეტი პროდუქტი გაყიდონ, ამისთვის კი სტერეოტიპულ გენდერულ როლებსაც და სფეროებსაც თავისუფლად გამოიყენებენ: გაითვალისწინებენ მხოლოდ „პოტენციური“ მყიდველის აზრს, რომელსაც მაგალითად სარეცხი ფხვნილის რეკლამირება ქალი პერსონაჟის გარეშე ვერ წარმოუდგენია.

4. ქართული რეალობა & კანონმდებლობა

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში სექსისტური რეკლამის დეფინიციისა და შესაბამისი სანქციების სისტემის შემოღების ინიციატივით სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა პარლამენტს დაახლოებით 2 წლის წინ, 2015 წელს მიმართა. სახალხო დამცველი მოცემულ წინადადებას ამყარებდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულებებით, მათ შორის ევროსაბჭოს 2002 წლის 1555-ე რეკომენდაციის მიხედვით, ევროსაბჭო მოუწოდებს სახემწიფოებს კანონმდებლობაში დანერგონ „სექსიზმის“ კონცეფცია, რომელიც განისაზღვრება როგორც ღირსების იგნორირება სქესის საფუძველზე. სამწუხაროდ ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება, რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა კანონდმებლობაში ცვლილებების შესატანად.(https://goo.gl/8TDydA)

აქვე, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში სარეკლამო სივრცეში სექსისტური ხასიათის მატარებელი რეკლამები უყურადღებოდ მაინც არ რჩება, ამის საშუალებას კი უპირველეს ყოვლისა საქართველოს კონსტიტუცია გვაძლევს.

საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 14: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლას რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილევბისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ (https://goo.gl/RSCGX1)

აქვე აღსანიშნავია საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომლის მიზანიც არის უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას (https://goo.gl/Q3Kf2F).

„საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია“ -ვკითხულობთ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში, სადაც ნათლად არის გამოყოფილი სქესი, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი საფუძველი (https://goo.gl/2wZAKo).

გარდა ამისა, აღსანიშნავია საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 56, მესამე პუნქტი (https://goo.gl/y97Zih) და ასევე რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მესამე მუხლი, მეხუთე პუნქტი კონკრეტულად კი არაეთიკური რეკლამის ტერმინი: რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის , სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემვალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბღალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, ჰიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფო ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.(https://goo.gl/bV5o4Z)

აღნიშნული საკანონმდებლო რესურსების გამოყენებით წარმოგიდგენთ ორ შემთხვევას: კავშირი „საფარი“ საქართველოს ბანკის წინაამდეგ „ქმარკომატის“ საქმე (2014 წლის 23 სექტემბერს საქართველოს ბანკმა სოციალურ ქსელში თავის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა რეკლამა სახელწოდებით „ქმარკომტი“, სადაც ქალი მუდმივად სთხოვს მამაკაცს თანხას; როგორც ბოლოს აღმოჩნდება კაცი საქრთველოს ბანკის ბანკომატს განასახიერებდა). მეორე საქმე: კავშირი „საფარი“ ტელეკომპანია ტაბულას წინააღმდეგ, ქალის სხეულზე განთავსებული სუში, გადაცემა „რესტორანი“ (2014 წლის აპრილში ტელეკომპანია „ ტაბულას“ ეთერში გავიდა გადაცემა „რესტორანის“ რეკლამა. აღნიშნულ რეკლამაში ნახევარი წუთის განმავლობაში ჩანდა ქალის სრულიად შიშველ სხეულზე განთავსებული პროდუქტი) (https://goo.gl/7u2X8U).

თავი 5. კვლევის ანალიზი

ჩვენი კვლევის მიზანია გავიგოთ, თუ რა გენდერულ როლებს და შესაბამისად ნორმებს ქმნის ქალებისთვის და კაცებისთვის ქართული სატელევიზიო სარეკლამო სფერო. კონტენტ-ანალიზი, იგივე შინაარსის ანალიზია ჩვენი კვლევის მეთოდი. 1) მთავარი პერსონაჟი, 2) როლი/სფერო/სტატუსი, 3)ოჯახი/ბავშვები: როგორ არის როლები გადანაწილებული, 4) რეკლამაში ქალების და კაცების თანაფარდობა (ვიზუალი), 5) პროდუქტი, რომლის რეკლამირებაც ხდება, 6) ხმების თანაფარდობა, 7) მოქმედების ადგილი (კერძო სფერო/ საჯარო სფერო), 8)სხვა კატეგორია -მოცემული კოდების მიხედვით გამოიკვეთება ძირითადი ტენდენციები, რაც საკვლევი პერიოდის განმავლობაში იყო შესამჩნევი „რუსთავი 2-ისა“ და „იმედის“ ეთერში გასული სარეკლამო რგოლების მიხედვით.

რატომ კონკრეტულად „რუსთავი 2“ და „იმედი“? საქართველოში სარეკლამო ხარჯების 70%- ზე მეტი ტელევიზიაზე მოდის. ორი არხი „რუსთავი 2“ და „იმედი“, დღემდე იღებს მთელი სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების 80-85%-ს. ეს ორი მაუწყებელი ინარჩუნებს აუდიტორიის გაერთიანებულ საბაზრო წილს 45-50%-ის ოდენობით, რაც იმას ნიშნავს, რომ მაყურებლები ათი წუთიდან

თითქმის ხუთს ტელევიზორთან ატარებენ და „რუსთავი 2ს“ ან „იმედს“ უყურებენ. რაც შეეხება დროის ფაქტორს, პრაიმ-ტაიმიდან ავიღეთ 20:00საათიდან- 23:00 საათამდე დროის მონაკვეთი.

საკვლევ პერიოდად ავიღეთ ერთი თვე: 6 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით. რადგანაც რეკლამების უმეტესობა მეორდებოდა საკვლევი პერიოდის განმავლობაში, კოდების მიხედვით კონკრეტული სურათის თუ მოცემული რეალობის უკეთ წარმოსაჩენად, საკვლევი პერიოდიდან რომელიმე კონკრეტული დღის შედეგებს წარმოვაჩენთ, შემდეგ კი თემატურად დავამატებთ სხვა დღეებში გასულ რეკლამებს სრული სურათის წარმოსაჩენად.

სამუშაო დღეებში იმედის ეთერით მოცემული დროის მონაკვეთში ჩვეულებრივ იყო სამი ან ოთხი სარეკლამო ჭრა. მაგალითად 29 მაისს ორშაბათს იყო სამი სარეკლამო ჭრა და სულ გავიდა 40 რეკლამა, ხოლო 31 მაისს ოთხშაბათს - იყო 4 სარეკლამო ჭრა და სულ გავიდა 44 რეკლამა. რაც შეეხება რუსთავი 2-ს, ასევე დროის მოცემულ მონაკვეთში დამახასიათებელი იყო სამი ან ოთხი სარეკლამო ჭრა. განვიხილოთ ისევ 29 და 31 მაისი. აღნიშნულ დღეებში რუსთავი 2-ზე იყო 4 სარეკლამო ჭრა, აქედა 67 რეკლამა გავიდა 29 მაისს, ხოლო 31 მაისს გავიდა 64 რეკლამა. რეკლამების რაოდნებოდა, ასევე სარეკლამო ჭრები განსხვავდებოდა იმის მიხედვით, იყო ეს სამუშაო დღეები თუ შაბათი-კვირა და ასევე პრაიმ-ტაიმის დროს ჩანიშნული იყო თუ არა რომელიმე შოუ (X-ფაქტორი, ცეკვავენ ვარსკვლავები, პრაიმ შოუ, პროფილი თუ სხვა არხის საიმიჯო შოუ).

1. მთავარი პერსონაჟი

23 მაისს იმედის ეთერში დროის მოცემულ მონაკვეთში გავიდა 28 ქართული რეკლამა, აქედან ნაწილი გრაფიკული დიზაინით არის აწყობილი -ანუ გამოყენებულია ფოტოების, შრიფტებისა, ტექსტებისა და ილუსტრაციების განაწილების მეთოდი (სულ 8 -ჯერ), რომელსაც უმეტეს შემთხვევაში კაცი ნარატორი ყავს (სულ 7-ჯერ). ექსპრესსბანკის რეკლამაში, რომელიც ანიმაციურად

არის აწყობილი, ნარატორი ქალია, რომელიც გვეუბნება რომ ექსპრესსბანკში თანხის დაგროვება უკვე მარტივია. რეკლამაში სულ 4 პერსონაჟია, აქედან სამი ქალია: ორი ბანკის თანამშრომელი, ხოლო ერთი კლიენტი, რომელსაც თანამშრომელი უყვება ექსპრესსანაბრის შესახებ; მეოთხე პერსონაჟი კი კაცია - კლიენტი, რომელსაც უკვე აქვს ბანკში ანაბარი გახსნილი.

განვიხილოთ რეკლამები, სადაც მთავარი პერსონაჟები არიან კაცები და ნარატორიც არის კაცი. მაგალითად ასეთი რეკლამებია: რომპეტროლის რეკლამა, სადაც მენავთობე, ინჟინერი და ბენზინგასამართ სადგურის თანამშრომელი - ყველა კაცია. კაცი ზის ასევე ავტომანქანის საჭესთან, რომლის გვერდითაც უფრო დეკორაციული დანიშნულებით არის ქალი. აღსანიშნავია ზიპკრედიტის რეკლამაც, სადაც 4 კაცი პერსონაჟი მღერის და სესხის შესახებ აწვდის ინფორმაციას მაყურებლებს. ლუდი ნატახტარი ლაითის რეკლამა, სადაც მთავარი პერსონაჟი - კაცი ჰამაკით დაფრინავს და გადმოყურებს თბილისს. სტაჟირება პროკურატურაში -ამ შემთხვევაშიც მთავარი პერსონაჟი არის კაცი. აღსანიშნავია, ბორჯომის რეკლამაც, სადაც ბიჭია მთავარი პერსონაჟი და ასევე ნარატორიც კაცია.

სად არიან ქალები? ქალებს ვხვდებით როგორც ბანკში დასაქმებულებს, ასევე ეპიზოდებში, რომლებიც მათ შესახებ გარკვეულ სტერეოტიპებს უფრო ამყარებს. მაგალითად შოკოლადი „ნესტლეს“ რეკლამა -სინაზის ნაკლებობა შეიძლება ნებისმიერ დროს დაგატყდეს თავს - გვეუბნება კაცი ნარატორი. მოქმედება ხდება ავეჯის მაღაზიაში, სადაც ქალი პერსონაჟი ერთ-ერთ საწოლზე სათამაშოზეა ჩახუტებული. გამოსავალს ისევ მაღაზიის ქალი მენეჯერი პოულობს და მას შოკოლადს სთავაზობს. მოცემული რეკლამა კიდევ ერთხელ ამყარებს სტერეოტიპებს იმის შესახებ, რომ ქალი უფრო ემოციური, ირაციონალური არსებაა, რომელიც ხშირად ღებულობს იმპულსურ გადაწყვეტილებებს და არ ერიდება „უხერხული“ სიტუაციების შექმნას. უხერხულ სიტუაციაში ვგულისმხოთ სიტუაციას, სადაც კაცის წარმოდგენა გაგვიჭირდებოდა. ირვინგ გოფმანის თანახმად, თუკი რეკლამაში დამალული მესიჯები გვინდა დავინახოთ.

მესიჯები, რომლებიც არ გვაუცხოვება, ერთ-ერთი ვარიანტია ქალი პერსონაჟის ნაცვლად, წარმოვიდგინოთ კაცი პერსონაჟი; რამდენად ნორმალური იქნებოდა იმავე როლში კაცის წარმოდგენა თუ ქალისთვის ჩვეულებრივი როლი კაცს უფრო სასაცილო მდგომარეობაში წარმოგვიდგენს? მაგალითად რამდენად არის შესაძლო მამაკაცის წარმოდგენა, რომელიც „სინაზის ნაკლებობას“ განიცდის? ასეთი რეკლამა არ იარსებებდა, იარსებებდა მხოლოდ ისეთი რეკლამა, სადაც კაცს მასკულინობა აკლია და აუცილებლობად გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც დაგმობდა პერსონაჟის ასეთ მდგომარეობას, მას გამოასწორებდა და შესთავაზებდა პროდუქტს, რომელიც მასკულინობას დაუბრუნებდა.

ახლა განვიხილოთ „რუსთავი2-ის“ ეთერში 23 მაისს გასული რეკლამები. ამ დღეს გავიდა 27 ქართული რეკლამა, რეკლამების უმეტესობა ორივე არხზე განმეორდა, მათ შორის გრაფიკული დიზაინით აწყობილი რეკლამებიც. ამიტომ ძირითად აქცენტს გავაკეთებთ იმ რეკლამებზე, რომლებიც განსხვავდებოდა „იმედის“ ეთერით გასული რეკლამებისგან.

რაც შეეხება შემდეგ ეპიზოდს, ეს არის სანტინოს რძის პროდუქტების ეპიზოდი. მოქმედება ხდება ბუნებაში. ნარატორი კაცია და 6 მთავარი პერსონაჟიც კაცი. „მხოლოდ ასეთი რძისგან თქვენთვის ვამზადებთ სანტინოს რძის პროდქტებს“- გვეუბნება ნარატორი კაცი. საინტერესოა, რეალურად რამდენი კაცი ღებულობს მონაწილეობას სანტინოს რძის პროდუქციის შექმნაში? დალაგება, პროდუქტების მოტანა, კერძების მომზადება, რეცხვა, ასევე სოფლის მეურნეობა -ძირითადად ქალის საქმედ ითვლება. საქმეების ამგვარი არათანაბარი გადანაწილება ქალთა დისკრიმინაციის ძირითადი ფორმაა, რომელიც შრომის სქესობრივი ნიშნით დაყოფასა და ქალის საქმიანობის დაუფასებლობას გულისხმობს. მაგრამ თუკი ეს საქმეს სჭირდება, კაცებს კარგად შეუძლიათ სხვადსხვა როლის მორგება ისევ საკუთარი პრესტიჟისთვის.

„შენ განსაკუთრებული ხარ!“- „ელიტ ერქტრონიქსი“ გვთავაზობს Sumsung Galaxy S8-ის რეკლამას, სადაც მთავარი პერსონაჟი ბიჭია და რომელსაც მიემართება ეს სიტყვები; საინტერესოა ასევე ელიტ ელექტრონიქსის მიერ ბოშის მაცივარის

რეკლამირება, სადაც ნარატორი ისევ კაცია, თუმცა ქალის ხელები, რომელიც მაცივარში პროდუქტს ალაგებს და მაცივარს წარმოგვიდგენს, მთავარ როლშია. ქალი, როგორც „ექსპერტი“ კერძო სფეროში ყველაზე სანდოა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის არჩევისას, განსაკუთრებით თუკი საქმე ეხება სამზარეულოს. მოცემული რეკლამა ქალის ფრაგმენტაციის მაგალითია. წარმოდგენილია მხოლოდ ხელები, რაც ქალის ინდივიდუალურობას უარყოფს და გვიჩვენებს ქალის როგორც „დიასახლისის“ საზოგადო სახეს, რომლისთვისაც ბუნებრივი და კარგად ნაცნობია სამზარეულოს სფერო, უკეთესად ეხერხება პროდუქტის დახარისხება და მაცივარშიც კარგად უნდა ერკვეოდეს, რათა თავისი ყოველდღიური მოვალეობა უკეთ შეასრულოს. მას ახალ სმარტფონში თუ ნოუთბუქში არავინ თხოვს გარკვევას, მთავარია ისეთ ტექნიკაში ერკვეოდეს და ისეთი ტექნიკა წარმოგვიდგინოს, რაც ქალის ბუნებასთან და დანიშნულებასთან უფრო ახლოსაა.

ნათიას და ირაკლის ეპიზოდი. „ნათია და ირაკლი დღევანდელი შეხვედრის დროს განიხილავენ 2 ახალ ამბავს თანამედროვე მუსიკის ტენდენციებზე, 7 ყოველდღიურ საქმეს, რომელსაც ინსტინქურად ვაკეთებთ, ზაფხულში დაგეგმილ მუსიკალურ ფესტივალს და ასევე მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც ნათიას დაეხმარება თავისი დანაზოგით მარტივად დააფინანსოს ფესტივალზე გამგზავრება“. ამ შემთხვევაში ბიჭი - ირაკლია ბანკის თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ საკვლევი პეირიოდის განმავლობაში მოცემულ თემაზე სულ 3 რეკლამა ცვლიდა ერთმანეთს, რომელთაგან ორშია ბანკის თანამშრომელი ბიჭი და მხოლოდ ერთში -გოგო. პირდაპირ თუ ირიბად ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საბანკო სფეროშიც უპირატესობა კაცებს აქვთ.

ახალი ეპიზოდი! ლორანექსი - იცხოვრე ალერგიის გარეშე. წამლის რეკლამა, სადაც ნარატორი -ქალია და ასევე ფარმაცევტი, მთავარი პერსონაჟი ქალი, რომელიც წამალს წარმოგვიდგენს. მოცემული მაგალითი შრომის ბაზარზე არსებული გენდერული სეგრეგაციის საუკეთესო მაგალითია. თუკი კაცებს დასაქმებისთვის სექტორების უფრო მრავალფეროვანი არჩევანი აქვთ, ქალების შემთხვევაში დასაქმების ძირითადი სფეროებია: განათლება, ჯანდაცვა, ასევე

სოციალური მომსახურება. ისევ და ისევ ისეთი სფეროები, რაც „ქალის ბუნებასთან“ უფრო ახლოსაა და შესაძლებლობას მისცემს მისი ისეთი მახასიათებლების წარმოჩენას, როგორიცაა მზრუნველობა, თანაგრძნობა, ემოციურობა და ა.შ.

2. როლი/სფერო/სტატუსი

27 მაისი. იმედის ეთერში 35 ქართული რეკლამა გავიდა დროის მოცემულ მონაკვეთში. მათ შორის პერსონაჟების როლების შემდეგ გადანაწილებას ვხედავთ:

მეტი ურთიერთობა-საქართველოს ბანკის ახალი ეპიზოდი. მოცემულ თემასთან დაკავშირებით. ამჯერად ორივე პერსონაჟი ბიჭია- გიორგი და საბა. ნარატორი (კაცი)გვიყვება, რომ ბიჭების დიალოგში გაიჟღერებს 25-მდე ხუმრობა, 18-მდე რჩევა, 10 ცხოვრებისეული სიბრძნე და ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის მეშვეობითაც გიორგი შეძლებს ძველი მანქანა ახლით ჩაანაცვლოს. საბა საქართველოს ბანკის ურთიერთობების მენეჯერია. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში ბანკის თანამშრომელი გოგოა-ეკა, რომელიც თავის მეგობარს აძლევს რჩევებს. ბიჭების დიალოგისგან განსხვავებით, კი მათ დიალოგში 4 კომპლიმენტი, სტუდენტობის 3 ისტორია და 7 რჩევა გაიჟღერებს. გამოდის, რომ მიუხედადვად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს ბანკი ერთსა და იმავე პოზიციაზე დასაქმებულად წარმოგვიდენს ორივე სქესის წარმომადგენელს, მაინც განასხვავებს მათ. მაგალითად ბიჭებს შორის და გოგოებს შორის განხილული თემები და რჩევები განსხვავდება როგორც შინაარსობრივად, ასევე რაოდენობრივადაც, თუკი გოგოების შემთხვევაში ადგილი ქონდა მხოლოდ 7 რჩევას და 4 კომპლიმენტს, ბიჭების დიალოგის დროს ადგილი ქონდა 18 რჩევას, 10 ცხოვრებისეულ სიბრძნეს და 25-მდე ხუმრობას; ამ უკანასკნელს კი გოგოების დიალოგის დროს ადგილი სრულებით არ ქონდა. აშკარაა ისევ წინასწარგანწყობა თუ სტერეოტიპული დამოკიდებულება: ბიჭები პროფესიონალები, როდესაც საჭიროა ხუმრობენ კიდეც. გოგოები უფრო ემოციურები, ნაკლებად პროფესიონალები და რაც მთავარია -„გოგოებს იუმორის გრძნობა არ აქვთ.“ აღსანიშნავია, ასევე ექსპრესს

ბანკის ანიმაცია-რეკლამა, სადაც ორი პერსონაჟი ქალი სწორედ ბანკის თანამშრომელია.

„ნატახტარის ლიმონათის არნახული გათამაშება!“ - მოცემულ ეპიზოდში 4 პერსონაჟია, რომელთაგან ოთხივე გათამაშების გამარჯვებული ხდება, ყველა სხვადასხვა ადგილას იგებს ამის შესახებ: კაცი აივანზე, ქალი სამზარეულოში, ბიჭი ქუჩაში, ხალხმრავლობაში, ხოლო გოგო -სკოლაში. მათი გადანაწილება საკმაოდ სიმბოლურია: ქალი აუცილებლად კერძო სფეროში, კაცი შეიძლება სახლშია, მაგრამ მაინც გარეთ ახერხებს ყოფნას -აივანზეა, გოგო სწავლობს, მაშინ როდესაც ბიჭი გარეთ, ხალხმრავლობაშია, ისევ და ისევ ადგილი აქვს კერძო/საჯარო სფეროების დიქოტომიას.

ნესტლეს რეკლამა სინაზის ნაკლებობის შესახებ, სადაც 4 პერსონაჟიდან სამი ქალია და ერთი ბიჭი. მათ შორის ერთი ქალი მაღაზიის მენეჯერია, მეორე კონსულტანტი, ხოლო მესამე მთავარი პერსონაჟი, რომელიც პასიური, ირაციონალურია და უბრალოდ „სინაზის ნაკლებობას განიცდის“. ბარამბოს ნაყინის კონდიტერების სტატუსი შემდეგ რეკლამაში ორმა კაცმა და ერთმა გოგომ დაიმსახურა. რომპეტროლის რეკლამაში შემდეგი პროფესიები და დასაქმების სფეროები გვხვდება: მენავთობე, ინჟინერი, ბენზინგასამართ სადგურის თანამშრომელი -სამივე კაცია. როგორც უკვე აღვნიშნე როდესაც საქმე გვაქვს შრომის ბაზარზე არსებულ გენდერულ სეგრეგაციასთან, კაცებს პროფესიების უფრო მრავალფეროვანი არჩევანი აქვსთ; არჩევანში არ არიან შეზღუდულები.

27 მაისს, რუსთავი 2-ზე დროის მოცემულ მონაკვეთში გავიდა 25 ქართული რეკლამა. რეკლამები ძირითადად განმეორდა, დაემთხვა იმედის ეთერში გასულ რეკლამებს. აღსანიშნავია, (რადგანაც არ განმეორდა) აზარტული თამაშების პლატფორმის - ბეთლაივის რეკლამის ეპიზოდები. პირველ ეპიზოდში მოქმედება სტადიონზე მიმდინარეობს, სადაც სპორტის სხვადსხვა სახეობაშია შეჯიბრი. წარმოდგენილ სპორტის ყველა სახეობას უმრავლესობაში კაცები წარმოადგენენ. მსაჯებიც, მწვრთნელებიც კაცები არიან. მაყურებელი ერთია და ისიც ბიჭი. გოგო ფრენბურთს თამაშობს მხოლოდ ერთ კადრში, დანარჩენ ნაწილში შიგადაშიგ ქალი

წარმოჩენილია როგორც სექსუალური ობიექტი, რომელიც დროს აცნობს გარშემომყოფებს, ან უბრალოდ უფუნქციოდ არის მოედანზე, ან წარმოდგენილები არიან, როგორც "ჩირლიდერი გოგონები". როგორც ინგლისელი ხელოვნებათმცოდნე და კრიტიკოსი, ჯონ ბერგერი თავის წიგნში წერს, ხშირად ქალები წარმოჩენილი არიან კაცებისგან განსხვავებული გზებით, არა მხოლოდ იმიტომ რომ ფემინურობა განსხვავდება მასკულინობისგან, არამედ იმიტომ, რომ „იდეალურ" მაყურებელად ყოველთვის ჩაფიქრებულია კაცი და ქალის გამოსახულებაც იქმნება მის დასატკბობა. ამ შემთხვევაშიც კაცია მაყურებელი და გარდა იმისა, რომ სტადიონზე გოგოები უფრო წარმოდგენილები არიან როგორც დეკორაციები და სექსუალური ტკობობის ობიექტები. როდესაც რეკლამებში უფრო ხშირად ქალის სექსუალური და დეკორატიული გამოსახულებებია გამოყენებული, ასეთი რეკლამები გულისხმობს არავერბალურ ქარაგმებს, მაგალითად ისეთს, როგორიცაა რომ ქალს არ აქვს ძალაუფლება, ავტორიტეტი. რეკლამებში სხეულის ენა ასევე ხშირად გულისხმობს იმასაც, რომ კაცი დომინანტობს პროდუქტზე, ქალი კი გასაყიდ პროდუქტსაც კი ემორჩილება (შიჰან, 2003).

რაც შეეხება „ბითლაივის" მეორე ეპიზოდს, მთავარი პერსონაჟი კაცია, რომელიც თავგადასავლებს ეძებს. ის აკლდამაში იპოვის სათამაშო აპარატს, სადაც მოთავსდება და მუმიებიც კი ვერ შეაშინებს. ისევ და ისევ კაცი წარმოდგენილია მასკულინობისთვის დამახასიათებელი თვისებებით: ძლიერი, რაციონალური, თავგადასავლების მოყვარუკუ, მიზანდასახული, მამაცი და დამოუკიდებელი, რომელიც მუდმივად მზად არის ნებისმიერი სახის დაბრკოლების გადასალახად, ოღონდაც დასახულ მიზანს მიაღწიოს.

სპორტის სახეობის მხრივ საინტერესოა მობილური აპლიკაცია „ვიცის" რეკლამები, რადგანაც გოგონებს ამ შემთხვევაში აქვთ უფრო აქტიური როლი და ისინი წარმოდგენილები არიან სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

შეჯამების სახით რომ გავაკეთოთ, როლების გადანაწილების შემდეგი თავისებურებაა დამახასიათებელი ჩვენი საზოგადოებისთვის, ქალი ძირითადად

სახლშია, სამზარეულოში ან დიასახლისის როლი აქვს ან დედისთვის დამახასიათებელ მზრუნველობას გამოხატავს, როგორც ეს ხდება ბაკურიანის წყლის „ციდას“ რეკლამაში, ბარამბოს ნაყინის, ასევე ბარამბოს ნაყინის ტორტის რეკლამაში, წვენი „ჩეროს“, მაგთის სწრაფი ინტერნეტისა და მანქანის ინტერნეტის რეკლამებში, ასევე მაგთის აიპი ტელევიზიის რეკლამებში. დასაქმების სფეროს რაც შეეხება, დასაქმებული არიან აფთიაქში, ბანკში (იქ,სადაც მარტივია ექსპრესსანაბრის რეკლამა), არიან რეპორტიორების ან უბრალოდ „ლამაზი“ წამყვანების ფუნქციით, რომელთა გარეგნობაზეც არის დამოკიდებული პროდუქტის გაყიდვის წარმატება. მაგალითად ელიტ-ელექტრონიქსის რეკლამების სერია კონდენციონერების შესახებ, ავერსის რეკლამა. ლოკაცია, სადაც გოგონებს ვხედავთ არის სცენა, როდესაც ბალეტს ცეკვავენ.

კაცებს ვხვდებით ყველგან ოფისში თუ ბანკში მომუშავეებს, რომლებსაც სესხის გამოტანა სურთ, ასევე სპორტის სხვადსხვა სახეობაში, ვხვდებით როგორც სამზარეულოში მომუშავეებს კონდიტერების წოდებით, როგორც ინჟინრებსა და მენავთობეებს, ასევე პროკურატურაში, საქმიან შეხვედრებზე, გამოძიების ადგილას თუ სასამართლოში, მათ ვხვდებით ექიმების წოდებითაც და ასევე როგორც საზოგადო მოღვაწეებს. სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში შესწავლილი რეკლამების მიხედვითაც კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კაცების მოქმედების არეალი უფრო ვრცელია. ისინი ნაკლებად გვხვდებიან სფეროებში, რომლებიც მზრუნველობასთან არის დაკავშირებული ან იქ, სადაც გარეგნობაა მთავარი, არამედ უფრო იქ, სადაც თავისუფლად წარმოგვიდგებიან როგორც დამოუკიდებელი აქტორები. ქალები კი ისევ რჩებიან კერძო სფეროში, ან გამოდიან გარეთ და გვხვდებიან ისეთ სფეროებში, რომლებიც მათგან მზრუნველობას მოითხოვს. ქალები წარმოდგენილები არიან ასევე როგორც პასიური, სექსუალური ობიექტები ან დეკორაციები, რომლებიც უბრალოდ კადრს ალამაზებენ და „მაყურებლის“ თვალს ატკბობენ.

3. ოჯახი/ბავშვები: როგორ არის როლები გადანაწილებული

ოჯახის კონცეპტს განვიხილავთ არა კონკრეტულ რიცხვში გასული რეკლამების მიხედვით, არამედ შეჯამების სახით შემოგთავაზებთ დასკვნებს, ჩვენი საკვლევი პერიოდის განმავლობაში გასული რეკლამების მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ოჯახი ქართულ რეკლამებში ძირითადად შედგება ოთხი წევრისგან: დედა, მამა, ბიჭი, გოგო. რეკლამების უმრავლესობაში როლები ოჯახის წევრებს შორის ტრადიციულად არის გადანაწილებული მზრუნველი დედა, რომელიც ან სამზარეულოში ტრიალებს ან რომელსაც სუფრასთან შეკრებილი ოჯახის წევრები ელოდებიან, ან რომელსაც ბავშვები მიყავს სკოლაში და ამ შემთხვევაში შესაძლოა დედა იყოს საჭესთან. მამა, რომელიც ფეხბურთს უყურებს, საჭესთან ან სუფრის თავში ზის; ბიჭი, რომელიც მამასთან ერთად უყურებს ფეხბურთს, ან თამაშობს, ან ფილმს უყურებს მარტო (მაგ; ჰარი პოტერს) და გოგო, რომელიც ბალეტს ცეკვავს, გოგოსთვის შესაფერის საქმეს აკეთებს ან პასიურია, მაგალითად ტელეფონში ათვალიერებს რაღაცებს. საკვლევი პერიოდის განმავლობაში ქართული რეკლამების შემთხვევაში ნაკლებად გვხვდება ოჯახის ეპიზოდი, სადაც მხოლოდ ერთი შვილი -გოგო იქნებოდა, თუმცა იყო ეპიზოდები, როდესაც მხოლოდ ბიჭი შვილი ყავს ოჯახს, მაგალითად სანტეს პროდუქციის რეკლამა. აღნიშნული თემის გაგრძელება საინტერესო იქნება შემდეგი სტატისტიკური მონაცემებით: გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლობის ინფორმაციით, საქართველოში სელექციური აბორტის შედეგად 1990-2010 წლების პერიოდში დაახლოებით 25,000 გოგო „გაქრა“. საქართველოს ოჯახების 46% ისურვებდა, რომ გოგოს ნაცვლად ბიჭი ჰყოლოდათ, მხოლოდ 9%-ს პირიქით გოგო ურჩევნია. როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში უპირატესი სქესი იყო მამრობითი და ეს პრაქტიკა დღესაც შენარჩუნებულია (https://goo.gl/AJ2g2L).

4. რეკლამაში ქალების და კაცების თანაფარდობა (ვიზუალი)

საკვლევი პერიოდის მიხედვით ვიზუალური გადანაწილების მხრივ, კაცები უფრო მეტად არიან წარმოჩენილი რეკლამებში, ვიდრე ქალები; ავიღოთ ისევ კონკრეტული დღე, შემდეგ კი სხვა რეკლამების მაგალითებიც განვიხილოთ.

მაგალითად 2 ივნისს გავიდა 21 ქართული რეკლამა აქედან სულ ცოტა 18 კაცი/ბიჭი იყო წარმოჩენილი და მხოლოდ 8 ქალი/გოგო. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც კაცები უმრავლესობაში არიან.

განვიხილოთ რაგბის ოცწლამდელთა ჩემპიონატის მაგალითი, სადაც უმრავლესობაში არიან კაცი პერსონაჟები (მინიმუმ 5). „როცა საკუთარ მომავლთან რჩები პირისპირ და გრძნობ, რომ ის შეიცვლება..“ ჩანს როგორ მიდის ბავშვი(ბიჭი) ბაღში, (ბიჭი) სკოლაში, როგორ ემზადებიან (ბიჭები) მოცეკვავეები სცენაზე გასასვლელად. გოგოებიც არიან, სულ რაღაც ორნი. „...დღეს ასეთ ნაბიჯს მომავლისკენ საქართველო დგამს.“ საქართველო მხოლოდ კაცებისგან შედგება?

პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება; სამართლიანობა და ობიექტურობა; თითოეული დღე ხალხის სამსახურში -პროკურატურა სტაჟირებას აცხადებს. რეკლამის მთავარი პერსონაჟი: კაცია, რომელიც კაცების სამყაროში ტრიალებს, მიდის შეხვედრაზე, სადაც ქალები უმცირესობაში არიან, მიდის გამოძიების ადგილზე, სადაც ქალები საერთოდ არ არიან, მიდის სასამართლოში, სადაც არ ჩანს ქალები არიან თუ არა, რადგანაც აქცენტი ისევ მთავარ პერსონაჟზეა, რომელიც პროფესიონალიზმის, სამართლიანობისა და ობიექტურობის მოდელია, რომელიც საქართველოს პროკურატურის სახეა და რომელიც კაცია. აღსანიშნავია, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში ჩვენთვის საინტერესო დროის მოცემულ მონაკვეთში არცერთ შემთხვევაში არ იღებს ქალი სესხს, იქნება ეს ავტოსესხი თუ საყოფაცხოვრებო სესხი, ქალს სთავაზობენ მხოლოდ ანაბრის გახსნას, რომელიც „მარტივია.“

„მე - ბორჯომი, ვულკანის ძალით აღსავსე“ -მთავარი პერსონაჟი, რა თქმა უნდა, ბიჭია. რეკლამაში სულ 6-ჯერ არის ბიჭი პერსონაჟი და მხოლოდ 3- ჯერ გოგო პერსონაჟი წარმოდგენილი. „ლუდი ბელგიური, იქ სადაც შენ ხარ“ - უხვად არიან ახალგაზრდები ხალხმრავლობაში წარმოჩენილები, თუმცა სულ ცოტა 8 ბიჭი პერსონაჟია და 6 გოგო. ორივე ეპიზოდში საქმე გვაქვს ისევ პერსონაჟების არათანაბარ გადანაწილებასთან. ისევ ნათლად ჩანს თუ რომელია უპირატესი სქესი. „ბორჯომი“ გარკვეულ შემთხვევებში საქართველოსაც კი წარმოადგენს

სიმბოლურად, ლუდი კი უფრო კაცებისთვის განკუთვნილ სასმელად არის მიღებული, ამიტომ თითქოს ბუნებრივია, რომ გოგონები ნაკლებად არიან წარმოჩენილი ორივე ეპიზოდში. ეს ყველაფერი კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გოგონების მოქმედების არეალი შეზღუდულია, რომ გოგონები ნაკლებად წარმოჩენილები არიან, მათ ნაკლებად ანდობენ ყველა სახის პროდუქტის რეკლამირებას.

„850 წელია ჩვენში უცვლევად ცოცხლობს ვეფხისტყაოსანის ღირებულებები, რადგან ჩვენ რუსთაველის ქვეყნიდან ვართ.“ რეკლამაში თავდადებული მეგობრობა რაგბთან ასოცირდება, ხოლო საამაყო წარსული: მხოლოდ ცნობილ საზოგადო კაც მოღვაწეებთან.

5. პროდუქტი, რომლის რეკლამირებაც ხდება

ქალის ემოციური, ფსიქოლოგიური და სექსუალური სტერეოტიპირება იწყება მას შემდეგ, როცა ექიმი ამბობს: ის გოგოა, წერს ამერიკელი პოლიტიკოსი და ავტორი შირლი ჩიშჰოლმი. მართლაც ამის შემდეგ მუდმივ დიფერენცირებას, განსხვავებული როლებისა და სფეროების შეთავაზებას აქვს ადგილი: კაცები არიან ძაღლები, ქალები კატები. კაცები მარსიდან არიან, ქალები ვენერადან. (შიჰან, 2003). ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დიქოტომიაა ასევე კაცების კულტურასთან დაკავშირების, ხოლო ქალების ბუნებასთან. (შერიფ, 2003) რა განსაზღვრავს ქალების კავშირს ბუნებასთან? უპირველეს ყოვლისა სხეული და რეპროდუქციული უნარი და სწორედ აქდან გამომდინარე ტრადიციული სოციალური როლი, რომელიც უფრო მჭდროდ აკავშირებს მას კერძო სფეროსთან და დაქვემდებარებულ პოზიციაშიც აყენებს (ორტნერი, 1974).

შესაბამისად სარეკლამო სფეროში კაცებს ხვდებათ არა მხოლოდ მრავალფეროვანი როლები და მოქმედების ვრცელი არეალი, არამედ პროდუქტებიც, რომელთა რეკლამირებასაც მათ მიანდობენ. საკვლევი პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა შემდეგი პროდუქტები, რომელთა რეკლამირებასაც როგორც კაცი პერსონაჟები, ასევე კაცი ნარატორები ახდნედნენ: მანქანის ნაწილები, ტექნიკა, ავტოსესხები და სესხები, სასმელები: ლუდი, ღვინო, ბორჯომი, წვენები, ყავა, საცხოვრებელი

კორპუსები, რძის ნაწარმი, ფასიანი ქაღალდები, გათამაშებები, საწვავი. ხოლო ტკბილეული (ნაყინი&შოკოლადი), სააფთიქო ქსელში ფასდაკლებები, ბავშვის პროდუქცია, მაცივარი, კონდენციონერი, წამლები -პროდუქციაა, რომელთა რეკლამირებასაც ყველაზე ხშირად ქალები აკეთებდნენ. ისევ და ისევ ადგილი აქვს გენდერული როლების სტერეოტიპულ გადანაწილებას. არის პროდუქტები, რომელთა რეკლამირებასაც უფრო კაცებს ანდობენ, ქალების მიკუთვნება კი ისევ საკვებთან და საოჯახო სფეროსთან ხდება.

6. ხმების თანაფარდობა

გარდა ვიზუალის ფაქტორისა, რეკლამის ანალიზისას მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ ვის ეკუთვნის ხმა, ვინ გვიყვება ამბავს, ვინ არის ნარატორი. სვხადასხვა კვლევის თანახმად, კაცის ხმა გამოიყენება გახმოვანების 80%-ის შემთხვევაში, ქალის ხმა კი მხოლოდ მაშინ ისმის, როდესაც ის ჩნდება, ან მისი სახე, ან სხეული. (https://goo.gl/d10HKd) საკვლევი პერიოდიდან განვიხილოთ ერთი დღის -6 მაისის მაგალითი ორივე არხზე ხმების თანაფარდობის მიხედვით.

6 მაისს იმედის ეთერით 20:00-23:00 საათების შუალედში სულ იყო ოთხი სარეკლამო ჭრა და საერთო ჯამში გავიდა 67 რეკლამა (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეკლამები მეორდებოდა სარეკლამო ჭრების მიხედვით), მათ შორის ქართული რეკლამა იყო 44; აქედან მხოლოდ 6-ჯერ გვესმის ქალის ხმა რეკლამის წარდგენისას. ბარამბოს ტორტის ნაყინი, ბაკურიანის წყალი ბავშებისთვის - „ციდა“, ბავშვთა დღეები ჯიპისიში/ფასდაკლებები ბავშვთა პროდუქციაზე, ანაბრები ექსპრესს ბანკში -უკვე მარტივია! -სწორედ ამ პროდუქტების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას ქალის ხმა; მაშინ როდესაც კაცები ნარატორები არიან ისეთი პროდუქციის რეკლამირებისას, როგორიცაა ღვინო, ლუდი, სმარტფონები და სხვა სახის ტექნიკა, ულიმიტო ინტერნეტი, ფასდაკლებების აქციები, მანქანის ნაწილები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოთავაზებები.

რაც შეეხება რუსთავი 2-ის ეთერით 20:00 საათიდან 23:00 საათის ჩათვლით გასულ რეკლამებს, სულ გავიდა 26 ქართული რეკლამა, აქედან მხოლოდ 4 რეკლამის შემთხვევაშია ქალი ნარატორი, დანარჩენ შემთხვევაში კი კაცია. ისევ და ისევ

ქალები გვიყვებიან - ბარამბოს ნაყინის ტორტის, ანაბრის გახსნის სიმარტივისა და წყალი „ციდას“ შესახებ. არა მარტო ქალის ვიზუალს იყენებენ იმის შესაფერისად თუ რომელი სფეროა მისთვის შესაფერის და რომელი არა, ასევე ხმასაც. როგორც ვხედავთ ქალი ახმოვანებს ძირითადად ან საკვები პროდუქტების შესახებ რეკლამებს, ან ბავშვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას გვაწვდის, ან ანაბრის შესახებ გვიყვება, რომელიც მარტივია. სამზერეულო, ოჯახი, ოჯახის წევრებზე ზრუნვა -ქალი ვერც ფიზიკურად გაცდა ამ სფეროს და ვერც თავისი ხმით. ამ შემთხვევებშიც ქალის ხმა გამონაკლისის სახით ახმოვანებს რეკლამას, რადგანაც პროდუქტი უფრო ახლოსაა მასთნ, როგორც ქალის ბუნებასთან. ან პროდუქტი მზრუნველობასთან -ქალის მთავარ მოვალეობასთნ თუ მახასიათებელთან არის დაკავშირებული. კაცის ხმას კი უფრო პროფესიონალური დანიშნულება აქვს, კაცის ხმას სამუშაო გამოცდილებაც აქვს, რადგანც ის წლების განმავლობაში ითვლებოდა როგორც უფრო დამაჯერებლი, ძალაუფლების მქონე და პრესტიჟული. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ქალის ხმა საჯარო სფეროში კი არა, სახლშიც ნაკლებად ისმოდა. (კლინტონ-მაკგუაირი, 2015)

7. მოქმედების ადგილი (კერძო სფერო/ საჯარო სფერო)

ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ჩვენ განვიხილავთ 7 მაისის მაგალითს. ამ დღეს 34 ქართული რეკლამა გავიდა იმედის ეთერში, ხოლო 27 რუსთავი ორის ეთერში. მოქმედების ადგილის მიხედვით, თუ სად უფრო ხშირად ჩნდებიან ქალები და კაცები კერძო თუ საჯარო სფეროში, ასეთი სურათი გვაქვს: კაცები დაკავებულნი არიან ავეჯის გადაზიდვით („ერთგული ბარათი“), უდარდელად დაფრინავენ თბილისის თავზე და ჰამაკიდან გადმოჰყურებენ თბილისს (ნატახტარის ლუდი „ლაითი“), მეგობრებთან ერთად მხიარულად მღერიან სახლში (თელიანი ველი), ბანკში აგროვებენ ანაბარს, იღებენ სესხს, ავტოსესხს. „ბეთმენის“ რეკლამაში მაგალითად ვიცნობთ ჯონი გატეხას, რომელიც „ფხიზელ მდგომარეობაში მეზობლებს ზეპირად ითვლის, ხოლო ნასვამ მდგომარეობაში ტყვიებით, „ლუდი ბელგიურის“ რეკლამაში კი ვიცნობთ პერსონაჟებს: კაცებს, რომლებიც ხატავენ, მეგობრებთან ერთად ბუნებაში დროს ატარებენ, უყურებენ ფეხბურთს. კაცები

არიან ასევე საქართველოს შეიარაღებულ ძალებშიც, სახლში სუფრის თავში (ბარამბოს ნაყინის ტორტი), სოფლის მეურნეობაში (აგროვაუჩერი). ისინი არიან გამოძიების ადგილას, სასამართლოში, საქმიან შეხვედრებზე, ოფისებში, თავისუფლები, დამოუკიდებლები, უდარდელები, აქტორები, მათი მოქმედების არეალი ძალიან ვრცელი და მრავალფეროვანია. ტერაბანკის რეკლამაში (აიღე სესხი ან გახსენი ანაბარი, ჩაერთე გათამაშებაში -აიწყვე ცხოვრება) პერსონაჟი არაფერს არ აკეთებს, მაგრამ კმაყოფილია. ის, რაც ამ პერსონაჟს აბედნიერებს არის: ფული, გასაღები, სახლი, საბურავები/მანქანა, ჩემოდანი/მოგზაურობა.

ქალები არიან კერძო სფეროში, სამზარეულოში - „რადგანაც დედები შვილებისთვის ყოველთვის საუკეთესოს ირჩევენ“ არჩევნაში იგულისხმება, როგორც მამა/ქმარი, რადგანაც ბავშვისთვის ის ყველაზე კარგი, მამაცი, მხიარულია და დედას მადლობას უხდის რომ ის აარჩია, ასევე სანტეს პროდუქციაც. ძირითადად სუფრასთან, ოჯახის წევრებთან ერთად. როგორც უკვე აღვნიშნე, აღსანიშნავია ჯეოსელის მობილური აპლიკაცია „ვიცის“ რეკლამები, სადაც გოგოები წარმოდგენილი არიან სპორტის სხვადსხვა სახეობებში. ახალგაზრდები ხშირად არიან გარეთ, მეგობრების წრეში, მაგრამ უფრო ისინი არ არიან მთავარი პერსონაჟები, ან არიან პასიურები. ისინი დასაქმებული არიან ოფისებსა და ბანკებში. ქალები არიან საჭესთან -თუკი ბავშვები მიყავთ სკოლაში და საჭიროა მათზე ზრუნვა („ციდა“); არიან მანქანში, მძღოლის მეზობლად, როგორ ცოლი. რომელიც ბევრს აღარ ლაპარაკობს, რადგან ინტერნეტი აქვს ან როგორც უბრალოდ დეკორაცია, რომელიც კადრს ალამაზებს. გამოდის, მათ იციან საკუთარი ადგილები და ისევ და ისევ მათ იყენებენ იქ, სადაც სჭირდებათ და უგულებელყოფენ, სადაც ეზედმეტებათ. როგორც ბერგერი წერდა, გამოსახულების უმეტეს შემთხვევაში კაცები მოქმედებენ, ქალები კი უბრალოდ ჩანან, პასიურები არიან.

8. სხვა კატეგორია:

სხვა კატეგორიაში გავაერთიანეთ ქართულად გახმოვანებული რეკლამები, რომლებიც ასევე ხშირად მეორდებოდა ჩვენი საკლვევი პერიოდის განმავლობაში

პრაიმ-ტაიმის დროს. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. პირველ რიგში შამპუნისა და დეოდორანტის რეკლამები, თუ როგორ ხდება ქალისა და კაცის პროდუქციის რეკლამირება? რა თვისებებით წარმოჩნდებიან ისინი და რაზე კეთდება აქცენტი?

დეოდორანტი, „რომელიც კანს დაუჯერებელ სინაზეს ანიჭებს“ -ალბათ მიხვდებით, რომ ქალის დეოდორანტის სარეკლამო ტექსტია, რეკლამის ბოლოს კი ვხედავთ, რომ თითქოს ქალი „საუკეთესო პროდუქციას“ ირჩევს იმისთვის, რომ თავი მოაწონოს და ასიამოვნოს სხვას, ამ შემთხვევაში ქმარს/მეგობარ მამაკაცს, მთავარი ფაქტორი არის ის, რომ ეს სხვა კაცია, რომელიც ამოწმებს პროდუქტის ხარისხსაც. ხომ არ მოწმობს მსგავსი რეკლამა კიდევ ერთხელ იმ ფატს, რომ პატრიარქატის სისტემაში ქალის სხეულიც კი კაცს ეკუთვნის? კაცის დეოდორანტის რეკლამა სრულიად განსხვავებულადაა აწყობილი. ამ შემთხვევაში ტექსტი, ფერები (თეთრი/შავი), მსახიობის თამაში, ყველაფერი გადაწყვეტით მასკულინურია. ის საკუთარ თავში დარწმუნებულია. ის თავადაა პატრიარქატის სისტემა, სადაც მამაკაცურობა პრივილეგირებულია და მას უპირობო ძალაუფლება და ავტორიტეტი აქვს. „ეს ყველამ იცის“ და ის დამატებით აღარ საჭიროებს არავის შემოწმებას.

რაც შეეხება შამპუნების რეკლამას, კაცისთვის „კარგი“ შამპუნი თუკი სიძლიერესა და პროფესიულ წარმატებასთან ასოცირდება, ქალის შემთხვევაში, ახალი შამპუნი ახალ გარეგნობასთან ასოცირდება, ახალ გარეგნობას პირდება. შესაბამისად ქალი თუკი სარკის წინს ამოწმებს შამპუნის ეფექტს, კაცი საქმის წარმატების მიხედვით, გამარჯვების მიხედვით ამოწმებს ეფექტს.

ასევე წარმატებასა და გამარჯვებას პირდება კაცებს „ჯილეტის“ ფირმა. რეკლამაში ცნობილი ფეხბურთელები თავიდან არამასკულინურ როლებში წარმოგვიდგებიან, თითქოს მათ საქმის გაკეთება ეზარებათ. ერთ-ერთი მათგანი თმას (პარიკი უკეთია, რეალურად მოკლე თმა აქვს სპორტსმენს) ჭრის მეორეს. ჯილეტის გამოყენების შემდეგ კი ყველა უბრუნდება მათ „ბუნებრივ“ მდგომარეობას, იბრუნებენ მასკულინობას, ემზადებიან თამაშისთვის, წარმატებისთვის და გამარჯვებისთვის.

საინტერესოა ბავშვების როლი რეკლამაში, კონკრეტულად კი გოგონების. პირველ შემთხვევაში განვიხილოთ სარეცხი ფხვნილის რეკლამა. რა თქმა უნდა, სარეცხი ფხვნილის რეკლამაში ძირითადად მთავარი პერსონაჟები ქალები არიან, რომლებსაც ყველაზე ხშირად აწუხებთ ლაქები. პერსონაჟებს ამ როლის მორგება უწევთ ისევ და ისევ მათი ბიოლოგიის მიზეზით მიწერილი, შეთვისებული ტრადიციული როლიდან გამომდინარე; რამაც განაპირობა მათთვის მთავარი სამოქმედო სფერო -კერძო სფერო, ოჯახი, ასევე „პროფესიაც“: დიასახლისობა.

ერთ-ერთი ეპიზოდი- „ტაიდის“ სარეცხი ფხვნილის რეკლამაა. სიუჟეტი მიმდინარეობს ბალეტის კლასის სამეცადინო დარბაზში, სადაც გოგონებს რეპეტიცია აქვთ. „თქვენს გოგონას ნათელი მომავალი აქვს, რითი რეცხავთ მის თეთრ კაბას“- პარალელურად დედებს შორის დიალოგი შედგება. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში გოგონების ნათელი მომავალი თეთრ კაბებზე, ანუ დედის „შინ შრომის“ ხარისხზეა დამოკიდებული. პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომელსაც ერთი მშობელი (დედა), მეორეს ახსენებს: „მაშინაც კი თუკი თქვენ თანხას ზოგავთ, თქვენი გოგონა მაინც უნდა ანათებდეს.“ კვლავ გრძელდება მოვალეობებისა და ვალდებულებების გადანაწილება: ის, რაც კაცების საქმეა და ის, რაც ქალების საქმეა. ხოლო თუკი ვინმე ჩათვლის, რომ სათანადოდ ვერ უმკლავდები შენს ვალდებულებებს, აუცილებლად მიგითითებს და შეგახსენებს.

საინტერესოა ასევე იოგურტი „ჩუდოს“ რეკლამაც. მოცემულ ეპიზოდში ბავშებთან(გოგო-ბიჭი) ერთად, მამაც მონაწილეობს. –„მამა, ოდესმე გიოცნებია კოსმონავტობაზე“, ეკითხება ბიჭი მამას, ამ დროს კი გოგო მამას „ჩუდოს“ აწვდის. ქალი ნარატორი კი გვეუბნება, რომ ბავშვებს უადვილდებათ ახლობლებზე ზრუნვა, თუმცა ბავშვებს შორის გოგო უფრო გამოხატავს მზრუნველობას, ბიჭი მამასთან ერთად „მნიშვნელოვან საკითხებზე“ მსჯელობს. ისევ და ისევ ვხედავთ სურათს, სადაც ბავშობიდანვე გადანაწილებულია როლები, თუ სად არის გოგოს ადგილი და სად ბიჭის. „ნუთელას“ რეკლამაშიც კარგად ჩანს ბავშვობიდან რა ეტაპების გამოვლა უწევს და რა როლების მორგება მთავარ პერსონაჟს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ტექსტის ვარიანტი:

ბავშვობაში- ანდრია, სკოლაში- კაპანაძე, ოჯახში-საყვარელო, სამსახურში - უფროსო, სახლში -მამა, კარგად ჩანს თუ რა ეტაპების გამოვლა უწევს პერსონაჟს ბავშვობიდან და როგორ იცვლება მიმართვის ფორმებიც.

ქალის ფუნქცია-მოვალეობანი კარგად ჩანს „ლიოტონის“ რეკლამაში. სამსახური, სახლი, საყიდლები, ბავშვის მოვლა, მეგობრები -ყველგან ყოფნა და ყველაფრის მოსწრება ქალს უხდება და მოცემული სურათი წარმოჩენილია როგორც ნორმალური ყოველდღიურობა. ერთადერთი გამოსავალი ასეთი გრაფიკის დროს არის „ლიოტონი, რომელიც ხელს შეუშლის ფეხების შეშუპებას“ გვიყვება პერსონაჟი. ისევ და ისევ კაპიტალისტური წყობისა და პატრიარქალური საზოგადოების დამსახურებაა ქალის სამუშაოთი დატვირთვა „ორ ცვლაში“, გარეთ ანაზღაურებად სამსახურში და შინ, არაანაზღაურებად ცვლაში. წლების განმავლობაში ქალისთვის რამდენიმე ცვლაში მუშაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ისევ და ისევ თავისი ბიოლოგიიდან და ტრადიციული გენდერული როლებიდან გამომდინარე.

ასევე ტრადიციოლი როლით, ტრადიციულ ადგილას -სამზარეულოში ვხვდებით „ფეირის“ ეპიზოდის მთავარ გმირს მაიას(რეკლამა რუსულია. სახელები/ტექსტია გადმოქართულებული), რომლის დიასახლისობის ხარისხსაც მაყურებელთან ერთად შედარებით უფროსი ასაკის ქალი შეამოწმებს. საინტერესო ფაქტია, როდესაც მაიას სუფრაზე გააქვს კერძი, სუფრა კი შევსებულია მისი ადგილი არ ჩანს. ბრუნდება ისევ სამზარეულოში, სადაც თავიდანვე იყო განკუთვნილი მაიას ადგილი და აგრძელებს ჭურჭლის რეცხვას. მაია პასიურია, მისი ადგილი სამზარეულოშია, მას ხმაც კი არ აქვს.

თავი 6. ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

9. გენდერული როლები და ნორმები, რომელსაც სარეკლამო სივრცე ქმნის არ განსხვავდება ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლილი პრაქტიკისგან. კაცები არიან ძირითადად აქტორები, თავისუფლები, დამოუკიდებლები, რაციონალურები და პროფეისიონალები, არ აქვს მნიშვნელობა ისინი

იმყოფებიან გამოძიების ადგილას, მეგობრებთან ერთად ბუნებაში თუ სათამაშო აპარატებთან. მათ მოქმედების უფრო ფართო არეალი აქვთ. მათი ხმაც უფრო ხშირად ისმის. რაც შეეხება ქალებს, გარდა იმისა, რომ მათი ხმა იშვიათად ისმის, ვიზუალურადაც იშვიათად არიან წარმოჩენილები. ქალები დასაქმებულები არიან ოფისებში, ბანკებში, აფთიაქებში, ასევე მათ ვხედავთ ექიმებისა და წამყვანების ამპლუაში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში. თუმცა ქალი მაინც არ არის აღიარებული, როგორც დამოუკიდებელი აქტორი. არის შემთხვევები, როდესაც ის სრულიად პასიურია, წარმოდგენილია, როგორც უბრალოდ დეკორაცია, ან სექსუალური ობიექტი, ან სულაც მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილია წარმოჩენილი: მაგალითად ხელები, რომელიც მაცივრის რეკლამას აკეთებს და პროდუქტს ალაგებს მაცივარში; აღსანიშნავია, რომ ეს არის ქალის წარმოჩენის ერთ-ერთი ყველაზე დამამცირებელი ფორმა, რადგანაც მისი ინდივიდუალურობა დაკარგულია.

10. რეკლამების მიხედვით, ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი „ნორმალურობის კოდექსი“ მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს რეალობაში უპირატესი სქესი: მამრობითია. ის შეიძლება შეგვხვდეს მეგობრობის თუ თავდადების სინონიმად, ასევე სამშობლოსა და დიადი წარსულის სინონიმად. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი ქალები არიან, ისინი ხშირად არ არიან წარმოჩენილები. ეს კი ქალების სიმბოლურ განადგურებას შეიძლება გულისხმობდეს. რეკლამების მიხედვით, ჩვენი საზოგადოებისთვის „ნორმალურობის კოდექსი“ მდგომარეობს იმაში, რომ ქალები ან კერძო სფეროში არიან და ოჯახის წევრებზე ზრუნავენ, ან დასაქმებულები არიან ისეთ სფეროებში, სადაც უცხო ადამიანებზე უწევთ ზრუნვა.

11. ადგილები, სადაც ყველაზე ხშირად ვხედავთ ქალებს და კაცებს, ასევე პროდუქტები, რომელთა რეკლამირებაც უწევთ მათ, განაპირობებს ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მასკულინურ და ფემინურ

ბინარულობას. იგულისხმება ის როლები, ანუ გენდერული დისპლეი, რაც ყოველდღიურობაში არ გვეჩვენება უცნაურად. ქალები ბევრს ლაპარაკობენ, არიან უფრო ემოციურები, ნაკლებად რაციონალურები, არ ეხერხებათ ხუმრობა, მათ არ ჭირდებათ სესხი -ამ მესიჯებს გვიგზავნის ძირითადად სარეკლამო რგოლები. ისინი მუშაობენ „ორმაგ ცვლაში“, უფრო ხშირად კერძო სფეროში უწევთ არაანაზღაურებადი შრომა. კაცი უფროსია ოჯახშიც და სამსახურშიც, ის თავისი საქმის პროფესიონალია, არ ეშინია თავგადასავლების თუ გამოწვევების.

12. საკვლევი პერიოდის განმავლობაში იშვიათი იყო რეკლამები, რომლებიც სტერეოტიპების წინააღმდეგ მუშაობდა. უფრო ხშირად რეკლამებში წარმოდგენილი რეალობები: შრომის ბაზრის გენდერული სეგრეგაცია, კერძო/საჯარო სფეროების გამოყოფა, ქალების უფრო ემოციურად, ხოლო კაცების უფრო რაციონალურად წარმოჩენა - გვიჩვენებს იმ წინასწარგანწყობებსა და სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, რაც დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებისთვის.

დასკვნა

ჩვენი კვლევის მიზანი იყო გაგვეგო, თუ რა გენდერულ როლებს და შესაბამისად ნორმებს ქმნის ქალებისთვის და კაცებისთვის სარეკლამო სფერო, რას ნიშნავს და როგორ იქმნება „ნორმალურობის კოდექსი“ გენდერული როლების გამოყენებით ქართულ სარეკლამო სივრცეში, კონკრეტულად კი სატელევიზიო რეკლამებში. ამისთვის შევეცადეთ ქართული სარეკლამო რგოლები, რომელიც ძალიან ბუნებრივი და ნაცნობი გვეჩვენებოდა, დაგვეშალა დეტალებად. დეტალების გასაანალიზებლად გამოვიყენეთ კონტენტ-ანალიზის მეთოდი და შემდეგი კოდირების სისტემა: 1) მთავარი პერსონაჟი, 2) როლი/სფერო/სტატუსი, 3)ოჯახი/ბავშვები: როგორ არის როლები გადანაწილებული, 4) რეკლამაში ქალების და კაცების თანაფარდობა (ვიზუალი), 5) პროდუქტი, რომლის

რეკლამირებაც ხდება, 6) ხმების თანაფარდობა, 7) მოქმედების ადგილი (კერძო სფერო/ საჯარო სფერო), 8)სხვა კატეგორია. სხვა კატეგორიაში გავაერთიანეთ რამდენიმე უცხოურო რეკლამა ქართული გახმოვანებით.

ჩვენთვის საინტერესო იყო რეკლამების კვლევა, არა იმის გასაგებად თუ როგორ გვაიძულებს ვიმოქმედოთ ან რა პროდუქტი ვიყიდოთ, არამედ იმის საკვლევად თუ რეკლამაში წარმოჩენილი „ნორმალურობის“ ხედვა, რას გვეუბნება საკუთარ თავებზე, როგორც ერთი საზოგადოების წევრებზე. ანუ რეკლამა იყო ჩვენთვის ერთგვარი მედიუმი-„სარკე“, რომელშიც უნდა დაგვენახა ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი გენდერული როლების გადანაწილებები და სტერეოტიპები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხვორებაში ვატარებთ, მაგრამ ვიღებთ როგორც ჩვეულებრივ მოვლენას.

სწორედ აღნიშნული სარეკლამო რგოლების ანალიზის შედეგად გამოჩნდა, თუ როგორ არის ქართული სარეკლამო სივრცე კაცის მთავარ „სამფლობელოდ“ ქცეული. მუდმივად გვესმის კაცის ხმა, მაშინაც კი როცა რეკლამა გრაფიკული დიზაინით არის აწყობილი და მოქმედი პერსონაჟები არ არიან რეკლამაში. მუდმივად ვხედავთ კაცებს მოქმედებაში, როგორი აქტორები, რაციონალურები არიან, ვხედავთ მათ წვლილსა და დამსახურებას საქართველოს ისტორიაში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ან უბრალოდ უდარდელებსა და ბედნიერებს მათ საკუთარ სივრცეებში. სად არიან ამ დროს ქალები? ისინი გვხვდებიან როგორც კერძო სფეროში, ასევე საჯაროშიც, თუმცა. ვხედავთ მათ უფრო ემოციურებს, იმპულსურებს, მეორეხარისხოვანი როლებით წარმოჩენილებს. ქალებს ვხედავთ რეკლამებში უფრო ნაკლებად, ვიდრე კაცებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ეს არის ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი „ნორმალურობის კოდექსი“, კაცი აქტორების სიმრავლე ყველა სფეროში, რომელიც მათთვის საინტერესოა. ქალები კიდევ უფრო ნაკლები წარმომადგენლობით მხოლოდ კერძო სფეროში, ან იმ სფეროებში, რომელიც კაცისთვის საინტერესო და მიმზიდველი არ არის, სადაც უბრალოდ დარჩა ქალის ადგილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

გრიგოლავა ვ., (1972). *რეკლამა და ფსიქოლოგია.* თბილისი: მეცნიერება;

კაციტაძე, ნ. (2006). *რეკლამა.* თბილისი: ნათლისმცემელი;

მედიის განვითარების ფონდი. (2013). *გენდერმედიატორი.* მოპოვებულია ვებ-გვერდიდან (http://tiny.cc/pobdmy), {10.07.2017}

მსხილაძე, ქ. (2011). *გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში.* მოპოვებულია ვებ-გვერდიდან (http://tiny.cc/t1admy), {10.07.2017}

მსხილაძე, ქ. (2011). *გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში (განმეორებითი კვლევა).* მოპოვებულია ვებ-გვერდიდან

ნარინდოშვილი, თ. (2014). *გენდერული სტერეოტიპები ქართულ სარეკლამო სატელევიზიო რეკლამებში.* მოპოვებულია ვებ-გვერდიდან (http://tiny.cc/2wadmy), {10.07.2017}

ფარულავა, დ. (2014). *ქართულ ტელეარხებზე წარმოდგენილი სატელევიზიო რეკლამები გენდერულ ჭრილში.* მოპოვებულია ვებ-გვერდიდან (http://tiny.cc/tvadmy), {10.07.2017}

ფერაძე, ნ. (2012-2013). *გენდერული სტერეოტიპები გასართობ თოქ-შოუებში.* მოპოვებულია ვებ-გვერდიდან (http://tiny.cc/wyadmy), {10.07.2017}

ქაფიანიძე, თ. (2012). *ქალთა საკითხების გაშუქება სატელევიზიო არაპოლიტიკურ გადაცემებში* . მოპოვებულია ვებ-გვერდიდან (http://tiny.cc/nyadmy), {10.07.2017}

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ (მოპოვებულია ვებ-გვერდიდან: https://matsne.gov.ge)

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ (https://matsne.gov.ge)

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის აღმფხვრის ყველა ფორმის შესახებ (https://matsne.gov.ge)

უცხოური ლიტერატურა:

Berger, J., Dibb, M., & BBC Enterprises. (1972). *Ways of seeing*. London: BBC Enterprises.

Bordo, S. (1993). *Hunger as Ideology*

Sheehan, B. Kim. (2004). *Controversies in contemporary advertising* . Sage Publications, Inc.

Shrikand, V. (2003). *Stereotyping of women in television advertisements*

Szymanski, Dawn M. & Moffitt, Lauren B. & Carr, Erika R. (2011). *Sexual objectification of women: advences of theory and research*

Picklesimer, Sara. (2010). *Gender role stereotypes in advertising: a test of the match-up hypothesis on advertising effectiveness.*

Prasad, D. (2008). *Content Analysis: A method in social science research*

Jhally, S. (2009) *The codes of gender: identity & performance in pop culture.* Northampton, MA: Media Education Foundation

Wood, Julia T. (1994). *Gendered Media: influence on views of gender*

Williamson, J. (2002). *Decoding advertisements: Ideology and meaning in advertising*. London: Marion Boyars.

დანართი 1#

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Takidze

Normality Code: Models of Masculinity and Femininity in Georgian TV Commercials

Gender Studies

MA thesis is prepared with the purpose of obtaining Master's Degree in Gender Studies

Supervisor: Salome Tsopurashvili,

Doctor of Gender Studies/

Invited lecturer of TSU Gender studies Institute

Tbilisi, 2017

დანართი 2#

Abstract

Let's see what is invisible. TV Commercial is field is a very interesting but complex business. With little stories it simultaneously reflects our everyday life and at the same time influences society, human behavior, social roles and stereotypes. That's one of the main factors that gender advertisers pay attention to when creating advertising campaigns. In our reality, there are less papers and studies that analyze advertising in the category of gender. That is the invisible message that the Georgian TV commercials have.

In this paper, we will use TV commercials as a medium, a kind of "mirror" and we will try to see the invisible details of our society in terms of gender norms. We would like to show the social and cultural environment in which we live and provide for a number of values and stereotypes of our community in connection with our gender roles.